

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12

სილუეტი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზაზე

ამ ნომერში დაბეჭდილია მხატვარ ზურაბ ნიშარაძის სურათების რეპროდუქციები ციკლიდან „იტალიური მოგზაურობა“.

ყდაზე — თბილისის ბაზარი ვენეციაში

962/9

ცისკარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ბრიგოლ აბაშიძე — დიდი ღამე. რომანი. გაგრძელება 3
გურამ კლდიაშვილი — ლექსები 56
იუზა ყაჭეიშვილი — ძახილი. მოთხრობა 58
ლადო სულაგერიძე—დაკარგული წუთები. ლექსი 75
ბაგუა ამირეჯიბი — ბიძაჩემი მეჯღანა. მოთხრობა 77
ევგენი ევტუშენკო — ლექსები. თარგმნა ჯ. ჩარკვიანმა 90
ივანე გონჩაროვი — სინგაპური. ნაწყვეტი წიგნიდან: „ფრეგატი „პალადა". თარგმნა ა. გაბესკირიამ.

*
* *

რევაზ გრძელიძე — ვ. ი. ლენინი—სსრ კავშირის შექმნის ინიციატორი 117
თამაზ ბილაძე — სითამამე და გულწრფელობა 123

12

დეკემბერი

1962

გამომცემლობა

„საბჭოთა მწერალი"

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკა ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ოტია პაპკორია — „შუადღის“ ილუზიები 128
ქეთევან ხაჩიაშვილი — გალაკტიონ ტაბიძის ერთი უცნობი წერილი 141
ხუხუტი გლაშბა — ივანე პაპასკირი 146

ხელოვნება

ნოდარ გურაბანიძე — ჯორჯ ბალანჩინი და მისი ქორეოგრაფია 148
აკაკი გაჭრაძე — მოგზაურის თვალით 158

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:
გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, მუხრან მაჭავარიანი, როინ მეტრეველი, ჯანსულ ჩარკვიანი (პ/მგ. მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ჟურნალი გააფორმა მხატვარმა გულდა კალაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე



რომანი

დემეტრეს სიკვდილის შემდეგ ვაჩეს შინ და გარეთ ტვირთი და პასუხისმგებლობა მოემატა. მანამდე თუ თავისი მოსახატავი დარბაზის გარდა სხვაზე არაფერზე ზრუნავდა, ახლა დემეტრეს დაუმთავრებელი სამუშაოც მას უნდა დაესრულებინა, სხვა მხატვრების ხელმძღვანელობაც მასვე უნდა ეკისრა.

გულით ეწადა, თავისი მასწავლებლის პატიოსანი სახელი არ შეერცხვინა, მისი ნდობა და იმედი გაემართლებინა. დღე და ღამეს ასწორებდა, თავაუღებლად შრომობდა.

ჯანღონით სავსე ვაჟკაცი ყველაფერს ასწრებდა, მისი მუყაითობა საქმესაც მალე დაეტყო და ოჯახსაც.

პალატების მოხატვა თავდებოდა.

სამუშაოდან შინ გვიან ბრუნდებოდა დაღლილი ვაჩე. ოჯახში სითბო და სიხარული ელოდა. რაგინდ უგუნებოდ ყოფილიყო, დემეტრეს ჭერქვეშ, ლელას გვერდით ყველა წყენა ავიწყდებოდა, გულს დარდი გადაეყრებოდა და მშვიდი ცხოვრების ბედნიერებით თავდავიწყებას ეძლეოდა. ამ სიმშვიდის დარაჯი და ბედნიერების შემოქმედი მისი კერიის ანგელოზი ლელა იყო. ეს ქალი მთელი დღე ჯარასავით ტრიალებდა, ოჯახის

გაგრძელება. იხ. „ცისკარი", № 11.

საქმეს სანიმუშოდ უბავდებოდა, ვაჩეს თვალწარბში შეჰყურებდა და მტრედივით შეჰღუღუნებდა.

შინ რომ ასე მყუდრო და დალაგებული ცხოვრება ჰქონდა, გარეთაც მეტი ხალისით მუშაობდა ვაჩე. მისი მხატვრობის სანახავად, მისი მუშაობის საცქერლად უამრავი ხალხი მოდიოდა, ოსტატებს ახალგაზრდა მხატვრები მოჰყავდათ, ხელით უჩვენებდნენ და ხმადაბლა უხსნიდნენ მხატვრის ჩანაფიქრისა და შესრულების თავისებურებას, ხაზისა და ფერის, შუქისა და ჩრდილის ადგილსა და მნიშვნელობას.

დემეტრესაც ასე ეხვეოდნენ თავის დროზე თაყვანისმცემლები და მხატვრობის მოყვარულები. ვაჩე გრძნობდა, რომ უკვე მიეღწია იმ მდგომარეობისთვის, რომელზედაც ოდესღაც დემეტრეს ჩრდილში მოფუსფუსე ყმაწვილი ჩუმად და გაუბედავად ოცნებობდა. მისი სახელიც ძალიან შორს გახთქმულიყო და ვაჩეს ნამუშევრის სანახავად მოსვლას ტრაპიზონიდან და ბიზანტიიდანაც კი კადრულობდნენ ამპარტავანი ბერძენი მხატვრები.

ვაჩეს სახელი ახლა თითქმის მთელმა ქვეყანამ იცოდა. პატივი და დიდება, სიყვარული და დაფასება არც მეფის კარისაგან აკლდა და არც ხალხისაგან. მაგრამ მხატვარი ისე იფერებდა ამ საყოველთაო დაფასებასა და ყურადღებას, არც იმჩნევდა, ისევ ისე უბრალო და უშუალო რჩებოდა, სხვა დიდი ხელოვანებივით ზვიადობას ან უცნაურობასა და ახირებას არ იჩენდა.

სწორედ მისი ეს სიჩუმე და მოკრძალება, დიდი შინაგანი ძალა და დაკინებული შრომის მოუწყინარობა მოეწონა კარის ხუროთმოძღვარსა და მეფის ახალი სასახლის შემოქმედს გოჩი მუხასძეს. თუმცა სასახლის მშენებლობა დამთავრებულიყო და კარგა ხანია კალატოზები და დურგლები იქიდან გაკრეფილიყვნენ, გოჩი მაინც მთელ დღეს თავის ამ ულამაზეს შენობაში ტრიალებდა, შეყვარებულივით თვალგამტერებით შეჰყურებდა თაღებს, სვეტის თავებსა და კამარებს, უთვალავ გასასვლელსა და კიბეს, მოხატული მინის მაღალ სარკმლებსა და ზომიერად გაბნეულ ჩუქურთმას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრების მოსვლის პირველ-ვე დანვე თითქმის განუშორებლად იქ იყო გოჩი და თვალს ადევნებდა მათს მუშაობას. როცა დემეტრემ ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაო ახალგაზრდა მხატვარს ჩააბარა, გოჩი, ცოტა არ იყოს, დაეჭვდა, ოსტატისაგან მეტისმეტ ნდობად ეჩვენა და თუმცა დემეტრესთვის არაფერი უთქვამს, გულში შიში ჰქონდა, ვაი თუ ვაჩემ ვერ შესძლოს ესოდენ პასუხსაგები დავალების ღირსეულად შესრულებაო. შორიდან აკვირდებოდა ვაჩეს მუშაობას და თანდათან აზრი ეცვლებოდა. მარტო აზრი კი არა. მის შეუმჩნევლად გულიც ნელ-ნელა ამ ჭაბუკი მხატვრისკენ იხრებოდა. ნელ-ნელა იხიბლებოდა მუხასძე მხატვრის მუშაობით, იმ ზომამდე აკვირდებოდა მისი ფუნჯისა და ყალმის მოძრაობას, მისი ფიქრისა და ოცნების ხორცშესხმას, რომ თავისდაუნებურად ისიც მისი შემოქმედების ფარული მონაწილე, მისი შთაგონებით შთაგონებული ხდებოდა. რაც უფრო შორს მიდიოდა მხატვარი, მით უფრო მეტად რწმუნდებოდა გოჩი მის მაღალ ნიჭსა და ჩუმს შინაგან ძალაში, დემეტრეს არჩევანის სისწორესა და თავისი პირვანდელი ეჭვის უსაფუძვლობაში.

მუდმივად ერთად ყოფნამ ეს ორი შემოქმედი მართლაც ისე დააახლოვა, რომ უერთმანეთოდ გაძლება უძნელდებოდათ.

ვაჩეს მოსწონდა კეთილშობილი ვაჟკაცი, მეფის კარზე აღზრდილი მუხასძე, მისი ფართო განათლება და მაღალი გემოვნება, ღრმა აზროვნება და დიდი გაქანება.

ხელოვნებასა და შაირობაზე დაუსრულებლად შეეძლო მსჯელობა მუხასძეს. მისი შეხედულებები სითამამითა და თავისებურებით გამოირჩეოდა და თანაც დახასიათების ზედმიწევნილობის გამო თანამოსაუბრისათვის სავალდებულო ხდებოდა. ამას გოჩის მეტყველების ელვარება და შეგონების ნიჭიც

ხელს უწყობდა. მუხასძე მარტოოდეს ხუროთმოძღვარი როდი იყო, თუმცა ამ თავის უმთავრეს მოწოდებაში მას სწორი არა ჰყავდა; იგი, როგორც ბევრი მაშინდელი ხელოვანი, მეფის კარის გამოჩენილი მოღვაწე და ბრძოლებში სახელგანთქმული მეომარიც იყო.

მუხასძე სუფრაზედაც ისევე სანატრელი იყო, როგორც საქმეში, ომსა თუ შრომაში. მისი ენაწყლიანობა და ვაჟკაცური ბანი ქალსა და კაცს ერთნაირად ხიბლავდა და კარის ხუროთმოძღვარს დიდგვაროვანთა ოჯახების სასურველ სტუმრად ხდიდა.

ვაჩესაც მასთან ჯდომა და საუბარი ყველაფერს ერჩივნა. მუშაობას რომ მორჩებოდა, გოჩი თუ იქ იყო, აუცილებლად შინ მიიპატიჟებდა, უცოლშვილო გოჩიც ხალისით მიჰყვებოდა და ხან ვაჩესას, ხანაც სადმე მყუდრო ფუნდუკში მეგობრული საუბრით ატარებდნენ დროს.

საღამოს ჩვეულებრივად გამოუარა გოჩიმ. ის იყო, ხელსაწყოები ჩაელაგებინა ვაჩეს და ახლა წინსაფარს იხსნიდა.

— ამ საღამოს რას აპირებ, ვაჩე? — შეეკითხა შემოსვლისთანავე გოჩი.

— თავად არ ვიცი, დავიღალე — მიუგო ვაჩემ.

— ჰოდა, მაგ დაღლილობის წამალი მომივიდა, სოფლიდან სახლის ღვინო ჩამომიტანეს, შენზე კარგთან ვისთან დავლევ! — ღიმილით უთხრა გოჩიმ და მხარზე ხელი დაადო, — წავიდეთ ჩემსას, ვაჩე, ორი მეგობარიც მეყოლება. შორიდან შენც იცნობ...

— წავიდეთ.

დაეთანხმა ვაჩე და მუხასძის სახლისკენ გაემართნენ.

კიბესთან დედა გამოეგება გოჩის.

— რად დაიგვიანე, შვილო, თორელი უკვე მოვიდა და გელოდება — უსაყვედურა და სტუმარი შინ შეიპატიჟა.

თორელის გაგონებაზე ვაჩე შეკრთა. ვაი თუ ცაგოც აქ იყოსო, გაიფიქრა და გული ყელში მოადგა. სიამოვნებით დაბრუნდებოდა უკან, თავის ბედნიერ ოჯახში. აღარ უნდოდა ახალი შეხვედრით ძველი ტკივილის გახსენება. ხელახლა ფიქრის აშლა იმაზე, რასაც აღარც ერთისთვის აღარ ჰქონდა აზრი, ზედმეტ უსიამოვნებად ეჩვენებოდა.

როგორღაც უკან ჩამორჩა.

— შემოდი, შემოდი, რა ფეხს ითრევ, — შესძახა მასპინძელმა და შინ თითქმის ძალით შეაგდო.

სარკმელთან თორელი იდგა, სტუმრის დანახვაზე მობრუნდა და მისკენ წამოვიდა.

გოჩიმ სტუმრები ერთიმეორეს გააცნო..

თორელმა ხელი ჩამოართვა, ვაჩეს თვალში შეხედა პირდაპირ და ღიმილით თქვა:

— ვიცნობ, გამიგონია...

ვაჩესაც უნდოდა ეთქვა, მეც ვიცნობ შორიდანო, მაგრამ როგორღაც არ გამოუვიდა, გაწითლდა და თავდახრილი მიესალმა მგოსანს.

სუფრა ოთხი კაცისთვის იყო გაშლილი.

გოჩიმ შეგვიანების გამო მოიბოდიშა.

— ავაგი უნდა მობრძანდეს, ივანე მხარგრძელის ძე, ცოტაც დავუცადოთ, სადაცაა გამოჩნდება.

— დავუცადოთ, რა საჩქაროა! — დაეთანხმა თორელი და შემოთავაზებულ სელზე ჩამოჯდა. უხმოდ დაჯდა ვაჩეც. თავს არ იღებდა, მაგრამ გრძნობდა, რომ თორელი უყურებდა. უხერხულობის დასაფარავად ვაჩე სკამზე თითებს ათამაშებდა. თორელი ვაჩეს ხელებს ‘ჰიჩერებოდა, მხატვრის თითების სიგრძე და სინატიფე აოცებდა.

უხერხული დუმილი დიდხანს არ გაგრძელებულა.

ცხენის ფეხის ხმა გაისმა და ეზოში გოჩის დედამ შესძახა:

— მთავარი მობრძანდა! გოჩი, გამოშვილო, მთავარი გვეწვია.

გოჩიმ კიბე ბავშვივით ჩაირბინა, ჭიშკარი გააღო და უკვე დაქვეითებულ მთავარს გადაეხვია...

საქართველოს უგვირგვინო მეფის ძე-

სა და რუსუდან მეფესთან ძმასავით შეზრდილ ავაგს თავი ისე ეჭირა, თითქოს დიდიხნის მონატრებულ ტოლ-სწორებს შეხვედროდეს: გოჩი შინაურულად მოიკითხა და კიბეზე შეგებებული თორელიც ძმურად გადაკოცნა. ტოლები კი იყვნენ, მაგრამ სამეფოს პირველი დიდებულის ძესა და ამ ღარიბ კარისკაცებს შორის ძალიან დიდი მანძილი იდო და ვაჩეც ამიტომ მიჩერებოდა მხიარულსა და გულლაღ მხარგრძელს ასე გაოცებული.

მუხასძის სტუმართაგან ყველაზე უგვარო და უბირი ყველაზე გვიან მიესალმა ათაბაგის ძეს. გოჩიმ მისი ვინაობა მოახსენა და მხარგრძელი ცნობისმოყვარე თვალით დააცქერდა მხატვარს.

— გამიგონია შენი სახელი, ჭაბუკო, ხელოვნებას გიქებენ და თუ შენი და გოჩის ნებართვა იქნება, სიამოვნებით ვნახავდი შენს მხატვრობას.

— არც მე მინახავს, მთავარო, და თუ მიახლებთ, მეც არ დაგზარდებოდი მეფის ახალი პალატების ნახვას, — ჩაერია თორელი.

— როცა გენებოთ, თუნდაც ხვალვე... ძალიან მასიამოვნებთ, — გაიხარა ვაჩემ.

— ხვალ არა და ამ დღეებში თავად მეფე მობრძანდება პალატების სანახავად. სულ ერთია, მეფის ხლება მაინც არ აგცდებათ და, გინდათ თუ არა, ჩემს შენობასაც ნახავთ და ვაჩეს მხატვრობასაც, — თქვა გოჩიმ და სტუმრები სუფრისკენ მიიწვია.

სუფრის თავში მხარგრძელი დაბრძანდა. იქით-აქეთ კარის მგოსანი და ხუროთმოძღვარი მოისვა.

ვაჩე თორელის პირისპირ აღმოჩნდა.

— ოო, შენ გადმომკარი კიდეც, გოჩი. მართალია, საყვედური მეკუთვნის შენგან, რომ ამდენ ხანს არ დავათვალიერე შენი ახალი სასახლე, ყველა ხელაღებით აქებს და გარედან მეც ვხედავ, რა დიდებულიც არის. აქამდე შიგნითაც უნდა მენახა, მაგრამ რა ვქნა, ეს მეფის კარიო, ეს დიდებულებთან მისვლა-მოსვლაო და ხომ იცი საწყალი მგოსნის ვალი, ყველას უნდა ეახლოს და ყველას უნდა აამოს. ამას კიდევ ოჯახი დაემატა, რაც ბიჭი გამიჩნდა, ლექსის დასაწერი დაც აღარ მცალია, სულ იმასთან ვუნდები.

გოჩის დედამ კერძი შემოიტანა, თორელის უკანასკნელ სიტყვებს მოჰკრა ყური, თეფში დადო და საუბარში ჩაერია:

— ამბობენ, პირწავარდნილი დედაო, ერთი ვერა ვნახე, ახლა დიდი იქნება.

— დიდია, მესამე წელში გადავიდა. რაც დედამისი გინახავთ, სულ ის არი, მთლად ცაგოს ასლია.

— კარგი იქნება, თუ ცაგოსა ჰგავს, ვენაცვალე, — შესცინა დედამ თავის წარმოდგენაში თურმანის ბალღს და სუფრას ისევ მოსცილდა.

ვაჩე თავჩაღუნული იჯდა და სულგანაბული უსმენდა საუბარს.

გოჩიმ დიდი სასმისი გაუვსო მხარგრძელს, ავაგი წამოდგა და მეფისა და სამშობლოს სადღეგრძელო შესვა. ალაველრდს თურმანთან გადავიდა.

— ახლა კი მთელი გულით გვმართებს ჩვენი სამშობლოს სადღეგრძელო, — დასძინა ავაგმა უკვე ნათქვამს, — ეტყობა, ომი აღარ აცდება ჩვენს ქვეყანას და ძნელი ომიც გვექნება.

— ვითომ ძნელი იქნება? — გაიკვირვა თორელმა და სიცილით დაუმატა: — ხვარაზმის ლტოლვილმა სულტანმა, ჯალალედინმა საქართველოს რა უნდა დააკლოს, ქვეყანა მაგას აღარა აქვს და სამყოფელი. თავის სამკვიდროდან აყრილი აგერ რა ხანია, თავქუდმოგლეჯილი მორბის, რომ მონგოლებს გადაურჩეს და სადმე დაემალოს.

— ეგ რომელ ჯალალედინზე ამბობთ? — იკითხა ვაჩემ.

— ხვარაზმელ სულტანზე, დიდი მუჰამედის შვილზე მოგახსენებთ, — მიუგო თორელმა, — ეგ უბედური იმ მონგოლებს გამოექცა, რომელთაც ჩვენ აგერ ოთხიოდე წლის წინათ კუდით ქვა ვასროლინეთ. თავისი ქვეყანა მიატოვა და მთელს საისლამოში ფეხი ვერსად მოიკიდა, მონგოლ მდევრებს ერთხელ ძლიერად ვერსად შეებრძოლა, დედა-წულიანა ილტვის აყრილი, ხან აქეთ აწყდება და ხან იქით. ძაღლებ-

დადევნებულ ნადირსავით ფეხდაფეხ მოსდევენ მონგოლები. იმოდენა ქვეყანა ისე ჩაებარა მტერს, ერთი სახელოვანი ომიც ვერ გადაიხადა.

— სულ ეგრე არ უნდა იყოს, — შეკადრა ვაჩემ, — ხლათში ბევრს ლაპარაკობდნენ ჯალალედინზე, დიდად გულოვანსა და უშიშარ ვაჟკაცს ამბობენ, მონგოლთა ლაშქარს არა ერთხელ შეება და ბევრჯერაც სძლიაო. იმ წყეულთაგან თუ ვინმე იხსნის სამაჰმადიანოს, მხოლოდ ჯალალედინიო.

— მერე როდისღა, შე კაცო. მთელი ხორეზმი და ნახევარ სპარსეთზე მეტი მტერს დაუტოვა და თუ ვაჟკაცი იყო, თავი იქ უნდა გამოეჩინა. ახლა მაგ უბედურს აღარც ჯარი ჰყავს და აღარც საჭურჭლე აბადია, რომ ძლიერი მტრის წინააღმდეგობა განაგრძოს. გაუგონია, საქართველო მდიდარი ქვეყანაა, ალბათ, ფიქრობს, ერთი ხელის დაკვრით დავიპყრობ, ოქრო-ვერცხლს ვიშოვი, სულს მოვითქვამ და მთავარ მტერს მერე მივუბრუნდებიო, მაგრამ სტყუვდება საცოდავი. რაც ჩვენგან წაიღოს, ხორეზმში დაიკვეხნოს, ისეთ დღეს დავაყრით, მონგოლებთან ომი ლხინად ეჩვენოს!

— ღმერთმა ქნას, მაგრამ საქმე ეგრე იოლადაც არ უნდა იყოს, ავაგ ბატონო, — მძიმედ თქვა მუხასძემ, — ჯალალედინს მთელი საისლამო შეუკრებია და საქართველოზე ურიცხვი ლაშქრით მოდის თურმე.

— სადღა აქვს საისლამო! ირანი თითქმის ხელიდან წაუვიდა, და ერაყიც აღარ მორჩილებს. ნადავლს დახარბებული მაწანწალა თურქმანები შეუყრია, იმათ იმედად თუ არი, კაი დღე დაადგება.

— ოთხასი ათასზე მეტი ლაშქრით მოდისო, სარწმუნოდ ამბობენ, — ხმადაბლა თქვა მუხასძემ.

— აჰ, ეგ შეუძლებელია! — შეჰყვირა ავაგმა, — მაგოდენა ლაშქარს ახლა თავისი ქვეყნიდან აბურაგანაკრული ჯალალედინი კი არა, ბაღდადის ხალიფაც ვერ შეჰკრებს, ეგ რიცხვი გაზვიადებულია და ალბათ, ხვაოაზმელებს მსტოვრები ავრცელებენ, რომ ქართველთა შორის შიში დასთესონ. მაგრამ მთავარი ეგ კი არ არი — [illegible] გვიხდება ომი, [illegible] კარი [illegible] და ქვეყნის მეთაურებს ერთიმეორეში უთანხმოება აქვთ.

— მართალია, შვილო? მთელი ქვეყანა ლაპარაკობს, მეფე-დედოფალს უსიამოვნება აქვთო, — ჩაერია საუბარში გოჩის დედა.

გოჩი მუხასძე ამ სიტყვებზე უცებ წამოწითლდა, ჭამას თავი ანება და თავი ჩაღუნა.

— მართალია. ეს ერთი ხანია უმძრახად არიან გვირგვინოსნები. რუსუდან მეფეს მოღასედინის მოშორება უნდა, მამაჩემი და ზოგიერთი დიდი ვაზირი თითქმის დაიყოლია, მაგრამ თურმანის ბიძაშვილები, შალვა და ივანე არ ეთანხმებიან: მოღასედინის გაშვება არზრუმის სულტანს მტრად გადაგვიდებს, სამხრეთ საზღვარზე მოყვრებს მოსისხლედ გაგვიხდის და ქვეყნის შიგნითაც ბევრ უსიამოვნებას შეგვამთხვევსო.

— მემკვიდრის მამას რატომ იშორებს ღვთივგვირგვინოსანი დედოფალი, აკი თავად გამოირჩია თანამეცხედრედ და მეფედ. სახიერად კარგი ვაჟკაცია და ზნითა და ქცევითაც კეთილი. ქრისტეს სჯული მიიღო და ქართველები თავისიანებივით შეიტკბო და შეიყვარა.

— ქართულიც მშვენივრად ისწავლა და საქართველო თავის სამშობლოზე მეტად უყვარს, — დასძინა თურმანმა.

— ეგ მაშინ გამოჩნდება, ღმერთმა ნუ ქნას და, ჩვენს ქვეყანას რომ გაუჭირდეს. სპარსელებსა და თურქებს მანამდე ვუყვარვართ, სანამ ჩვენი ეშინიათ. მოღასედინი რუსუდანის ქმრობის ღირსი არ არის და კარგს იზამენ, თუ დროზე მოიშორებენ თავიდან, — გაცხარებით თქვა მუხასძემ და სახე უფრო წამოენთო.

გრიგოლ აბაშიძე

დიდი ღამე

ავაგმა შეკავებული ღიმილით გახედა გოჩის. გაახსენდა რუსუდანისადმი მისი უიმედო მიჯნურობის ამბავი. როცა რუსუდანს შირვანშას ცოლად ათხოვებდნენ, მის ამალაში იყო მაშინ გოჩი მუხასძე. ლაშამ ბაგავანში მიიყვანა და საქორწინოდ ამზადებდა შირვანის სასძლოს. რუსუდანი თავს იკლავდა, არ უნდოდა მასზე ბევრად უფროსი, მამის ტოლი კაცის ცოლობა, რომელიც არც სახიერებით გამოირჩეოდა და სისასტიკითაც ცნობილი იყო; ამიტომაც იყო, რომ საკუთარი შვილებიც კი მტრად ჰყავდა გადაკიდებული. ტიროდა რუსუდანი, არ უნდოდა საქართველოდან გადახვეწა და ურჯულო ქმრის თანამეცხედრეობა, მაგრამ მეფისა და დარბაზის წინააღმდეგობა არ შეეძლო. ხსნას აღარსაიდან ელოდა რუსუდანი და, უბედურ იღბალს შერიგებული, უცდიდა ქორწინების დღესა და საძულველი სიძის მოსვლას. ამ მოლოდინისა და სასოწარკვეთის ჟამს ეახლა რუსუდანს მისი ერთგული რაინდი, კარის ხუროთმოძღვარი გოჩი მუხასძე. მეფის დის ფერხთქვეშ განერთხო, ეთაყვანა და პატიება სთხოვა კადნიერებისათვის. უზომოდ და უიმედოდ შეყვარებულმა რაინდმა გაპარვა შესთავაზა შირვანის სასძლოს: ცხენები მზადა მყავს და საითაც გინდა, ამაღამ იქით გაგაქროლებ, ერთხანს მთებში დაიმალები, ვიდრე ქორწილის პირი დაიშლება და მეფეს გული მოუბრუნდება. მერე ლაშა თვითონ მოგძებნის და მოყვარული ძმა ყოველივეს გაპატიებსო. რუსუდანი კინაღამ დაჰყვა ესოდენ მაცდუნებელსა და მიმზიდველ წინადადებას. მაგრამ, როგორც კი წამიერ ცთუნებას სძლია, მაშინვე წარმოიდგინა, რა დიდი სირცხვილი და უსიამოვნება მიადგებოდა მეფესა და მთელ ქვეყანას. გოჩი მუხასძეს მადლი გადაუხადა ასეთი თავდადებული სამსახურის შეთავაზების, მეფის უიღბლო დის ბედზე ზრუნვისა და შეწუხებისათვის და მისთვის თავგანწირული რაინდი უარით გაისტუმრა.

თვალცრემლიანი, ფეხებმოცელილივით გამოვიდა თურმე მუხასძე რუსუდანის სამყოფელიდან. მეფეთა ამალებში კედლებსაც თვალი და ყური აქვთ, ხელმწიფემ ყოველივე შეიტყო და არამკითხე ხუროთმოძღვარი სასტიკრობილეში შეაგდეს. დღე-დღეზე შირვანშა უნდა მოსულიყო და ვინ იცის, იქნებ ვერც კი შეეტყო რუსუდანს მისთვის ეგრე თავგადადებული ვაჟკაცის პატიმრობა, განგებას სხვაგვარად რომ არ მოეწყო საქმე: ყველასათვის მოულოდნელად ლაშა გარდაიცვალა და რუსუდანისა და მუხასძის ბედიც სხვაგვარად შეტრიალდა.

ლაშას უეცარი სიკვდილი იდუმალებით იყო მოცული და ბევრს ეჭვიც აღეძრა საღსალამათი ვაჟკაცის მოულოდნელად დაღუპვის გამო. მეფის კარზე ისევ განხეთქილება ჩამოვარდა: ახალციხელები, ვარამ გაგელი და ბაკურციხელი ლაშას უკანონო ძისა და მცირეწლოვანი მემკვიდრის მეფედ კურთხევას მოითხოვდნენ; ივანე მხარგრძელი და დანარჩენი დიდებულები— რუსუდანის ტახტზე აყვანასა და გამეფებას. მხარგრძელისა და ახალციხელის ასეთ დაპირისპირებას ეგებ გამწვავება და სამეფოსათვის დიდი ვნებაც მოეტანა, რომ თავად რუსუდანს არ გამოეჩინა დიდი გონიერება და წინდახედულება: ახალციხელები სასახლეში მიიხმო, მისი ძმისა და დედისათვის ერთგული სამსახურის გამო დიდი მადლი შესწირა, შეჰფიცა, რომ ტახტზე მხოლოდ სამეფოში სიმშვიდისა და წესრიგის შენარჩუნებისათვის ავიდოდა და როგორც კი ლაშას ვაჟი სრულწლოვანი გახდებოდა, ტახტს მას დაულოცავდა.

სხვა არჩევანი მაინც არ იყო და ახალციხელს რა ძალა ჰქონდა: რუსუდანის წინაშე დაიჩოქა და მეფეთა ღირსად ეთაყვანა. უკვე გამეფებულმა რუსუდანმა ახალციხელის სამსახური არ დაივიწყა და ვითომ სხვათაშორის, სულ სხვა მიზეზის გამო, შალვას დვინი მიუბოძა. შალვას სხვა მომხრეებიც, არ დაუტოვებია რუსუდანს უყურადღებოდ, ყველას ღირსეული მიუზღო, ყველა დააშოშმინა და სამეფოს ცხოვრე-

ბაც ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა.

ახალციხელისათვის დვინის ბოძებამ კიდევ უფრო დაძაბა სამეფოს ორი უპირველესი დიდებულის ისედაც დაძაბული ურთიერთობა. დვინი მხარგრძელის მამულებს ემიჯნებოდა და ივანე მის შემოერთებაზე დიდიხნიდან ოცნებობდა. მხარგრძელი მეფის სურვილს წინ ვერ აღუდგა, მაგრამ ახალციხელის შური და მტრობა კიდევ უფრო მოემატა.

მას შემდეგ, რაც მუხასძე საპყრობილიდან გამოიყვანეს და კარის ხუროთმოძღვრობა უბოძეს, რუსუდანისადმი მისი ფარული ტრფობის ამბავი გახმაურდა. არც მუხასძე და არც თავად რუსუდანი ამის გამო უხერხულობას არ გრძნობდნენ, რადგან ქართველ მოყმეთა და რაინდთაგან ნახევარი მაინც ულამაზეს დედოფალზე იყო ფარულად თუ ცხადად გამიჯნურებული.

მუხასძეს ოცნებაც კი არ შეეძლო დედოფლის მეტ ყურადღებაზე. იცოდა, რომ ვერასოდეს ვერ გახდებოდა რუსუდანის მხრივ საპასუხო სიყვარულის ღირსი. იქნებ ამიტომაც უფრო მეტად შურდა რუსუდანის ქმრის მოღასედინის ბედი და მისდამი რაღაც არაადამიანური სიძულვილით იყო გამსჭვალული, თითქოს ეს გადამთიელი უფლისწული ყოფილიყოს მისი გამწარებისა და უბედურების მიზეზი.

ავაგმა კარგად იცოდა მუხასძის გულის ნადები, გოჩის უმიზეზოდ წამოწითლებამ და გაცხარებამ ღიმილი მოჰგვარა, მეფე-დედოფალზე ლაპარაკის გაგრძელება უხერხულად მიიჩნია და საუბარი ისევ ომის მოლოდინზე განაგრძო.

— ადარბადაგანი რომ დაიპყრო ჯალალედინმა, ჩვენი მოსაზღვრე ემირები საჩივრით მიდგომიან: ქართველებისაგან მოსვენება აღარა გვაქვს. ლამის მაჰმადის რჯულზეც ხელი აგვაღებინონო. ჯალალედინს მიზგითში ყურანზე დაუფიცია, ურჯულო ქართველების ჯავრს ამოვიყრი, მართლმორწმუნე მაჰმადიანების შეწუხებას ათმაგად ვაზღვევინებო.

— იმ უბედურს რომ მუსულმანთა ჯავრი აწუხებდეს და სამაგიეროს გადახდის ძალა შესწევდეს, თავის ხელიხის შურს იძიებდა და მოგვლენებს მიაგებდა სამაგიეროს იმ ენითუთქმელი ტანჯვისათვის, რასაც ჩინგიზხანის ურდოები აყენებენ დაპყრობილ ხალხებს. ჯალალედინი ეშმაკობს, მას ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის ჯავრი უფრო აქვს, ვიდრე ადარბადაგანელი მოლებისა და ყადების. მაგრამ, რაც მან ჩვენგან წაიღოს, თავის მოლებსა და ყადებს გაუყოს!

— ჯალალედინი საქართველოს საზღვრებთან არის უკვე, დღე-დღეზე შეიძლება დაიძრას და თბილისისაკენ წამოვიდეს.

— მერე ჩვენები რას შვრებიან? დიდ ომს დიდი მომზადება უნდა.

— ჩვენმა სარდლობამ ხვარაზმელი სულტნის ყოველი ნაბიჯი იცის, ადარბადაგანში ჩვენი ხალხი გვყავს და ყოველივეს წვლილად გვატყობინებენ. უკვე დიდი ლაშქარი იკრიბება, ამბობენ, ოთხმოცი ათას კაცამდე იქნება ლეკიან-ჯიქებიანაო.

— ნეტავ სად მოხდება ბრძოლა? მტერს, ალბათ, თბილისიდან სადმე შორს დახვდებიან.

— თბილისამდე ვინ მოუშვებს, სადმე საზღვართანვე შევებმებით, ალბათ. მარჯვე და ძნელად მისადგომ ალაგას. ჩვენს სახელოვან სარდლებს, მხარგრძელსა და ახალციხელს სამაგისო გამოცდილება კი აქვთ, საქართველოს სამხრეთი საზღვრები ხელისგულივით იციან.

— ამ ომში, ალბათ, იოლად გავიმარჯვებთ, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მეთაურებს უფრო დიდი და შორეული ლაშქრობა აქვთ განზრახული.

— ეგ რომელ ლაშქრობაზე ბრძანებ, მთავარო?

— ათაბაგ უზბეგის სამფლობელო აირია და დაიშალა. ადარბადაგანი ჩვენ უნდა დავიპყრათ, ქართველებმა, გადა-

მთიელ ჯალალედინს თავრეზზე რა ხელი აქვს. ხვარაზმელი სულტანი იქიდან უნდა გავდევნოთ და მთელი ადარბადაგანი საქართველოს უნდა შემოვუერთოთ. თავრეზს რომ დავიპყრობთ, შემდეგ ბაღდადისკენ გზა გაგვეხსნება. ირანი და ერაყი არეულია, პატრონი არც ერთს არა ჰყავს და ბაღდადის აღება არც ისე გაგვიჭირდება. თუ ღმერთმა გვიწინამძღვრა და ხელი წარგვიმართა, ხალიფს გადავაგდებთ და მის ადგილას ქრისტეს ეკლესიის მეთაურს დავსვამთ, იერუსალიმს ურჯულოებისაგან გავათავისუფლებთ და საქართველოს ძლიერებას მთელს აღმოსავლეთსა და დასავლეთზე გავავრცელებთ.

აღტაცებული ავაგი ისეთი დაჯერებით ლაპარაკობდა, თითქოს თავრეზიც აღებული ჰქონოდეს და ხალიფიც დამარცხებული ჰყოლოდეს. ვაჩეს ჭამისათვის თავი გაენებებინა, ავაგის აღფრთოვანება გადადებოდა და თვალებში აღტაცებით შეჩერებოდა.

— შევძლებთ კი ეგრე შორს ლაშქრობასა და მაგოდენა ქვეყნების დაპყრობას? — იკითხა თორელმა.

— სიშორე რა დაბრკოლებაა! ალექსანდრე მაკედონელმა ინდოეთამდე ილაშქრა და თითქმის მთელი აღმოსავლეთი დაიპყრო. რაღა მაკედონელი, ბიძაჩემმა ზაქარიამ და მამაჩემმა ივანემ ხორასანი დალაშქრეს და ყაზვინი და რომგური აიღეს. მაშინ აღმოსავლეთი ასე აწეწილი და უპატრონო არ იყო. ახლა აღმოსავლეთში ჩვენი წინააღმდგომი აღარავინ არი, ასე ძლიერი საქართველო არასოდეს ყოფილა და არც ჩვენი მტრები ყოფილან ასე სუსტები არასოდეს.

ავაგ მხარგრძელი, თორელისა არ იყოს, კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა. პურ-ღვინოს ტკბილად შეექცეოდნენ, ქვეყნის ამბებს ჰყვებოდნენ ხუმრობითა და ხალისით, ლაღად და ენაწყლიანად.

ვაჩემ პირველი დანახვისთანავე შენიშნა, რომ ავაგი ძალიან გავდა თავის გვირგვინოსან დას, ხლათის დედოფალ თამთას. ეს მსგავსება მარტო გარეგნობით როდი განისაზღვრებოდა. ავაგიც თამთასავით უშუალო და მიმზიდველი, უბრალო და მომხიბვლელი ქალი იყო. ვარმა მორიდებული ვაჩეც სხვებსავით ძალდაუტანებელი საუბრისათვის განაწყო. დიდი დიდებულის წინაშე კრთომა დაივიწყა მხატვარმა, ღვინოს გაუთამამდა და ბაასში ჩაერია.

— ეს ქართველთა ძლიერებას გაუმარჯოს, ასე მტერი დაეცალოს! — თქვა ავაგმა, სასმისი მოიყუდა, გამოცალა და გადმოაპირქვავა იმის დასანახვებლად, რომ შიგ წვეთი აღარ იყო დარჩენილი.

შუაღამე მოახლოებული იყო, სუფრიდან რომ წამოდგნენ.

ცხელოდა, სული ეხუთებოდათ და ქალაქში გავლა მოუნდათ.

თბილისს მშვიდად ეძინა, კაცის ჭაჭანება არსად იყო. აღმართს აჰყვნენ და თაბორის მთაზე ავიდნენ.

კოჯრის ნიავის საამო ქროლამ სული ჩაუბრუნათ. თბილისი ხელისგულივით მოჩანდა: მტკვრის ორივე მხარეს გრძლად გაწოლილიყო უშველებელი ქალაქი, ვიწრო ხეობაში ველარ დატეულიყო და მთის ფერდობებს შეჰფენოდა.

ეძინა მთვარის შუქით ოდნავ განათებულ თბილისს. აქა-იქღა ბჟუტავდა სინათლე, მხოლოდ მეტეხის კლდეზე აღმართული ახალი სასახლიდან გამოდიოდა შუქი. ჩაბნელებულ ქალაქში ცადატყორცნილი სასახლე უზარმაზარი ხომალდივით გაჩახჩახებულიყო. ძალაუნებურად ყველას იქით გაექცა თვალი და მუხასძემ ხმადაბლა თქვა:

— რუსუდან მეფე ახალ პალატებში გადასვლას იჩქარის. სამუშაო ცოტაღა დარჩა და ხელოსნები ღამეებს სტეხენ, რომ დროზე მორჩნენ.

— თბილისში მსგავსი ჯერ არ ამენებულა რა, — აღტაცებით თქვა თორელმა, — ვეჭვობ, რომ სხვა სატახტოებში იყოს უკეთესი სასახლეები.

— სხვაგან ბევრია, თურმან, მაგრამ სხვაგან სხვაგვარია. ისინი უფრო დიდები და ბრწყინვალენი არიან, მაგრამ ჩემი უფრო მოხდენილია და ჰაეროვა-

ნი. ჩვენი მცხეთის ჯვარი სათამაშოსა ჰგავს აიასოფიის ტაძართან შედარებით, მაგრამ მისი ერთი შეხედვა სულ მავიწყებს ყველა ქვეყნის უდიდეს ტაძრებსა და სალოცავებს.

— მართალი ხარ, გოჩი. როგორც ჯვარი უხდება მცხეთის მაღალ მთას, ისე ეს სასახლე ამშვენებს მეტეხის კლდეს და საოცარია, რომ აქამდე არ აუშენებიათ ამ კლდეზე ქართველებს მსგავსი შენობა. თითქოს ეს კლდე თავის ბუნებრივ დაბოლოებას თხოულობდა, მთებში ჩავარდნილი ქალაქი— თავის სანიშნოსა და უმაღლეს წერტილს, — დაუმოწმა ავაგმა.

ქვაზე ჩამოსხდნენ ოთხივენი. აქამდე მდუმარე ვაჩემ გაბრწყინებული თვალი მოავლო თბილისს და აღტაცებით თქვა:

— აბა, დააცქერდით: ქალაქიც ნახატსა ჰგავს, უზარმაზარ სურათს. მის საზღვრებშიც ყველაფერს თავისი ადგილი და ფერი აქვს...

ერთხანს ოთხივენი სდუმდნენ, თავთავის ფიქრში წასულნი და ღამეული სილამაზით მოჯადოებულნი.

— ეტყობა, დავიღალე, — დაარღვია სიჩუმე გოჩიმ, — ამ ბოლო დროს ცუდი ძილი დამჩემდა და ავ სიზმრებს ვხედავ. ხან ვითომ მიწა იძვრის და ეს ჩემი სასახლე ლოდებად ჩამოდის დაშლილი; ხან მტკვარი დიდდება და სასახლის სახურავზე გადადის; ხანაც ქალაქი იწვის და მეფის ახალ პალატებს ნთქავს...

— ავი სიზმრები ბევრმა ფიქრმა და მოუსვენრობამ იცის, გოჩი.

— რა ვიცი, ზოგჯერ ისე შეშფოთებულს გამეღვიძება ხოლმე, შეშინებული სარკმელთან მივრბივარ, რომ დავრწმუნდე, კიდევ დგას თუ არა ჩემი შენობა; ზოგჯერ დილით ფეხზე წამომდგარს, იქით გახედვისა მეშინია, ვაი თუ მართლა აღარ იდგეს-მეთქი მეფის ახალი სასახლე თავის ადგილას.

საქართველოს სარდლობა წინდახედულად მოქმედებდა. მთელ საქართველოდან ლაშქარი ჩუმად იკრებებოდა და თბილისზე გაუვლელად სამხრეთისაკენ მიემართებოდა. საიდუმლოდ მაინც გამქღავნდა და დიდი დაბნეულობა მოსალოდნელ ომზე ლაპარაკობდა.

ქვეყნის მეთაურებმა უამრავი მსტოვრისაგან კარგად იცოდნენ ჯალალედინის ყოველი ნაბიჯი. მტერი დიდი ლაშქრით მდიოდა და ომიც ძლიერი იყო მოსალოდნელი. მომავალი ომისათვის გაფაციცებით ემზადებოდნენ, მაგრამ თან გარეგნული სიმშვიდის შენარჩუნებასაც ცდილობდნენ.

რუსუდან მეფე საგანგებოდ მართავდა ლხინსა და მეჯლისებს, ქალაქში ხშირად გამოდიოდა ბრწყინვალე ამალის თანხლებით, რომ მოსახლეობის თვალში მოახლოებული ომის შიში გაეფანტა და სახელმწიფოს გარეგნული უზრუნველობა ეჩვენებინა.

დედოფალმა ახალი პალატების ნახვა მოისურვა და დიდი ამალით ესტუმრა. გვირგვინოსნის მოსვლას არავინ ელოდა, ოსტატებს მუშაობისას წაადგნენ თავს.

ვაჩეს მოხატულ დარბაზში შევიდნენ. წინ დედოფალი მოუძღოდათ. როგორც კი ფეხი შედგა, შეჩერდა. ბროლის იატაკის დანახვაზე შეყოყმანდა. დარბაზის შუაში ორი შადრევანი იყო და დედოფალს მოეჩვენა, რომ სასახლეში ხელოვნური ტბა გაეკეთებინათ. ალბათ, ფეხს წყალში ვადგამო. გაიფიქრა, კაბის კალთა აიწია და ფეხის წვერებზე გააბიჯა. იატაკი რომ ფეხქვეშ მაგარი დახვდა, მიხვდა თავის შეცდომას. ამალას მოხედა; გაღიმებულნი და გაოცებულნი შეჰყურებდნენ.

— ეს რა ოინი მოგიგონიათ, ხუროთმოძღვარო?! — შეკავებული ღიმილით მიმართა მუხასძეს.

— ბროლის იატაკი გახლავთ, დედოფალო! — თავდახრით მოახსენა ხუროთმოძღვარმა.

— მე კი ასე მეგონა, ტბაზე ვად-

გამდი ფეხს. ჰა... ჰა... ჰა... — გადიკისკისა რუსუდანმა.

დედოფლის მხლებელ დიდებულებსაც კაბის კალთები აეწიათ და ახლა ისინიც გაცბუნებულები იცინოდნენ.

ვაჩეს სამუშაო დაემთავრებინა. მხოლოდ იმ კედელსღა აკლდა დასრულება, რომელზედაც სასახლისაკენ ზეიმით მიმავალნი, მეფედ ახალნაკურთხი რუსუდანი და მისი ამალა ჰყავდა გამოხატული. ამ კედელზედაც ყველაფერი მოთავებული იყო, მხოლოდ იმ კუთხეს აკლდა გამოკვეთა და დამუშავება, სადაც თორელისკენ სახემიბრუნებული ცაგო უნდა ყოფილიყო. ვაჩე ნახატის ამ ნაწილის დასრულებას რატომღაც აგვიანებდა და ბოლოსთვის ინახავდა.

დედოფალმა და დიდებულებმა ისე გაიარეს ვაჩეს დარბაზი, მხატვრის ნამუშევრის დაუსრულებლობისათვის ყურადღებაც არ მიუქცევიათ. ფრიად მოუწონეს, მადლი გადაუხადეს და ათასგვარი ჯილდოც აღუთქვეს.

რუსუდანი ჩიტივით შემოფრინდა და გაფრინდა. დიდებულებიც უკან მიჰყვნენ. მხოლოდ თორელი შეჩერდა თავისი გამოხატულების წინ. მერე მზერა სახედართან მდგარ ცოგონას დაუმთავრებელ სახეზე გადაიტანა. დიდხანს უცქირა, უცებ შემოტრიალდა და უკან მდგარ ვაჩეს ხელი მაგრად ჩამოართვა, გადაეხვია და უსიტყვოდ, სწრაფად გავიდა დარბაზიდან.

ორი დღის შემდეგ ქართველთა ლაშქრის კიდევ ერთი რაზმი გავიდა თბილისიდან. გოჩი და ვაჩე ქალაქში რჩებოდნენ სასახლის სამუშაოების დასამთავრებლად. ცხენზე ამხედრებული ომში მიმავალი თურმანი თბილისს სტოვებდა. გარეუბანს რომ გასცდა, რატომღაც მუხასძის საშინელი სიზმარი გაახსენდა, ვაი თუ დაბრუნებულს მეფის სასახლე იქ აღარ დამხვდესო გაიფიქრა, ელდანაცემივით მოიხედა და უმალვე დამშვიდდა.

მეტეხის ტინზე ამაყად და მკვიდრად იდგა ცად ატყორცნილი, სვეტებითა და ბანებით დამშვენებული, თვალშეუდგამი შენობა. ალბათ, უკუნითი უკუნისამდე ასე მკვიდრად და ლამაზად იდგება ეს შენობაც, ისე, როგორც ჩემი ქვეყანაო, გაიფიქრა თორელმ. და მშვიდად განაგრძო გზა.

თავი მესამე

„ამ გამარჯვებას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა მუსულმანური ქვეყნებისა და მუსულმანთათვის, რადგანაც ქართველები მანამდე სულ სჯაბნიდნენ მათ და თავიანთი ნებასურვილის მიხედვით ექცეოდნენ. ისინი ადარბადაგანის რომელ ნაწილსაც სურდათ შეესეოდნენ ხოლმე და არავის მხრით წინააღმდეგობას არ ხვდებოდნენ... რუქნადინმა ვერ შესძლო მათთვის ხელი შეეშალა... მართალია, მან შეკრიბა ჯარი 1125 წელს და ქართველთა წინააღმდეგ გაილაშქრა, როცა არჭეში აიღეს, მაგრამ ვერაფერს გახდა. მის შემდეგ მისი ძმა, სულტანი მუსუდი მეფობდა, მაგრამ ვერც იმან გააწყო ვერაფერი. უფრო გვიან ილდეგიზმა... გაილაშქრა ქართველებზე და თუმცა დიდძალი ჯარი ჰყავდა, გაქცევით ძლივს უშველა თავს. იგივე მდგომარეობა იყო მისი შვილის, ფაჰლავანის დროს მაშინ, როცა ამ ხელმწიფეთა მეფობის დროს მათი ქვეყანა მდიდარი იყო ფულითა და ხალხით. ისინი ქართველთა გამკლავებაზე ვერც კი ოცნებობდნენ, სანამ არ მოევლინათ ეს სულტანი, რომლის დროსაც ქვეყანა დანგრეული, მოოხრებული და გაღარიბებული იყო ჯერ ქართველებისა და შემდეგ თათართა შემოსევებით“...

იბნ ალ ასირი

„ერთი ერის ბედნიერება გარდუვალად მეორის უბედურებაზე შენდება...“.

მოპამედ ენ ნესევი

საქართველო რომ ამ ყოფაში იყო, ქვეყნის სამხრეთით დიდი ამბები ხდებოდა. მონგოლთაგან ლტოლვილმა ხვარაზმშას შვილმა, სულტანმა ჯალალ-

ედინმა ირანი განვლო და ადარბადაგანში შემოვიდა. ჯალალედინის ირანსა და ადარბადაგანში გამაგრებას, დიდი სამხედრო ძალის შეკრებასა და მონგოლთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის გამართვას აპირებდა.

ადარბადაგანი განთქმული იყო თავისი სიმდიდრით და სულტანს იმედი ჰქონდა, იქ დიდძალ ოქროსა და საქონელს შეჰკრებდა. მაგრამ ადარბადაგანში შემოსვლისთანავე იმედი გაუცრუვდა. ქვეყნის მფლობელი უზბეგი ჯალალედინის გამოჩენისთანავე თავრეზიდან განძას გადავიდა. სულტანმა ელჩები გაუგზავნა · უზბეგს. ჯალალედინი ათაბაგს ავალებდა: ამიერიდან ადარბადაგანზე სულტნის უზენაესობა ეცნო, მიზგითებში მისი ხოტბა დაეწესებინა და ფული სულტნის სახელით მოეჭრა. ამას გარდა, ჯალალედინი უზბეგისაგან მის სალაროში ყოველწლიურად გარკვეული რაოდენობის ხარაჯის შეტანას მოითხოვდა.

ათაბაგმა უზბეგმა ხვარაზმელი სულტნის მფარველობა ცნო. ძვირფასი ძღვენი გაუგზავნა და მისი ყველა პირობა მიიღო, გარდა უმთავრესისა — ათაბაგი ხარაჯაზე უარს ამბობდა იმ მიზეზით, რომ ქვეყანა აოხრებული იყო და სალარო დაცარიელებული ქართველებთან მუდმივი ბრძოლების გამო.

ჯალალედინს პირველი წყენა მიაყენეს და ეს წყენა ქართველთა მძლავრობით იყო დასაბუთებული.

სულტანს ადრეც გაეგონა საქართველოს სახელმწიფოს სახელი, მაგრამ მამამისის უნაპირო სამფლობელოსა და იმის იქით სხვაც უამრავი სამეფო იყო, რომელთანაც სულტანს საქმე არასოდეს ჰქონია და, ალბათ, არც არასოდეს ექნებოდა, ბედს რომ აქ, ხვარაზმელთა უზარმაზარი სამფლობელოს კიდეში არ მოეგდო და უცნობი ქართველების პირისპირ არ დაეყენებინა.

ადარბადაგანში შემოსულ სულტანს ქალაქ მარაღის მცხოვრებთაგან მოციქულები მოუვიდა. სულტნის ვაზირის შერეფ-ელ-მოლკის შუამდგომლობით მარაღელები ქალაქში მობრძანებას თხოვდნენ. სულტანი დასთანხმდა და არც უნანია. მარაღელები ძღვენით მეწვდნენ და ქალაქი სიხარულით დაუმორჩილეს.

სულტანს ძლიერ მოეწონა ქალაქის მდებარეობა, დანგრეული ციხის აღდგენა ბრძანა და ისიც გამოიკითხა, თუ რად და ვის დაექცია ქალაქის სიმაგრეები. მაშინ მარაღელები მუხლზე დავარდნენ, დიდებულ სულტანს ეთაყვანენ და ცრემლითა და თავში ცემით მოახსენეს თავიანთი შეჭირვება: ადარბადაგანის მფლობელ უზბეგს ღვინის სმისა და შექცევის მეტი არა ახსოვს რა, ქვეყანას პატრონი არა ჰყავს და ამით სარგებლობენ ურწმუნო ქართველები, ძველის სამაგიეროს გვიხდიან, გვლაშქრავენ და მართლმორწმუნე მუსულმანებზე არწივებივით ნადირობენ; ქართველებს ჩვენი ველარც ჯარი უდგება წინ და ველარც ციხე-სიმაგრე, ჩვენი ქალაქის ზღუდეც მათ დააქციესო.

ჯალალედინი გაოცდა. ქართველები იქიდან შორს, ჩრდილოეთით ეგულებოდა. ამ სიშორეზე ლაშქრობას როგორ ბედავენო, გაიკვირვა და რუკები მოატანინა. რუკას რომ დახედა, კიდევ უფრო გაოცდა. ეგ რა არიო, მოახსენეს მარაღელებმა, მარაღს ქვევითაც არა ერთხელ ილაშქრეს ურწმუნო გურჯებმა, თვით ყაზვინამდე და რომგურამდეც მივიდნენ და თითქმის ნახევარ ირანს ხარკი დაადესო.

რუკაზე რომ ყაზვინი და რომგური მონახა, სულ გადაირია ჯალალედინი.

— ნუთუ ამოდენა ქვეყანაში კაცი არ გამოჩნდა, რომ ურჯულოებს წინ აღდგომოდა და მორწმუნე მუსულმანები მტრისაგან დაეცვა.

— პატრონი არა გვყავს, ხელმწიფევ, და თუ შენ არ დაგვიფარე ქართველთა მძლავრობისაგან, მეტი აღარა დაგვრჩენია რა, ან აქედან უნდა ავიყარნეთ.

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

შორს სადმე გადავიხვეწოთ, ან საძულველ ქრისტეს სჯულზე მოვიქცეთ და წყეულ ჯვარს ვეთაყვანოთ.

ქართველთაგან მუსულმანთა დევნამ და მაჰმადის სჯულის შეგინებამ კიდევ უფრო აღაშფოთა ჯალალედინი.

საქვეყნოდ დაიქადა და მიზგითში ყურანზე ფიცი დასდო, რომ ურჯულო ქართველებს კლანჭებს დააცლიდა, მუსულმანთა შეწუხებისათვის სამაგიეროს ათგზის მიუზღავდა და ქართველთა ამპარტავნობას სამუდამოდ დაამხობდა.

ადარბადაგანის რომელ ქალაქსაც არ მიადგა ჯალალედინი, ყველგან ქართველთა მძლავრობის კვალს წააწყდა, ყველგან ერთსა და იმავეს ეუბნებოდნენ, ქართველებთან ვერას გაეხდით, მათთან ბრძოლის ღონე არა გვაქვსო.

ჯალალედინმა ყოველივე წვლილად გამოიკითხა.

თურმე ეს წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა ქართველთა მძლავრობა ახლო საისლამოში.

მომსწრეების დაკითხვითა და სახელმწიფო დავთრების მოწმობით გამოიძია, თუ რომელი ქალაქი როდის და რამდენჯერ აეკლოთ ქართველებს, რამდენი ხარკი წაეღოთ და რამდენი ოქრო გაეტანათ საქართველოში. სავარაუდო ანგარიშიც კი ცხადად ადასტურებდა საქართველოში ნამყოფ მუსულმანთა ნაამბობს გურჯთა ქვეყნის ზღაპრულ სიმდიდრეზე.

ჯალალედინმა გადაწყვიტა, მოულოდნელი დარტყმით გაენადგურებინა საქართველოს. სამეფო და ამ ქვეყნის უთვალავ სიმდიდრეს დაპატრონებოდა. თავის ამ მთავარ მიზანს იგი მაჰმადის სარწმუნოებისათვის თავისგამოდებით ნიღბავდა და მუსულმანებს ურჯულო ქართველთა მძლავრობისაგან ხსნას აღუთქვამდა.

ადარბადაგანში რომ დამკვიდრდა, რუმისა და შამის სულტნებთან ელჩები გაგზავნა. ჯალალედინი ერთმორწმუნე სულტნებს ატყობინებდა, რომ მან მამამისის კუთვნილი ადარბადაგანი დაიპყრო და რომ სახლმა ჰპოვა თავისი პატრონი; ამიერიდან იგი დაიფარავს ადარბადაგანელ მორწმუნეებს ურჯულო ქართველთა რბევისა და ძალადობისაგან.

ამასთანავე სულტანი [illegible] რომ მან განიზრახა ქართველების სასტიკად დასჯა ადარბადაგანელთა ესოდენი შეჭირვებისათვის და რომ იგი აპირებს ცეცხლითა და მახვილით საქართველოს დალაშქვრას.

დასასრულს, ჯალალედინი დასძენდა, რომ ადარბადაგანის დაპყრობისას მას ამოქმედებს რუმისა და შამის ერთმორწმუნე სულტნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების სურვილი.

შამსა და რუმისკენ რომ ელჩი გაისტუმრა, ჯალალედინი ქართველთა წინააღმდეგ ლაშქრობის სამზადისს შეუდგა.

ქართველთა თვალის ასახვევად რუსუდან მეფეს ელჩი გაუგზავნა. ხვარაზმის სულტანი ქართველებს ატყობინებდა, რომ ამიერიდან იგი მოევლინა ადარბადაგანს მფარველად, და თუ უზბეგის სამფლობელოს რბევას არ დაეხსნებოდნენ, ქართველებს საქმე ჯალალედინთან ექნებოდათ. იგი ქართველ მეფეს არწმუნებდა, რომ სხვა მხრივ ჯალალედინი გურჯებს არას ერჩოდა და მათთან მხოლოდ კარგი მეზობლობის დამყარება სურდა.

ქართველები ცუდად ერკვეოდნენ იმ ამბებში, რაც საქართველოს სამხრეთითა და მთელს აღმოსავლეთში ხდებოდა. მონგოლთა პირველი გამოჩენა, მათთან ძლიერი ომი და თათართაგან თავიანთი ნებით საქართველოსაგან გაცლა ქართველებს თავის უდიდეს გამარჯვებად მიაჩნდათ. ბევრი საქართველოზე მძლავრი ქვეყანა დაიპყრეს და მოაოხრეს მუღალებმა, თავად მორწმულსა და აღმატებულ ხვარაზმშას მთელი სამკვიდრო დაატოვებინეს, კასპიის რომელიღაც კუნძულზე შეაგდეს და მიუსაფარი ძაღლივით მოჰკლეს. ქართველებს კი ვერ სძლიეს და იძულებული გახდნენ გასცლოდნენ!

ეს რწმენა საქართველოს სამეფოს

მესვეურთა შორის იმდენად ფეხმოკიდებული იყო, რომ აღარავინ უკვირდებოდა საქმის ნამდვილ არსს. საქმე კი ის იყო, რომ საქართველოს ლაშა გიორგის მეფობის დროს მონგოლთა მხოლოდ ერთი, მეწინავე ლაშქარი მოადგა, რომელსაც ჩინგის-ხანისაგან დავალებული ჰქონდა დევნილი ხვარაზმშა მუჰამედის კვალის პოვნა, ირანისა და რუსეთის სამხრეთის დაზვერვა და, კავკასიის გზით, კასპიის ჩრდილოეთზე გავლით, ისევ ყაენის სამყოფელში დაბრუნება.

სუბუდაისა და ჯებე ნოინს საქართველოსა და კავკასიის მთლიანად დაპყრობა და მონგოლთა ბატონობის დამყარება არც უფიქრიათ და თუ ქართველთა ლაშქარს მეორედ პირისპირ შეხვედრისას თათრები უბრძოლველად გაეცალნენ, ეს არც მათი სისუსტით აიხსნებოდა და არც მარტოოდენ ქართველთა ძლიერებით.

ქართველები მონგოლებზე თავიანთ გამარჯვებას აზვიადებდნენ. სუბუდაისა და ჯებე ბაღათურების წასვლას გაქცევად თვლიდნენ და მონგოლთა ამ მეწინავე ლაშქრის უკან კი აღარ იხედებოდნენ. სუბუდაისა და ჯებეს უკან კი, შორს, ჯერჯერობით ძალიან შორს, დიდი და საშინელი ამბები ტრიალებდა: მონგოლთა მთავარი ლაშქარი შავი ღრუბელივით იძროდა, გრიგალივით მოდიოდა და გზადაგზა ყველაფერს მიწასთან ასწორებდა. მრავალრიცხოვანი ლაშქრით დაცული უმდიდრესი და უმაგრესი ქალაქები ზედიზედ ეცემოდნენ და ნებით ან ძალით კარს უღებდნენ თათარ დამპყრობლებს. მოდიოდა უდაბნოს საშინელი ქარი თუ სისხლის ადიდებული მდინარე, და ყველაფერს ნთქავდა და ამსხვრევდა, ციხეთა სიმტკიცესა და მიუდგომლობასაც, ქვეყნის დამცველთა გმირობასა და თავგანწირვასაც.

უდაბნოს ამ გრიგალისა თუ სისხლის საშინელი ტალღისაგან ილტვოდა მამაცი ჯალალედინი და რაკი თავისი მამის უნაპირო სამფლობელო დასტოვა, ქართველები ამას მხოლოდ ხვარაზმშას სისუსტით ხსნიდნენ. იმას კი ... ანგარიშობდნენ, თუ რა ძალისა და საშინელების წინაშე ილტვოდა თავ... ზეხელაღებული შეუპოვარი სულტანი. ჯალალედინის კვალს თავად ... ჩინგიზი მოსდევდა თავისი სისხლიანი ლეკვებით, ოთხი ვაჟითა და აურაცხელი ლაშქრით, წინ დაპყრობილი ქვეყნებიდან აყრილ უთვალავ ტყვეს მოერეკებოდა, ციხე-სიმაგრეების საიერიშოდ პირველად მათ უშვებდა და ზურგში თავის შვილდოსნებს უყენებდა. რომ ისრის სეტყვით გადაეღობათ გზა, უკან დახევას თუ განიზრახავდნენ; ამოდენა ლაშქარს თან ჩინური მანქანები მოჰქონდა ქალაქის გამაგრებული ზღუდეებისათვის უშველებელი ლოდების დასაშენად. სადაც ქვა არ იყო, იქ თუთისა და ჭადრის ასწლოვან ხეებს ჭრიდნენ და იმ მანქანებიდან უზარმაზარ მორებს სტყორცნიდნენ მტკიცე დუღაბით ნაშენ ციხეთა გოდლებს. სადაც არხები იყო, იქ რაბებს ხსნიდნენ და უთვალავ ქალაქებსა და სოფლებს წყალში ძირავდნენ.

აი, ასეთი ვერაგი და ძლიერი მტრისაგან, შეჩვენებული ჩინგიზისა და მისი აურაცხელი ლაშქრისაგან ილტვოდა ჯალალედინი. ქართველები კი მონგოლთა მთელ ძალას სუბუდაისა და ჯებეს ლაშქრის ძლიერებით ზომავდნენ და წარმოდგენაც არა ჰქონდათ თათართა იმ ნამდვილ ძალაზე, რომლის გამკლავებასაც ასე თავგანწირვით, მაგრამ ჯერჯერობით ასევე წარუმატებლად ცდილობდა ხვარაზმელი სულტანი.

ჯალალედინის მუქარა ქართველებმა ამაო კვეხნად ჩათვალეს. ასი წლის ძლევამოსილებითა და მარცხის უნახაობით განებივრებული ქართველები ჯალალედინის მოსვლასა და ადარბადაგანს დამკვიდრებაში თავიანთი სამეფოსათვის დიდ საფრთხეს არა ხედავდნენ. მაგის მძლეველმა მონგოლებმა ვერაფერი გვიყვეს და "მაგან რა უნდა

დაგვაკლოსო, ერთხმად იმეორებდნენ ქვეყნის მესვეურები.

მაგრამ ადარბადაგანში ქართველებს ბევრი მზვერავი ჰყავდათ და თბილისში ერთიმეორეზე ცუდი ამბები მოდიოდა. ჯაშუშები ხვარაზმელთა ლაშქრის მრავალრიცხოვანებასა და კარგი შეიარაღების გარდა იმასაც იუწყებოდნენ, რომ ჯალალედინი საქართველოს წინააღმდეგ საღმრთო ომს აპირებდა. მეზობელი სამუსულმანო ქვეყნების სულტნებს თავის მხარეს იბირებდა და დიდი ძალით საქართველოზე მოულოდნელ თავდასხმას ფარულად ამზადებდა.

ქართველებს ჯალალედინის მუქარა ეგრერიგად არ აშინებდათ, მაგრამ მისი ჯარის სიმრავლესა და ომისათვის სამზადისს მაინც ანგარიშს უწევდნენ. ჯალალედინს, სიფხიზლის მისაძინებლად, ელჩების ხელით ძვირფასი ძღვენი გაუგზავნეს და თან ადარბადაგანის უვნებლობის აღთქმა შეუთვალეს. ქართველები, ერთის მხრივ, რომ ჯალალედინს მეგობრობასა და კეთილ მეზობლობას პირდებოდნენ, მეორეს მხრივ, მთელს ქვეყანაში მალემსრბოლებს გზავნიდნენ და სასწრაფოდ ჯარს იწვევდნენ მტრის დასახვედრად.

ჯალალედინი ჩუმად ომისათვის ემზადებოდა, მაგრამ გარეგნულად თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ადარბადაგანის საქმეებით იყო გართული. უზბეგისაგან მორჩილების გამოცხადებას არ დასჯერდა და ქვეყნის ნამდვილ ბატონპატრონად გახდომა მოისურვა. ერთ დღეს ლაშქრიანად აიყარა და უზბეგის სატახტოს მიადგა.

ქალაქი ნებით არ დამორჩილდა. იერიშით რომ ვერაფერი დააკლო, მაშინ ალყა შემოარტყა. თავგანწირულად იბრძოდნენ თავრეზელები. ხუთ დღეს გაუძლეს ხვარაზმელთა ალყას, მაგრამ მეექვსე დღეს წინააღმდეგობის უიმედობაში დარწმუნდნენ და დამორჩილდნენ. თავრეზის დაცვას უზბეგის ცოლი, სელჯუკიანი ტოღრულშას ასული მელიქე-ხათუნი ხელმძღვანელობდა. იმის გამო, რომ უზბეგს სმისა და დროსტარების მეტი არა ახსოვდა რა, ქვეყანას დედოფალი მელიქე-ხათუნი გაგებდა. ადარბადაგანში ჯალალედინის მისვლისთანავე უზბეგი თავრეზს ცალა და დედაქალაქი დედოფლის ანაბარა დააგდო. თავრეზელთა ერთგულებასა და ვაჟკაცობას მინდობილი მელიქე-ხათუნი ქალაქის დამცველთა შორის იდგა და მტრის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლ მეციხოვნეებს ამხნევებდა. ბოლოს, როცა გარედან შველის იმედიც გადაიწყვიტა და შიგნითაც წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა ამოიწურა, დედოფალმა ქალაქის მორჩილების ფასად თავისი და ახლობლების უვნებლად გაშვება, მისთვის სამყოფელად ჰოის ციხისა და მისი მიმდგომი ქვეყნის მიცემა ითხოვა. ჯალალედინი თავრეზელთა პირობებს დათანხმდა, დედოფალი და მისი ამალა ჰოის ციხემდე თავისი მცველებით გაისტუმრა და თავრეზში შევიდა.

თავრეზში რამდენიმე დღე დაჰყო ჯალალედინმა. იქიდან საიდუმლოდ ემირები დაგზავნა ჯარის შესაკრებად. ლაშქრის თავშესაყრელი ადგილი დაუთქვა და მორჩილ ათაბაგებსა და მელიქებს ჯარის გამოყვანა მოსთხოვა. თავათ ხმა დაჰყარა, მარაღაში მივდივარო და თვალის ასახვევად ჰარემი დიდის ამბით სამხრეთისკენ გაისტუმრა. შემდეგ შირვანისკენ მიმავალი ქარავნები მოიკითხა ჩუმად. სანდო კაცის პირით თავისი ძველი ნაცნობი, დიდვაჭარი ჰაჯი ჯიჰანი დაიბარა. დიდხანს პირისპირ, მარტო ელაპარაკა. საიდუმლო კარით ისე მოვიდა და წავიდა სპარსელი დიდვაჭარი, არც სულტნის კარზე მისი ყოფნა შეუტყვია ვისმეს, არც მასთან საუბრის შინაარსი.

რამდენიმე დღე კიდევ ფარულ, საიდუმლო საქმიანობაში გაატარა. ყველაფერი რომ გააწესრიგა, თავრეზიდან ღამით წავიდა. გეზი ჩრდილოეთისკენ აიღო და ჯარის თავშესაყრელად დათქმული ადგილისაკენ გაეშურა.

სულტანი ჩქარობდა, უნდოდა ქართველებისათვის მანამ მიეყენებინა გამანადგურებელი დარტყმა, სანამ ასინი

დიდ ძალებს მოუყრიდნენ თავს და ქვეყნის გამაგრებას მოასწრებდნენ.

სწრაფი ნაბიჯით მოჰყავდა ლაშქარი. წინ შეხვედრილ საეკვო მგზავრებს აკავებდა და ზურგში გზავნიდა, რომ მტერს მისი ლაშქრის მოძრაობის ამბავი არ მისვლოდა. დასვენება მხოლოდ თბილისშიო, გამოუცხადა ჯარის მეთაურებს და თან საოცნებოდ დაუხატა ეს დასვენება: სამ დღეს გიაურების. სატახტო თქვენს ხელთ იქნება თავისი ულამაზესი ქალებით, საუკეთესო ღვინითა და აურაცხელი სიმდიდრითო. საქართველოს საზღაპრო სიმდიდრის ხმა შორს იყო გავარდნილი და თითოეული ჯარისკაცი იმ სამ დღეს იმდენის შოვნას ელოდა, რომ მის სიცოცხლეში ჰყოფნოდა მასაც და მის შვილებსაც.

ჯალალედინის ამ დაპირებამ მის ლაშქარს უამრავი ბედის მაძიებელი შემატა — თურქი და სპარსი, ქურთი და არაბი, ადარბადაგანელი და სურმარელი. სიტყვით ყველა მაჰმადის რჯულის დასაცავად და ურწმუნო გურჯების თავხედობის დასასჯელად სდებდა თავს, ნამდვილად კი მათ იზიდავდა საქართველოს მთებსა და კლდეებში „დამალული“ უთვალავი ოქრო და ვერცხლი, რომელიც ვითომ გურჯებმა მუსულმანებს მისტაცეს ამ უკანასკნელთა სისუსტის დროს, როცა მათ არც ერთი პირი ჰქონდათ და არც ჯალალედინივით ძლიერი მეთაური ჰყავდათ.

ახლა, როცა ალაჰმა სამაჰმადიანოს ესოდენ ძლიერი და შემმართებელი, შთამომავლობით ზეაღმატებული და სარწმუნოებით მტკიცე, ბრძენი მმართველი და მიუთხრობელი მეომარი მოუვლინა წინამძღოლად, მუსულმანებს სხვა რაღა უნდოდათ, ურწმუნო ქართველების ჯავრი უნდა ეყარათ და ერთი ათად მიეზღათ შფოთისა და თარეშისათვის, რბევისა და აკლებისათვის რომლითაც აგერ საუკუნეზე მეტი ხანია, შიშის ზარს სცემდნენ არა მარტო ხლათსა და არზრუმს, არამედ ადარბადაგანსა და თვით შორეულ ხორასანსაც კი.

დაქანებული ზვავივით გაიუსო და გაიზარდა გზადაგზა ჯალალედინის ლაშქარი. გამოცდილმა სარდალმა ეს ზვავი ერთ-ერთ ფად მიექანებოდა, მას წინ ვერაფერი დაუდგებოდა, მაგრამ ზვავიც მალე დადნებოდა და დაიშლებოდა, თუ მისი სისწრაფე და დაქანების ძალა შენელდებოდა. ამიტომაც ჩქარობდა ჯალალედინი საქართველოში შეჭრას და ქართველებისათვის გადამწყვეტი დარტყმის მანამ მიყენებას, სანამ საქართველო ღონის მოკრეფასა და საომრად დარაზმვას მოასწრებდა.

არეზთან მისულ სულტანს დასაზვერავად წინ გამოგზავნილი თავისი რაზმები შეეგებნენ. მზვერავები ცუდ გუნებაზე იყვნენ, შეშინებულებმა აცნობეს სულტანს, რომ ქართველების დიდი ლაშქარი ახლო, მიუვალ მთებზე იყო დაბანაკებული.

— მაინც რამდენი იქნებიან ქართველები? — იკითხა შუბლშეკრულმა ჯალალედინმა.

— რიცხვი არა აქვს მათს სიმრავლეს, არც გზა და მისადგომი — მათს მიუვალ ბანაკს, — ცახცახით მოახსენა ემირმა.

ჯალალედინმა შეშინებულ ემირს შუბი შიგ გულში აძგერა და ლაშქარში რომ მტრის უძლეველობის ხმა არ გავრცელებულიყო, მზვერავების რაზმი დააპატიმრა და შორეულ ზურგში გაგზავნა. მერე, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ცხენი არეზის ტალღებში შეაგდო და ლაშქარს უშიშრად წაუძღვა.

ცოტა რომ გაიარეს, ქართველთა მზვერავებს წააწყდნენ. ქართველებმა ერთხანს უცქირეს ვაკეზე მოძრავ მტრის უზარმაზარ ლაშქარს, ნელა, მდორედ რომ მოიწევდა წინ საავდრო ღრუბელივით. ისრის მისაწვდომზე ცხენები შეაბრუნეს და ჭენებით გაქრნენ.

ცოტა კიდევ გაიარეს ხვარაზმელებმა და სულტანმა შეჩერება ბრძანა. ქართველთა ბანაკი უკვე ახლო იყო.

გრიგოლ აბაშიძე

დიდი ღამე

გარნისის მიუვალ მთებზე განლაგებულიყვნენ ქართველები. ცად აწვდენილი ქარაფოვანი მთების თავზე ღრუბლებში ატყორცნილივით ჩანდა ბანაკი. იქიდან ციცაბო, თითქმის მიუვალი კლდეები ეშვებოდნენ დაბლა ხეობაში.

თავისი ბანაკი მთებიდან კარგა შორს დასწია ჯალალედინმა. ცხენით იქაურობას შემოუარა, მაღლობზე ავიდა და ადგილმდებარეობას დააკვირდა.

ტყუილად როდი შეშინებულან მისი მზვერავები! ქართველები მართლაც ბევრნი ჩანდნენ და ბანაკიც მარჯვედ მოეწყოთ. იქიდან, ალბათ, ხელისგულივით ჩანდა მთელი ხეობა და ქართველებს მტრის მცირე მოძრაობაც არ გამოეპარებოდათ. ხეობას ისე მარჯვედ კეტავდა ქართველთა გამაგრებული ბანაკი, რომ მისი გვერდის ავლა შეუძლებელი იყო. საქართველოსკენ წამოსასვლელად ერთადერთი გზა იმ მიუვალი მთების გადალახვა და იმ უზარმაზარი ბანაკის მოშლა იყო.

თითქოს ერთიც და მეორეც შეუძლებელი ჩანდა.

ჯალალედინის სიფრთხილეს ვერავითარი ნაყოფი ვერ მოეტანა, ქართველებს მანამ შეუტყვიათ მისი საიდუმლო, ვიდრე სულტანი თავის უახლოეს მხედართმთავრებს გაანდობდა საქართველოზე ლაშქრობის გეგმას. შეუტყვიათ და თადარიგის დაჭერაც მოუსწრიათ: დაზვერვის ცნობებით ქართველთა ლაშქარი სამოციდან ოთხმოციათასამდე მეომარს უნდა ითვლიდეს; ქართველთა სარდლობა რომ ადრე ყოფილა გაფრთხილებული, ეს იქიდანაც ჩანს, მათ, საკუთრივ ქართველებს გარდა, ლეკებისა და ოსების, ჯიქებისა და ძურძუკების გადმოყვანაც მოუსწრიათ. ამას მზვერავების მიერ შეპყრობილი მოენეები ირწმუნებოდნენ, მაგრამ ისედაც ყველაფერი ნათლად ჩანდა: ბანაკი დიდი იყო და ლაშქარი უთვალავი.

ბუნებრივად ისედაც მიუდგომელსა და ქართველთაგან კიდევ უფრო მეტად გამაგრებულ ბანაკს ხვარაზმელები პირდაპირი იერიშით ვერ აიღებდნენ, ჯალალედინს ან სასწაულის იმედი უნდა ჰქონოდა, ან რამე ხერხი უნდა მოეგონა და ციხე როგორმე შიგნიდან გაეტეხნა.

ჯალალედინი ვაკეზე დაბანაკდა. ჯარი ისე განალაგა, რომ თუ ქართველები მთებიდან ჩამოსვლასა და შემოტევას გაბედავდნენ, ხვარაზმელთა სიმრავლეს ისე შთაენთქა შეტევაზე წამოსული ქართველობა, როგორც ზღვა ნთქავს მთიდან დაშვებულ მდინარეს.

სულტანმა ჯარები დააწყო, გუშაგები დააყენა და ბანაკი გაამაგრა.

თავის მხრივ ვერც ქართველები დააკლებდნენ რამეს ამ ბანაკს, მაგრამ განა ჯალალედინი იმისთვის აიყარა იმოდენა ამბით საქართველოს დასალაშქრავად, რომ აქ, საქართველოს განაპირა ხეობაში დამდგარიყო და ქართველთა ბანაკისთვის ეცქირნა შორიდან?

ერთიმეორის ცქერა კი, ეტყობოდა, დიდხანს მოუხდებოდა ორივე ბანაკს. ქართველები შინ იყვნენ და არსად ეჩქარებოდათ, მიუვალ სიმაგრეს მინდობილები დაბლა არ ჩამოვიდოდნენ და არც მტერს აუშვებდნენ მაღლა.

ხვარაზმელები წინ ვერ წავიდოდნენ და იმ მიუვალ ბანაკს ტყუილუბრალოდ ვერ შეაწყდებოდნენ, მაგრამ ვერც უკან გაბრუნდებოდნენ, რადგან ეს ჯალალედინის შერცხვენა და დაცემა იქნებოდა ყველა იმ მუსულმანის თვალში, რომლებმაც იგი გამოჩენის დღიდანვე მთელი საისლამოს მხსნელად დასახეს და რომელთაც ასე დაბეჯითებით აღუთქვა ურჯულო ქართველების დასჯა და ჭკუის სწავლება.

ჯალალედინმა თავისი სარდლების თანხლებით ისე შემოიარა ბანაკი, რჩევა არც ერთისთვის არ უკითხავს. განკარგულებებს თვითონ იძლეოდა და თან ემირებს ბჭობისა და დაფიქრების საშუალებას არ აძლევდა: იცოდა, გამოცდილი მხედართმთავრები გარნისის აღებას შეუძლებლად მიიჩნევდნენ; თუ ეს აზრი ჯარში გავრცელდებოდა, სიმდიდრის შოვნას დახარბებულ ბევრ მოლაშქრეს გული გაუტყდებოდა და ისევე თავის აუტკივებლად წავიდოდნენ ბანაკიდან, როგორც მოვიდნენ.

ჯალალედინს კი გარნისის წინ უნდა დაეცადნა, ეგებ ორი-სამი დღეც, იქნებ ერთი კვირაც... ერთი თვეც.

ეს საიდუმლო მარტო თვითონ სულტანმა იცოდა, ვისმესთვის მისი განდობა არ შეიძლებოდა.

მხოლოდ მოთმინებით უნდა ელოდნა სულტანს და ლაშქარი ამ მოთმინებით უნდა აღეჭურვა.

როგორც კი მზვერავებმა ხვარაზმელთა გამოჩენის ამბავი მოუტანეს, ქართველები საომრად გაემზადნენ. ყველამ თავ-თავისი მიჩნეული ადგილი დაიჭირა და შორიდან დაუწყეს თვალის დევნება მოახლოებული მტრის მოძრაობას.

თანახმად საერთო გეგმისა, ქართველები მზად უნდა ყოფილიყვნენ მტრის შესაგებებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხვარაზმელები ქართველთა ბანაკის იერიშს გაბედავდნენ და შეუსვენებლად, პირდაპირ შეტევას დაიწყებდნენ.

ხვარაზმელთა ლაშქარი ვაკეზე შედგა, შეტბორდა და მერე ნელ-ნელა განლაგდა. მტერი, როგორც მოსალოდნელი იყო, მიუვალ გარნისზე პირდაპირ შესკდომას არ აპირებდა, ბანაკად დგებოდა და მოლოდინს არჩევდა.

მხარგრძელმა სარდლები მოიხმო. ვარამ გაგელის, ახალციხელების, სურამელის, ბაკურციხელის, ჯაყელების, დადიანის, სვანთა ერისთავის, მარგველისა და თავისი ძმისწულის შანშე ზაქარიასძეს თანხლებით ცხენდაცხენ გავიდა სათვალთვალო მაღლობზე.

— უჰ, რამდენი არიან, წყეულები!— ხმამაღლა აღმოხდა შანშე მანდატურთუხუცესს.

— მამაშენს მეტიც უნახავს და არა თუ გაჰკვირვებია, უშიშარს იქით შეუტევია და ცხვარივით წინ გაურეკია, — ცოტა არ იყოს მკაცრად უთხრა ივანემ.

თითქმის ძალით წამოიყვანა საქართველოს უდიდესი სარდლისა და სახელგანთქმული ამირსპასალარის შვილი ამ ომში ივანემ. თითქმის ძალით, რადგან მისი შვილის, ავაგისა არ იყოს, ბრძოლის ველისკენ არც მის ძმისწულს უწევდა დიდად გული. დედოფლის კარზე ყოფნა, ნადიმი და შექცევა უფრო ეხერხებოდა ნებივრად გაზრდილ შანშეს. ვიდრე ხმლის ტრიალი და მტრის კვეთება. ზოგიერთ სხვა დიდგვაროვანთა შვილებივით ისიც იმ აზრისა იყო, რომ მათმა მამებმა და პაპებმა მათი წილი სისხლიც დაღვარეს, ქვეყნის წინაშე იმდენი სამსახური გადიხადეს, რომ ახლა მათ შვილებს უფლება აქვთ ხმლისა და ქვეყნის ვალისაგან მოსვენებულნი იყვნენ, წინაპრების დათესილი მოიმკონ და ამ სოფლის სიკეთით გაიხარონ.

სანამ მამები არიან და ხმალს იქნევენ, ასეთ შვილებს არ გაუჭირდებათ, ცხოვრებას გემოს ჩაატანენ და თავს არაფრისთვის შეიწუხებენ, მაგრამ მერე... მერე, როცა მამები წავლენ (აკი აღარ არი ზაქარია ამირსპასალარი) როცა მათი სისხლით მორწყული მიწა გაშრება? მერე ვინღა ჰყოფს უზრუნველს მათ უდარდელ ცხოვრებასა და შექცევას?!

ვაი, რომ მარტო შანშე არა ფიქრობს ასე. ვაზირთა და დიდებულთა შთამომავლები ერთიმეორეს ეჯიბრებიან განცხრომასა და ფუფუნებაში, ერთმანეთს ეცილებიან და ასწრებენ ულამაზესი ხარჭებისა და ჯიშიანი ცხენების შეძენას, ფულსაც დაუფიქრებლად წირავენ ერთი ბედნიერი წამისათვის, მამულსაც და სახელსაც.

მამების ბრალია, რომ ასე განებივრდნენ და გაზულუქდნენ შვილები. დიდიხანია ამას გრძნობს და ხვდება ივანე, მაგრამ დაგვიანებულ საქმეს რაღა ეშველება. თავიანთ თავგასულ შვილებს ისინი უკვე ვეღარ გაასწორებენ, მათ მხოლოდ ცხოვრება გაასწორებს, როგორც კუზიანს ასწორებს სამარე. და ეს ახალი ცხოვრება — კუზიანების გამსწორებელი სამარე, ეტყობა, არც ისე შორსაა, ქნევაში გაცვეთილი მამების ხმალი მალე ვეღარ გასჭრის და ის

ცხოვრება თავისთავად მოვა ჯაჭვებითა და ბორკილებით, რკინის უღლითა და მათრახებით. მოვა და გამოაფხიზლებს, ადრე თუ გვიან ამ ცხოვრებამოყირჭებულ, სიცოცხლემოწყენილ ნებივრებს, შანშესა და ავაგის მსგავს ვაჟბატონებს. შანშეს კიდევ რა უშავს, ბრძოლის ველზე მაინც უდგას მხარში თავის ბიძას. ავაგი აქამდისაც ვერ გამოიტყუა, დიდის ვაი-ვაგლახით ბიჯნისამდე მოჰყვა. ბიჯნისში ფეხი აითრია და ხელიდან დაუსხლტა. ტოლებში მხოლოდ თავისი მშვიდი ზნითა და თვინიერი ქცევით იცნობენ ავაგს. ზის, ალბათ, ახლაც თავისთვის სადმე მყუდროდ, ლამაზ ქალებთან და ჩუმად, არხეინად სვამს ის უბედური!

კლდის ნაპირს მიადგა ივანეს ცხენი და შეჩერდა. მხარგრძელი ახლაღა გამოერკვა ფიქრებიდან. უზანგებზე აღიმართა და მტრის ბანაკს დააცქერდა.

— ჩვენ თუ იქ არ ჩავალთ, ისინი აქ ამომსვლელები არ არიან, — ღიმილით თქვა სვანთა ერისთავმა.

— ამოვლენ და თავპირს დაიმტვრევენ, — დასძინა ვარამ გაგელმა.

— ჩვენ დაბლა ჩასვლას ნუ ვცდით, მათ ინებონ და სცადონ მაღლა ამოსვლა. მე ეს გადაწყვეტილება სწორად და ურყევად მიმაჩნია, — მოუბრუნდა მხარგრძელი სარდლებს.

— სწორი გადაწყვეტილებაა, ჩვენც მაგ აზრს ვადგევართ, — დაუდასტურეს ერთხმად.

— თუ მართლა მუღალები მოსდევენ უკან ხვარაზმელ სულტანს, აქ დიდხანს ვერ დაუცდის დარის დადგომას, ან წამოვა და ამ კლდეებს შეაყლეტს ლაშქარს, ან აიყრება და ისევ მის კვალზე დადევნებულ მგლებს შეაჭმევს თავს.

— საქართველოს ერთიც გაახარებს და მეორეც, — ჩაურთო ბაკურციხელმა, — ეგ უბედური იმ მუღალებს რომ გამოექცა, ვერ ჰკითხა, ვისკენ მოდიოდა? მაგისა და მამამაგისის დამაქცევარ და დამამხობელ მონგოლებს ჩვენ ზურგზე ბოლი ვადინეთ და კუდით ქვა ვასროლინეთ ამ სამოდე წლის წინ. ეკითხა ჩვენი ამბავი სებე და ჯებე ნოინებისთვის, და იქნებ არ ერჩიათ საქართველოზე გამოლაშქრება.

— ეტყობა თავგზააბნეულია ამდენი მარცხისაგან, — მძიმედ თქვა სულმელმა, — ხვარაზმშა იმიტომ აწყდება ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეს ასე გამეტებით, რომ სამკვიდრო აღარა აქვს და თავშესაფარი.

— გეშინოდეს კაცისა, რომელსაც აღარც სახლი აქვს და აღარც თავშესაფარი! — ისე თქვა ფიქრში წასულმა შალვა ახალციხელმა, თითქოს რომელიღაც წიგნიდან იმოწმებდა წაკითხულ ადგილს.

— ეზო-კარიდან გაგდებული ძაღლი ცოფდება და მისი ნაკბენი საშიშია ხოლმე, — დაუმატა დადიანმა.

— მაგის დასაკბენი ლასგურა ვისა აქვს, ახლოსაც არ მოვასუნიებთ! — როხროხით თქვა სვანთა ერისთავმა და კაბის კალთები ისე მოიკეცა, თითქოს მართლა ვინმე უპირებდა უკანალზე კბენას.

ბუმბერაზის ამ გულუბრყვილო ხუმრობაზე ყველას სიცილი აუტყდა.

— კაბის კალთა ვერ გიშველის, ერისთავთერისთავო, მაგას მონგოლებისგან ექნება ნასწავლი სხვანაირი კბენა. აგერ, რა ხანია, მოსდევენ და კბენენ ის წყეულები. ეს უბედური თავის გამოსწრებას ახერხებს მუდამ, მაგრამ უკანალს მათ უტოვებს დასაკბენად.

ქართველთა სარდლები ხორხოცობდნენ, სიცილით იჭაჭებოდნენ და ცხენზე თავს ძლივს იმაგრებდნენ.

დაბლა, ხვარაზმელთა ბანაკში, სამკვიდროდან აყრილი და ბედისაგან გამწარებული სულტანი ახლა სწორედ იმას ფიქრობდა, როგორ უკეთ მოემარჯვებინა ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა ის ხერხი, რომლებიც მონგოლებთან უიღბლო ომებში ესწავლა და რომლებსაც მისი მოსისხლე ჩინგიზი ასე ოსტატურად იყენებდა მტრის დასაკბენად და სისხლისაგან დასაცლელად.

ჯალალედინი იმ ღამესვე ელოდა მტრის შემოტევას. თუ ქართველებს

მართლა დიდი ლაშქარი ჰყავდათ. სავარაუდო იყო, რომ დაღლილი ხვარაზმელებისთვის არ დაეცლიათ, ერთხელ მაინც ქორებივით დასცემოდნენ, აეწიოკებინათ და აეშალათ. ასეთი მოულოდნელი თავდასხმა მტერს ბევრს უპირატესობას მისცემდა. თუ წარმატება მნიშვნელოვანი იქნებოდა, ხვარაზმელთა ბანაკი აირეოდა და საქმე იქნებ გაქცევაზეც მიმდგარიყო. ხოლო თუ მტერი მაგრად დაუხვდებოდა, იმდენს მაინც ავნებდნენ, რომ შემდეგ მოსვენება დაჰკარგოდა, ან აყრასა და უკან გაბრუნებაზე ეფიქრა, ან იძულებული გამხდარიყო, თავად გადასულიყო შეტევაზე და გარნისის მიუვალ სიმაგრეს შელეწოდა, ტალღასავით დაფშვნილიყო მის სალ კლდეებზე.

დაღამდა თუ არა, სულტანმა სიბნელეში მტრის საპირისპიროდ გააწყო ლაშქარი: შუაში ცხენოსანი ჯარი დააყენა, აქ მეტწილად თავით ფეხებამდე შეიარაღებული ხვარაზმელები იყვნენ; მარცხენა ფრთაზე ქვეითნი განაწყო, ხოლო მარჯვენა ფრთა მოისარებმა დაიკავეს.

იმ ღამეს დიდხანს არ დაუძინია ჯალალედინს. მტრის ბანაკს თვალმოუცილებლად გაჰყურებდა და ცდილობდა ქართველთა განზრახვის ამოცნობას.

ქართველები ისევ ძველებურად იდგნენ თავიანთ მიუვალ სიმაგრეებზე, უამრავი კოცონი დაენთოთ და ბანაკი საქორწილო სუფრასავით გაეჩაღებინათ.

ცაში ატყორცნილი ბანაკი დიდი იყო. ბნელ ღამეში კოცონების შუქზე უთვალავი ლანდები მოძრაობდნენ და ეს წითლად განათებული ცის ნაკვეთი ჯოჯოხეთის იმ კუთხეს ჰგავდა, სადაც ცოდვილნი და ურწმუნონი საშინელ ცეცხლზე იტანჯებიან. ხოლო ხმა ამ ურწმუნოთა არ ჰგავდა გაწამებულთა განწირულ კვნესასა და გოდებას; გურჯებს თავიანთი ყიჟინითა და ჟრიამულით ცა დაბლა ჩამოქონდათ და ჯალალედინს მაშინვე ენიშნა: ბანაკის სიმაგრესა და მიუდგომლობას მინდობილი ქართველები სრულიადაც არ ფრთხილობდნენ, მტრის სიახლოვეს არაფრად აგდებდნენ და გუნდარეულნებულებს ისე ეჭირათ თავი, თითქოს ბრძოლის ველზე კი არა, ხატობაში ყოფილიყვნენ ღამის სათევად.

მტრის ეს უზრუნველობა ბევრ რამეს ეუბნებოდა გამოცდილ მეომარსა და სარდალს. ეჭვი არ იყო, ქართველები ძირს ჩამოსვლასა და მტრის შებრძოლებით თავის შეწუხებას არ ფიქრობდნენ, თავი იმდენად მიუვალ და მიუდგომელ სიმაგრეში ეგულებოდათ, რომ მტრის იქ ასვლაც წარმოუდგენლად ეჩვენებოდათ და ამიტომ ბრძოლის პირობებისათვის საჭირო და აუცილებელ სიფხიზლესაც არაფრად დაგიდევდნენ.

მაგრამ მართლა ასე მიუვალი იყო გარნისის სიმაგრე? განა გარნისზე უფრო მიუდგომელი სიმაგრეები არ აუღიათ ჯალალედინსა და მის მოსისხლე მტერს, წყეულ ჩინგიზხანს? ან რა მნიშვნელობა აქვს ბანაკის სიმაგრეს, თუ შიგ მყოფნი არ მაგრობენ და ფხიზლობენ დღედაღამ?

ქართველები არ ფრთხილობენ, არ ფხიზლობენ და, ალბათ, ვერც მტერს დახვდებიან მაგრად და ფხიზლად, თუ სულტანი თავის ჩვეულ გამჭრიახობას გამოიჩენს და თან მონგოლთა სამხედრო ცბიერებასაც მოიშველიებს...

მეორე დღემაც მშვიდად და უშფოთველად ჩაიარა, ის დღეც ისე დაღამდა, რომ სულტანსა და მის ემირებს ტანთ არ გაუხდიათ. ცეცხლი წუხანდელივით ყველგან ჩააქრეს და ჯარმაც მორიგეობით გამოიძინა.

ქართველთა ბანაკში ხმაური წუხანდელივით გვიანამდე გაგრძელდა, მერე კოცონები ნელ-ნელა ჩაქრა, ყველაფერი დადუმდა და ჩაკვდა, აქა-იქღა ბეუტავდა წინა ხაზებზე ცეცხლი თუ სინათლე, ეტყობოდა, წინამბრძოლები ფხიზლობდნენ, დანარჩენ ბანაკს კი მძიმე ძილით ეძინა.

კიდევ ერთი დღე გათენდა ამ სიჩუმესა და ერთიმეორის გამომცდელ მოლოდინში.

ჯალალედინმა იცოდა, რომ ხვარაზმელთა ლაშქარში უკმაყოფილონი გაჩნდნენ. ამ თვალუწვდენელ ველზე უქმად დგომა ბევრს აღარ მოსწონდა. ზოგი გურჯებზე შეტევას ჩქარობდა, ზოგიც იმედგაცრუებული შინ გაპარვას ფიქრობდა. ესენი, უმთავრესად, დავლისათვის გზადაგზა შემოერთებული თურქმანები და ადარბადაგანელები იყვნენ. მათი აყრა და ბანაკიდან წასვლა ხვარაზმელთა მთავარ ლაშქარსაც სიმტკიცეს შეურყევდა და გამარჯვების რწმენას დაუკარგავდა. საქმე უნდა ვაუჩინოს საშოვარზე დახარბებულ ამ უკმაყოფილო მოლაშქრეებს ჯალალედინმა, მთავარ ლაშქარს უნდა მოაცილოს და ნადავლზე მიუშვას.

აგერ გვერდით არის მდიდარი და გაუმაგრებელი ქალაქი დვინი, როგორც მზვერავები ამბობენ, დვინში ქართველთა ჯარი არა დგას და მისი აღება ძნელი არ უნდა იყოს. ჯალალედინი თავის სულწასულ მოლაშქრეებს დვინს მიუსევს, ამით ლაშქარში უკმაყოფილებას მოსპობს და ალაფსაც იშოვის, ქართველებს დვინის აკლების ამბავი შეაწუხებს და ეგებ მის მოსაშველებლად გარნისის კლდეებიდან მათი ჯარიც ჩამოიტყუოს.

სულტანმა თავისი გადაწყვეტილება ემირებს გააცნო და ჯარის ერთი ნაწილი დვინისაკენ დასძრა.

მეორე დღეც მიიწურა. ქართველთა ამირსპასალარმა თავის კარავში სამხედრო ბჭობა გამართა. სარდლების უმრავლესობა იმ აზრისა იყო, გარნისის სიმაგრიდან ფეხი არ მოეცვალათ და მტრისათვის მოთმინებით ეცადნათ. თითქოს სამხედრო ბჭობა ამით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მოულოდნელად სიტყვა ივანე ახალციხელმა ითხოვა და სარდალთა ერთსულოვნება დაირღვა.

— ჩვენი სარდლები სწორად სჯიან, — დაიწყო კარის ამირამ, — გარნისი მიუდგომელი სიმაგრეა და იერიშით მისი აღება საძნელო საქმეა. ამიტომ მტრის ლოდინი ამ მიუვალ მთებზე ჩვენთვის ხელსაყრელია, რადგანაც ჩვენ ჩვენს სახლში ვართ, ხოლო მტერი შორი გზითაა მოსული; ჩვენ ლოდინი შეგვიძლია, მტერს ეჩქარება და მოთმინება არ ეყოფა აქ დიდხანს დასარჩენად. დიდხანს კი მტერი ასე უმოქმედოდ ვერ დადგება გარნისთან. როცა იქნება, უნდა შემოგვიტიოს. ჯალალედინი მხოლოდ შესაფერის დროს უცდის და როგორც ის დრო დადგება, ხვარაზმელები გარნისის იერიშს დაიწყებენ. ჯალალედინს დიდძალი ჯარი ჰყავს და როგორც მსტოვრებისაგან ვიცით, კიდევ ელის ახალ-ახალი ლაშქრის მოსვლას. საბოლოოდ აუღებელი სიმაგრე არ არსებობს და გარნისის აღებაც არ არის შეუძლებელი. ბოლოსდაბოლოს ხვარაზმელი სულტანი ასი ათას კაცს გასწირავს, გარნისის კლდეებს შემოაწყვეტს და ამით დანარჩენ ასი ათასებს გაუხსნის გზას. ჯალალედინის ურიცხვი ლაშქრისათვის ასი ათასი კაცის გაწირვა არც ისე დიდი დანაკლისია. ხვარაზმელი სულტანი საქართველოს დაპყრობით დიდისა და შორეული მიზნების მიღწევას ფიქრობს და საფიქრებელია, რომ იგი ამ მსხვერპლს უყოყმანოდ გაიღებს. ასე იქნება თუ ისე, დღეს იქნება თუ ხვალ, ხვარაზმელებთან ომი აუცილებელია და გარდუვალი. ამიტომ ჩვენც არ უნდა ვიყოთ გულხელდაკრეფილნი და მარტოოდენ ჩვენი ბანაკის მიუდგომლობას მინდობილნი.

მხარგრძელმა წარბი შეიკრა და იქ მყოფებს ქვეშ-ქვეშ გახედა.

— ხვარაზმელთა ლაშქართან შედარებით ჩვენი სუსტია და მცირერიცხოვანი, — განაგრძო კარის ამირამ.

— ქართველთა ლაშქრის სისუსტე ჯერ არსად თქმულა, ხოლო ამისთანა სიმაგრეზე, როგორიც გარნისია, ათი ათასი კაცითაც შევძლებდი ჯალალედინის ლაშქრის უკუგდებას, — ამაყად თქვა მხარგრძელმა და სარდლებს თვალი მოავლო.

— არც მე მიჩნს საეჭვოდ სიმხნე და სიქველე ქართველთა ამირსპასალარისა, მაგრამ მარტო მეომართა გულოვნებას მინდობილნი არ უნდა ვიყვნეთო, თავათ ათაბაგს უთქვამს მრავალგზის. ვიდრე დრო გვაქვს და ლაშქრის წვევა კიდევ შეიძლება, მოვირთნათ ახალი მხედრობა; ლაშქარი რომ მრავალრიცხოვანი იქნება, გულიც უფრო საგულეს გვექნება.

— მე ახლაც საგულესა მაქვს გული, — არხეინად თქვა მხარგრძელმა და სახეზე გესლიანი ღიმილი გადაეფინა.

ივანე ახალციხელმა ამირსპასალარის შენიშვნაზე არაფერი თქვა და ისევ თავისი განაგრძო:

— სანამ ახალი მხედრობა მოგვემატება, მთებზე აღალი გავშალოთ, კოცონები შორი-შორს, დიდ მანძილზე დავანთოთ და ამით მტერს თავი მრავალრიცხოვნად მოვაჩვენოთ.

— ეს მართლაც კარგი იქნება! — მოიწონა ნათქვამი დადიანმა.

— ამასთან, დრო და დრო, მცირე რაზმებით მტერს ჩავუხდეთ ხოლმე, ვნება მივაყენოთ და მოსვენება არ მივცეთ, რომ დაუცველად დარჩენილი დანარჩენი ქვეყანა არ მოაოხროს.

— შალვას სათქმელს ამბობს ივანე! — ისევ გესლიანად გაიღიმა მხარგრძელმა და შალვა ახალციხელს გადახედა.

— შალვა თავათ იტყვის თავის სათქმელს! — წამოენთო შალვა.

— დაუცველად დარჩენილ ქვეყანაში ივანე, ალბათ, დვინს გულისხმობს, — გამოსცრა მხარგრძელმა და თვალი ისევ შალვასკენ გააპარა.

დვინი შალვა ახალციხელის საპატრონო იყო და მხარგრძელმა დაუცველად დარჩენილი ქვეყნისათვის უფროსი ახალციხელის ზრუნვაში ძმის მამულებისათვის თავის გამოდება დაინახა.

— დვინსაც ვგულისხმობ და მის მიმდგომ ქვეყანასაც, — აუღელვებლად დაუდასტურა ივანემ.

— ჰოდა ერთი დვინისათვის მთელი საქართველო დავღუპოთ, თუ რას გვირჩევ, კარის ამირავ?! ძალიან ვწუხვარ შალვას მამულებისათვის, მაგრამ ჩვენი მეფისა და სრულიად საქართველოს სიყვარული მიკარნახებს, სახელმწიფოს ბედი არც შალვას მამულებს ვანაცვალო, არც ჩემსას.

— ღმერთმა შეარცხვინოს, ვისაც შენზე ნაკლებად ან მეფე უყვარდეს და ან საქართველო, — წამოიჭრა ფეხზე ბრაზისაგან გაფითრებული შალვა.

— ვის უბედავ! — წამოვარდა მხარგრძელიც და აკანკალებული ხელი ხმლისკენ წაიღო.

— თუ ჩვენი აზრის მოსმენა არ სურდა ამირსპასალარს, აქ რაღად გვიწვევდა?! — გაცხარდა ივანე ახალციხელი.

— ამიერიდან მე აქ მომსვლელი აღარა ვარ, ომი წინა გვაქვს და იქ ვაჩვენოთ, ვინ უფრო ერთგულია ტახტისა და სამშობლოსი. — სულმოუთქმელად დააყარა სიბრაზისაგან სახეალეწილმა შალვამ და კარვიდან გავიდა.

ივანე ახალციხელიც უსიტყვოდ მიჰყვა უმცროს ძმას.

გაჯავრებული, სახეშეშლილი მხარგრძელი ბოლმას ვერ იოკებდა და ხელში ხმლის ვადას აწვალებდა. ის იყო, დაჯდომა დააპირა, რომ კარავში მაცნე შემოვარდა.

— ხვარაზმელები დვინს შეესივნენ, დაიპყრეს და გაძარცვეს თავათ დვინიცა და მისი მიმდგომი ქვეყანაც, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ თქვა აქოშინებულმა მაცნემ და მუხლზე ჩაიკეცა.

ივანე ნელა დაეშვა სკამზე. სახე დაუმშვიდდა და ოდნავ შესამჩნევი ღიმილიც გამოეხატა.

ამირსპასალარმა მრავალმნიშვნელოვანი, გესლიანი ღიმილით მოავლო თვალი შეშფოთებულ სარდლებს.

— აი, რა აწუხებდათ ახალციხელებს! ვწუხვარ, რომ დვინის მხარე ოხრდება, მაგრამ ომს თავისი კანონები აქვს. ჯალალედინი მარტო ნადავლის საშოვნელად როდი არბევს დვინს,

მას ჩვენი ჯარის ჩატყუება უნდა გარნისის სიმაღლეებიდან, მაგრამ ჩვენ მის ანკესზე არ წამოვეგებით. რაკი თქვენი აზრიც ეს არის, ჩვენი ლაშქარი გარნისის სიმაგრიდან ფეხს არ მოიცვლის და მოთმინებით დაელოდება მტრის შემდგომ ნაბიჯს, — დაასკვნა ამირსპასალარმა და სამხედრო ბჭობა დაასრულა.

ჯალალედინმა დვინი აიღო და ხელთ დიდი დავლაც იგდო. საქართველოს სამეფოს სანაპიროთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე მოარბია, ქართველთა ლაშქარი იქვე იყო, სულ ახლო, მაგრამ მთებში გამაგრებულმა გურჯებმა ფეხიც არ მოიცვალეს იმ სიმაგრეებიდან და თითიც არ გაანძრიეს დვინის დასახმარებლად, ჯალალედინი დარწმუნდა, რომ ქართველები დაბლა ჩამოსვლას და გაშლილ ადგილზე რიცხვით ბევრად ჭარბ მტერთან შებმას არამც და არამც არ აპირებდნენ, თავიანთი ბანაკის მიუვალობას იყენენ მინდობილნი და გარნისის კლდეებთან ელოდნენ მტრის შემოტევას. ეტყობოდა, სხვა გზა აღარ იყო, ჯალალედინი ან უკან უნდა გაბრუნებულიყო, ან გარნისის კლდეები უნდა გადაელახა. უკან გაბრუნებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. სულტანს ისევ გარნისის მისადგომი გზები უნდა ეძებნა.

ჯალალედინმა ბრძანება გასცა: ჰარემი, ჯოგი და აღალი უკან დაეწიათ, ძალიან შორს, რომ ბანაკის აყრის შთაბეჭდილება შექმნილიყო.

საქართველოს სატახტოდან ამირსპასალარის ბანაკში მახარობელი მოვიდა: ქართველთა დედოფალს, რუსუდანს უფლისწული ვაჟი შესძენოდა.

ათაბაგმა ივანემ ფრიად გაიხარა დედოფლის ჯანმრთელობისა და უფლისწულის დაბადების ამბით. ლაშქარი დააწყობინა, სარდლების თანხლებით ჯარს ჩამოუარა და უფლისწულის დაბადება მიულოცა.

მოდიოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული ბუმბერაზი და ლაშქარს ომახიანი ხმით გასძახოდა:

— მეფეს გაუმარჯოს!

— უფლისწულს გაუმარჯოს!

ამირსპასალარის ყოველ მეჯანიბლე ლაშქარი ერთხმად გუგუნებდა გრძლად გაბმულ „ვაშას“. ეს გუგუნი მწყობრიდან მწყობრში გადადიოდა, ტალღას მიმყოლ ტალღასავით ძლიერდებოდა და მთებს აზანზარებდა.

ჯარის უფროსებმა მაშინვე შენიშნეს: ამირსპასალარს სხვა გამოჩენილ სარდლებთან ერთად მეომართათვის ყველაზე მეტად საყვარელი სარდლები — შალვა და ივანე ახალციხელები არ მოჰყვებოდნენ.

შალვა და ივანე უშუალოდ მათ ხელქვეით ლაშქარს დადგომოდნენ წინ და ამირსპასალარს მწყობრთან ერთად შეხვდნენ. წინამბრძოლებს რომ მიულოცა და მათ მწყობრს ჩაუარა, ახალციხელები წესის მიხედვით მიჰყვნენ ამირსპასალარს.

— დღევანდელ სიხარულს უმძრახობა არ შეჰფერის, შევრიგდეთ, ახალციხელებო! — მიჰმართა ათაბაგმა შალვას და ივანეს და პირველმა თავათ გაუწოდა მარჯვენა.

ახალციხელებმა უსიტყვოდ ჩამოართვეს ხელი.

ქართველთა ბანაკიდან რომ დაფდაფების ცემა და ჯარის გუგუნი გაისმა, ჯალალედინს პირველად საომარი განგაში ეგონა. ნამდვილად გასჭრა ჩემმა ეშმაკობამო, გაიფიქრა, ცხენზე შეჯდა და ემირების თანხლებით თავის ბანაკს შემოუარა. ჰარემი უკვე აეყარათ, კარვები აეკეცათ, სულტნის უამრავი ცოლები ცხენებზე შეესვათ და ისეთი ზარ-ზეიმით, ხმაურითა და გამოჩენებით მიჰყავდათ, კაცს ეგონებოდა, მთელი ბანაკი კი არა, სამეფო აყრილაო. აურაცხელი ჯოგი ჯერ განგებ გაეფანტათ, მერე თავისმოსაყრელად ცხენოსანი მწყემსები გაეშვათ და ისეთი ბუკის ძახილი იდგა, იქაურობა გაეყრუებინათ.

ჯოგს აღალი მიჰყვა უთვალავი ურმითა და ფორნით, სანოვაგითა და დედაწულით.

თბილისიდან მოსულმა მალემსრბოლებმა სხვა ახალ ამბავთან ერთად ისიც მოიტანეს, ხმა გავრცელდა, მონგოლები თავრეზს მოადგნენო.

ეს ხმა ჰაჯი ჯიჰანის მექარავნეებისაგან იყო დაყრილი თბილისში და ახლა თავად ჯალალედინისაგან საქართველოს სატახტოში საიდუმლო დავალებით შეგზავნილი ჰაჯი ჯიჰანი გარნისის ქართველთა ბანაკში იმ ჭორთან ერთად მოსულიყო.

ჰაჯი ჯიჰანმა ამირსპასალარის ცალკე, განმარტოებით ნახვა ისურვა და მაშინვე წარუდგინეს მთავარსარდალს კარავში.

ჰაჯი ჯიჰანის სახელი თავისი მექარავნეებისაგან იცოდა მხარგრძელმა, პატიოსან და სახელოვან დიდვაჭრად იცნობდა და მასთან საქმის დაჭერა სარგებლიანად ეჩვენებოდა.

ირანელმა დიდვაჭარმა სალამისა და მოკითხვის შემდეგ ამირსპასალარს მარგალიტის ოდენა მარგალიტი მიართვა. მხარგრძელმა მარგალიტის ფასი კარგად იცოდა. ხელისგულზე დაიდო თუ არა, მარგალიტი გადაგორდა და მაშინვე მიხვდა პატიოსანი თვლების მცნობი ათაბაგი, რომ მარგალიტი ობოლი იყო.

— დიახ, იშვიათი მარგალიტია. ობოლს ეტყვიან, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ.

— კიდევ სხვა სახელსაც უწოდებენ, თუ არა ვცდები.

— ხელისგულზე სატარებელს, თუ საგორებელს...

— ხელისხელ საგოგმანებს, ჩვენში ხელისხელ საგოგმანებს ეტყვიან, — თქვა ივანემ და წამღერებით დააყოლა:

ვით მარგალიტი ობოლი, ხელისხელ საგოგმანები...

ივანეს ამ ძვირფასი ძღვენის მორთმევაში განსაკუთრებული არაფერი დაუნახავს, რადგან ადრეც იყო დაჩვეული დიდვაჭართა თუ უცხოელ დესპანთაგან გარიგებისა თუ სახელმწიფო საქმეებზე მოლაპარაკების დროს ასეთ საჩუქრების მიღებას.

— კარგ ფეხზე გეახელით, ივანე ბატონო, განძიდან მოსული ვაჭრები ირწმუნებიან, მონგოლები თავრეზს მოადგენო და ხვარაზმელი სულტანი, ალბათ, ველარ დაიცდის, მალე აიკრავს აქედან გუდა-ნაბადს.

— მანამ იცადოს, სანამ არ მოსწყინდება! — ჩაიცინა ივანემ და ჭაღარა წვერზე ხელი კმაყოფილებით ჩამოისვა.

კართან შანშე მანდატურთუხუცესი მოდგა. ბოდიშიც არ მოუხდია, კარვის კალთა ასწია და ხმამაღლა დაიძახა:

— გარეთ გამოდი, ბიძაჩემო, ხვარაზმელები გარბიან.

— ათაბაგო, მტერი ბანაკს ტოვებს და იყრება! — შემოჰყო თავი სვანთა ერისთავმაც.

ივანე სწრაფად წამოდგა, ხმალს ხელი დაავლო, ხელისხელ საგოგმანები მარგალიტიც არ დავიწყნია, უბეში იგდო და გარეთ გამოვიდა. ამირსპასალარის კართან სარდლები შეგროვილიყვნენ, ყველანი გახარებული ჩანდნენ, ღელავდნენ და ერთიმეორეს ასწრებდნენ.

— უკვე დაიძრნენ ხვარაზმელები...

— კარვები აკეცეს და ჯოგი გაირეკეს.

ცხენებზე ამხედრებული ქართველთა სარდლები სათვალთვალო მაღლობზე გავიდნენ და გაოცებულნი დააცქერდნენ დაბლა გადაჭიმულ თვალუწვდენელ ველს.

ფეხის მტვრის სვეტი მაღლა ასულიყო და ნელ-ნელა მიირწეოდა. გრძლად გაჭიმული აღალი და ჯოგი კარგა შორს გასულიყო. ბანაკში ცეცხლს აჭრობდნენ და კარვებს კეცავდნენ.

— ვითომ მიდიან?.. — იეჭვნეულად იკითხა ამირსპასალარმა.

— ჯანდაბის გზაც ჰქონიათ! შინ

დაბრუნება და აბანოში ტანის დაბანა მეღირსება, ლამის ჭუჭყმა შემჭამოს!— წამოიძახა შანშე მანდატურთუხუცესმა.

ივანემ უკმაყოფილოდ გადახედა ძმისწულს, რაღაც მკვახედ უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა.

— ალბათ დადევნებისა ეშინიათ და ჯარი ჯერჯერობით მიტომ არ იყრება. — დაასკვნა ბაკურციხელმა.

— ჯარი ალბათ ღამის სიბნელეში აიყრება. არ უნდა დავედევნოთ? — იკითხა დადიანმა.

— რისთვის დავედევნოთ, სიმდიდრე მაგათ არ ექნებათ და ქონება, არც არა მოუტანიათ რა და არც არა მიაქვთ! — ბრძანა ივანემ.

— ჯოგი ჰყავთ ურიცხვი... — შეჰბედა სვანთა ერისთავმა.

— იმ ჯოგს უფრო ურიცხვი ჯარი მისდევს და ვაი თუ არც ისე იოლად დაგვანებონ. ჯოგი შენიც ბევრი გყავს, ერისთავო, გირჩევნია ის მოიხმარო ბედნიერებაში და სიკვდილ-სიცოცხლე სასწორზე სათუოდ არ შეაგდო.

— მართალს ბრძანებს ამირსპასალარი, ჯოგისთვის ძნელი და სათუო რომის აკიდება არა ღირს, ღვთივ, რაკი უომრად გვეხსნებიან.

— არა ღირს! — თქვა ივანემაც და სარდლებს გადასძახა: — ჩემს კარავში გიწვევთ ყველას დედოფლისა და უფლისწულის სადღეგრძელოს დასალევად. ბაჯი ჯიჰანის მორთმეული ღვინო მაქვს და ერთად დავლიოთ.

ყველანი სიამოვნებით დაეთანხმნენ. მხოლოდ ახალციხელებმა გადაულაპარაკეს რაღაც ერთიმეორეს და ამირსპასალარს სთხოვეს:

— თუ ნებას მოგვცემს ამირსპასალარი, ჩვენ აქ დავრჩებით მტრის მოძრაობის თვალის სადევნელად.

— მტრის თვალის მდევნებელი, თქვენს გარდა, სხვაც ბევრია, მაგრამ რაკი ჩვენთან ლხინი არა გსურთ, დარჩით, რა გაეწყობა, — დაეთანხმა ათაბაგი. ივანემ უკმაყოფილოდ შემოაბრუნა ცხენი, დანარჩენ სარდლებს გაუძღვა და თავისი კარვისკენ გაჰქანდა.

სარდლები სიცილითა და მხიარული ხორხოცით მიჰყვნენ ამირსპასალარს. მხოლოდ ძმები ახალციხელები დარჩნენ სათვალთვალო მაღლობზე, საეჭვო მოძრაობით შინაგანად—ორივენ ღაც შეშფოთებულები და დაეჭვებულები.

დაღამდა.

ბნელი, უმთვარო ღამე დადგა.

ძმები ახალციხელები მტრის ბანაკს თვალს არ აშორებდნენ, ამაოდ ცდილობდნენ წყვდიადში რაიმეს გარჩევას. სიბნელეში არაფერი ჩანდა, მაგრამ ხმაურისა და ჩოჩქოლის, ცხენების ჭიხვინისა და ცეცხლის მიხედვით უფრო იმის ფიქრი შეიძლებოდა, რომ მტრის ბანაკს კი არ აკლდებოდა, ემატებოდა, ჯარი კი არსად მიდიოდა, წინა ხაზისაკენ მოძრაობდა.

შალვამ სიფრთხილისათვის ცეცხლი ყველგან ჩააქრობინა, წინა ხაზზე დარაჯად მდგარი გუშაგების სიფხიზლე შეამოწმა. და კარავში მაინც შეშფოთებული დაბრუნდა.

— მეეჭვება, რომ ხვარაზმელები მიდიოდნენ, — ხმამაღლა გაამხილა თავისი ეჭვი შალვამ.

— წამსვლელები ჩუმად გაიპარებოდნენ, ბოლოს წინა ხაზიდანაც მოხსნიდნენ ჯარს, ეგენი კი, როგორც ეტყობა, ჯარს წინ სწევენ და უმატებენ.

— როგორა გგონია, მოსაჩვენრად, თვალის ასახვევად და შესაცდენად აჰყარა სულტანმა ბანაკი?

— სარწმუნოდ ვერ ვიტყვი, მაგრამ უფრო ეგრეა.

— თუ ასეა, დილით შემოგვიტევენ ხვარაზმელები. მაგრამ ვნახოთ... დილამდე ცოტა მაინც გამოვიძინოთ. მთავარსარდალი რომ დამიჯერებდეს, ხვალ დილას ერთი თვითონ ჩავუხტებოდი, ავშლიდი და გავფანტავდი, მაგრამ მხარგრძელთან ჩემი სათქმელი ვერ მითქვამს. ვიცი, მაშინვე იმას წამომძახებს, მტრის შეტევას მიტომ იჩქარი. შენს საპატრონო დვინს არბევენო. დვინი ჯანდაბას, მაგრამ ამდენ ხანს უმოქმედოდ დგომით ხვარაზმელებს

ჩვენს ძლიერებაში ეჭვს აღვუძრავთ, ნახავ, თუ თვითონ არ დაგვასწრებენ და არ შემოგვიტევენ.

— გუშაგები ფხიზლობენ?

— ფხიზლად არიან, ზოგი დაღლილი გამოვაცვლევინე...

— ჩვენი მიუსვლელობა ეწყინებოდა ივანეს, ზვიადია და ეჭვიანი.

— არა უშავს, ხვალ გავსწორდებით, ახლა კი წავიძინოთ... ძილი ნებისა.

— ძილი ნებისა...

ძმებმა თავი მიუდეს და მაშინვე დაეძინათ.

ჯალალედინი ჯარის დაწყობასა და საომრად მომზადებას ხელმძღვანელობდა, თან თვალი და ყური ქართველთა ბანაკისაკენ ჰქონდა. ერთხანს კოცონები ენთო ქართველთა მთავარ ბანაკში. სიმღერისა და ტაშის ხმა ცას სწვდებოდა. როგორც მოენეებისაგან შეიტყო, ჰაჯი ჯიჰანი მტრის ბანაკშია; სულტნის ჯაშუში, ჩანს, საქმეს აკეთებს; ჯალალედინის ცბიერებამაც გასჭრა, მტერს, ეტყობა, სჯერა, რომ ხვარაზმელები ნამდვილად იყრებიან და უომრად სტოვებენ გურჯების ქვეყანას. ალბათ, სულტნის გაქცევას ზეიმობენ ახლა ქართველები, მაგრამ აჩქარებულან და ხვალ ნახავენ, ვინ გაიქცევა და ვინ იზეიმებს გამარჯვებას.

მალე მტრის ბანაკიც დაწყნარდა, კოცონები ჩაქრა და სიმღერა მისწყდა. სულტანი თადარიგს მორჩა, თავისი კარავი შუაში დაადგმევინა, ცხენოსანი ჯარის განლაგებაში. ემირებს უბრძანა, მორიგეობით ეფხიზლათ გათენებამდე.

შემდეგ ილოცა და დაიძინა.

ემირებმა ბრძანება შეასრულეს.

ღამე რომ მიიწურა და სულტანი ფეხზე წამოდგა, ყველა ფხიზლად დახვდა. ჯალალედინმა ემირები მოიხმო და სიტყვით მიმართა: — „ეტყობა, მტერს ომი არა სურს და გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებას აჭიანურებს. ეს მათთვის ხელსაყრელია, რადგან თავიანთ სახლში სხედან, ჩვენ ურწმუნო გურჯებს გარდა, სხვაც ბევრი საქმე გვაქვს და ამიტომ უქმად აქ დგომა ხელს არ მოგვცემს. მტერი ჩვენს იერიშს არ მოელის. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, ვისარგებლოთ მოულოდნელობით, მოულოდნელად შევუტიოთ და მეხივით დავატყდეთ თავს ყოველი მხრიდან. თუ ქართველებიც თავის მხრივ ეცდებიან შემოგვიტიონ, ისრის სეტყვით შეაჩერეთ მათი შემოტევა. გახსოვდეთ მაჰმადის სიტყვები: „ოცმა ძალოვანმა კაცმა ორასი ურჯულო დასცეს. ასმა ათასი გააქციოს, რადგანაც ურჯულოები თვითონ ღმერთს მოუცია ჩვენთვის შესამუსრავად“, მაშ, ვეკვეთოთ ურწმუნოებს, ალაჰი ჩვენთან არის, იგი ბრძენია და უძლეველი!.

ცა მტრედისფრად იცრიცებოდა.

ცივმა ქარმა დაუბერა. მძინარ თორელს ტანზე ბუსუსები აეშალა, კბილი კბილს დააცემინა და თითქოს წელში გადატეხაო, ერთი გააზმორა. გააზმორა და გამოეღვიძა.

ხეირიანად თვალის გახელაც ვერ მოასწრო, რომ დაგუდული გმინვა ჩაესმა:

— ვაი-ოი-მეე!...

თურმანი წამოხტა, ყური მიუგდო, ხმლის ჩახაჩუხი და დაგორებული ქვების ხრიალი მოესმა. უცებ ბუკნაღარის ხმამ გააყრუა იქაურობა. თორელმა ახალციხელების კარვისკენ გაიხედა. ივანე ცხენზე ჯდებოდა და თან განკარგულებებს იძლეოდა. შალვა ცხენს მოაქროლებდა, ხმალს ჰაერში იქნევდა და ზარიანი ხმით რაღაცას გაჰკიოდა.

ერთ წამში წინამბრძოლთა მთელი ბანაკი ფეხზე იდგა.

— ალაჰ! ილ ალაჰ! — გაჰკიოდნენ ხვარაზმელები და მთებისკენ მოიწევდნენ გინებითა და წყევლა-კრულვით. ქარაფებზე ფეხს ძლივს იკიდებდნენ, ბუჩქებსა და კლდეებს ეპოტინებოდნენ და თან ხმალს იქნევდნენ.

როგორც ეტყობოდა, ალმართის დიდი ნაწილი უჩუმრად, მტრისთვის შეუმჩნევლად ამოეკლოთ და ახლა ისრის სეტყვის საფარქვეშ მაღლობზე ამოდიოდნენ. ცხვრის ფარასავით შეჰფენოდნენ და მთლიანად დაეფარათ ციცაბო ფერდობები.

ხვარაზმელთა მარცხენა ფრთა ჯალალედინის ძმის ყიასედინისა და ორხანის მეთაურობით გააფთრებით აწვებოდა ახალაშლილ, ჯერ კიდევ ძილისაგან გამოუფხიზლებელ ქართველებს.

მარჯვენა ფრთა ისარს აყრიდა და ისრის ეს ტყორცნა გაუვალი კედელი იყო, ისრის წვიმისა თუ სეტყვის მთლიანი კედელი, სადაც ერთი წერტილიც არ რჩებოდა დაუცხრილავი და ისარმოუხვედრელი.

ქართველებიც მარჯვედ აყრიდნენ ისარს, მაგრამ ბევრნი იყვნენ ხვარაზმელები და მათი ისარი გაუვალ საფრად მიუძღოდა წინ ორხანისა და ყიასედინის ქვეითებს.

ახალციხელების მოვარდნა და მთაზე ხვარაზმელების შეჩერება ერთი იყო. ბრძოლა შენივთდა და ხელჩართულ კვეთებაში ქართველებმა თანდათან დასწიეს მთის ნაპირისკენ ამდენი ვაი-ვაგლახით ამოსული ხვარაზმელები. შალვას გამოცდილ თვალს არ გამოპარვია მტრის უეცარი შედრეკა, „ჰკა მაგასო“, შესძახა და მთელი ძალით იქით მიაწვა, სადაც მტრის კედელი შეირყა, შექანდა და უკან გადაიხარა.

ყიასედინი და ორხანი ამაოდ უყვიროდნენ მეომრებს. ხვარაზმელთა მარჯვენა წვერი თანდათან მოშორდა მაღლობს, დამოკლდა და ფერდობზე დაცურება იწყო.

მაშინ მარცხენა ფრთა ამოიმართა მაღლობზე და ახლა თითქოს ზურგში დაუშინეს ქართველებს ისრის სეტყვა. შალვამ ივანეს გასძახა. უფროსი ძმა ქართველთა მოზრდილი რაზმით მარცხნივ შემობრუნდა და შეტევაზე გადმოსულებს ეკვეთა. აქაც ხელჩართული ბრძოლა გაიმართა და აქაც შეყოვნდა მტრის მოწოლა. ორივე წვერი მაღლობზე ფეხის მოსაკიდებლად იბრძოდა. ქართველები ცოტანი იყვნენ, მაგრამ კარგად იყენებდნენ თავიანთი განლაგების უპირატესობას, ზემოდან აწვებოდნენ და ადვილად უმკლავდებოდნენ ქვემოდან ძალიან წვალებით ამოსულ ხვარაზმელებს.

მაგრამ აი, მტრის შუაგული, უმთავრესი ჯარი დაიძრა თავათ ჯალალედინის წინამძღოლობით. თავით ფეხებამდე შეიარაღებული ცხენოსანი ლაშქარი ზათქითა და ყურისწამღები გრიალით წამოვიდა. შალვამ უკან გაიხედა. ქართველთა მთავარი ბანაკიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, მშველელი არ ჩანდა. მერამდენჯერ აფრინა კაცი მხარგრძელთან ამბის შესატყობინებლად და სასწრაფოდ მოშველების სათხოვნელად!

მთავარი იყო, ეს მძიმედ შეიარაღებული, მქროლავ რაშებზე ამხედრებული მტერი არ ამოსულიყო მაღლობზე, თორემ მერე მისი გამკლავება ძნელი იქნებოდა. თავისი ისედაც მცირერიცხოვანი ჯარიდან საუკეთესო ნაწილი შუაში დააყენა შალვამ და ახლა დაბლა დაეშვა ისრისა და დაგორებული ქვების სეტყვა.

ერთხანს გაუძლეს ქართველებმა დასვენებული, ერავალრიცხოვანი მტრის მოძალებას, მაგრამ მტრის ცხენოსანი ლაშქარი ყოველმხრივ გაიშალა, შუაგულს მოახყდა და ფრთებიდანაც შემოუარა.

მეტი გზა აღარ იყო, ქართველებს უკან უნდა დაეხიათ, რომ მტრის გარემოცვაში არ მოხვედრილიყვნენ. ბრძოლით, ფარ-ხმლის ჩახაჩუხით, ნელ-ნელა, მაგრამ მწყობრად დაიწიეს მესხებმა.

ივანე გაცეცხლებული მიეჭრა შალვას:

— რას გვიპირებენ ჩვენები, რამდენი კაცი გავუგზავნე მხარგრძელს და ჯერ ბაიბურიც არ ისმის!

— მეც კაცს კაცზე ვუგზავნი, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანს! — ხმლის ქნევით გამოსძახა შალვამ.

— ასე ჩვენ გაგვქელტენ! ჩვენი

თავი ჯანდაბას, მაგრამ თუ ამ მაღლობზე ფეხი მოიკიდეს, მერე ომი წაგებულია. მე თვითონ მივუხტები მხარგრძელს და შეტევაზე ძალით წამოვიყვან! — ესა თქვა ივანე ახალციხელმა, ცხენი უკან მიატრიალა და მთავარი ბანაკისკენ გაფრინდა.

მტერი კი აწვებოდა მესხებს უფრო მეტი დაჟინებითა და გააფთრებით. მაღლობი თანდათან ივსებოდა მტრის ქვეითითა და ცხენოსნით და ისედაც ერთი მუჭა ქართველობა ნელ-ნელა იძირებოდა, იკარგებოდა ხვარაზმელთა სიმრავლეში.

შალვა ახალციხელს ჯერ გული კიდევ მაგრა ჰქონდა. ქართველთა მაშველის შეგვიანებას ივანე მხარგრძელის სამხედრო ხერხით ხსნიდა — იქნებ ამირსპასალარს უნდა, რაც შეიძლება მეტი მტერი ამოიტყუოს მაღლობზე, რომ შემდეგ ერთბაშად დაარტყას და ჩვენც მაშინ ვიხსნას დაღუპვისაგან. იმედი რომ დაკარგული გვექნებაო. განა ასე არა ჰქნეს ქართველებმა თამარის დროს შამქორის სახელოვან ბრძოლაში? იქაც ხომ კინაღამ მოსპო მტერმა ქართველთა მეწინავე ჯარი და სწორედ მაშინ მოუსწრო მაშველმა ლაშქარმა, როცა ბრძოლის ბედი ბეწვზე ეკიდა.

ალბათ, ასე ანგარიშობს მხარგრძელიც, მაგრამ...

მაგრამ უკვე ყველაფერი თავდება, მტერი მაღლობზე გაიშალა და გაბატონდა, ერთ მუჭა ქართველებს ღონივრად უჭერს მარწუხებს და ნელ-ნელა თოვლივით დნება. ილევა ქართველთა წინამბრძოლი ჯარი. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იქნევენ ხმალს და გმირულად ეცემიან მესხეთის რჩეული ვაჟკაცები.

ივანე მაინც სადღა დაიკარგა, შალვას ძმა, კარის ამირა, ნუთუ მთავარ ბანაკამდე ვერც იმან მიაღწია? იმან ხომ იცის წინამბრძოლთა განსაცდელი, მხარგრძელი რომ არც წამოყვეს, დანარჩენ ქართველობას აშლის და მტერზე საიერიშოდ გამოუძღვება...

შალვას ცხენს შუბი აძგერეს ფაშვში, ცხენი წაიქცა და მხედარმა ძლივს მოასწრო გადმოხტომა. ქვეითად განაგრძობს შალვა ბრძოლას, მთვრალივით იქნევს მარჯვნივ და მარცხნივ ხმალს და საითაც ის მიბრუნდება, მტერი უკან იწევს. არც ჰხედავს შალვა, ვისა ჰკლავს, ვის ხვდება მისი მოქნეული ხმალი, რეტდასხმულივით ტრიალებს სისხლისაგან გაბრუებული ახალციხელი, ხმალს გამეტებით ურტყამს და თან ფიქრი არ ეშვება: „ნუთუ გასწირა მხარგრძელმა?! ნუთუ ახალციხელების შურითა და მტრობით ჩაიდენს ათაბაგი ამოდენა დანაშაულს ქვეყნისა და ხალხის წინაშე?! მაგრამ სხვა სარდლები? შალვას მამიდაშვილი ვარამ გაგელი, მისი ძველი თანამებრძოლი, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე ვარამ გაგელი როგორღა გასწირავს?! ან ეგარსლან ბაკურციხელი, მისი ერთგული და მინდობილი ვაჟკაცი, ან დადიანი ცოტნე—კაცი ქველი და პატიოსანი, ან... შალვას თვალები აუბრჭყვიალდა. მოიხედა, გვერდით თურმან თორელი ედგა, ისიც გააფთრებით იქნევდა ხმალს.

— შალვა! გაფრინდი მთავარ ბანაკში! ან მოჰკალი ათაბაგი, ან ჯარი მოაშველებინე! — შესძახა თორელმა.

მთავარი ბანაკისკენ გაფრენა უკვე აღარ შეიძლება, ვინმე ზურგში სტყორცნის ისარს და მერე იტყვიან. შალვა ახალციხელი ბრძოლის ველიდან გაიქცაო. შალვა ჯერ არც ბრძოლის ველიდან გაქცეულა და არც ზურგში ყოფილა დაჭრილი არასოდეს...

— შალვა! თავს უშველე! — განწირულად შეჰყვირა თურმან თორელმა და ახალციხელი წამით გამოფხიზლდა.

ცოცხლად დარჩენილმა მესხების მცირე რაზმმა მტერს ზურგი აქცია, გაქცევა თუ რკალიდან გასვლა სცადა. მტერმა დაინახა, რომ დროშა უკან მიიქცა, ყველას თავი ანებეს და მას მიჰყვნენ ჩეხვითა და კაფვით.

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

ცოტა ხნის მერე დროშა შეტორტმანდა, დაეცა.

შალვამ მარცხენა მკლავზე წაივლო ხელი. მკლავიდან სისხლი სქლად მოჟონავდა. სისხლიანი ხელი სახეზე მოისვა ახალციხელმა და თორელს საშინელი სახით მოხედა:

— სისხლი წაისვი სახეზე, მტერს მკვდარი ეგონები! — შესძახა თორელს და თავად მოცელილივით დაეშვა მკვდრებს შორის.

თორელი დაიხარა, დაუფიქრებლად ჩაჰყო ხელი სისხლის ტბორში და სახე მანაც ერთიანად სისხლით მოისვარა. ისიც მკვდარივით დაწვა მკვდრებს შორის.

მირბიან მტრის ქვეითები ყიჟინითა და ყივილით, მიჰქრიან ცხენოსნები ზარითა და კივილით და მკვდარსა და ცოცხალს აღარავინ არჩევს. აგერ ვიღაცამ ფეხით გადაუარა თორელს და ხმაჩახლეჩილი ყვირილით გაექანა წინ. აგერ ცხენის ფლოქვმა გაიელვა, ხორცის ნაფლეთები აჰყარა და სისხლის შხეფები ნაპერწკლებივით ბღუჯად გაჰყარა, კიდევ კარგი რომ ზედ არ გადაუარა.! მირბიან სულმოუთქმელად, ხმაჩახლეჩილი ყვირილით, ვაშას გრიალითა და ალაჰის ყივილით.

მიჰქრიან... მიჰქრიან ხმლების ქნევით, უზანგების ჟღარუნით, გაბმული კივილითა და გამაყრუებელი ყიჟინით. კაცთა ქლოშინი და ცხენთა ქშენა ერთმანეთში არეულა. როდის შეჩერდებიან, როდემდის უნდა ირბინონ და იქროლონ? ამდენ ხანს ქართველთა მთავარ ბანაკს გაცდებოდნენ კიდევაც ჩანს, იქ არ შეჩერებულან, ბრძოლა არ ყოფილა, თორემ ეს ყიჟინა და ხმაური ასე შორს არ იქნებოდა.

ახალციხელი ხმაურის ძალით საზღვრავს მტრის სიშორეს: იქ რომ ბრძოლა ყოფილიყო, სხვა ხმა მოვიდოდა მის ყურამდე — ომის ყიჟინა, ხელჩართული ბრძოლის გუგუნი სხვა არი, დაგუდული და შეგუბებული; ეს ხმა გამარჯვებულთა ყიჟინასა ჰგავს, მტერსდადევნებული ჯარის ვაშასა და ზარდამცემ კივილს.

მაშ რაღაც მოხდა ქართველთა მთავარ ბანაკში, რაღაც აუხსნელი, დიდი უბედურება დატრიალდა ... და ეს უბედურება მარტო ოთხი ... ... სიცოცხლედ კი არ დაუჯდება საქართველოს, იგი უფრო დიდი და საშინელი უბედურების დასაწყისი იქნება.

მზე სულ მაღლა ასულა ცის შუაგულზე. საშინლად ახურებს აგვისტოს ცხელი მზე, სხივებით ჩხვლეტს თორელსა და დახუჭულ თვალებში ულიტინებს.

ხმაური მისწყდა, მხოლოდ დაჭრილების კვნესაღა ისმის.

— რისთვის გადავირჩინეთ თავი, შალვა, ვაი ამისთანა სიცოცხლეს! — ამოიჩურჩულა თვალდახუჭულმა თორელმა.

— არა, თურმან, ახლა გადარჩენა ისე მინდოდა, როგორც არც ერთ ომში, როგორც არასდროს! ისე არ მინდოდა მოვმკვდარიყავი, ჩვენი განწირვის მიზეზი არ გამეგო. თუ როგორმე სიკვდილს ან ტყვეობას გადვურჩი, მიწაში რომ ჩაძვრეს, იქ მოვძებნი მოღალატესა და ქვეყნის გამყიდველს, კბილებით დავგლეჯ ჩვენს დამღუპველს, ვინც უნდა იყოს იგი. სულ ერთია, მხარგრძელი იქნება თუ...

ახალციხელმა ბრაზისაგან ტუჩებზე იკბინა, ერთი ისე ამოიოხრა, თითქოს ქვეყნის ჯავრი ამოაყოლაო და გაყუჩდა.

წინამბრძოლების სიმტკიცე რომ გასტეხეს, ხვარაზმელებმა მაშინვე ქართველთა მთავარ ბანაკს შეუტიეს. ბანაკი აიშალა, აირია და ერთბაშად ზურგი აჩვენა მტერს. მეთაურები ამაოდ ცდილობდნენ გაქცეული ლაშქრის შეკავებასა და შემობრუნებას.

მეხდამტყდარივით გარბოდნენ შეშინებულები, ერთიმეორეს ასწრებდნენ და ხნარცვებსა და უფსკრულებში ცვიოდნენ გულგახეთქილები. ხვარაზმელი ცხენოსნები ყიჟინითა და ზარით მისდევდნენ გაფანტულსა და დამფრთ-

ხალ ქართველებს, უწყალოდ კაფავდნენ ხმლით, ხევში ყრიდნენ და ზოგსაც ტყვედ მოერეკებოდნენ.

ჯალალედინმა ბრძანა დევნა მანამ გაეგრძელებინათ, ვიდრე ქართველების ჭაჭანება სადმე შეხვდებოდათ.

ოთხი ათასზე მეტი ქართველი იწვა ბრძოლის ველზე, ხრამებში დახოცილებსა და გზაში აკაფულებს ხომ ანგარიში აღარ ჰქონდა. მტერმა უამრავი ტყვე იგდო ხელთ და ნადავლიც ურიცხვი დარჩა.

ჯალალედინმა ბრძოლის ველს ცხენით შემოუარა, აწ უკვე დაშლილ ქართველთა გამაგრებულ ბანაკს დააცქერდა და თავი გადააქნია:

— ამგვარი გამარჯვება მხოლოდ განგებას შეეძლო მოენიჭებინა. ამოდენა მტრის დამარცხება და ასეთი სიმაგრის აღება ადამიანის ძალღონეს აღემატება!

ეს ბრძანა სულტანმა და ალაჰს მადლობა შესწირა ძლევის მინიჭებისათვის.

მერე მაღლობზე კარავი გაამართვინა და ალაფისა და ტყვეების მისათვლელად დაბრძანდა.

ნაშუადღევის მზე მწარედ იკბინებოდა. ბუზები ეხვეოდნენ თორელს სახეზე. ხელი რა არი, უბრალოდ ხელსაც ვერ იქნევდა მოსაგერიებლად, ვერც სახის ნაკვთებს არხევდა და იტანჯებოდა ვაჟკაცი.

აგერ, ერთი ბუზი ულვაშზე დააფრინდა, დასეირნობს და უღიტინებს. რად არ უღირს ახლა თორელს ხელის ერთი აქნევა ან მაგრად დაცემინება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ომის ყიჟინა მისწყდა, ბრძოლის ველზე ხვარაზმელები გამოეფინენ, მკვდრებს ძარცვავენ და ცოცხლებს ატყვევებენ. თორელს ხელის ერთი აქნევა კი არა, უბრალო შერხევაც კი ამ მძარცველების ყურადღებას მიიპყრობს, თავათაც დაიღუპება და შალვასაც განსაცდელში ჩააგდებს.

თორელზე ნაკლებად როდი იტანჯება ახალციხელი. მასაც ისე დახვევია ბუზი, თითქოს თაფლი ეცხოს პირსახეზე. უწყალოდ კბენენ და აწამებენ, მაგრამ შალვა უდრტვინველად ითმენს და უძლებს. მოჭრილ ხესავით ... ამოდენა ვაჟკაცი მკვდრებს შორის და მართლა მკვდარივით გაშოტილი, არა თუ ინძრევა, ისე შეკავებულად სუნთქავს, თითქოს სულაც არ ითქვამდეს სულს.

მძარცველებმა აუარ-ჩაუარეს. ეგერ ვიღაცას სატევარი ააგლიჯეს, რომელიღაცას ტანთ გახადეს და ფეხსაცმელი გააძრეს.

ის იყო, უნდა შებრუნებულიყვნენ და გაცლოდნენ, რომ ერთ მათგანს ფეხი წამოედო, წინ გაიწია და დაეცა. დაცემულის თავი ზედ ახალციხელის მკერდზე აღმოჩნდა. სანამ წამოიწევდა, გაოცებით დააღო პირი: მის ყურქვეშ მძლავრ მკერდს აჩქარებით გაჰქონდა ბაგაბუგი.

თორელმა ოდნავ გამოიჭყიტა, ძლივს გახსნილი წამწამებიდან: ახალციხელის მკერდზე პირტიტველა ბიჭი გატრუნულიყო, ყურს უგდებდა ქართველი ვაჟკაცის გულისძგერას და თან ხელით ანიშნებდა თავისიანებს, აქ მოდითო.

— რა იყო, ცოცხალია, განა?

ჰკითხა მოახლოებულმა ხვარაზმელმა, პასუხს არ დაელოდა, ახალციხელის ბრგე სხეული თავით ფეხებამდე შეათვალიერა და თავის ქნევით თქვა:

— რამოდენა მხეცია! დიდებული უნდა იყოს, ჩაცმულობაზე ეტყობა.

— ცოცხალია! ნამდვილად დიდი დიდებულია! — დაასკვნა პირტიტველამაც, მუხლებზე წამოიწია და ახალციხელს დააკვირდა.

— სადღაც შემხვედრია ეს კაცი... სადღაც მინახავს... ეს ნახმლევიც მეცნობა მარცხენა ლოყაზე... — თავის თავს ელაპარაკება პირტიტველა, შავგრიმანი ბიჭი. თავისივე კალთით გადაწმინდა ბიჭმა სისხლი სახიდან და რომ დახედა, გველნაკბენივით შეხტა, შეშინებულმა უკან დაიწია.

გრიგოლ აბაშიძე

დიდი ღამე

— შალვა ახალციხელი, ალაჰის მადლმა, ის არი, შალვა ახალციხელია! — წამოიყვირა შეშინებულმა, მაგრამ უზომოდ გახარებულმა.

— ვინ არიო? — ჩაუგდებლად იკითხა მეორემ.

— ქართველთა უდიდესი სარდალი და დიდებული, მათი მეფის მარჯვენა ხელი, შალვა ახლციხელია!

— გამიგონია! — თქვა მეორემ. — გამიგონია, მაგრამ ვითომ არა ცდები? ნამდვილად ის არის?

— არ ვცდები, ალაჰის მადლმა, როგორ შემეშლება, მაგან გააპო შუაზე მამაჩემი ნახჩევანში, ციხის აღებისას.

— მერე შენ იქ რა გინდოდა?

— მთელი ჩვენი ოჯახი იქ იყო, მტერს ისე მალე არ ელოდა და მამამ გახიზვნა ვერ მოასწრო. ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ მოუქნია მამაჩემმა ხმალი, მაგრამ ამ რჯულძაღლმა დაასწრო, თავში დაჰკრა და შუაზე გაჰკვეთა.

— ძვირფასი ქამარი არტყია, მაგრამ ქარქაში რომ ცარიელია? — დანანებით ამბობს ხვარაზმელი, რომელიც ტყვის ტანსაცმელსა და იარაღს უკვე მუშტრის თვალით ათვალიერებს.

— ხმალი აგერ გდია, ვადაში გადამტყდარი, — თვალით ანიშნებს ნახჩევანელი ბიჭი, — გამიგონია, ეგ ისეთი მეომარი ყოფილა, ომიდან ისე არ გამოვიდოდა, ორი ხმალი მაინც რომ არ გასტეხოდა თურმე.

ნახჩევანელი ბიჭი გრძელ ბაწარს თუ ღვედს იღებს და ხვარაზმელს თვალით ანიშნებს. ხვარაზმელი რაღაცას არ ეთანხმება, ხელებით ედავება, მაგრამ ეტყობა ნახჩევანელმა დაარწმუნა, რომ ქართველთა ესოდენ სახელოვანი სარდლის სულტანთან ტყვედ მიყვანა გაცილებით მეტ სარგებელს მოუტანდა ორთავეს, ვიდრე მისი გაძარცვა და მოკვლა.

ხვარაზმელი დაჰყვა ნახჩევნელის ნება-სურვილს და შალვამ იგრძნო, რომ ხელებზე რაღაც მჭიდროდ ეხვევა და თანდათან უჭერს. ერთი რომ წამოიწიოს, იმ ბუზებივით გაჰფანტავს საცოდავ მძარცველებს, მაგრამ რა აზრი აქვს მათგან დასხლტომას, სულერთია, აქედან მაინც ვეღარსაფ[illegible] ხვარაზმელთა ტყვეობას[illegible] ჩება ახალციხელი.

ისე შეკრეს, ერთიც არ განძრეულა შალვა. ის იყო, უნდა წამოეყენებინათ და წინ გაეგდოთ, რომ იქვე გვერდით ვიღაცას ოხვრა აღმოხდა. მოიხედეს, სისხლით სახემოსვრილი მეორე ქართველი ტკივილისა თუ გამწარებისაგან ტუჩებს იკვნეტდა.

მძარცველები უსიტყვოდ, ისევ თვალებით გამოელაპარაკნენ ერთიმეორეს და უსიტყვოდვე მორიგდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ორივ თორელი ხელგაბაწრული მიჰყავდათ სულტნის კარავისკენ.

სულტნის კარვის წინ უამრავმა ტყვემ ჩაიარა. ჯალალედინი დიდებულებს თითო-ოროლა სიტყვას ეუბნებოდა, მათ ვინაობას კითხულობდა და საპყრობილეში გასაგზავნად ცალკე უყრიდა თავს. უბრალო მეომრებს, უგვაროებსა და მდაბიო ღარიბებს ადარბადაგანის ბაზრებისკენ გზავნიდა გასასყიდად.

სულტანთან მისი ძმა ყიასედინი მივიდა.

— ქართველთა უდიდესი დიდებული და მეფის მარჯვენა ხელი შეუპყრია ჩემს ძიძისშვილს, — მოახსენა ხმადაბლა.

— რომელი დიდებული? — გამოცოცხლდა ჯალალედინი.

— შალვა ახალციხელი, ქართველთა მეფის ვაზირი და უპირველესი სარდალი.

ახალციხელის გაგონებაზე ჯალალედინის ამალაში მყოფმა ადარბადაგანელებმა ხელები ცისკენ აღაპყრეს.

— დიდება ალაჰს!

— ალაჰი დიდია და მუდამ ასე სამართლიანად მიაგებს სამაგიეროს ბოროტსა და ურჯულოს!

აღმოხდათ გახარებულებს.

ათაბაგ უზბეგის ერთი ვაზირყოფილთაგანი სულტანს მიეახლა, მუხლზე დავარდა და შეევედრა:

— სამაგიერო მიაგე, ხელმწიფევ, ახალციხელს. ეგ იყო ურწმუნოთა შორის უსასტიკესი, მუსულმანთა შემჭირვებელი და გამმწარებელი!

— ძლიერი მეომარი იყო განა? — იკითხა ჯალალედინმა.

— ძლიერი, უძლეველი მეომარი! — დაუმოწმა ნავაზირალმა, — მაგრამ მარტო ბრძოლის ველზე როდი იყო ეგ გიაური სასტიკი და ულმობელი! ერთხელ ჩემმა პატრონმა, ათაბაგმა უზბეგმა წარმგზავნა ქართველების წინაშე ელჩად. მეფესთან არ შემიშვეს და შალვამ მიმიღო, როგორც მეფის ვაზირმა. მე თავაზიანად გადავეცი ათაბაგის თხოვნა, ხელი აეღოთ ადარბადაგანის რბევასა და მუსულმანების შევიწროებაზე, რადგან მორწმუნეთა მეუფე ალი ამ ხალხის შვილი იყო. ახალციხელმა სიტყვის დასრულება არ მაცალა, წვერში ხელი წამავლო და მიყვირა: თავად ალისაც ასევე დავაგლეჯდი წვერს, ხელთ რომ ჩამვარდნოდა, თქვენ ყველანი ურჯულოები ხართ, უწმინდურები და ღვთის მგმობლები, თქვენი სინსილა უნდა გაწყდეს, თორემ საქართველო ვერ მოისვენებსო...

ჯალალედინმა შუბლი შეიჭმუხნა.

— მოდის!..

— მოჰყავთ!..

შეიქნა ჩურჩული და სულტანმა იქით გაიხედა, საიდანაც ტყვეები მოედინებოდნენ.

გახედვისთანავე გაეღიმა და შუბლი გაეხსნა: პირტიტველა ბიჭს წინ ტანბრგე ბუმბერაზი გაეგდო; ახოვანი ტყვე თავდახრილი მოაბიჯებდა; ხელები ზურგზე ჰქონდა ბაწრით გაკრული და იმ ბაწრის ბოლო ყიასედინის ნახჩევანელ ძიძისშვილს, პირტიტველა ბიჭს ჩაებღუჯა ხელში.

მართლაც სასაცილო სანახაობა იყო: დევის ოდენა კაცი თითის ტოლა ბიჭს მოჰყავდა შეპყრობილი.

მათ უკან თორელი მოაბიჯებდა, ისიც ხელგაბაწრული. თორელს ახმახი ხვარაზმელი მოსდევდა, თვალს აქეთ-იქით აცეცებდა და ბაწრის ბოლოს ორივე ხელით ისე მაგრად ჩაფრენილი და, ეტყობოდა, მთელ თავის მოკვალას იმ ტყვის ფასზე ამყარებდა.

ახალციხელი სულტანს მიუახლოვდა. შეჩერდა.

— სად არის შენი უძლეველობა, რომლითაც ასე ამაყობდი? სად არის შენი ბასრი ხმალი, რომელსაც ცეცხლს აყრევინებდი, ან მახვილი რა უყავ, რომლითაც კლდეს აპობდი თურმე?! — მიმართა ჯალალედინმა შალვას და სახეზე ღიმილი აუთამაშდა. ამ ღიმილით ბედის სიმუხთლესა და სოფლის დიდების ამაოებას უფრო დასცინოდა სულტანი, ვიდრე დამარცხებული გმირის უღონობას. თავად უბადლო მეომარი, ჯალალედინი ღირსეულად აფასებდა მტრის ვაჟკაცობას და ახლაც, როცა ამ სახელოვანსა და დიდებულ ეპრძოლს ხედავდა პატივაყრილსა და დაჭკირებულს, სადღაც თავის თავზედაც ფიქრობდა: რამდენჯერ შეიძლებოდა თავათაც ამ ყოფაში ჩავარდნილიყო, რამდენჯერ გადარჩენია ბეწვზე ტყვეობასა და მტრისაგან დამცირებას

— ომი ნარდის მღერასა ჰგავს, დიდებულო ხელმწიფევ! — თავდახრით მოახსენა მწარედ გაღიმებულმა ახალციხელმა. — ხან მოიგებ და ხან წააგებ, ხან ერთის ბედი სჭრის, ხან მეორესი. გუშინ ჩვენი ვარსკვლავი ბრწყინავდა, დღეს შენ მოგცა განგებამ ძლევა და შენი ვარსკვლავი გააბრწყინა ბედნიერად.

სულტანს მოეწონა ახალციხელის ნათქვამი. უბედურების ჟამს შალვას სულიერი წონასწორობა არ დაეკარგა და გულგრილად უყურებდა მას, რისი თავიდან აცილებისთვისაც ასე თავგანწირვით იბრძოლა, მაგრამ რისი გამოსწორებაც უკვე აღარ შეიძლებოდა.

აი, ასეთი მტკიცე ხასიათის ვაჟკაცები ახდენენ სასწაულებს, ხასიათის ამ-

---

გვარმა სიმტკიცემ ააღებინა ხელახლა ხმალი ჯალალედინსაც, როცა მტერს სინდის ტალღებში დაუსხლტა და ყველაფერი თითქოს საბოლოოდ წაგებული ჩანდა. და განა მარტო სინდთან?..

ჯალალედინი დაფიქრდა: ქართველებს მხოლოდ ერთ დიდ ბრძოლაში სძლია და მათი ძლიერება, ალბათ, საფუძვლიანად შეარყია. მაგრამ ქართველთა სატახტომდე, დედაქალაქ თბილისამდე ჯერ კიდევ გრძელი და ძნელი გზა არის, გურჯების ქვეყანა ღონიერი და მდიდარია, ისინი კიდევ შეკრებენ დიდ ლაშქარს და სულტანსაც არა ერთი მძიმე ომის გადახდა დასჭირდება მათი წინააღმდეგობის გასატეხად ვიწრო ხეობებსა და მიუვალ მთებში.

მიზნის მისაღწევად ხომ მარტო ხმალი არ მოუცია ღმერთს და სადაც ალაჰის მახვილი არა სჭრის, იქნებ იქ ეშმაკის ჭკუამ გასჭრას! ორივე შემთხვევაში ქართველთა უპირველესი სარდლისა და ვაზირის სამსახური და თანადგომა ფასდაუდებელი იქნება ჯალალედინისათვის და...

სულტანმა გადაწყვიტა, ახალციხელისათვის სიცოცხლე ეჩუქებინა, შესაფერისი პატივი მიეგო და თავის სამსახურში გადაებირებინა.

— გაუხსენით ხელები! — ბრძანა სულტანმა.

მაშინვე რამდენიმე კაცი მიცვივდა და ახალციხელს ხელები გაუხსნეს.

ახალციხელმა ხელები გაშალა და ერთი გრძლად ამოისუნთქა.

— მონგოლებთან ომში გიბრძოლია, თავადო? — ჰკითხა ჯალალედინმა.

— ორგზის პირისპირ ვმდგარვარ მუღალთა წინაშე და სასტიკ ბრძოლაში მძიმედაც დავჭრილვარ.

— როგორი მეომრები არიან მონგოლები, შეიძლება თუ არა მათი დამარცხება?

— დამარცხება ყოველი მტრისა შეიძლება, ხელმწიფევ, თუ მაღალი ღმერთი მოგცემს ძლევას.

— მართალია, თავადო, ძლევის მოცემა მხოლოდ მაღალ ღმერთს შეუძლია, გამარჯვება მხოლოდ ალაჰის ხელთ არის! — დაეთანხმა სულტანი. ფეხზე წამოდგა და თვალი [illegible] მოჭუტა, მერე ახალციხელს [illegible] და ღიმილით უთხრა:

— დღეიდან ხვარაზმის სულტნის ემირი იქნები. მამულსა და ყმას უმეტესს გიბოძებთ, ვიდრე შენს ქვეყანაში გქონდა. ერთგული სამსახურისათვის კვლავაც არ მოგაკლებთ ჩვენს ნიჭსა და წყალობას და თავად გამოცდი, რომ ალაჰი დიდია და მოწყალე მათთვის, ვინც თავის შეცოდებას შეინანებს.

ახალციხელმა დაიჩოქა და მადლი შესწირა დიდსულოვან სულტანს.

— მოუსვენეთ კარავში, ვითარცა ღირსეულ ემირს და მიუჩინეთ მსახური და ყმანი, როგორც მის კეთილშობილებას შეეფერის, — ბრძანა სულტანმა და ახალციხელი ფეხზე წამოაყენა.

სულტნის ორი კარისკაცი კარვისკენ წაუძღვა ახალციხელს.

შალვამ წამით უკან მოიხედა: აბმახ ხვარაზმელს თორელი სულტნისკენ მიჰყავდა.

ჯალალედინს თვალი ახალციხელისკენ ჰქონდა და ემირებს რაღაცას ჩურჩულით ეთათბირებოდა. შალვა შემობრუნდა სულტნისკენ და მუხლზე დავარდა:

— მოწყალეო ხელმწიფევ, აჩუქე ამ ტყვესაც სიცოცხლე, — ხელი თორელისაკენ გაიწოდა, — იგი ბიძაშვილია ჩემი, ქვეყნის საქმეებში არასოდეს გარეულა და არავითარი ბრალი არ მიუძღვის მუსულმანთა შეჭირვებაში, რადგან ქართველთა მეფის კარის მგოსანია მხოლოდ.

ჯალალედინმა შუბლი შეიკრა და მკაცრად გახედა ახალციხელს. შალვამ შეატყო, სულტანს არ ესიამოვნა მისი თავგამოდება, მიხვდა, რომ მისი თხოვნით არა გამოვიდოდა რა, თავი დახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-რა, ნელა წამოდგა და ფეხისთრევით მიჰყვა თავის გამცილებლებს.

ჯალალედინის წინ მაღალი, სანდომიანი შესახედაობის ვაჟკაცი გაჩერდა. წვრილი წელი გაწყვეტაზე ჰქონდა, თუმცა მხარბეჭის სიფართოვე არ აკლდა, მაინც სუსტი და ნაზი ჩანდა.

— გაუხსენით ხელები, — გულცივად ბრძანა სულტანმა.

იმწამსვე თოკი შეხსნეს და ხელები გაუთავისუფლეს.

ჯალალედინი თორელის ხელებს მიაჩერდა: თხელი, ნატიფი თითები თოკის ნაჭდევებისაგან დაწითლებოდა თურმანს. თითები რამდენჯერმე გაშალა და მოღუნა. ხელები თეთრი ჰქონდა თორელს და სულტანს ენიშნა, ასეთი ხელები მხოლოდ წიგნისა და კალმის ხალხს აქვთ, მათ, ვინც დღის მეტ ნაწილს ოთახში ატარებს მაგიდასთან. მეომრებისა და ციწის მუშების ხელები მზითაა ხოლმე გაშავებული და გატლანქებული.

— ცუდად ყოფილა ქართველთა მეფის საქმე, რაკი ომში კარის მგოსნებიც გამოჰყავს. შეხსენით ქამარ-ხანჯალი, მაგისთვის მაინც ზედმეტი ტვირთია! — სიცილით თქვა სულტანმა.

ქამარი შეხსნეს თორელს და მაშინვე უბეს ნადები წიგნი დავარდა ძირს.

სულტნის უკან მჯდარი. მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი, დავთარში რომ ტყვეებსა და ალაფს იწერდა, ფეხზე წამოდგა, კისერი წაიგრძელა და წიგნს დააცქერდა. მერე წინ გამოვიდა. მბრძანებლისაგან ნებართვა ითხოვა და ძირს დავარდნილ წიგნს დასწვდა. გაოცებითა და აღტაცებით ფურცლავდა წიგნს. ლამაზი ხელით წვრილად ნაწერს ხარბად დასცქეროდა და მოწონებით თუ აღფრთოვანებით თავს აქნევდა.

— რა წიგნია, მოჰამედ? — იკითხა სულტანმა.

— არაბი და სპარსელი მგოსნების დივანია, დიდის ცოდნითა და გემოვნებით შერჩეული! — მოახსენა სულტანს მისი კარის დივანის უფროსმა მოჰამედ ნესევიმ და წიგნი მოწიწებით გადასცა.

სულტანმა დაუდევრად გადაფურცლა წიგნი, არაბულ ასოებს თვალი ზერელად გააყოლა და ისევ ნესევისკენ გაიწოდა.

— სპარსული იცი? — ჰკითხა ტყვეს სულტანმა.

— ვიცი, ხელმწიფევ, — სპარსულადვე მიუგო თორელმა.

— არაბული? — ისევ გულგრილად ჰკითხა სულტანმა.

— არაბულიც, აგრეთვე, ვკითხულობ და მესმის, — მიუგო თორელმა.

სულტანმა ცოტა არ იყოს გაოცებით გადახედა ნესევის.

— თუ არაბული იცი, რატომ ყურანი არ წაგიკითხავს?

— წამიკითხავს და არა ერთხელაც, ხელმწიფევ.

— მერე რატომ მაჰმადის რჯული არ იწამე, ან მორწმუნეებზე ხმალი როგორ ამართე? — შეუტია სულტანმა.

თორელმა ამოიოხრა. ბრაზი რომ შეეკავებინა, თავი დაღუნა და დადუმდა.

ნესევი ჩოქვით მიუახლოვდა სულტანს, რაღაც ჩურჩულით უთხრა.

— თურქულიც იცი? — შეუღრინა სულტანმა ისევ თორელს.

— არა, თურქული არ ვიცი, — გააქნია თავი უარის ნიშნად თორელმა.

— თავად რა ენაზე სწერ ლექსებს, სპარსულად თუ არაბულად? — ჰკითხა სულტანმა.

— მე ქართველი ვარ და მხოლოდ ქართულად ვწერ, — ცივად მიუგო თორელმა.

— როგორ? — გაოცდა სულტანი.— სპარსულისა და არაბულის გარდა სხვა ენაზეც შეიძლება ლექსის წერა? მერე ვინ კითხულობს შენს ლექსებს?

— ქართველები კითხულობენ, — მშვიდად წარმოთქვა თორელმა.

— ჰმ! ქართველები! რამდენი ხართ ეგ ქართველები! რაღაც ერთი მუჭა, ზღვაში წვეთი არა ხართ და თავი კი დიდად მოგაქვთ. ვინ გაიგებს შენს დაწერილს შენი ქართველების მეტი!

აი შენ სპარსული და არაბული გცოდნია, ჭკუა რომ გქონოდა, ამ ენებზე უნდა გეწერა, სპარსულად ან არაბულად.

— სპარსულად და არაბულად სპარსელები და არაბები წერენ, მე კი ქართველი ვარ და ქართულად ვწერ, — მედიდურად თქვა თორელმა.

სულტანმა გაკვირვებითა და თანაცოტა არ იყოს, გაჯავრებით შეხედა თორელს.

— კარგი... კარგი... გეყოფა! შენი ბედი, რომ ჩვენს მდივანს, — ხელით ნესევიზე ანიშნა, — ლექსები ყველაფერს ურჩევნია და ჩვენც მისი დიდი ხათრი გვაქვს თავდადებისა და ერთგული სამსახურის გამო. მან შენი თავი გვთხოვა და სიცოცხლე რომ გაჩუქეთ, მას უნდა უმადლოდე.

ნესევიმ სულტანს თავი მდაბლად დაუკრა, კალთაზე ემთხვია და მსახურების თანხლებით თორელი თავისი კარვისკენ გაგზავნა.

ალაფისა და ტყვეების მითვლასა და გაწესრიგებას რომ მორჩა, სულტანმა სუფრა გააშლევინა და ამ უჩვეულო ბრძოლაში განსაკუთრებით თავგამოჩენილ ემირებთან ერთად პურ-ღვინოს შეექცა. სულტანი კარგ გუნებაზე იყო, ბრძოლის სიცხარესა და ხვარაზმელთა ვაჟკაცობაზე დაუსრულებლად ლაპარაკობდა და ქებას ასხამდა იმ ემირებს, რომელთაც მტრის სიმტკიცე საკუთარი მკერდით გასტეხეს.

პურობაზე მარჯვენა ფრთის მეთაური ემირები არ იყვნენ. ჯალალედინს მაშინვე შეემჩნია, რომ ისინი უგულოდ, უცეცხლოდ იბრძოდნენ და ქართველთა ერთი მოძალებისას კინაღამ ზურგიც აჩვენეს მტერს.

ჯალალედინის ნათქვამი სხვა ემირებმაც დაადასტურეს. სხვა დროს, ალბათ, მკაცრად გაუსწორდებოდა მათ ჯალალედინი, მაგრამ ახლა, როცა ესოდენ მნიშვნელოვანი გამარჯვება მათი საეჭვო მოქმედების მიუხედავადაც მიღწეული იყო, სულტანმა დიდსულოვნება გამოიჩინა და დამნაშავეებს დანაშაულის გამოსყიდვის საშუალება მისცა. ორხანი მიუგზავნა და ეს პირობა მეუთვალა:

— ჩვენ გვაქვს თქვენი ტრელობისა და უმოქმედობის ნამდვილი დამამტკიცებელი საბუთები. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ამ უკანასკნელ ბრძოლაში თქვენ გადაწყვეტილი გქონდათ ცხენები უკან შემოგებრუნებინათ მაშინ, როცა ქართველებმა თქვენზე იერიში მოიტანეს. მაგრამ შემდეგ, როცა ალაჰმა ჩვენ მოგვცა ძლევა და ურწმუნოების სასტიკი დასჯა დაგვაკისრა, ჩვენ დიდსულოვნებას გამოვიჩენთ და ამ სიმუხთლეს მოგიტევებთ, იმ პირობით, თუ თქვენ ქართველთა ქვეყანას ძირფესვიანად მოაოხრებთ და იქ ჩემს მოსვლამდე ფეხს მტკიცედ მოიკიდებთ.

შეშინებული, დამნაშავე ემირები პატიებას შემოეხვეწნენ და დანაშაულის გამოსყიდვისათვის მზადყოფნა ფიცით შემოუთვალეს სულტანს.

ჯალალედინმა საქართველოს ასაკლებად გაგზავნილ მხედრობას თავისი ძმა ყიასედინი უსარდლა, ლაშქრის ერთი ნაწილი ისევ დვინის მხარეს შეუსია და თავათ სასწრაფოდ თავრეზისკენ გაეშურა.

საქართველოსკენ წამოსული ჯალალედინი ჯერ კიდევ ადარბადაგანს არ იყო გაშორებული, როცა თავისი ვაზირის, თავრეზის გამგებლად დატოვებული შერეფ ელ მოლკის მალემსრბოლი დაეწია.

თავრეზის მმართველი ვაზირი მეტად დამაფიქრებელ საიდუმლოს ატყობინებდა: ქალაქის მოურავი და თავრეზის პირველკაცთაგანი ეტ-ტოღრაი შეთქმულიყვნენ, ხვარაზმელთა განდევნა და ათაბაგ უზბეგისათვის თავრეზის დაბრუნება გადაეწყვიტათ; შეთქმულებს უზბეგისათვის მოციქულები გაეგზავნათ, რათა ჯალალედინის წინააღმდეგ გამოსულიყო; აქ იმედი ჰქონდათ, რომ საქართველოზე გამოლაშქრებული

სულტანი ქართველთა და ადარბადაგანელთა გაერთიანებულ ძალას ვერ გაუმკლავდებოდა, თუ ზურგში უზბეგი დაჰკრავდა. დამარცხებული სულტანი იძულებული იქნებოდა ადარბადაგანიდან გაქცეულიყო.

შერეფ ელ მოლკის ეს ცნობა რომ მიიღო სულტანმა, საიდუმლო დაიმარხა და კაცს არ გაანდო, რადგან ქართველებთან დიდ ომს ელოდა და ამ ამბის გამეღავნება მის ლაშქარს გამარჯვების რწმენას შეურყევდა.

ახლა, როცა ქართველებს სძლია, ჯალალედინს ისღა რჩებოდა, თავრეზელი შეთქმულები დაესაჯა და ადარბადაგანელებისათვისაც ლომის ბრჭყალები ეჩვენებინა.

სულტანმა გამარჯვების მახარობელს თავრეზისკენ ქართველ ტყვეთა გრძელი ქარავანი გააყოლა და თან დახოცილი მტრების მოჭრილი თავებიც გაატანა.

მალე თავად სულტანიც მივიდა თავრეზს და მაშინვე შეთქმულთა საქმის გამოძიებას შეუდგა.

საქართველოს სატახტოში უფლისწულის დაბადებისა და დედოფლის ბედნიერად მორჩენის გამო ზეიმი გრძელდებოდა. სასახლის წინ უამრავი ხალხი იყრიდა თავს, დედოფლისა და უფლისწულის ჯანმრთელობას კითხულობდნენ, კარგი ამბით გახარებულნი ქუჩებს ეფინებოდნენ, ქეიფობდნენ და ღრეობდნენ.

ღვინო და პური სირაჯხანებსა და თონეებში უფასოდ რიგდებოდა, გამვლელ-გამომვლელი გვირგვინოსანთა ძღობას ლოცავდა, სახიობნი და მემუსიკენი მოედნებზე ხალხს სანახაობითა და მუსიკით ართობდნენ, უბან-უბან ბერიკები დადიოდნენ და შუაღამემდე არ წყდებოდა ანთებული ჟინჟღილებით მოარულთა სიმღერა.

სახელოსნოები და ქულბაქები, ბაზრები და სავაჭროები დაკეტილი იყო. დედაქალაქში ყოველგვარი საქმიანობა შეეწყვიტათ და დაევიწყებინათ. ეკლესიებში მლოცველები ღმერთს დედოფლისა და უფლისწულის ბედნიერებას ავედრებდნენ, ძელს განუწყვეტლად სცემდნენ და სატახტოს დიდ[illegible] პატარა ზარები შეწყობილად [illegible]ნენ ბანს ერთიმეორეს.

ორ დღეს გაგრძელდა ძღობის ზეიმი, მთელი საქართველო სიხარულსა და ლხინს მისცემოდა და ეს უზრუნველი განცხრომა, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანდა, რომ მესამე დღეს თბილისში ცხენხეთქებით არ შემოვარდნილიყო პირველი ლტოლვილი გარნისის ომიდან.

მტვერში ამოგანგლული, გაოფლილი ცხენი ქანცგაწყვეტილმა ლტოლვილმა პირდაპირ სასახლისკენ მიაგდო.

პირველ ლტოლვილს კანტიკუნტად მოჰყვნენ სხვებიც და მოზეიმე ქალაქში თითქოს უზარმაზარმა გველმა გაირბინა საშინელი სისინით. მოზეიმეებს სახეზე ღიმილი წაეშალათ, სიმღერა და ძელისცემა მისწყდა და ათასი ხმით მოგუგუნე ქალაქი მომაკვდავივით ნელნელა გაცივდა, დადუმდა და სისხლი გაეყინა.

სასახლისკენ ყოველ წუთს მიჰქროდნენ მაცნეები, სასახლიდანაც განუწყვეტლად გამორბოდნენ შიკრიკები და ქვეყნის ყველა მხრისაკენ მიჰქონდათ გარნისის უბედურების ამბავი.

ამირსპასალარი მხარგრძელი ჯერ კიდევ არსად სჩანდა, ვერც სხვა გამოჩენილ სარდლებს მოეღწიათ ჯერ სატახტომდე. მეფემ და მისმა ვაზირებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ სახელმწიფოს თავზე დამტყდარი უბედურების მთელი სიმძიმე. არც ის იყო ცნობილი, თუ ქართველთა ლაშქრიდან რამდენი დაიღუპა, არც ის იცოდა ვინმემ, თუ ტყვედ ვინ იყო ჩავარდნილი, ან სარდალთა და მთავართაგან ვინ გადარჩა სიკვდილსა და ტყვეობას.

ლტოლვილთა ნათქვამით საქართველოს მთელი ლაშქარი ერთიანად დაღუპული უნდა ყოფილიყო. სახელმწიფოს მცირე მხედრობაც აღარ ჰყავდა და

თუ გამარჯვებული მტერი თბილისისაკენ დაიძრებოდა, სატახტოსაკენ გზის გადამღობავი აღარავინ იყო.

ახალმოლოგინებული დედოფალი შეუძლოდ იყო და გასახიზნავად მისი დაძვრა არ შეიძლებოდა.

საჭირო იყო სასწრაფოდ მთელს საქართველოში ახალი ლაშქრის მოკრება. სატახტოს გამაგრება და დიდი ჯარის მოშველებამდე დედაქალაქის დაცვა.

ისევ ატყდა ძელის ცემა, ისევ გაბმით იწყეს ზარებმა რეკვა, მაგრამ ახლა ზეიმისკენ როდიღა უხმობდნენ ეს ზარები. ქალაქის ქუჩებსა და უბნებში ცხენოსანი მანდატურები დაჰქროდნენ და ქუდზე კაცს იწვევდნენ. გაწვეულები მოედნებზე იკრიბებოდნენ, მომხდარი უბედურების ამბავს იტყობდნენ და მეფისა და სამშობლოს გადასარჩენად იარაღს ისხამდნენ.

მამუკა ოქრომჭედელს უფლისწულის დაბადებამ ბევრი საჩქარო და გადაუდებელი საქმე გაუჩინა. დიდებულები და მდიდრები ისევ მის სახელოსნოს მიაწყდნენ, დედოფლის ღირსი მისალოცის სწრაფად დამზადებას სთხოვდნენ და ავალებდნენ.

ოსტატი თავაუღებლად მუშაობდა. გარეთ არ გამოდიოდა და მის სახელოსნოს იქით რა ხდებოდა, არ იცოდა. არც მოქალაქეთა ზეიმის უეცარი შეწყვეტისათვის მიუქცევია ყურადღება, არც სიმღერისა და ზარის რეკვის მიჩუმებისათვის. ოსტატს ქვეყნის ამბებისათვის არ ეცალა, არც არაფერს კითხულობდა და არც არაფერი ადარდებდა, მაგრამ სახელმწიფოს თავზე დამტყდარი საშინელების ამბავი თავათ მოვიდა მამუკასთან. იმ დღეს, ზარების რეკვა რომ მიწყდა, ოქრომჭედლის სახელოსნოში ჯერ თითო-თითოდ იწყეს მოსვლა, მერე იხუვლეს და მამუკას ყველა მუშტარი ერთბაშად მოაწყდა სახელოსნოს: შემკვეთლები, ოქროვერცხლისა და პატიოსანი თვლების პატრონები მიბარებულის დაბრუნებას სთხოვდნენ სხვადასხვა მიზეზით, სამუშაოს დასრულებასა და დათქმულ ვადას აღარ უყურებდნენ, თავიანთი ნაძი სასწრაფოდ მიჰქონდათ და სახელოსნოდან უკანმოუხედავად გარბოდნენ.

მამუკას ვერ გაეგო, რა ცეცხლი მოეკიდა ასე ყველას, რატომ მიჰქონდათ თავიანთი ქონება ასე დაფეთებულებს. პატრონებს თავიანთ საკუთრებას ვერ უპერდა და საღამოს, როცა მისი სახელოსნო თითქმის სრულიად დაცარიელდა, ოქრომჭედელი მიხვდა, რომ ისიცა და მისი ოსტატ-შეგირდებიც უსაქმოდ დარჩენილიყვნენ და ხვალისათვის სამუშაო აღარ ექნებოდათ.

ამ საგონებელში რომ იყო, სახელოსნოს ცხენოსანმა მანდატურმა ჩამოუქროლა და მამუკაცა და მისი ოსტატ-შეგირდებიც მეფის სახელით ქალაქის მოედანზე იხმო.

მოედანზე უამრავი ხალხი შეყრილიყო. აქა-იქ ჩურჩულს მოჰკრა ყური მამუკამ. რაღაც დიდ მარცხზე, გარნისთან ქართველთა ლაშქრის განადგურებაზე ხმადაბლა ლაპარაკობდნენ შეშინებული მოქალაქეები. დანამდვილებით ვერავისგან ვერაფერი შეიტყო, მაგრამ ოქრომჭედელი გუმანით მიხვდა, რომ რაღაც დიდი უბედურება უნდა მომხდარიყო. მაშინვე თორელის ბედზე გაიფიქრა და ცაგოსთან წასვლა გადასწყვიტა, რომ მეფის რომელიღაც ვაზირის ხმა ჩაესმა.

შემაღლებულზე მდგარ ვაზირს გვერდით მეფის სხვა მსახურებიც ედგნენ. კარისკაცთაგან აღარც ერთს კაცის ფერი აღარ ჰქონდა.

ვაზირი გადაკრულად ლაპარაკობდა რაღაც შეუმოწმებელ ცნობებზე, ქართველთა ლაშქრის შესაძლებელ მარცხსა და მტრის სიმრავლეზე. თბილისის მოსახლეობა მზად უნდა იყოს ყველა მოულოდნელობისათვის, დიდმა და პატარამ სატახტოს დაცვისათვის უნდა გადადოს თავი. თუ ღმერთი გაწყრა და მტერი თბილისს მოადგა, მაგრად უნდა ჩაიკეტოს ქალაქის კარი. ყველამ, ვისაც ხმლის მოქნევა შეუძლია, იარაღი უნდა აისხას და სატახტოს ზღუდეებთან დადგეს. გახსოვდეთ, რომ ჩვენი

სათაყვანებელი დედოფალი ჯერ კიდევ მელოგინეა და ქალაქიდან ვერ გავა. მისი ჯანმრთელობა და ჩვენი სატახტოს ბედიც თქვენს მკლავსა და ღონეზე იქნება მინდობილი, ვიდრე დანარჩენი საქართველოდან დიდი მაშველი ჯარი მოვიდოდესო, დაასრულა ვაზირმა და ხალხის ზღვა შეიძრა, აგუგუნდა:

— დღეგრძელობა ჩვენს მეფეს!

— გაუმარჯოს მეფესა და საქართველოს!

— გავწყდებით და მტერს კი ფეხს არ შემოვადგმევინებთ სატახტოში!

ჰყვიროდნენ, ქუდებს ცაში ისროდნენ და მუშტებს მაღლა იქნევდნენ.

მამუკაც საერთო აღტყინებამ აიყოლია. ისიც ვიღაცას მუშტს უქნევდა და ემუქრებოდა, ხმამაღლა გაჰყვიროდა და მთვრალივით აქეთ-იქით აწყდებოდა. ხალხის ტალღას მიჰყვა და სხვებთან ერთად იარაღი მიიღო მეფის მსახურთაგან. ფარ-ხმალს რომ ისხამდა, შეამჩნია, ქალაქის სომეხი მოსახლეობა ქართველებს ასწრებდა იარაღის მიღებას. ოქრომჭედელს ეს არ გაჰკვირვებია, თბილისელი სომხები ქართველებისაგან თითქმის აღარაფრით განირჩეოდნენ და საქართველოს დედაქალაქიც ქართველებზე ნაკლებ არ უყვარდათ. მაგრამ მამუკას, ცოტა არ იყოს, ის არ ეჭაშნიკა, რომ თბილისელი სპარსელებიც მოუთმენლად აწყდებოდნენ ფარ-ხმალისა და შვილდ-ისრის დამრიგებლებს, იარაღს ისხამდნენ, ქართველებს ძმობასა და ერთგულებას ეფიცებოდნენ და „ჩონი ქალაქის“ მტრებს ლანძღვა-გინებით ემუქრებოდნენ.

ოქრომჭედელმა საბრძოლო შეკრების ადგილი და დრო გაიგო და მაშინვე ცაგოს მიაშურა.

წინადღის ნაქეიფარი ვაჩე ლოგინში იწვა და თავის პატარა გოგონას ეალერსებოდა. პაწაწინა ცაგო ჩიტივით ჟღურტულებდა და ბედნიერი მამის ულვაშებს ეტანებოდა. ლელა სახლს ალაგებდა და თავისთვის ჩუმად ღიღინებდა.

უცებ კარზე ღონივრად დაარახუნეს. ლელამ საქმეს ხელი უშვა და ვაჩეს ანიშნა, საბანი გადაეფარებინა.

ვაჩე ლოგინზე წამოიწვა, ... დასწვდა და უცებ გადაიცვა. კარი გაიღო. საწოლზე წამომჯდარმა ვაჩემ ზღურბლზე მომდგარი აფორიაქებული გოჩი დაინახა.

— უკაცრავად უდროოდ მოსვლისათვის, მაგრამ ცუდმა ამბავმა მომიყვანა, — დაიწყო ხმაგაბზარულმა გოჩიმ. — დავიღუპეთ, მტერს ჩვენი ჯარი გაუნადგურებია...

— რომელი ჩვენი ჯარი? — შეშფოთებულმა ვაჩემ საბანი მოიშორა. შარვლის ტოტებში უყრიდა ფეხებს და თან მუხასძეს თვალს არ აშორებდა.

— გარნისთან დიდი ბრძოლა მომხდარა გუშინწინ, ჩვენი მხედრობა ძლეულა და ერთიანად გაქცეულა.

— რას ამბობ, გოჩი, ეგ შეუძლებელია!

— მეც შეუძლებელი მეგონა, მაგრამ ქალაქში გარნისიდან გამოქცეულმა ლტოლვილებმა მოაღწიეს და სარწმუნოდ ამბობენ.

— თორელი? თორელი თუ გადარჩა? — იკითხა ვაჩემ და თვითონვე გაუკვირდა, რომ პირველი ცაგოს ქმრის სახელი მოადგა ენაზე.

— თორელი და ახალციხელები დანარჩენ მესხებთან ერთად პირველნი დაცემულან. ისინი წინამბრძოლები იყვნენ და მტერს პირველნი შეხვდებოდნენ.

ვაჩე გაშრა და ენა ჩაუვარდა. რამდენჯერ წარმოუდგენია ოცნებაში უქმროდ დარჩენილი ცაგო, ზოგჯერ, განწირულების წუთებში, უნატრია კიდეც თორელის გზიდან ჩამოშორება, მაგრამ ახლა მისი დაღუპვის ამბავი რომ შეიტყო, სიხარულის მაგივრად გულის ტკივილი და მწუხარება დაეუფლა.

— ჯალალედინს დღე-დღეზე თბილისში მოელიან. ვიდრე მეფე ახალ

ლაშქარს შეყრიდეს, ქალაქი ჩვენ უნდა დავიცვათ მტრისგან. მთელი მოსახლეობა იარაღს ისხამს და საომრად ემზადება.

ვაჩემ ფაცაფუცით ჩაიცვა. მერე კედლიდან დემეტრეს ფარ-ხმალი ჩამოიღო.

— ბარემ წვრილთვალა და ბეგთარიც ჩაიცვი, უკან მობრუნების დრო აღარ იქნება, — უთხრა გოჩიმ და პატარა ცაგოსკენ დაიხარა.

ბალღი ორივე ხელით ჩააფრინდა შეჩვეული კაცის თმებს და დარდისაგან შეშლილი სახე უცებ დაუწყნარდა ბუმბერაზს, ჩაცვივნულმა თვალებმა წამით ისევ შუქიანად გამოიხედეს და ალალმა ღიმილმა გაანათა ერთბაშად ამოდენა კაცი.

ვაჩემ ჯაჭვის პერანგი ჩაიცვა და გოჩი რომ წამოიმართა წასასვლელად, ისევ თავისდაუნებურად იკითხა:

— ცაგომ თუ იცის ქმრის დაღუპვა?

— ვერ გეტყვი, შევიაროთ და გავიგოთ.

კართან ისევ შეჩერდა ვაჩე.

— ომი თუ იქნა, გახიზვნა დროზე უნდა მოვასწროთ.

— ახლა ქალაქის ყველა კარი დახშულია, არც ქალაქში უშვებენ ვისმეს და არც ქალაქიდან ატარებენ კაცისშვილს, მაგრამ როგორმე გიშველი, ოჯახს გაგახიზნინებ.

ვაჩემ ცოლ-შვილი გადაჰკოცნა და ორივენი სწრაფად გავიდნენ.

თორელის სახლს მიუახლოვდნენ.

შორიდანვე შენიშნეს: ეზო სავსე იყო ხალხით.

სახლიდან გოდების ხმა გამოდიოდა. ვაჩეს გული ჩაწყდა და წინ ნაბიჯი ვეღარ გადგა.

— შენ შედი, მე აქ დაგელოდები,— უთხრა მუხასძეს და ჭიშკართან შეჩერდა.

გოჩიმ გაკვირვებით მოხედა, მაგრამ არაფერი ჰკითხა, ჭიშკარში შევიდა და ხალხით სავსე ეზოში კიბისკენ გაიკვლია გზა.

ვაჩე ჭიშკართან ჩამოჯდა ქვაზე და იქ მყოფებს დააკვირდა. სამძიმარზე მოსულები ჯგუფჯგუფად იდგნენ და დამწუხრებულები ხმადაბლა ლაპარაკობდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხუთასი ათასი კაცი ... ვია ხვარაზმელ სულტანს, — ამბობდა ერთი.

— ხუთასი გაზვიადებულია, ოთხასი ათასს ამბობენ უფრო სარწმუნოდ, — გაუსწორა მეორემ.

— თუნდაც ოთხასი ათასი იყოს, ცოტაა?! ჩვენები ორმოცდაათი ათასიც არ იყვნენ, იძლეოდნენ, მა რა იქნებოდა! — ხმას აუწია პირველმა.

ვაჩემ მათგან პირი იბრუნა და ახლა იქვე, მის გვერდით ჩამომსხდართ მიუგდო ყური.

— აფსუს, რა ქალი დაქვრივდა! — თქვა თავის ქნევით ერთმა.

— რა ეშველება საწყალს, კარის მგოსანი რა ქონებას დაუტოვებდა, რით უნდა გაზარდოს ბალღი! — იბრალებდა მეორე თორელის ცოლ-შვილს.

— ბრალი მისი, ვინც მოკვდა, თორემ ცოცხლად დარჩენილი ჯერ შიმშილით არავინ მომკვდარა. მაგასაც პატრონი გამოუჩნდება. ეგეთ ქალს დიდხანს არავინ დასტოვებს უნუგეშოდ, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ბევრ გასათხოვარსა სჯობს. აგერ, ჩემი სიტყვა დაიხსომეთ, თუ სულ მალე თავს ახალი გვირგვინი არ დაიდგას და უკეთეს კაცს არ გაჰყვეს, — დასძინა მესამემ.

ვაჩეს სახე წამოეწითო და გულმა ბაგაბუგით დაუწყო ცემა.

ბედად მუხასძე მობრუნდა. ვაჩე წამოდგა და უკან მიჰყვა წინანდელზე კიდევ უფრო მეტად შეწუხებულ მეგობარს.

— შეუტყვია? — დაარღვია სიჩუმე ვაჩემ.

— ლტოლვილებისაგან შეუტყვია. არ სცოდნიათ, თორელის ცოლი რომ იყო და პირდაპირ მიუხლიათ, მესხთაგან ერთიც არავინ გადარჩენილაო.

— მერე?

— მერე იქვე გულს შემოჰყრია. გონს რომ მოსულა, თმა გაუშლია და სახე დაუკაწრავს.

— სახეზე ძალიან ეტყობა? — ანაზ-
დად იკითხა ვაჩემ და თავათვე შერცხვა
ამ სულელური კითხვის.

— ერთიანად დახოკილი აქვს, და-
სისხლიანებული. ცრემლი გაშრობია
უბედურს და ხმაც ჩახლეჩია. კი ვეღარ
ტირის, ხავის საცოდავი, — ხელის
ჩაქნევით თქვა გოჩიმ და თავათაც გუ-
ლი აუჩუყდა.

— რა ვქნათ, რა ვუშველოთ? —
იკითხა ისევ ვაჩემ.

— ჩვენ რას ვუშველით, ნუგეშის
მეტი რა შეგვიძლია, — ამოიოხრა მუ-
ხასძემ, — რატომ არ შემყევი, სიტყ-
ვას ეტყოდი, გაამხნევებდი.

— არ შემიძლია, გოჩი, მტირალი
ცაგოს დანახვა არ შემიძლია, — ძლივს
გასაგონად თქვა ვაჩემ, ხმა აუკანკალდა
და გული ყელში მოებჯინა.

ორივე დადუმდა. დამგლოვიარებუ-
ლი ქალაქის ქუჩებიც სდუმდნენ, ძვე-
ლებურად აღარ ხმაურობდნენ.

გარნისის გამარჯვების შემდეგ ჯა-
ლალედინი რომ მთელი ლაშქრით თბი-
ლისისკენ წამოსულიყო, საქართველოს
სატახტო, ალბათ, უბრძოლველად ჩა-
ბარდებოდა. ხვარაზმელმა სულტანმა
არ იცოდა, რომ იმჟამად ქართველებს
მეტი ჯარი არა ჰყავდათ და თბილისი
თითქმის დაუცველი იყო. სულტანს
საქართველოს ძლიერებისა სჯეროდა
და გურჯების დედაქალაქის დაპყრო-
ბას საგანგებო მომზადების შემდეგაც
საძნელოდ თვლიდა. შეთქმულთა და-
სასჯელად თავრეზს წასვლა ჯალალე-
დინს უფრო გადაუდებელ საქმედ ეჩ-
ვენა, მაშინ ლაშქრის ნაწილით ადარ-
ბადაგანს გაბრუნდა და ქართველებს
გონს მოსვლის საშუალება მისცა.

მეფის მალემსრბოლებმა მთელი სა-
ქართველო ფეხზე დააყენეს. ქვეყნის
ოთხივ კუთხიდან იწყო დენა სახელ-
დახელოდ შეკრებილმა რაზმებმა და
თბილისში ყველაზე ადრე ორი ათასი
მესხი შემოვიდა ორთა ძმათა ჯაყელ-
თა მეთაურობით. ჯარის მოსვლამ ქა-
ლაქის დასაცავად იარაღასხმულ თბი-
ლისელებს სიმხნე შეჰმატა და მტერზე
გამარჯვების რწმენა განუმტკიცა.

გარნისიდან ლტოლვილი თანდათან
გონს მოსული სარდლებიც გამოჩნდ-
ნენ, ახლად შეკრებილ ჯარს გაუძღვ-
ნენ და საქართველოს ასაკლებად წა-
მოსული ყიასედინის ლაშქრის პირის-
პირ გაემართნენ.

ამასობაში მეფის დესპანებმა სულტ-
ნის ვაზირთან მოლაპარაკება გამართეს.
ქართველებმა ტყვედ წაყვანილთა გა-
მოსყიდვა ითხოვეს. ჯალალედინის
ხარბმა ვაზირმა იმავე დესპანების ხე-
ლით ქართველთა მეფეს გარნისთან
დატყვევებული გურჯების გრძელი სია
აახლა და თან თითოეულის გამოსასყიდი
ფასი აცნობა. ეს ფასი საარაკოდ დიდი
იყო. ვაზირი უშრომლად და უომრად
ამოდენა ოქროს შოვნით ჯალალედი-
ნის გულის მოგებასთან ერთად საკუ-
თარი სარგებლის ნახვასაც ფიქრობდა.

შალვა ახალციხელისა და რამდენიმე
სხვა დიდებულის გამოსასყიდი თანხის
გაღება სახელმწიფო სალაროს დაეკის-
რა, დანარჩენების დასახსნელად ისევ
მათ ოჯახებს უნდა ეზრუნათ.

ქმრის გადარჩენისა და ტყვედ ყოფ-
ნის ამბავი რომ შეიტყო, ცაგო სიხარუ-
ლით ცას ეწია. ძველებურზე მეტად
ბედნიერად იგრძნო თავი, საპატარძ-
ლოსავით მოიკაზმა, გალამაზდა და ამ-
ღერდა. ცოცხლად გადარჩენილი თურ-
მანი უკვე თავის გვერდით ეგულებოდა,
ბალღივით შეჰფოფინებდა და ჩიტივით
ეჟღურტულებოდა.

პირველი სიხარულით გაბრუებამ
რომ გაუარა და ქმრის გამოხსნის პი-
რობებზე დაფიქრდა, თანდათან შიში
დაეუფლა და სასო წაერთვა.

ხვარაზმშას ვაზირი ოცდაათი ათას
ოქროს თხოულობდა თორელის გამო-
სასყიდად. ამოდენა ოქროს შოვნა კა-
რის მგოსნის ღარიბ ოჯახს კი არა,
უფრო შეძლებული კარისკაცებისა და
დიდვაჭრების ოჯახებსაც გაუჭირდებო-
დათ ასე სასწრაფოდ. საგონებელში
ჩავარდნილმა ცაგომ მაშინვე მამუკას
მიატანა.

— სულ არაფერი გაქვს? — იკითხა მამუკამ, თუმცა ცაგოზე კარგად იცოდა, რომ დარდიმანდსა და უანგარიშო კარის მგოსანს შავიდღისთვის შენახული არაფერი ექნებოდა.

— არაფერი, ჯვრისწერის ბეჭდები და ეს საყურეები მაქვს თურმანისაგან ნაჩუქარი.

— ეგ რას გიშველის, ზღვაში წვეთია, — ამოიოხრა მამუკამ.

— სახლს გავყიდი. თურმანი თუ არ დაბრუნდა, მაინც რაღა ოხრად მინდა.

— სახლს ასე უცებ ვერ გაჰყიდი, — ჩაუფარცხა ეს იმედიც მამუკამ. — რომ გაჰყიდო კიდეც, ჩალის ფასს მოგცემენ, დღე-დღეზე თბილისში ხვარაზმელების მოსვლას ელიან და ფულიან ხალხს თავისი სახლიც ოხრად რჩება.

— მაშ რა ვიღონო?! — ამოიკვნესა ცაგომ და მუდარით სავსე თვალი მიაპყრო ძმას.

— რაღაც უნდა ვიღონოთ... მე რაც მაბადია, შენი ჭირის სანაცვლო იყოს, პავლიასაც შევატყობინოთ, სხვა ახლობლებსაც. — თქვა შეწუხებულმა მამუკამ. მერე ფეხზე წამოდგა და თავისი სალარო მოიტანა. დის წინ დააპირქვავა წლობით ნაგროვები, ღამის ტეხვითა და არაადამიანური შრომით მოქუჩებული ოქრო. ამ ფულს სახლის სასყიდლადა და ცოლის შესართავად აგროვებდა უკვე ჭაღარაშერეული მამუკა. ადრე, სანამ და გასაზრდელი ჰყავდა და მამის ოჯახი შესანახავი. ცოლის შერთვაზე ფიქრიც არ შეეძლო. ახლა, როცა ცაგო ბედნიერად დაბინავებული ეგულებოდა და მოხუცი დედაც აქეთ უფრო ეხმარებოდა, ოქრომჭედელი საკუთარი კერის დანთებაზე, სახლ-კარის ნოწყობასა და ოჯახის შექმნაზე ოცნებობდა.

მაგრამ გარნისის მარცხის უთვალავ მსხვერპლს მამუკას ოცნებაც მიემატა. როცა სახელოვანი სიძე განსაცდელში იყო, ხოლო საყვარელი დაი ყოვლგნით ხელაღუპყრობელი და უნუგეშო, პირად ბედნიერებაზე ფიქრი როგორღა შეეძლო მამუკას.

მრავალი წლის ალალი შრომით ნაშოვნი ალალი გულითვე გამობეღოტა სალაროდან და ამდენი ოქროს დანახვით თვალგაბრწყინებული ლებზე დაეცა ძმის წინაშე, — მოეფერა და ცრემლით დაულბო კალთა.

— რა კეთილი ხარ, მამუკა! ნუთუ სულ იმეტებ ამდენ ოქროს?

— ვაი, რომ ეგეც ცოტაა!

— როგორ? — გაიკვირვა ანგარიშს მიუჩვეველმა ცაგომ. — ნუთუ ამაზე მეტია საჭირო.

— მეტი, უზომოდ მეტი... — თავის ქნევით დაუდასტურა მამუკამ.

— მაშ არ ყოფილა საშველი!

— საშველი უნდა გამოვნახოთ, უნდა ვეცადოთ, ცაგო. პავლიას შევატყობინოთ, აქაც ნაცნობ-მეგობრებს ვთხოვოთ...

მეორე დღეს გოჩი მუხასძე მივიდა ცაგოსთან. მამუკასგან გაეგო მათი შეჭირვება. თურმანის მეგობარმა ცაგოს წინაშე დაცალა ქისა და ბოდიში მოიხადა, რომ მეტი არა ჰქონდა.

— როგორ უნდა გამოგართვა, ვინ იცის, როდის დაგიბრუნებ? — შეწუხდა ცაგო.

— დაბრუნება რა სათქმელია — წარბი შეიკრა მუხასძემ. — თურმანისთვის ფულს კი არა, სულს არ დავიშურებდი, მაგრამ, ვაგლახ, რომ მეტი ვერსად ვიშოვე. თუმცა კიდევ მაქვს იმედი. დღე-დღეზე ავაგს ელიან სასახლეში, ივანე მხარგრძელის ძეს. თორელი მასაც ძლიერ უყვარს და, ვფიქრობ, მის გამოსახსნელად ფულს არ დაინანებს. ამას გარდა, ერთი მეგობარი მყავს, თქვენებური მხატვარი, ვაჩე გრძელიშვილი.

— ვაჩე გრძელიშვილი? — გაიოცა ცაგომ.

— ჰო, ვაჩე გრძელიშვილი, შეიძლება იმას ჰქონდეს ფული. თურმანს ისე ახლო არ იცნობდა, მაგრამ თუ რამ გააჩნია, მე არ დამიშერს. ასე რომ ჯერ კიდევ გქონდეს ჩემი იმედი, — ანუგეშა გოჩიმ ცაგო და გამოემშვიდობა.

ცაგო ჭიშკრამდე მიჰყვა კარის ხუ-

როთმოძღვარს ლოცვითა და მადლობით.

პავლია კუტმა ბერის ხელით გამოუგზავნა განსაცდელში ჩავარდნილ დას თავისი წილი. მასაც სალარო გაეოეფხიკა და თავისთვის აღარაფერი დაეტოვებინა. საპყარი ძმა ღმერთს ავედრებდა ტყვედ ჩავარდნილ სიძეს და ცაგოს პატიებას თხოვდა, რომ უცალობის გამო იმ გაჭირვების ჟამს მის გვერდით ყოფნა არ შეეძლო.

სახლის მუშტარი მართლაც არავინ გამოჩნდა. შეძლებულები ქალაქიდან ჩუმად გახიზვნაზე ზრუნავდნენ მტრის მოსალოდნელი თავდასხმის შიშით, თავიანთი სახლებიც ოხრად რჩებოდათ და თორელისა ვისღა უნდოდა!

გოჩი მუხასძე უეცრად მეფის დავალებით ქალაქიდან სადღაც წავიდა. ავაგ მხარგრძელიც არსად გამოჩნდა. ცაგოს საჭირო ოქროს ნახევარიც არ ჰქონდა. დრო კი აღარ ითმენდა, დღედღეზე მეფის დესპანები ჯალალედინის ვაზირს უნდა ხლებოდნენ და ტყვეების გამოსასყიდი ოქრო უნდა მიეთვალათ.

ცაგო შემწეს აღარსაიდან ელოდა. დღედაღამ იმის ფიქრში იყო, რა ეღონა, სად ეშოვნა დანარჩენი ფული, რომ ქმრისთვის ეშველა.

ამ ფიქრსა და საგონებელში გოჩის ნათქვამი გაახსენდა, ეგებ ვაჩე გრძელიშვილს ჰქონდეს ფულიო. ამ ერთადერთ იმედს ჩაებღაუჭა და აღარ მოეშვა. მერე რა ვუყოთ, რომ ვაჩე თურმანთან დაახლოებული არ არის, სამაგიეროდ ცაგოსთან ერთად შეზრდილია და მისი განუყრელი მეგობარი. თუმცა რაღა განუყრელი მეგობარი, რაც ახალდაბაში დასტოვა, მერე ერთხელაც აღარ უნახავს. მთელი ქვეყანა მისი ნიჭის ქებაშია და თავათ თურმანიც დიდად აფასებს ვაჩეს ხელოვნებას, მაგრამ როგორღაც ისე მოეწყო, რომ ერთხელ ვეღარსად შეხვდა, ვერც თავისას იწვია ყრმობის მეგობარი. ამბობენ, კარგი ქალი შეურთავს და სიმამრსაც მდიდარი მემკვიდრეობა დაუტოვებიაო. ისიც თქვეს, რუსუდან მეფემ უხვად დააჯილდოვა სახლის მოხატვისთვისო (ალბათ ამიტომ ფიქრობს მუხასძე, ვაჩეს ფული ექნებაო). ნეტავ ენახა ვაჩეს მხატვრობა, ... და პატარა აღფრთოვანებულია ვაჩეს ამ ნამუშევრით, მას კი, ვაჩეს სიყრმის მეგობარს, ერთხელაც არ შეუხედნია რუსუდანის ახალ პალატებში. რას იტყვის ახლა ვაჩე, ცაგო რომ თავისი ფეხით მიადგება კარზე და სახელოვანი მგოსნის ამაყი ცოლი ოქროს სთხოვს ქმრის გამოსახსნელად. თავმოყვარეობა სხვა დროს ნებას არ მისცემდა ცაგოს ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად, მაგრამ ახლა თავმოყვარეობა რა სახსენებელია, როცა თორელის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია და იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ შეეწევა ცაგოს. რაკი თავათ არა აბადია რა, ვისგანაც იქნება, ფული უნდა ისესხოს, და განა სხვაგან, ვიგინდარასაგან სესხებაზე ადვილი ის არ იქნება, ტოლსა და ახლობელს მიმართოს, აუხსნას თავისი გასაჭირი? განა სხვაზე უკეთ ის არ გაუგებს და შეიბრალებს?

ამ ფიქრით დაიმედებულმა ცაგომ გაბედა და ვაჩეს სახლს მიადგა.

ცაგოს დანახვაზე ვაჩე გაფითრდა, ენა ჩაუვარდა და შინ შეპატიჟებაც ვერ მოახერხა. ცაგო ძველებურად უშუალოდ და თამამად მიესალმა. ლელას თვითონვე გაეცნო, ვაჩეს დაუხმარებლად და შინაც შეუპატიჟებლად შევიდა. სახლს რომ თვალი მოავლო, მოეწონა.

— აი, თურმე როგორ კარგად ცხოვრობ! — მიმართა ვაჩეს, ლელას შესცინა და დედის კალთას აკრულ პატარა ვოგონას მიეალერსა.

საოცარი სილამაზით მოხიბლული ლელა სტუმარს თვალს ვერ აშორებდა. ხანდახან დაბნეულსა და ერთიანად სახეაწითლებულ ქმარს შეხედავდა და თავათაც იბნეოდა მის სახლში იმ უცნობ ქალთან ერთად შემოსული იდუმალებით.

— დაბრძანდით! — მოუწია სელი სტუმარს ლელამ და სიმხურვალით იგრძნო, რომ თვითონაც სახე აელეწა.

ცაგო სელზე ჩამოჯდა.

ლელამ ბავშვს ხელი დასტაცა და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

— დაჯექი, ვაჩე, ჩემი სტუმრობა ხომ არ გწყენია?! — გაუღიმა ცაგომ და სელზე მიუთითა.

ვაჩესაც გაეღიმა და მორცხვად ჩამოჯდა ცაგოს პირისპირ.

— ჩემს განსაცდელს გაიგებდი, ალბათ, — წამოიწყო ცაგომ ოხვრით.

— გავიგე და ძალიანაც შევწუხდი...— თავდახრით თქვა ვაჩემ.

— იმასაც გაიგებდი, თორელის გამოსახსნელად რა დიდ სასყიდელს გვთხოვენ ხვარაზმელები.

— არა, ეგ არ ვიცი! — თავი გაიქნია ვაჩემ.

ცაგომ უკვე გაბედა და უკან დასახევი გზა აღარ იყო. ჯერ იმას მოჰყვა, როგორ გლოვობდა ქმარს, როცა დაღუპული ეგონა, მერე ისიც უამბო, როგორ გაიხარა თურმანის ცოცხლად გადარჩენის ამბით და ბოლოს მთავარ სათქმელზე ისევ შეყოვნდა. აქეთური და იქეთური მოიმიზეზა: უცებ მარტოხელა ქალმა ვერაფერი ვიღონე, პავლია შორს არის და როდის მივაწვდენ ხმასო. მამუკას რაც გააჩნდა, მომიტანა, მაგრამ არც ეს კმარაო. თურმანს ფული გასესხებული აქვს, მაგრამ არ ვიცი, ვის უნდა მივაკითხოო.

ამას რომ ამბობდა, წითლდებოდა, რადგან დამცირებული სიამაყე თითქმის დაუჯერებელს ალაპარაკებდა.

— შენზე ახლობელი ქალაქში არავინ მეგულებოდა და ისევ შენი შეწუხება გადავწყვიტე, — თქვა ცაგომ და მიაჩერდა ვაჩეს.

ვაჩემ ვერ გაუძლო ცაგოს ცქერას და თავი დაღუნა. იგი უზომოდ ბედნიერი იყო ახლა, ისევე, როგორც ყრმობის ჟამს, როცა ცაგოს სათხოვარის ასრულების საშუალება ეძლეოდა ხოლმე.

სახე ღიმილმა გაუნათა და თავი აიღო.

— რამდენი გჭირდებათ?

— ათხუთმეტი ათასი! — თქვა ცაგომ და უცებ შვება იგრძნო, ბოლოს სათქმელი რომ ითქვა.

ვაჩე უხმოდ წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

მარტოდ დარჩენილ ცაგოს გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ახლა იმაზე კი არ ფიქრობდა, როდის უნდა დავუბრუნო ვაჩეს სესხიო; ერთადერთი ის აწუხებდა, ვაი თუ არც ვაჩეს ექნეს ამოდენა ოქრო და რაღა წყალში უნდა ჩავვარდე, ვისღა მივადგე სათხოვნელადო.

ოთახში ვაჩეს პატარა გოგონა შემოვიდა, კართან დადგა და ცაგოს მიაჩერდა.

— მოდი, ჩემთან, გენაცვალე! — დაუყვავა ცაგომ, ფეხზე წამოდგა და ბავშვთან მივიდა. ხელში აიყვანა და აკოცა. ბალღი მიენდო უცნობ ქალს, ეღიმოდა და თვალს არ აშორებდა.

უცებ ლელამ შემოაღო კარი. წელანდელზე მეტად გაწითლებული ეჩვენა ცაგოს ვაჩეს მეუღლე. მეორე კარიდან ვაჩე შემოვიდა. სავსე ქისას თავი მოხსნა და ცაგოს წინ მაგიდაზე ოქრო დახვავდა.

ხარბად დააცქერდა ოქროს ხვავს ცაგო და წამით რომ თვალი მოსწყვიტა, ლელას შეხედა, ლელაც მონუსხულივით მიშტერებოდა იმ ოქროს და ცაგომ შენიშნა, რომ ვაჩეს ცოლს წამწამზე ცრემლი დაჰკიდებოდა.

ლელამ იგრძნო ცაგოს ცქერა, მიტრიალდა და ბალღს წაეპოტინა:

— ცაგო, დეიდას აწუხებ, წავიდეთ. — ცივად თქვა, ბავშვს ხელი დაავლო და სწრაფად გავიდა.

ლელას თვალზე დანახულმა ცრემლმა ააფორიაქა ცაგო.

სხვა დროს, ალბათ, ყურადღებას მიაქცევდა, მისი სახელით რომ უხმობდნენ ვაჩეს პატარა გოგონას, მაგრამ ახლა აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა. ლელას წამოწითლებული სახე და ფარული ცრემლი იმას მეტყველებდა, თუ რა დიდსა და უაზრო მსხვერპლს იღებდა ვაჩეს ოჯახი მისთვის შორეული,

თითქმის უცნობი კარის მგოსნისათვის. ახლაღა დაფიქრდა ცაგო, რა დიდსა და გადაუხდელ ვალში ვარდებოდა, როგორ უქცევდა თავისი სიყრმის მეგობარს ბედნიერ ოჯახს. მიხვდა ცაგო, რა უსამართლობასაც სჩადიოდა, მაგრამ სხვა გზა არა ჰქონდა და მასაც ცრემლი წასკდა მშვენიერ თვალთაგან.

— სრულად მოგართვი, ღმერთმა ბედნიერად მოგახმაროს! — თქვა ვაჩემ და ოქროს სათითაოდ დაუწყო ჩაყრა ქისაში.

ვაჩე ოქროს ნელ-ნელა ჰყრიდა ქისაში და ახლა იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ თავისი ხელითვე ამსხვრევდა ამხდარ ოცნებას. რამდენჯერ უნატრია უქმროდ დარჩენა ცაგოსი და ახლა, როცა ეს უმისოდ იყო მომხდარი, თვითონვე უმართავდა ხელს ცაგოს, რათა ქმარი დაებრუნებინა. უგუნურობას ჰგავდა ვაჩეს მოქმედება, მაგრამ რა ექნა, როცა სხვაგვარად არ შეეძლო. რა გულით უნდა ეთქვა დახმარებაზე უარი, როცა ცაგომაც იცოდა, რომ მისი ბედი სწორედ ვაჩეს ხელთ იყო.

ცაგო ნელა წამოდგა, ვაჩეს ქისა ჩამოართვა და წავიდა.

კარის ზღურბლთან მოტრიალდა, ხელი გაუწოდა გამოსამშვიდობებლად და თვალი რომ გაუსწორა, გაფითრდა: ვაჟკაცს თვალზე ცრემლი მოდგომოდა.

მუხლებმა უსუსტეს ცაგოს და კინაღამ დაეცა. წამით გაიფიქრა, ამ ცრემლით ვაჩე თავის საბადებელს მოსტირისო და ქისა უკანვე გაუწოდა. ვაჩემ შუბლი შეიკრა. ცაგო მიხვდა, რომ დაუმსახურებელი ტკივილი მიაყენა. დაბნეულმა თავი დახარა და ნელა, ლასლასით გავიდა ქუჩაში.

ამბავი ადარბადაგანის ათაბაგის უზბეგისა და დედოფალ მელიქე-ხათუნისა

ჰოის ციხეში განმარტოებით მყოფ ათაბაგ უზბეგის ცოლს ქვეყნისაგან განაპირება მალე მოსწყენოდა. ხელისუფლებასა და მბრძანებლობას შეჩვეულ მელიქე-ხათუნს ჰოიში საქმე აღარა ჰქონდა რა.

ღვინოსა და დროსტარებას გადასულ ათაბაგს ახალგაზრდა ცოლისათვის ადრეც არ ეცალა და ახლა ხომ სულ აღარ ახსოვდა იგი. მელიქე-ხათუნს კი ცხოვრება უნდოდა, ბედნიერი და სიხარულით სავსე ცხოვრება. ჰოის განმარტოებულ ციხეში მას ყველაფერი ჰქონდა, მისი მაღალკეთილშობილების ღირსად და შესაფერისად. ერთგული ვაზირები და მამლუკებიც ეხვივნენ გარს და მის მყუდროებას დარაჯობდნენ, მაგრამ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქალისათვის სწორედ ეს მონასტრული მყუდროება იყო ყველაზე მეტად დამაღონებელი და სასოწარკვეთი.

მას ისევ დიდ სატახტოსკენ მიუწევდა გული, ათაბაგის კარისკენ, სადაც ქვეყნის საუკეთესო რაინდები ტრიალებდნენ; იმ კეთილშობილი რაინდებისთვის მისი ყოველი სიტყვა სიხარულით აღსასრულებელი კანონი იყო, ყოველ დღეს სხვადასხვა სამეფოდან დედოფლის სათაყვანებლად ძვირფასი ძღვენით დატვირთული ელჩები მოდიოდნენ და ადარბადაგანის ნამდვილი მმართველი მელიქე-ხათუნი ღვინოში ჩამხრჩვალი ქმრის, ქვეყნის საქმეთაგან თავისივე ნებით გამდგარი ათაბაგის სახელით განკარგულებებს იძლეოდა.

დედოფალს მოცალების ჟამს სახიობა და მუსიკა ატკბობდა, ხოლო მისი სამფლობელოს რჩეული მოყმეები ერთმანეთს ეცილებოდნენ ბურთსა და ცხენოსნობაში, რათა თავი გამოეჩინათ, მშვენიერი დედოფლის ყურადღება მიეპყროთ და მეტი თუ არა. მოწონების ღიმილი მაინც დაემსახურებინათ.

დედოფალი სწუხდა, რომ თავისივე სურვილით ითხოვა ხვარაზმელი სულტნისაგან უვნებლად გაცლა, ცხოვრებისაგან მოწყვეტა, თავრეზის დატოვება და მაღალ მთებში გახიზვნა.

მერე და ვითომ რად უნდა გასცლო-

და იმ კეთილშობილ სულტანს, რომლის ვაჟკაცობასა და სიმდიდრეზე, ქველობასა და რაინდობაზე მთელი ქვეყანა აღტაცებით ლაპარაკობს და ზღაპრებს ჰყვებიან.

ჯალალედინი თურმე ქალების დიდი მოტრფიალეც არის და მათი მშვენების ფასიც სხვებზე კარგად იცის.

მელიქ-ხათუნი ჯერ კიდევ ნორჩია და ახალგაზრდა, მან სწორედ ახლა იწყო ქალობაში შესვლა და მისი სილამაზეც სწორედ ახლა იფურჩქნება მთელი თავისი ძალითა და მიმზიდველობით.

ჯალალედინი, ალბათ, თვითონ თავრეზს უფრო დათმობდა, ვიდრე მელიქე-ხათუნს გაუშვებდა ხელიდან, ერთხელ მაინც რომ ჩაეხედა შავი წარბწამწამის ჩრდილით დაბურულ მის მწველ თვალებში.

თვითონ მელიქე-ხათუნმა ერთხელ, მაგრამ ისიც შორიდან დაინახა სულტანი. ტანდაბალი, მაგრამ მკვრივად ჩადგმული ჯალალედინი საოცრად მკვირცხლი და მოძრავი ეჩვენა. შავ, მკაცრ სახეს უცნაური ცეცხლით მოგიზგიზე თვალები უნათებდა სულტანს და იმ თვალებისაგან დანაკვესი ნაპერწკალი შიგ გულში მოხვდა ადარბადაგანის დედოფალს. უკვე პირობა დადებული იყო და დედოფალს უკან დაბრუნება აღარ შეეძლო, თორემ მელიქე-ხათუნი ისევ თავრეზის ციხეში შევიდოდა და თავის საყვარელ ქალაქთან ერთად ჩაბარდებოდა მამაც სულტანს.

შემდეგ ის გულში ჩავარდნილი პატარა ნაპერწკალი გადიდდა და გაღვივდა, ცეცხლად აღეგზნო და დედოფალს მოსვენება დაუკარგა. მელიქე-ხათუნი ისედაც არ უწევდა ანგარიშს თავის ვაზირებს და ახლა, როცა სიმშვიდე დაკარგა, მზად იყო ყველაფერი მოემოქმედნა, რათა საწადელს სწეოდა.

ჯალალედინის თავრეზს მობრუნება რომ შეეტყო, დედოფალი მთლად აფორიაქდა. ასე განდგომილი ცხოვრება აღარ შეეძლო, მელიქე-ხათუნს თავრეზი უნდა დაებრუნებინა, ოღონდ უნებისყოფო და უზრუნველი უზბეგის თავრეზი კი არა, მოუსვენარი და ძლიერი ჯალალედინის თავრეზი, ... ხვარაზმელი სულტნისა ... ალბათ, ბევრ სიამესთან ერთად დიდ სულიერ შფოთსა და მღელვარებასაც მოუტანდა. თავრეზისაკენ ლამაზსა და სიცოცხლით სავსე ქალს, მელიქე-ხათუნს სიყვარული, სასურველი მამაკაცის განცდისა და დაუფლების სურვილი ეძახდა, ხოლო დედოფალს—ადარბადაგანის დედოფალს — იმავე მელიქე-ხათუნს — პატივმოყვარეობა, ხელისუფლების ჩვეული წყურვილი და დიდებისაკენ ლტოლვა უხმობდა.

დედოფალმა თავისი ვაზირები და მრჩევლები მოიწვია. ცრემლითა და ვაებით გაიხსენა მათგან მიტოვებული სატახტო, უპატრონოდ დაგდებული, მტრისგან აკლებული და შევიწროებული თავისი ერთგული ქვეშევრდომები. მაღალსა და კეთილშობილ უზბეგს თავისი ხალხი და მეუღლე დედოფალი რომ ჰყვარებოდა, არც ერთს ჩააგდებდა ამ დღეში და არც მეორეს, თავის ქვეყანაში ურიცხვ ჯარს შეკრებდა და ადარბადაგანს ხვარაზმელების მძლავრობისაგან გამოიხსნიდა. საუბედუროდ, ათაბაგმა ქვეყნის საქმეებსა და დედოფლის კეთილდღეობაზე ზრუნვა დიდი ხანია დაივიწყა და სახელმწიფო ბედის ანაბარად დააგდო. ამიტომ არის დედოფალი ვალდებული და იძულებულიც, იზრუნოს თავისი ქვეყნისა და ხალხის შველაზე, ტახტისა და თავის პირად ბედზე. დედოფალმა გადასწყვიტა გაეყაროს ათაბაგს, რომელიც დიდი ხანია თავისივე სურვილით გაშორებია დედოფალს და ქმრობის უღელს აღარ უწევს. უზბეგისაგან გაყრის შემდეგ იგი შეეუღლება ერთმორწმუნე ხვარაზმელ სულტანს, ამით დედოფალი მტერს მოყვარედ მოაქცევს, ადარბადაგანს ღირსეულ პატრონს უშოვის და მტრის ძალმომრეობისაგან სამუდამოდ იხსნის.

დედოფლის მრჩევლებმა მოიწონეს მელიქე-ხათუნის გადაწყვეტილება, დიდად დააფასეს ხალხისა და ქვეყნის

კეთილდღეობისათვის მისი ესოდენი თავგანწირვა და ჯალალედინს ელჩები გაუგზავნეს.

სულტანს გაგონილი ჰქონდა ადარბადაგანელი დედოფლის სიტურფე და გონიერება. მასთან შეუღლება ადარბადაგანზე ჯალალედინის ბატონობას კანონიერს გახდიდა და დაპყრობილ ქვეყანას გაუერთგულებდა. ამას გარდა, მელიქე-ხათუნის შერთვით ჯალალედინი ათაბაგ უზბეგსაც დასჯიდა და დაამცირებდა იმათ თვალში, ვისაც კიდევ ჰქონდა მისი იმედი, ვინც ადარბადაგანის კანონიერ პატრონად ჯერ კიდევ მას მიიჩნევდა.

ჯალალედინმა სიამოვნებით მიიღო ელჩების წინადადება. დედოფლისა და ათაბაგის გაყრა კანონიერად აღასრულეს და ადარბადაგანის დედოფალი ხვარაზმელ სულტანს შეუუღლდა.

!

სახიობისა და მუსიკის, ლექსებისა და ლხინის მოყვარულ უზბეგს სადაც დაუღამდებოდა, იქ უთენდებოდა. დიდი და სახელოვანი ფაჰლავანების უკანასკნელ შთამომავალს იმ ირანელი მგოსნების რჩევა გაეხადა სახელმძღვანელოდ, რომლებიც ამ ქვეყნად ლხინს გარდა ყოველივეს ამაოებად თვლიდნენ. ჩვენ ყველანი მიწისაგან ვართ და მიწადვე უნდა მივიქცეთ. ულამაზესი ასული, რომელსაც ახლა ეხვევით, ხვალ მიწად იქცევა და იმ მიწისაგან, რომელსაც დაუფიქრებლად ადგამენ ფეხს, მექოთნე ყელმოღერებულ სურას გააკეთებს. იმ სურიდან სხვები ისევე დალევენ ღვინოს, როგორც შენა სვამ ახლა ამ ყელყელა სურიდან. დალევენ და არც დაფიქრდებიან, რომ ოდესღაც ის თიხაც უტურფესი ასული იყო, ხოლო ღვინის ეს ჯამი უძლეველი ვაჟკაცის თავის ქალა.

რაღა აზრი აქვს ადამიანურ ზრუნვას, თუ განგებისაგან დადგენილ ამ ყველაზე საშინელ წესს ვერ შეცვლი, რად უნდა ადამიანს ცნობა და გონება, თუკი იგი უძლურია ახსნას და დასძლიოს სოფლის ამაოება. ადამიანი განწირულია გაჩენის დღიდანვე. მას ისღა დარჩენია, ღვინის სმასა და ლამაზ ხათუნებთან ალერსში ცხოვრებისგოს დღისა და ღამის ანგარიში და ყელმოღერებული სურიდან სვას გონების შემრთმევი ღვთაებრივი სასმელი.

წუთისოფლის ამაოებისა და ღვინის თავდავიწყების ამ რწმენას ადგა მტკიცედ უზბეგი და ბედის აღარავითარი დარტყმა და წიხლი აღარც აკვირვებდა, აღარც აღშფოთებდა.

მას ჯერ ქართველები მიდგნენ და სულს არ ათქმევინებდნენ, ახლა კიდევ ხვარაზმელი სულტანი გამოჩნდა, ქვეყნის უდიდესი ნაწილი გამოსტაცა და ადარბადაგანის ნამდვილ პატრონად თავისი თავი გამოაცხადა.

რა საცოდავები არიან ეს დიდებისმოყვარული ადამიანები! რა ხარბად ეწაფებიან წამიერსა და წარმავალს ამ წუთისოფელში და წინ ან უკან ერთხელაც არ იხედებიან. წინ კი არარაობაა, ხოლო უკან მათ კვალზე სიკვდილი მოდის, გარდუვალი და უძლეველი სიკვდილი, რომელიც ამ ქვეყნის ყველა მოსაჩვენარ დიდებასა და ბრწყინვალებას ანგრევს და ანადგურებს. როგორ არ იციან იმ ბედშავებმა, რომ ამ ქვეყნად დროებითა ვართ და სიცოცხლის ამ ერთი წუთის დაკარგვა უნაყოფო ზრუნვისა და ფუსფუსისათვის სიგიჟეა და მეტი არაფერი!

წაიღონ ყოველივე, სამეფოცა და სამკვიდროც, წარსტაცონ სიმდიდრეცა და დიდებაც, — ერთ ჯამ ღვინოსა და მასავით უდარდელ მეინახეს ყოველთვის იშოვის უზბეგი და მასაც მეტი არა უნდა რა, სიცოცხლის არარაობის ჯავრით გახურებულ გულსა და ტვინს ღვინო გაუგრილებს და წამიერად მაინც მისცემს თავდავიწყების შვებას.

ამგვარად მოაზროვნე და ცხოვრების ამ წესზე გადასული უზბეგის გულს ამქვეყნიური აღარა ეკარებოდა რა, მას არც მის სამფლობელოში მომხდარი დიდი ცვლილებები აღელვებდა,

არც მის თავს დატრიალებული უბედურება აშფოთებდა.

ყველას, მის ნაცნობსა თუ უცნობს, ერთნაირად სჯეროდა, რომ ათაბაგს ბედის ვერავითარი მუჯლუგუნი წონასწორობიდან ვერ გამოიყვანდა, ამ ქვეყნისკენ გულს ვერ მოუბრუნებდა და მისი ავ-კარგით ვერ ააღელვებდა.

ასე ეგონა თავათ უზბეგსაც, მაგრამ...

ერთ მშვენიერ დღეს თავრეზიდან ამბის მთხრობელი მოვიდა, ახალგამოღვიძებულ, ჯერ კიდევ ფხიზელ ათაბაგს ეახლა და მძიმე ამბის მოსახსენებლად ნებართვა ითხოვა. ათაბაგმა დამცინავი ღიმილით ჩაიქნია ხელი, თითქოს ამბობდა, იმაზე უარესი რა უნდა მითხრა, რაც დიდი ხანია ვიცი: ხვალ თუ ზეგ მიწად უნდა ვიქცე და არარაობას შევუერთდეო. ღვინო დაისხა და ფიალა რომ ასწია, მოამბეს შეხედა. ამბის მომტანი უცნაურად გაოცებული თუ შეშინებული შეჰყურებდა და ენის მობრუნებას ვერ ახერხებდა.

უზბეგს სასმისიანი ხელი გაუშეშდა, მოამბის თვალების გამოხედვაზე შედრკა, შეკრთა და როგორღაც დაიბნა.

— სულტანმა ჯალალედინმა თითქმის მთელი ადარბადაგანის მიწა-წყალი დაიპყრო... — ხმადაბლა დაიწყო მოამბემ მთავარი სათქმელის შემზადება.

— მიწაცა და წყალიც ღვთისაა და ვისაც სურს, მას მისცემს უფალი, — აუღელვებლად თქვა ათაბაგმა, მოამბეს თვალი თვალში გაუყარა და გუმანით იგრძნო, რომ მაცნე მისთვის ამ კარგა ხნის ნაცნობი ამბის შესატყობინებლად არ იყო მოსული და სხვა უფრო მნიშვნელოვანი სათქმელი უნდა ეთქვა.

— დედოფალი მელიქე-ხათუნი ხვარაზმის სულტანს ჯალალედინს შეეუღლა, — კიდევ უფრო ხმადაბლა, ძლივს გასაგონად თქვა ფარდაგზე დაჩოქებულმა, იატაკამდე თავდახრილმა მოამბემ და სული განაბა.

ათაბაგს ხმალი გვერდით ედო და სუნთქვაშეკრული ამბის მომტანი ჩუმი ჟრჟოლვით ელოდა კისერზე იმ ხმლის დარტყმას.

ხმალმა დააგვიანა და მოამბემ სულ-ნელა ასწია თავი.

ათაბაგს ფერი წართმეოდა, ჩალა-კანკალს მოეტაცნა, სავსე ფიალის დადგმა ვერ მოეხერხებინა და ღვინო ძირს იღვრებოდა.

— თავისი სურვილით ინება დედოფალმა, თუ ძალით შერთეს იგი სულტანს? — იკითხა მიმწყდარი, ხრინწიანი ხმით უზბეგმა.

— თავისი ნებითა და სურვილით, მაჰმადის სჯულითა და წესით შეეუღლა დედოფალი სულტანს, — დაუდასტურა ამბის მცნობელმა და ახლა უკვე თავი აღარ დაუხრია შიშით. იგი გაოგნებული შეჰყურებდა მის თვალწინ ერთ წამში მომხდარ საოცრებას: უზბეგს ცახცახი ხელიდან უცებ მთელ სხეულზე გადაუვიდა, ციებიანივით ტანის ყოველი ასო და ნაკვთი აუკანკალდა და წაერთვა. მერე მორჩილად ლოგინზე დასდო თავი, ერთი უაზროდ მოავლო თვალი იქაურობას და ცახცახიცა და სუნთქვაც ერთად შეწყვიტა, ერთბაშად...

როგორც კი ადარბადაგანის საქმეებს მორჩა, ჯალალედინი ისევ საქართველოსკენ გამოემართა. მთავარ ბანაკში მოსვლისას ქართველი ტყვეების ამბავი იკითხა. ვაზირმა ტყვეების გამოსყიდვის თაობაზე ქართველებთან მიღწეული გარიგების ამბავი ისე ამაყად მოახსენა, ეტყობოდა, მბრძანებლისაგან დიდ ჯილდოსა და მადლობას ელოდა.

ჯალალედინი მის ნებადაურთველად ასეთი ნაბიჯის გადადგმამ საშინლად გაბრაზა.

ქართველთა ელჩების თანდასწრებით ვაზირს სასტიკად გაუჯავრდა:

— როგორ გაბედე ურწმუნო გურჯებთან მოლაპარაკების გამართვა, მე აქ ტყვეებით სავაჭროდ კი არა ვარ მოსული, არამედ ისლამის მტრების დასასჯელად და სრულიად მოსასპობად! ახლავე ეს ელჩები უკან გააბრუნე და ამ საქმეზე მეორედ აღარავინ გაბედოს ჩემი შეწუხება.

ქართველთა ელჩებმა უსიტყვოდ დას-

ტოვეს ხვარაზმელი სულტნის კარავი.

ცოტახნის შემდეგ ჯალალედინმა ვაზირი იხმო და დამშვიდებით გამოჰკითხა ქართველთა მიერ შემოძლეული ოქროს რაოდენობა. ვაზირმა უზარმაზარი რიცხვი დაუსახელა და სულტანი ჩაფიქრდა.

— ჯერ ხომ არ წასულან ქართველთა ელჩები? — იკითხა ჯალალედინმა.

— ჯერ არა, მბრძანებელო, მაგრამ სადაცაა წავლენ.

— საღამომდე დაიჭირე რაიმე მიზეზით, — ბრძანა სულტანმა და ვაზირმა შეამჩნია, როგორ აუთამაშდა მრისხანე მბრძანებელს ეშმაკური ღიმილი მოკუმულ ბაგეზე.

მონასტრის ვიწრო სენაკში თაფლის დიდი სანთელი თითქმის ბოლომდე ჩამოღვენთილიყო. ნაშუაღამევი იყო, ყველას ეძინა. მონასტრის სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ კალმის ხმაური არღვევდა. კალამი შეუჩერებლად გადი-გამოდიოდა ხბოს ტყავზე, ხანდახან წრიპინის მსგავს ხმას გამოსცემდა და კაცს ეგონებოდა, კუთხეში მიმალული თაგვი ფხაჭნის წიგნებით გამოტენილ უზარმაზარ სკივრსო.

მაგიდასთან ძილგატეხილი პავლია კუტი იჯდა პერანგის ამარა. წვრილად და ჩქარა წერდა. ხანდახან შეჩერდებოდა, დაღლილ მკლავს გამართავდა, დაფიქრდებოდა და მერე ისევ აუშვებდა წამით შეყოვნებულ კალამს.

სანთელი იწვოდა და დნებოდა. იმ დღეების საქართველოს მატიანე იწერებოდა. პერგამენტის გრძელი ფურცლები ჭრელდებოდა და ივსებოდა, ამბავი არ თავდებოდა და საწერი არ ილეოდა.

უცებ გარედან ხმაური მოისმა. კუტმა წერას თავი ანება, ყური მიუგდო. ხმაურმა იმატა. მონასტრის ჭიშკრიდან დარაჯების გადაძახილი ისმოდა.

ომიანობის შიშით მაგრად დახშულ ჭიშკართან დღედაღამ გუშაგები იდგნენ და მონასტერში უნებართვოდ არავის უშვებდნენ. პავლიამ ტანსაცმელის გადაცმა ძლივს მოასწრო. სენაკის კარზე დააკაკუნეს.

— ვინა ხართ, შემოდით, — გასძახა კუტმა.

კარი გაიღო და გუშაგმა ბერებმა აქოშინებული, სისხლითა და ტალახით გასვრილი კაცი შემოიყვანეს.

— ვინ არის, აქ საიდან გაჩნდა? — იკითხა შეშფოთებულმა კუტმა.

— საქართველოს მეფის ელჩი ვარ, სულტან ჯალალედინის ბანაკიდან მოვრბივარ.

— ჯალალედინის ბანაკში რა გინდოდა? — გაიკვირვა პავლია კუტმა.

ელჩი ქვის იატაკზე ჩაიკეცა, სული მოითქვა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ განაგრძო:

— სულტნის ვაზირს ქართველ ტყვეთა გამოსასყიდი ოქრო ვაახლეთ...

ელჩს გული ამოვარდნაზე ჰქონდა, სულის მოსაბრუნებლად შეყოვნდა.

— მერე... — ვეღარ მოითმინა სმენადქცეულმა კუტმა.

— ყველაფერი გათავებული იყო, ვაზირს ოქრო უნდა მიეთვალა და ჩვენ— მათი ტყვეები, მაგრამ რაღაც საუბედუროდ, უცებ სულტანი გაჩნდა საიდანღაც. ვაზირსაც სასტიკად გაურისხდა და ჩვენც ხელცარიელები დაგვიფრინა.

— ტყვეები არ დაგანებათ? — იკითხა ფერდაკარგულმა პავლიამ.

— არც ტყვეები დაგვანება და არც ჩვენი ოქრო ინდომა...

პავლია კუტი აფორიაქდა. თვალწინ ცაგო დაუდგა. ვინ იცის, რა იმედით ელოდა ამ ელჩებთან ერთად თორელის მობრუნებას მისი დაი.

— სამნი ვიყავით ელჩად, თან მცირე რაზმიც გვახლდა მცველად. გუდანაბადი ავიკარით და საღამოს პირში ჩალაგამოვლებულნი დავბრუნდით. კარგა გზა რომ გამოვიარეთ და კარგადაც დაღამდა, ყაჩაღები დაგვესხნენ თავს და ტყვეების გამოსასყიდად წა-

ღებული ოქრო წაგვართვეს. ჩვენ ხმლები ვიშიშვლეთ, მაგრამ ისინი ბევრნი იყვნენ და რას გავაწყობდით, ზოგნი დახოცეს და ზოგნიც დაგვჭრეს.

— მარტო ის ოქრო წაიღეს? — იკითხა ფიქრში წასულმა კუტმა.

— მხოლოდ ოქრო, სხვას ხელი არაფერს ახლეს.

— ის მძარცველები შარაგზის ყაჩაღები არ ყოფილან, თორემ სხვა რამესაც წაგართმევდნენ.

— მეც აგრე ვფიქრობ, ისინი საგანგებოდ ოქროსათვის დაგვესხნენ თავს. ეპვი მაქვს, ხვარაზმელები უნდა ყოფილიყვნენ.

— აგრე იქნებოდა, — დაუდასტურა პავლიამ, — ის, ვინც დღისით ძარცვავს ქვეყანას, არც ღამით ყაჩაღობისგან დაიხევს უკან...

დაკოდილ ელჩს ბერებმა ჭრილობა შეუხვიეს და მოასვენეს.

პავლია კუტს მთელი ღამე არ ეძინა თორელისა და ცაგოს დარდით.

დილით, როგორც გათენდა, ჯორზე შეჯდა, თან მორჩილი გაიყოლა და თბილისისაკენ წავიდა.

პავლია კუტმა ისე განვლო გრძელი გზა, სატახტოდან სამხრეთისაკენ მიმავალი კაცი არ შეხვედრია. გზიდან ხედავდა: ახლომახლო სოფლებიდან ქორისაგან დაწიოკებული წიწილებივით გარბოდნენ ქალები და ბალღები, მოხუცები და ხეიბრები. დაფეთებულები სტოვებდნენ სახლ-კარსა და სარჩო-საბადებელს და მაღალი მთების, დაბურული ტყეებისა და მიუდგომელი გამოქვაბულებისკენ მირბოდნენ უკანმოუხედავად.

დროდადრო ქართველი მხედრები გაიქროლებდნენ ცხენხეთქით, ალბათ, მზვერავები იყვნენ და სატახტოსაკენ მტრის მოძრაობის ამბავი მიჰქონდათ.

ცხენის ფეხის მტვერი ჩადგებოდა, ფლოქვების ცემის შორეული ხმა მიწყდებოდა და ირგვლივ ისევ შიშისმომგვრელი სიჩუმე დგებოდა.

პავლია ჯორს მათრახს სცემდა და აჩქარებდა. უნდოდა როგორმე თბილისში მტრის მოსვლამდე შეესწრო, თორემ მერე გვიან იქნებოდა, ხვარაზმელები ქალაქს ალყას შემოარტყამენ და საქართველოს სატახტოში საყარი ბერი კი არა, ალბათ, ჩიტიც ვეღარ შეფრინდებოდა.

ზურგზე აბგაგადაკიდებული მორჩილი სირბილით მოსდევდა, ჯორს უსწრებდა და ზოგჯერ თვითონაც სცემდა წკეპლას ფეხმოდგმულ, ოჩან პირუტყვს.

როდის-როდის ქალაქს მიატანეს. მაგრამ შიგ შესვლა გაძნელდა. თბილისის ყველა კარი მაგრად იყო დახშული, ქალაქი საომარ ბანაკად ქცეულიყო, არც შიგ უშვებდნენ ვინმეს და არც გარეთ ატარებდნენ კაციშვილს.

დიდხანს ატრიალა ჯორი პავლიამ დახშულ რკინის კართან. ზღუდის ქონგურებზე მდგარი გუშაგები ღიმილით უყურებდნენ ჯორზე ამხედრებულ ბერს და ხელის ქნევით ანიშნებდნენ, აქაურობას გაეცალეო. მაგრამ უცნაური ბერი რკინის კარს არ ეხსნებოდა, ზედ ვერცხლისთავიან არგანს სცემდა და თან განწირულად იხვეწებოდა ქალაქში შეშვებას. ბოლოს ბერის მოძალებამ და სიჯიუტემ თავისი გაიტანა, გუშაგებმა ციხისთავს გადასცეს ჯოროსანი ბერის სათხოვარი.

თბილისის ციხისთავად დადგენილი გოჩი მუხასძე კოშკზე გადმოდგა. შორიდანვე იცნო თორელის ცოლისძმა, კარის გაღება უბრძანა და პავლია კუტის ჯორი თბილისის ქუჩებში შეჩაქჩაქდა.

სულტან ჯალალედინის მდივანმა, მოჰამედ ენ ნესევიმ თავისი თვალით ნახა მთელი ის უბედურება, რაც ჩინგიზის ურდოებმა დაატეხეს თავს ხვარაზმშას უზარმაზარ სამფლობელოს. მის თვალწინ დაემხო აყვავებული დიდი ქალაქები, მიწასთან გასწორდა მიუვალი ციხე-სიმაგრეები და ულმობლად გაიჟლიტა ასი ათასობით უდანაშაულო ადამიანი.

ყველაზე დიდი გულისტკივილი მოჰამედმა თავისი მშობლიური ქალაქის, ნესას დანგრევისა და აოხრების გამო განიცადა. ბევრი ასლობელი დაეღუპა ნესაში მოჰამედს, მთელი თავისი სიმდიდრეც იქ დაკარგა, მაგრამ განათლებულსა და წიგნის მოყვარულ მოჰამედს ყველა დანაკლისზედ მეტად დასწყვიტა გული იმ წიგნსაცავის განადგურებამ, რომელსაც წლების განმავლობაში ასეთი ზრუნვითა და რუდუნებით აგროვებდა.

სულტნის სამსახურში თავისი ნებით შესული ნესევი მონგოლთა მძლავრობისაგან დახსნის მთელ იმედს ჯალალედინზე ამყარებდა. ხვარაზმშა მუჰამედის შვილთაგან მხოლოდ მას თვლიდა ტახტის ერთადერთ ღირსეულ მემკვიდრედ. ნესევის რწმენით, საშინელი მტრის დამარცხებას, მამის უნაპირო სამფლობელოს პატრონობასა და მთელი საისლამოს მფარველობას მხოლოდ ჯალალედინი შესძლებდა.

იგი სასოებით შეჰყურებდა გაბედულსა და თავზე ხელაღებულ სულტანს; მისი ძლიერი ნებისყოფითა და გაუტეხლობით მოხიბლულს სჯეროდა, რომ ჯალალედინი თავათ ალაჰისაგან იყო მოვლენილი მონგოლთათვის სამაგიეროს გადასახდელად და რომ იგი მთელს სამაჰმადიანო სამყაროში ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც შეეძლო წყეული ჩინგიზის გამკლავება და განადგურება. ნესევის სწამდა, რომ მიუხედავად ბევრი მარცხისა და უიღბლობისა, ჯალალედინის გამარჯვების ვარსკვლავი ბოლოს მაინც ამობრწყინდებოდა და მუსულმანთათვის ახალი, ბედნიერი ხანა დაიწყებოდა.

ამ რწმენით დაბრმავებულ ნესევის სულტნის ყოველი ნაბიჯი ღვთისგან ნაკარნახევად ეჩვენებოდა და მის ყოველ გადაწყვეტილებას განგებისაგან შთაგონებულად სთვლიდა.

მოჰამედი ერთგულად ემსახურებოდა თავის მბრძანებელს, სანიმუშოდ უძღვებოდა მისთვის მინდობილ საქმეს და სულტნის დივანში სამაგალითო წესრიგი ჰქონდა დამყარებული.

მაგრამ თავის მთავარ საქმედ და მოწოდებად სხვა მიაჩნდა ნესევის. იგი სულტან ჯალალედინის ცხოვრებას ტიანეს წერდა და არა მარტო თავის წმინდა ვალდებულებად სთვლიდა ამ საპატიო საქმეს, თავისი არსებობის გამართლებად და უპირველეს დანიშნულებადაც ეს მიაჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად უხვი და პატივმოყვარე სულტანი ყოველნაირად ხელს უწყობდა მოჰამედს ამ ამოცანის ღირსეულად შესრულებაში, თავის მდივანთან საუბრისათვის დროს არ იშურებდა და ფულითა და სხვა წყალობითაც უხვად აჯილდოებდა.

ნესევის თავისი შრომა ისე ჰქონდა მოფიქრებული, რომ მასში არა მარტო ხვარაზმისა და მისი ხელმწიფეების ისტორია უნდა მოეთხრო; შფოთითა და ფათერაკებით სავსე თავგადასავალი ჯალალედინისა მდიდარსა და უხვ მასალას იძლეოდა იმისთვისაც, რომ მისი ცხოვრების მემატიანეს აღეწერა და მოეთხრო ყველა იმ ხალხისა და ქვეყნის ისტორია და გეოგრაფია, რომლებთანაც ბედმა საქმის დაჭერა არგუნა დიდსა და აღმატებულ სულტანს.

ამ ხალხებიდან და ქვეყნებიდან ზოგი მტერი იყო ჯალალედინისა, ზოგიც — მოყვარე და ხელისგამმართავი. მათი მტრობაცა და მოყვრობაც გარკვეულ დაღს ასვამდა სულტნის მოქმედებასა და ცხოვრებას. ამიტომ მონგოლთა უღლისაგან დამხსნელი სულტნის ცხოვრების შემსწავლელ შთამომავლობას იმ ხალხების ცხოვრებაც უნდა სცოდნოდა, რომლებთანაც მას ურთიერთობა ჰქონდა.

ამ ამოცანის განსახორციელებლად ნესევის სულტნის სამდივნოსთან საგანგებო დანიშნულების სახელო ჰქონდა, სადაც იმ ხალხის მწიგნობრები ისხდნენ და მუშაობდნენ, რომელთა

ისტორიის გაცნობა შთამომავლობისათვის საჭიროდ მიაჩნდა ნესევის.

აქ იყვნენ მონგოლი და უიღური, სინდელი და ადარბადაგანელი და კიდევ ვინ მოთვლის რომელი ქვეყნისა და რჯულის მწიგნობრები... ისინი ტყვედ ჩავარდნოდნენ ჯალალედინს ამ ხალხებთან შეტაკებისას და ახლა ნესევის დავალებითა და ზედამხედველობით მისივე მატიანის შესავსებად წერდნენ თავიანთი ქვეყნების ისტორიასა და გეოგრაფიას.

ნესევის ამ თანაშემწეებს სულტნის მდივნისაგან ყურადღება და ზრუნვა არ აკლდათ, მაგრამ ისინი მაინც ტყვეები იყვნენ და სულტნის ბანაკი რომ არ გაემსტოვრათ ან იქიდან არ გაქცეულიყვნენ, მიჩენილი ჰყავდათ გუშაგები, რომელთაც მკაცრად ჰქონდათ ნაბრძანები, დღედაღამ თვალი ედევნებინათ მათი ქცევისა და ყოველი ნაბიჯისათვის.

მწიგნობართა ამ კრებულს მიემატა საქართველოს მეფის კარის მგოსანი თურმან თორელი.

ნესევი დიდხანს ესაუბრა სულტნისაგან მონად ბოძებულ ქართველ მგოსანს:

— ბედის ტრიალი აგრეა, მგოსანო! მისი ჩარხი ზოგისთვის წაღმა ბრუნავს და ზოგისთვის — უკუღმა. ისიც უნდა გახსოვდეს, რომ ეს ჩარხი სულ ერთი მიმართულებით არავისთვის არა ტრიალებს. გუშინ რომ წაღმა ბრუნავდი და მის შემყურეს თავი უბედნიერესი ეგონა, დღეს ჩარხი უკუღმა დატრიალდება და მისი მინდობილი ენითუთქმელ განსაცდელში ვარდება. ქვეყანა ისეა მოწყობილი, რომ ყველა ერთნაირად ბედნიერი არასოდეს არ არის და ვერც იქნება; ერთის ბედნიერება მეორის უბედურებას იწვევს და გულისხმობს, ერთი ერის ბედნიერება მეორის უბედურებას ნიშნავს და ერთა შორის მტრობასაც ისევე არა აქვს დასასრული, როგორც ცალკეულ ადამიანთა შორის შუღლსა და მოსისხლეობას.

გუშინ საქართველო ძლიერი და ბედნიერი ქვეყანა იყო, შენ მისი თავისუფალი, ბედით კმაყოფილი, შველი იყავი. დღეს შენი ქვეყნის ჩარხი უკუღმა დაბრუნდა და შენ ხვარაზმელი სულტნის მდივნის ტყვე ხარ.

ერთ დროს მეც სხვა ვიყავი, ჩემი სამფლობელო ქალაქი და ციხეები მქონდა ხორასანში. მაშინ ჩემი ახლანდელი პატრონის მამას, ხვარაზმშა მუჰამედს თითქმის მთელი საისლამო ეკუთვნოდა. ბედნიერად, მოსვენებულად ცხოვრობდა მთელი იმოდენა ქვეყანა და მეც ბედნიერი ვიყავი: უზარმაზარი წიგნთსაცავი მქონდა, სულ იშვიათი და რჩეული წიგნებით სავსე, სიმდიდრე ჩემს ხელთ იყო და მოცალება. გამოჩენილ მგოსნებთან და სწავლულებთან საუბარსა და კამათში, წიგნების კითხვაში ვაღამებდი და ვათენებდი და ჩემი ასეთი ცხოვრება სრულიადაც არ მეჩვენებოდა მათს დროსტარებაზე ნაკლებ მიმზიდველად, ვინც თავის დღესა და წუთისოფელს ნადირობასა და შექცევას, ღვინოსა და ქალებს ანდომებდა.

მაგრამ წელანაც გეუბნებოდი, ბედი მუხთალია და დაუნდობელი. ალბათ, მოსწყინდა სულ ჩვენთვის წაღმა ტრიალი, უცებ შებრუნდა და უკუღმა გადატრიალდა. მონგოლეთის შორეულ უდაბნოში უცნობი ხალხი გამოჩნდა, გაძლიერდა და ჩვენს წასალეკავად დაიძრა. ბედმა თავისი ამ ახალი ნებიერისკენ იბრუნა პირი და ჩვენ ზურგი შეგვაქცია. ერთი ერის ბედნიერება, როგორც უკვე გითხარი, გარდუვალად მეორის უბედურებაზე შენდება და მონგოლეთის ვარსკვლავმა რომ ამობრწყინება იწყო, ხვარაზმის მნათობს ბინდი გადაეფარა.

ჩემი ბედნიერებაც იქ გათავდა, მაშინ, როცა ჩემი სამფლობელო და მშობელი ხორასანი მტრის ფერხთაქვეშ დაეცა და მე მაწანწალასავით ხალთამოკიდებული დავადექი გაუთავებელ გზას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორელი ყურადღებით ისმენდა თავისი უცნაური პატრონის დარიგებასა თუ შეგონებას.

უკანასკნელ სიტყვებზე ნესევის ხმა აუკანკალდა და ცრემლი მოერია.

— მაგას რატომ ბრძანებთ, ბატონო, თქვენ ისევ სვებედნიერი და ძლიერი ბრძანდებით, — შეჰბედა თორელმა.

— სვებედნიერი და ძლიერი! იქნებ ასეც იყოს, მაგრამ ესეც შედარებითია. შენთან შედარებით, შეიძლება ამჟამად მე აგრე ვჩანდე, მაგრამ ჩემი დღევანდელი ბედნიერება ხომ იმას ვერ შეედრება, რომელიც ჩემს ნესასა და ხორანდერში მქონდა.

ნესევიმ ცრემლი შეიმაგრა და განაგრძო:

— ჩვენი სულტანი, რომლის გმირობა და გულმოწყალება შენ თვითონ ნახე, დიდია და უძლიერესი. მართალია, აქამდე მას წყეული ჩინგიზ ხანი ძლევდა, მაგრამ ეს სულტნის უღონობით ან უგუნურებით როდი აიხსნებოდა. ალაჰმა ჩვენს დასასჯელად წარმოგზავნა შეჩვენებული ჩინგიზი, ჩვენთა ცოდვათათვის სამაგიეროს მოსაზღველად. ამიტომ ამაო იყო ჯალალედინის ყველა ცდა და ღონე, გმირობა და თავგანწირვა. ახლა, როცა ალაჰამდე მიაღწია მორწმუნეთა სინანულმა და ვედრებამ, უფალმა ჩვენს სულტანს წყალობით მოხედა, რადგან იგი არის მუსულმანთა ერთადერთი იმედი და ქომაგი. უფალმა ჯალალედინის ბედის ჩარხ-უკუღმა ტრიალი შესწყვიტა და სულტანს მტრებზე გამარჯვება მისცა.

ამიერიდან ძლევა ჯალალედინის ხელთ იქნება, იგი დაამხობს თათართა მძლავრობას, დაიბრუნებს თავისი მამის უზარმაზარ სამკვიდროს და მშვიდობასა და მოსვენებას მიანიჭებს მორწმუნეებს.

გურჯისტანის დაპყრობა სულტნის დიდი გამარჯვებაა. ამის გამო ალაჰს დიდ მადლობას ვწირავთ და ლოცვას აღვუვლენთ.

საქართველოს ძლევა სულტნის ცხოვრების მატიანეში ერთ-ერთ უბრწყინვალეს ფურცლად შევა. შთამომავლობამ უნდა იცოდეს, თუ ვინ იყვნენ ქართველები, სად და როგორ ცხოვრობდნენ ან როგორ მიაღწიეს ესოდენ ძლიერებას.

ყოველივე ამის მცოდნე შენა ხარ და შენ უნდა აგვიწერო შენი ქვეყნის ავკარგი, ხალხის წესი და ზნე-ჩვეულება, წარსული და დღევანდელი. ბედი გქონია, რომ წიგნობარი ყოფილხარ და ამ საქმისათვის გამოდგები.

ამ მიზნით გიხსენი სულტნის რისხვისაგან და, ჩვენ რომ არ გვეშუამდგომლა, ახლა შენი მოჭრილი თავი თავრეზის ზღუდეზე იქნებოდა მარგილზე წამოცმული. ვინძლო სულტნის დიდსულოვნება და გულმოწყალება დააფასო და ამ შენთვის მონდობილ საქმეში მუყაითობა გამოიჩინო. დაჯექ და შეუდექ საქართველოს აღწერას. ჩვენგან წყალობასა და ყურადღებას ელოდე. თუ რამ დაგჭირდეს, მოგვმართე და დაგეხმარებით რჩევითა და გამოცდილებით. ჩვენი სულტანი, უფალი იყოს მისი შემწე, უხვია და მოწყალე. შენს შრომას ღირსეულად დააფასებს და ნიჭსა და ჯილდოსაც არ მოგაკლებს.

ნესევის ტყვე საქართველოს ისტორიის წერას შეუდგა. ბევრი რამ ახსოვდა, ბევრი რამ კიდევ ნესევის წიგნებიდან, არაბული და სპარსული, ბიზანტიური და სომხური წყაროებით, მოგზაურებისა და მემატიანეების ცნობებით შეამოწმა და შეავსო. დასაბამიდან მოჰყვა და დაწვრილებით აღწერა როგორც ქართველთა ადგილ-სამყოფელი, ისე მათი ზნე და ცხოვრების წესი.

საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების თხრობას რომ შეუდგა, მოჰამედ ნესევის ბრძნულად ნათქვამი აეკვიატა: ნუთუ ერთი ერის ბედნიერება მართლა მეორის უბედურებას მოასწავებს! ნუთუ ეს მგლური კანონი ბატონობს ისტორიის განვითარებაზე და იგი ყველა დროისა და ხალ-

---

ხისათვის მართლა გარდუვალი და აუცილებელია! მაშ რისთვისღა არის სარწმუნოება, ღვთის შიში და მოყვასის სიყვარული? ან იქნება ეს კანონი ერთისაგან მეორის მოსპობისა მხოლოდ წყეული მაჰმადის მიერაა მოგონილი, რომელიც მოსეს მსგავსად შურისგებასა და სამაგიეროს გადახდას ჩააგონებს მორწმუნეებს საშინელი სიტყვებით: „კბილი კბილისა წილ და თვალი თვალისა წილ!“

თუ ეს კანონი მაჰმადის მოგონილია, მაშ ქრისტიანები რად ომობენ და ჟლეტენ უდანაშაულო ადამიანებს; რად იპყრობენ ქვეყნებსა და მუსრავენ ხალხებს მართლმორწმუნე ბიზანტიელები და ქართველები, რუსები და დასავლეთის ქრისტიანები?! განა ჯვარცმულმა არ უქადაგათ: „არა კაც კლა!“, „რომელმან გცეს ყვრიმალსა მარჯვენეს. მიუპყარ მარცხენეც!“

ასე ჟლეტდნენ ხალხები ერთიმეორეს მოსემდე და მაჰმადამდე, ბუდამდე და ქრისტემდე. აგერ, მონგოლი ტყვეზის თორელის გვერდით. მონგოლებს ჯერ კიდევ თავიანთი ანბანი არა აქვთ და უიღურების დახმარებით უიღურებისავე დამწერლობით სარგებლობენ. მოჰამედ ნესევის მიერ გამოგონილ ამ უცნაურ დაწესებულებაში მონგოლი ტყვის გვერდით უიღური ზის, ისიც ჯალალედინის ტყვე. მონგოლი ველურია, ნამდვილი პირველყოფილი. იგი ჩინგიზის მალემსრბოლი ყოფილა. გრძელ გზებზე ჩინგიზს იამები აქვს თურმე დაწესებული, მალემსრბოლი აქ დაღლილ ცხენს იცვლის და გზას განაგრძობს, მაგრამ თუ მანძილი ძალიან დიდია და მალემსრბოლიც ძლიერ დაღლილი, იგი გადასაცემ ამბავს სიმღერით ეუბნება თურმე მეორე მალემსრბოლს, რომელმაც მისი გზა უნდა განაგრძოს და ამბავი სიმღერითვე უნდა მიიტანოს დანიშნულებისამებრ.

როცა სინდელი ტყვე და თორელი მუშაობას ამთავრებენ, ნესევის ეს ველური „მემატიანე“ უიღურ მწიგნობართან მარტო რჩება, რაღაცას თავისებურად სიმღერით გაჰკივის — „ძოუბრობს“ და უიღური თავის ენაზე იწერს მის „ნაამბობს“. ეს „ნაამბობი“ ... მონგოლთა ხალხური თქმულებანია. ... თქმულებები და გადმოცემები ჩინგიზ ყაენის წინაპრებს ასხამენ ქებას და თავად ჩინგიზსაც ღვთაებასავით ადიდებენ იმ გმირობის გამო, რომელსაც ის იჩენს უდანაშაულო ხალხის ჟლეტასა და განადგურებაში.

თუკი ეს ველური ხალხიც ასევე უყურებს კაცობრიობის განვითარებას და ისიც შეუგნებლად იმავე მგლური კანონით მოქმედებს, როგორც სხვა დაწინაურებული ხალხები, ეს კანონი მართლაც საყოველთაო და აუცილებელი ყოფილა, ყველა ხალხისათვის სავალდებულო და გარდუვალი.

მაშ რისთვისღა ჰყავდათ ხალხებს წინასწარმეტყველები, რისთვისღა თქვა საკუთარ არსებაზე უარი ბუდამ, ან ქრისტე რად ეწამა ჯვარზე, ან მაჰმადმა რაღად იქადაგა ახალი სარწმუნოება, თუ ადამიანების მოქმედების განმსაზღვრელად ისევ და მაინც ერთიმეორის კვლა და მტრობა, ერთი ერის მიერ მეორეზე ბატონობა დარჩებოდა?! თუ ერების ურთიერთობა საბოლოოდ ძალმომრეობაზეა დაფუძნებული და ერთი ერის ბედნიერება მეორე ერის უბედურებას ნიშნავს, მაშინ სამართლიანობა საერთოდ არა ყოფილა და სიკეთე არ არსებულა, ეს ქვეყანა ძლიერების საბატონოდ ყოფილა, ხოლო სუსტებისათვის თავიდანვე მონის უღელი ყოფილა გამზადებული, ერთს სამუდამო ბატონობა დაჰყოლია გაჩენის დღიდან, ხოლო მეორეს — საუკუნო მონობა. ძლიერები ამქვეყნიური სიკეთით ტკბებიან, უღონონი კი გაჯახირებულ სიცოცხლეს მხოლოდ იმად ინარჩუნებენ, რომ სული ედგათ და იარსებონ.

ასე არსებობდა საქართველოც დიდხანს, თითქმის დავით აღმაშენებლის გამოჩენამდე. იმ დიდებული მეფის შემდეგ ქართველმა ხალხმაც ასწია თავი, წელში გაიმართა, და ამ ცხოვრების სიკეთის გემო, თავისუფალი არსე-

ბობის გემო და ეშხი გაიგო. სულ ახლახან დაიწყო ქართველობამ ადამიანური ცხოვრება, ლაღი, ბედნიერი სიცოცხლე და ნუთუ ხანმოკლე უნდა იყოს მისი ბედნიერება, ნუთუ ისევ მონის უღელში უნდა გაჰყოს თავი საქართველომ იმ უჩინარი კანონის ძალით, რომ ქვეყნად მასზე ძლიერი გამოჩნდა და იმ ძლიერის ბედნიერება აუცილებლად თხოულობს მასზე სუსტი საქართველოს კვლავ გაუბედურებას. ნუთუ ეს კანონი მართლა დაუძლეველია და საქართველოს ბედის ჩარხ-უკუღმა შეტრიალება კვლავ გარდუვალია და აუცილებელი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერდა თორელი და ფიქრობდა დაუსრულებლივ. იგი ღრმად აკვირდებოდა თავისი ქვეყნის ისტორიას, წარსულის ამბებს დღევანდელს ადარებდა და თეთრად გაფრენილ ღამეებში ამაოდ ცდილობდა ადამიანთა და ხალხთა ურთიერთობის ბნელსა და აუხსნელ კანონებში გარკვევას.

გრიგოლ აბაშიძე

დიდი ღამე

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ კღღიაშვილი

თვალი მიჭირავს შენზედა

მე გულის კარი გავაღე
და გახდი გულის მფლობელი,
მწადია შენთან გავლაღდე,
შემომნატროდეს სოფელი.
ჭერი, ასწიონ, მოსძახონ
ომახიანად, მაყრულად,
თორემ ამ ჩემი ოჯახის
ეზო-გარემო დაყრუვდა.

თვალი მიჭირავს შენზედა,
როგორც მიმინოს მწყერზედა...

მე ვჩქარობ, თორემ ვინ არის —
რომ ეშინოდეს სითეთრის,
მინდა, რომ მყავდეს სიმამრი,
მინდა, რომ მყავდეს სიდედრი.
სულ ჭრიალებდეს ჭიშკარი, —
რა შავწყლად უნდა ურდული,
ბინდი იყოს თუ ცისკარი,
იყოს მერცხლების ჟღურტული,

თვალი მიჭირავს შენზედა,
როგორც მიმინოს მწყერზედა...

იყოს ბალღების გალობა,
მხრები გაშალოს ერდომა,
მე დავიმშვენო მამობა,
შენ დაიმშვენო დედობა.
ვაჟიშვილს ვახტანგს დავარქმევ,
რომ ვახტანგურში მშველოდეს,
გოგოს თებრონეს დავარქმევ,
რომ მხარზე კოკა შვენოდეს.

თვალი მიჭირავს შენზედა,
როგორც მიმინოს მწყერზედა...

ნიფოგისთვე

სურათი

ცელქმა სიომ ლეღვს წაართვა სიტკბო...
ძირს
ზღარბივით აბურძგვნილა ბალახი...
მზესუმზირა
მომაგონებს კინტოს.
თითქოს
თავზე
წამოუდგამს
თაბახი...

ეროვნული ბიბლიოთეკა
ლევანი ☆ ბურაკ კლდიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იუზა ყაჭეიშვილი

ძახილი

მოთხრობა

ბიჭს მოსწყინდა სილაში თამაში. ადგა, შარვალი გაიბერტყა და ხელის დასაბანად წავიდა წყაროზე. შუადღე იყო. კეფაში და შიშველ მკლავებზე ბიჭი მზის მცხუნვარებას გრძნობდა და ეჩვენებოდა, თითქოს სითბოსთან ერთად მზე ყრუ, შორეული ხმაურიც ჩამოჰქონდა დედამიწაზე. თალარს რომ გასცდა, უცხო კაცი დაინახა ჭიშკართან. კაცი ჭიშკრის ლატანს ჩამოყრდნობოდა და გაუნძრევლად იდგა. ნაბიჯი შეანელა, დაიმორცხვა. ელოდა, იქნებ დამიძახოს, რაიმე მკითხოსო, მაგრამ კაცი ვერ ამჩნევდა ბიჭს. მერე მიტრიალდა და სამზადი სახლისკენ გაემართა.

— დედი!

სამზადში შუა ცეცხლი ენთო და სულისშემხუთავად ცხელოდა. კერაზე ქვის კეცი იყო გადადგმული. ჭრელხალათიანი ახალგაზრდა ქალი გობზე ცომს ზელდა.

— რაო, შვილო?

— დედი, ვილაც მოვიდა.

— სტუმარია?

— ჰო, ჭიშკართან დგას.

ბიჭს ძალზე სერიოზული ხმა ჰქონდა. ქალმა კარში გაიხედა და კაცი დაინახა. წყალი ამოიღო ვედროდან, ხელი დაიბანა. თავსაფრის სწორებით გამოვიდა გარეთ, ბიჭი მაშინვე უკან აედევნა:

— დედი, ვინ არის?

სამზადიდან ჭიშკრამდე ვიწრო ბილიკი გაჭიმულიყო. ბილიკის მეორე ტოტი ოდა-სახლის კიბესთან თავდებოდა. ქალმა შორეულ ნათესავს თუ ნაცნობს მიამსგავსა კაცი, გაუღიმა.

— მობრძანდით, ბატონო!

კაცი ოდნავ მოსცილდა ჭიშკარს. ნაცრისფერი საზაფხულო კოსტუმი ეცვა და თეთრი პერანგის საყელო მოღეღილი ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ ცხოვრობთ აქ, ქალბატონო?

— ღიახ... — ქალი გაკვირვებული უყურებდა; უცნაურად ეჩვენა შეკითხვა.

— შეიძლება?

— მობრძანდით! — ჭიშკარი გამოაღო.

კაცი ღიმილით ჩავიდა ეზოში. ჭიშკარი თვითონვე მიხურა და ზემოდან მავთულის რგოლი ჩამოაცვა. ქალი სახლისკენ გაუძღვა სტუმარს. ის უხმოდ მიჰყვებოდა, თან წყაროს უცქერდა. წყარო ქვის ხავსმოდებული ღარიდან გადმოდიოდა კაკლის ქვეშ. მზეზე ისე ელავდა წყლის კამარა, თითქოს თეთრი ჰეპლები მიფრინავდნენ დაბლა.

„ნეტავ ვინ არის?“ — ფიქრობდა ქალი. შეკითხვასაც ვერ უბედავდა.

ოდის წინ ბებერი ვაშლის ხე იდგა. აქ თალარი იყო. თალარში ქვის მრგვალი მაგიდა იდგა. ბაბილოებს შორის წითლად ელავდნენ იზაბელას შეთვალული მტევნები.

— აბობრძანდით მადლა, — შეიპატიჟა ქალმა სტუმარი, თან უხერხულობაც იგრძნო. „ქმარი მაინც იყოს შინ“, — გაიფიქრა.

— აქ შევისვენებ ცოტას, — თქვა კაცმა.

დიასახლისი სკამის ჩამოსატანად წავიდა. უკან რომ დაბრუნდა, სტუმარი უკვე თალარში იჯდა. სიგარეტს სრესდა თითებში და მაგიდის ზედაპირს დაჰყურებდა. ამ მშვიდ, სოფლურ გარემოში ისე შორეული და უცხო ჩანდა, რომ ქალს მისდამი პატივისცემის თუ სიბრალულის მსგავსი ბუნდოვანი გრძნობა გაუჩნდა.

— სკამზე დაბრძანდით, ბატონო.

— გმადლობთ, — უთხრა კაცმა. — აქ მირჩევნია.

ფიქრებში ღრმად ჩაფლული ადამიანის წყნარი, სევდიანი ხმა ჰქონდა. მან შეხედა ქალს და უხერხულობის დასაფარავად გაუღიმა. მერე ისევ მაგიდის ზედაპირს მიაჩერდა. ქალმა დაკვირვებით ახლა შეათვალიერა სტუმარი. მას ფართო შუბლი და მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა თმა ჰქონდა. სუფთად გაპარსული ფერმკრთალი სახე დროდადრო ნერვიულად უტოკავდა. თითქოს არც ისე ლამაზი იყო, მაგრამ მაინც ვერ მოსწყვიტა მზერა. ბევრი რამ იყო მასში კარგი და მომხიბლავი, მაგრამ ქალმა არ იცოდა, რა იყო ეს, ან საიდან მოდიოდა.

შორიახლო ჩამოჯდა სკამზე. ბიჭი მაშინვე წინ ჩამოუდგა. ისიც დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა სტუმარს. კაცი იჯდა და უხმოდ ეწეოდა სიგარეტს. უცებ ქალს აზრად მოუვიდა — ჩემი ქმრის ნაცნობი ან ძველი მეგობარი იქნებაო და თქვა:

— გიგლა ადრე მოვა დღეს სამუშაოდან.

კაცმა გაკვირვებით შეხედა; მერე მიხვდა, ვინც იქნებოდა გიგლა.

— სად მუშაობს თქვენი მეუღლე?

— კოლმეურნეობაში აგრონომად... თქვენ არ იცნობთ?

— არა, საიდან? — კაცმა მხრები აიჩეჩა. მერე მოაგონდა, ჯერაც რომ არაფერი ეთქვა. დიასახლისს კი მისი ვინაობა აინტერესებდა. ღიმილით გაიშვირა წინ ხელი.

— აი, ამ სახლში დავიბადე მე...

ქალი გაკვირვებული მიაჩერდა საკუთარ სახლს, წითელი კრამიტით დახურულ ძველებურ ოდას, ფართო აივანი და მოჩუქურთმებული სვეტები რომ ჰქონდა. სტუმრის ნათქვამი ისე უცნაურად ეჩვენა. ერთბაშად ვერც კი ჩასწვდა მის აზრს.

— ამ სახლში დაიბადეთ?

— ჰო, — თქვა კაცმა. სევდიანი ღიმილი უკრთოდა სახეზე. — ჩვენ აქ

ვცხოვრობდით ომამდე... მარტო რომ დავრჩი, ბიძამ აქაურობა გაჰყიდა და ქალაქში წამიყვანა.

— მართლა? რას ამბობთ! — ქალმა თანაგრძნობით გაუღიმა. — ეროვნული ბიბლიოთეკა ერთ ნაცნობს მიგამსგავსეთ, ამდენი ხანია ვფიქრობ, ვინ უნდა იყოს-მეთქი.

— აქ გავატარე ჩემი ბავშვობა, — თითქოს თავისთვის განაგრძობდა კაცი. — ქალაქში რომ წავედი, ომი ერთი წლის დაწყებული იყო.

ქალს ხშირად სმენოდა მეუღლისაგან — ეს სახლი და ეს ნადგამობა ომიანობის დროს შევიძინეთ, მანამდე ეწერში ვცხოვრობდით უვარგის მიწაზეო.

— რამდენი წლის ბრძანდებოდით მაშინ? — ჰკითხა.

— თორმეტის, — უპასუხა კაცმა. — მეხუთე კლასში ვსწავლობდი.

— კარგად გემახსოვრებათ ყველაფერი.

— როგორ არა, გუშინდელივით მახსოვს.

— არ მოგენატრათ აქაურობა?

— როგორ არა!..

— პირველ ხანებში ალბათ ხშირად ჩამოდიოდით.

— არა, — თქვა კაცმა. — ოცი წელიწადია აღარ ვყოფილვარ.

— რატომ მერე? — გაუკვირდა ქალს. — როგორ გასძელით?

კაცს არაფერი უთქვამს. მხრები აიჩეჩა, თითქოს თვითონაც უკვირდა, როგორ გავძელიო. ასანთი გაჰკრა და ახალ სიგარეტს მოუკიდა. ქალს ბევრი რამ აინტერესებდა, მაგრამ აღარაფერი უკითხავს. ხედავდა, ლაპარაკი უჭირდა სტუმარს, ბოდიში მოიხადა და სახლში შევიდა. ბიჭი არ გაჰყოლია, სკამზე იჯდა. ხელისგულებით სკამის ძგიდეს ეყრდნობოდა და სტუმარს თვალს არ აცილებდა. კაცმა გაუღიმა.

— ბიჭიკო, მოდი ჩემთან.

ბიჭი მივიდა.

— რა გქვია?

— ვაჟა.

— რამდენი წლის ხარ?

— შვიდის.

ბიჭი თავდახრილი იდგა და მუხლზე ხელს უსვამდა კაცს, თითქოს ეფერებაო. მერე თავი ასწია, კრიალა შავი თვალები მიანათა.

— მე ჩიტი მყავს.

— ბიჭოს! — გაიკვირვა კაცმა. — მართლა?

— ჰო, მამიკომ დაიჭირა ყანაში.

ხელიდან გაუსხლტა და ბაჯბაჯით გაიქცა მინდორზე. მალე დაბრუნდა, ხელში მანეულისაგან მოწნული ყვითელი გალია ეჭირა. გალიაში შაშვი ფართხალებდა. ამაყად დადო მაგიდაზე და ისევ წინ ჩამოუდგა კაცს. ჩიტი მოწყენილი იჯდა ქანდარაზე, ფრთები ჩამოეყარა და ბუმბული ასწეწოდა. წინ პატარა ლამბაქით წყალი ედგა და იქვე პურის ფინჩხებიც ეყარა. კაცმა ხელში აიღო გალია.

— გავუშვათ, ცოდოა.

— არა, — თქვა ბიჭმა. — ვეღარ დავიჭერთ.

— ნუ დავიჭერთ, იფრინოს სადაც უნდა.

— არა, არა! — დაჟინებით გაიმეორა ბიჭმა.

— დიდი ხანია გყავს? — ჰკითხა კაცმა.

— მესამე დღეა.

— თუ არ გაუშვებ, — უთხრა კაცმა. — ორ დღეში მოკვდება.

— არ მოკვდება, არა! — ბიჭს ცრემლი მოადგა თვალზე. — არაფერს არ მოვაკლებ, მოვუვლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალია წაართვა, გულში ჩაიხუტა და უკანვე წაიღო.

— ხომ არ მოიწყინეთ, — გადმოსძახა ქალმა სახლის აივნიდან. მკლავზე ქათქათა სუფრა ჰქონდა გადაფენილი, ხელში ვერცხლის სინი ეჭირა. სინზე ბროლის გრაფინი, ჭიქები და კიდევ რაღაც-რაღაცეები ეწყო.

— რატომ სწუხდებოდით, ქალბატონო?

— ეს რა შეწუხებაა, — თქვა ქალმა, თან მაგიდას აწყობდა. — ცოტა წაიხემსეთ, ამასობაში სადილს გავამზადებ და გიგლაც მოგვისწრებს.

მზე სულ უფრო მაგრად აჭერდა და თალარში ჯდომა სასიამოვნო იყო. ეზოში წიაქით დარბოდნენ წიწილები. კაცი ვერ ხედავდა წიწილებს, მაგრამ ჩანდა, როგორ არხევდნენ ისინი მაღალ ბალახებს. ქალმა არაყი დაუსხა ბროლის ჭიქაში. ბიჭიც მოვიდა უხმოდ და დაჯდა.

— მე გამებუტა. — თქვა კაცმა.

— რატომ?

— ჩიტის თაობაზე. გაუშვი-მეთქი, ვთხოვე, და — არაო.

— მალე ისევ შეგირიგდებათ, — ღიმილით თქვა ქალმა. — მიირთვით, ბატონო.

კაცმა ჭიქა აიღო, დაილოცა და შესვა.

— სანთლის არაყია?

— დიახ. ჩემს მეუღლეს უყვარს.

— რა ხანია არ დამილევია.

— მიირთვით კიდევ.

კაცმა მეორე ჭიქაც შესვა. ესიამოვნა რბილი, ხავერდოვანი სითხე. თაფლის სურნელს უტოვებდა პირში. თითქოს სიმაგრე სულ არ ჰქონდა, მაგრამ უკვე მესამე ჭიქის დაცლაზე იგრძნო, რომ გონება დაენისლა.

— შეატანეთ რამე. — შესთავაზა ქალმა და მურაბიანი ვაზა უფრო მოხერხებულად დაუდგა წინ. ბავშვს გადაუღო ტკბილეული, თავისთვისაც გადაიღო ცოტაოდენი. უხერხულობას უკვე აღარ გრძნობდა.

— მშობლები გყავთ? — ჰკითხა.

— არა. — თქვა კაცმა. სიგარეტს მოუკიდა და ღრმად შეისუნთქა ბოლი.

„ძალიან ბევრს ეწევა", — გაიფიქრა ქალმა.

სიჩუმეს მხოლოდ წყაროს რაკრაკი არღვევდა. მზე ვაშლის ხის თავზე იდგა და თალარშიც ჩამოცხა. ქალმა კვლავ შეუვსო ჭიქა, მაგრამ სტუმარს მეტი აღარ დაულევია. იჯდა შუბლშეჭმუხნილი და ეწეოდა. ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი ფართო, ცისფერი თვალები ჰქონდა. დიასახლისს უთხრა:

— ნუ მოსცდებით საქმეს. მე ცოტას გავივლი ეზო-მიდამოში.

— კარგი, — თქვა ქალმა. — ვაჟა იქნება თქვენთან, არ მოგაწყენთ.

მაგიდა აალაგა და წავიდა. სახლიდან რომ გამობრუნდა, კაცი უკვე წყაროსკენ მიდიოდა. პიჯაკი გაეხადა და პერანგის ამარა იყო. ბიჭი უკან მიჰყვებოდა. პიჯაკი ვაშლის გადმოზნექილ ტოტზე ეკიდა. ქალმა ჩამოიღო და სახლში შეიტანა.

კაცი წყაროსთან ბრტყელ ქვაზე დაჯდა. ხელ-პირი დაიბანა, გაგრილდა. აქ, ამ წყაროსთან იწყებოდა მისი ბავშვობა. ახსოვდა, როგორ ჰყავდა დედას მკერდზე მიკრული და წყაროს ქვეშ შედგმული ვედრო ხმაურით ივსებოდა. მაშინ, ალბათ, ორი წლისაც არ იქნებოდა და ეს იყო ყველაზე შორეული, რაც მას ახსოვდა. იჯდა ქვაზე, სანამ ხელები და სახე გაუშრებოდა, მერე წამოდგა და წყალი დალია პირდაპირ ღარიდან, როგორც ბავშვობაში იცოდა ხოლმე. ბიჭმაც დაიბანა ხელი. ფეხებს ატყაპუნებდა წყალში, იცინოდა. დაბლა, შეგუბებულ წყალში, ღრიანკელები დაცოცავდნენ. ბიჭი ფეხით იდგა შიგ, მაგრამ აქ მთის მიწა იყო და წყალი მაინც არ იმღვრეოდა. ღობესთან ელექტრონის

ბოძზე ხბო იყო მიბმული. წინ ახალგამოჭრილი ნედლი ჩალა ეყარა. კაცმა ჩალის ღერო მოატანინა ბიჭს და ჯიბიდან დანა ამოიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას აკეთებ? — ჰკითხა ბიჭმა.

— წისქვილს, — უპასუხა კაცმა. — წისქვილის ბორბალს.

მოკლეზე გამოჭრა ღერო და შუაში წვრილი ჯოხი გაუყარა; ასანთის კოლოფი დაამტვრია და ფრთებიც გაუკეთა. მერე ორკაპა ჯოხები დაასო წყლის ფსკერზე. ჯოხებზე ბორბალი ჩამოსდო ისე, რომ წყლის ნაკადი ფრთებს ეცემოდა. ბორბალმა ისე კოხტად, ისე ლამაზად იწყო ტრიალი, თითქოს მართლა წისქვილი იყო. ბიჭი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. კაციც გამხიარულდა. მერე ერთი ფრთა მოძვრა ბორბალს. კაცი ჩაცუცქდა, ბორბალი ჩამოიღო და ფრთებს რომ უმაგრებდა, ვიღაცამ დაუძახა:

„მა-მუ-კა!“

კაცი გაშტერებული წამოდგა ზეზე. ვინ უნდა ყოფილიყო, ვის ახსოვდა ნეტა აქ მისი სახელი? წყლის ნაკადს ხელი შეუშვირა, ხმაური შეანელა, მაგრამ ძახილი აღარ გაუგონია. წიწილები დაძვრებოდნენ მხოლოდ ბალახებში და წიაქობდნენ. კაცი სმენად იყო გადაქცეული.

— შენ არ გაგიგონია? — ჰკითხა ბიჭს.

— რა?

— ძახილი არ გაგიგონია?

— არა, — უთხრა ბიჭმა. — არავის არ დაუძახია.

კაცი ჩაცუცქდა და როცა წყარო კვლავ აჩუხჩუხდა, ისევ გაიგონა:

„მა-მუ-კა!“

ხმა ახლა უფრო მკაფიოდ მოისმა. კაცს სიხარულის შუქმა გაუნათა სახე, — დედა ეძახდა. ეს ხომ დედის ხმა იყო, მზრუნველი და მოსიყვარულე. ასეთი ხმით ეძახდა ხოლმე დედა. კაცი დიდხანს იდგა გარინდებული და ვერ ამჩნევდა, რა განცვიფრებით შესცქეროდა ბიჭი. ელოდა, იქნებ დედის ხმა კიდევ გავიგონოო, მაგრამ ამაოდ, ძახილი აღარ განმეორებულა.

— წავიდეთ ყანაში. — უთხრა მერე ბიჭს.

ეზო გადაჭრეს და კოპიტების ხეივანში თავდაღმართს ჩაუყვნენ. აქ, ფერდობის ძირში, საცივი იყო. ფსკერზე ლაფანისა და რცხილას გაშავებული ფოთლები ეყარა. ამ წყალს სასმელად არ ხმარობდნენ, საარყე ჰქონდათ აქ მოწყობილი და არაყს ხდიდნენ ხოლმე შემოდგომით. კაცს გაახსენდა, როგორ ჩავარდა შიგ ბავშვობისას. რაღაც ბრჭყვიალა დაინახა ფსკერზე და ჯოხით მოინდომა ამოღება. ჯოხი შუაზე გადაუტყდა და ტყაპანი მოადინა წყალში. კინაღამ დაიხრჩო, მაგრამ ის ბრჭყვიალა „რაღაც“ მაინც იპოვნა და ამოიტანა. ფერადი მინის ნამტვრევი შერჩა ხელში. მზის სხივი ეცემოდა და ის აბრწყინებდა თურმე ისე საოცრად. ბიჭმა ისევ წყალში ჩააგდო მინის ნამტვრევი, რადგან იქ უფრო ლამაზი ჩანდა. მთლად გაწუწული იყო და სიცივისაგან კანკალებდა. შინ მისვლას ვერ ბედავდა, გამიჯავრდებიანო. მურადი გაჩნდა საიდანღაც და იმან ასწავლა: სამჯერ გადააფურთხე წყალში, უქმური არ ამოგყვებაო. ურჩია მზეზე წოლილიყო, სანამ ტანსაცმელი შეაშრებოდა. საღამოს ბიჭს სიცხემ აუწია და ფილტვების ანთება დაემართა. გაახსენდა ახლა ეს ამბავი და გაეცინა. აგერ ლეღვის ხე, მისი ხელით რომ დარგო ბავშვობისას. მაშინ ლეღვის ხე პატარა და ლამაზი იყო. ახლა გაზრდილა, დაუშნოებულა, ხრამისკენ გადაწოლილა და ხმება.

სიმინდის ყანაში შევიდნენ. ყანა ჩახაშრული იყო და აბრეშუმივით ხასხასა წითელი ფოჩებიც ამოეღო. ყანას არა უშავდა, მაგრამ გვალვისაგან სიყვითლე შეჰპარვოდა. ერთგან სამაისო ბალი ეგულებოდა, მაგრამ ხე აღარსად იყო. მოეჭრათ და ფესვებიც აღარ ჩარჩენილიყო მიწაში. ზუსტად ვერ

გაიხსენა, რა ადგილას იდგა სამაისო ბალი, ისე კი რამდენჯერ გადმოვარდნილა იქიდან ბავშვობისას. ყანის კიდე-კიდე გაჰყვნენ ვიწრო ბილიკს. მარცხნივ ფერდობი აკაციისა და რცხილის ჩქოლებით იყო დაბურული.

— ამ ადგილას, — უთხრა მან ბიჭს და ფერდობზე მიუთითა, — ფანტ-ლობას პატარა ყანა მქონდა. მე თვითონ ვთესავდი და თვითონვე ვმარგლიდი პატარა თოხით. მამამ გოდორი დამიღობა და კალოსაც ცალკე ვაყენებდი შემოდგომაზე.

— მეც დავთესავ აქ სიმინდს, — თქვა ბიჭმა.

— ახლა აღარ ვარგა საყანედ, — უთხრა კაცმა.

— სხვაგან დავთესავ!

— პატარა თოხი გაქვს?

— ვიშოვი, მამიკო მიყიდის.

— გოდორი რომ არა გაქვს?

— ვიშოვი, მამიკო დამიღობავს.

— მუშაობა იცი?

— ვიცი, — თქვა ბიჭმა.

ვენახის ღობეს მიადგნენ. წინათ ეს ადგილიც საყანედ ჰქონდათ. ვაზი მერე ჩაეყარა ახალმოსახლეს. ვენახის ჭიშკართან მიწაში ნახევრად ჩამარხული ჩამური იდგა. ამჟამად, ეტყობოდა, ვენახის შესაწამლავ ხსნარს ამზადებდნენ შიგ, მის ბავშვობაში კი ჩამური სამზადი სახლის გვერდით ახორში იდგა და შიგ ღომს ცეხვავდნენ. სხვა დროს ჩამურში მამა სასროლ ბადეს ინახავდა. მამას ძლიერ უყვარდა თევზაობა; მდინარე იქვე ეზოს ბოლოში ჩამოდიოდა (ახლაც ესმოდა კაცს მდინარის ხმაური). კვირა დილით მამა ბადეს გამოიტანდა. გაშლიდა სოხანეზე და გულდაგულ კემსავდა. მერე სათევზაოდ მიდიოდა და ბიჭიც მიჰყავდა. როცა წამოიზარდა, ბიჭი მარტო დადიოდა სათევზაოდ. ბადე არ მიჰქონდა, რადგან ჯერ მაინც პატარა იყო და არ შეეძლო სროლა. უფრო ხშირად მეზობლის ბიჭი მურადი ახლდა თან. ტოლები იყვნენ და სულ ერთად თამაშობდნენ, მერე სკოლაშიც ერთად დადიოდნენ. ხელით თევზაობდნენ ხოლმე, შეჰყოფდნენ ქვის ქვეშ ხელს და გამოჰყავდათ ღორჯო. ერთხელ გველი ამოიყვანეს წყლიდან, თევზი ეგონათ. პირველად მან შეჰყო ხელი და გაიღიმა.

„არის რამე?" — ჰკითხა მურადმა.

„ორია ერთად".

„დიდებია?"

„კი. დიდებია".

მურადმა ხელი შეჰყო ქვაში და თქვა:

„ბევრია!"

ნელ-ნელა ამოსწიეს ხელი, ქვაც თან ამოაყოლეს. წყლის ზედაპირს რომ ასცდა, ქვა უცებ დამძიმდა და გადაუვარდათ. ათასნაირად დაკლაკნილი გველი შერჩათ ხელში, ორკაპ ენას ასისინებდა. შიშისაგან შეჰყვირეს და ნაპირზე ავარდნენ. გველი ბალახში გასრიალდა და ბარდებში აპირებდა შეძრომას, მაგრამ მურადმა იმარჯვა და ქვა მოარტყა. ჯოხით გაუჩეჩქვეს თავი. მერე საკუთარი ხელები ეზიზღებოდათ და დიდხანს იხეხავდნენ ქვით. თევზაობით კი მაინც თევზაობდნენ. „ნეტავ სად არის ახლა მურადი?" — გაიფიქრა კაცმა.

— ვინ ცხოვრობს იქ? — ჰკითხა განგებ ბიჭს და ხევგალმა მიუთითა, ეზოში, სადაც ხეებს შორის კრამიტის წითელი სახურავი ჩანდა.

— მურადი ბიძია. — უპასუხა ბიჭმა.

— შინ არის ნეტავი?

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ★ ★ ★

— წასულია აბასთუმანში.

— იქ მუშაობს?

— არა, დასასვენებლად დადის.

კაცმა ხელი მოჰკიდა ბიჭს და ფრთხილად განაგრძეს გზა ეკალ-ბარდებიანი დახლართულ ვიწრო ბილიკზე. ბილიკი ირიბად მიჰყვებოდა ფერდობს. ერთგან მეწყერი ჩამოსულიყო და ნამეწყრალი თხმელის კორომებს დაეფარა. კაცმა ფოთოლი მოწყვიტა, თითებში ჩაიდო და გაატკაცუნა. შქერის ღობეზე გადავიდნენ. აქედან კოლმეურნეობის ყანები იწყებოდა. სასუქისაგან ჩაშავებული მსხვილი ღეროებისთვის გვალვასაც ვერაფერი დაეკლო. ყანა-ყანა მიდიოდნენ მზეში. თავზე ხაშრის მტვერი აცვიოდათ და ტანზე წაწვეტებული ფოთლები ჰკბენდათ. ცხელოდა. კაკლის ქვეშ შეისვენეს მდელოზე.

— რა ცივი ხელი გაქვს, — უთხრა ბიჭმა.

— მართლა?

— ჰო, აბა, ჩემი ნახე, რა ცხელია! — ლოყაზე მიადო თავისი პაწია ფუნჩულა ხელი.

კაცი მდელოზე წამოწვა და სიგარეტი გააბოლა. მაღალი ძაბვის ხაზს უყურებდა. კოშკისებური შავი ბოძები ერთ სწორ ხაზზე გაჭიმულიყვნენ. ისინი მოდიოდნენ მდინარის გაღმიდან, სერავდნენ ჩაის პლანტაციებსა და ვენახის ზვრებს და შორს მთებისკენ მიემართებოდნენ. კაცმა ადრევე შეიტყო გაზეთებიდან, რომ მისი სოფლის მთებში მარმარილოს საბადოები აღმოაჩინეს. იცოდა ახლა, ეს მაღალი ძაბვის ხაზი მარმარილოს კარიერებისაკენ მიდიოდა. ერთი ბოძი იქვე ბროწეულთან იდგა.

— ხომ არ დაიღალე? — ჰკითხა ბიჭს.

— არა. რა დამღლიდა! — ამაყად თქვა ბიჭმა.

— მდინარემდე წამოსვლა შეგიძლია?

— სადაც გინდა, იქ წამოგყვები, — უთხრა ბიჭმა. ისიც მდელოზე იწვა და ხუჭუჭა თავი კაცის მკერდზე ედო.

— ავდგეთ აბა.

ადგნენ და წავიდნენ. ბროწეულის ბუჩქს რომ გაუსწორდნენ, კაცს ცისფერი მიწა მოაგონდა. სწორედ აქ იყო ის უცნაური მიწა, რომელიც ასე მოსწონდა ბავშვობაში: ნეტავ მთელი დედამიწა ასე ლამაზი იყოსო. ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე და კავის გრძელი ლურსმნით ჩიჩქნიდა. ერთგული ძაღლი ბროლიაც თან ახლდა. პატრონის წაბაძულობით ზოგჯერ ბროლიაც ფხაჭნიდა მიწას, უფრო ხშირად კი, იქვე ჩრდილში დაყუნცული, ბიჭს უყურებდა. ბიჭი დარწმუნებული იყო, განძს ვიპოვნიო, მაგრამ არასოდეს არაფერი არ უპოვნია. საუცხოო ფერისა და ფორმის ქვებს კი ხშირად წაწყდომია. ამაოდ ეძებდა ახლა—ცისფერი მიწა აღარსად იყო. ან იქნებ სულაც არ იყო ის მიწა ცისფერი? იმ ადგილას რკინის მაღალი ბოძი ჩაეცემენტებინათ, ხოლო ირგვლივ ნაყარი მიწა სარეველა ბალახს დაეფარა. მდინარისაკენ მიმავალ ბილიკს ჩაუყვნენ. მდინარე შორს აღარ იყო, წყლის ხმაური ძლიერდებოდა. მოტიტვლებულ სერზე გავიდნენ. ეს ადგილი წინათ მაყვლის ბუჩქებით იყო დაფარული, ხოლო ირგვლივ ცოცხალ კედლად ერტყა ეკალ-ბარდებით დაბურული ჩქოლა ხეები. ამ კედელში ჩიტი კურკანტელსაც ვერ გაიტანდა. დედა კიბეს მიაყუდებდა ბარდებზე და კალთაში ეკალას კრეფდა. უყვარდა მამას ნიგვზითა და ძმრით შეზავებული ეკალა ფხალი. ბიჭი ამ დროს მაყვლის ბუჩქებში დაძვრებოდა და მაყვალს ეძებდა. გულს რომ იჯერებდა მაყვლის ჭამით, ბალახში გულაღმა გაიშოტებოდა და უყურებდა, როგორ კრეფდა დედა ეკალას. ახლა სერზე მაყვლის თითო-ოროლა ბუჩქი დარჩენილიყო. კაცმა მწიფე მაყვალი დაინახა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკრიფა და შეჭამა. ბიჭი მეორე მხარეს ეძებდა. მერე დაბრუნდა და მაყვლით სავსე მუჭი გაუწოდა: — აჰა!

— შენ არ გინდა? — ჰკითხა კაცმა.

— არა. მე სულ ვჭამ.

— გმადლობთ, ჩემო კარგო, — კაცმა გაუღიმა და თავზე გადაუსვა ხელი.

მდინარეზე ჩავიდნენ. ფართო კალაპოტი ვეება ლოდებით იყო ჩახერგილი. ლოდებს შორის ხმაურით მოედინებოდა გვალვისაგან დაპატარავებული მდინარე. ისე კი მდინარე უფრო დიდი ახსოვდა ბავშვობაში. მდინარეც შეცვლილა, სულ სხვა ლოდებია, სულ სხვა კალაპოტი. ნეტავ სად არის ის ვეება ჟანგისფერი ლოდი, ბანაობის შემდეგ ზედ რომ წვებოდა ხოლმე გასაშრობად? აქ კი, ამ სიპზე, დედა სარეცხს რეცხდა. სიპი ახლა ნაპირზე დარჩენილა, წყალი კი უფრო დაბლა მიედინება, გაულრმავებია კალაპოტი. კაცი წელსზევით მთლად გაშიშვლდა, ფეხსაცმელი გაიხადა და რიყეზე დააწყო. გამომშრალი რიყე მდინარის ჩამონატანი თეთრი სრიალა ჯოხებითა და ნაფოტებით იყო მოფარული. ბიჭი ქვაზე იჯდა.

— ვიბანაოთ? — ჰკითხა კაცს.

— არ გეშინია?

— არა, ცურვა ვიცი.

ბიჭმა გახდა დაიწყო. კაცმა შარვლის ტოტები აიწია და წყალში შევიდა. ბიჭი ნაპირთან ჭყუმპალაობდა. კაცს შეეხარბა და შარვალიც ეაიხადა. მოშორებით მოზრდილი მორევი იყო. მაღალი ნაპირი ციცაბოდ ეშვებოდა და ზემოდან ხეებით იყო ჩამობურული. ნედლი ყვითელი ფესვები გამოჩრილიყვნენ აქა-იქ. ეს მორევი მის ბავშვობაშიც ასეთი იყო და სიამოვნებდა ახლა ბანაობა. ბიჭსაც ასწავლიდა ცურვას. მერე წყლიდან ამოვიდნენ და მზეში ქვაზე დასხდნენ. უამრავი თევზი იცოდა ამ მორევში და მამაც უფრო ხშირად აქ ისროდა ბადეს. მთელ სოფელში ვერავინ ისე კარგად ვერ ისროდა ბადეს, როგორც მამა. ახლაც ნათლად დაუდგა თვალწინ: აი, ხელზე დაიხვია ზონარი, მაღლა ასწია ტყვიისაგან დამძიმებული ბადე, გაასწორა; ცალი კალთა მარცხენა მკლავზე გადაიგდო, მარჯვენა ხელით ნელ-ნელა მოზიდა ხლართები, მერე წელში მოიხარა და ისროლა. რა ლამაზი სანახავი იყო! ბადე წრიულად იშლებოდა წყლის ზედაპირზე, მერე ტყვიის ბურთულები მყისვე სძირავდნენ ფსკერზე. მამა რომ ბადის ამოზიდვას დაიწყებდა, ბიჭი ნაპირთან იდგა და გულისფანცქალით უყურებდა. ხედავდა, როგორ აწყდებოდნენ თევზები აქეთ-იქით. ვიწრო ხვრელები ბადის კიდეში გასაძრომი ეგონათ და ღონეში კი ამოჰყოფდნენ თავს. იქიდან რაღას გაიქცეოდნენ, გამოყვანა ხელითაც ჭირდა. ქვიდან ჩამოვიდნენ და მდინარის ნაპირ-ნაპირ წავიდნენ ტანსაცმლისაკენ. კაცი ჩაცმას აპირებდა, მაგრამ ბიჭმა სთხოვა:

— დამიჭირე თევზი.

— ცარიელი ხელით როგორ დავიჭირო?

— აი, ასე! — ბიჭმა ქვის ქვეშ შეჰყო ხელი.

კაცმა გაიღიმა, წყალში ჩავიდა და ნელა გააპარა ხელი ბრტყელი ქვისაკენ. რაღაც სრიალა მოხვდა თითებში, გაქაჩა და მოზრდილი ღორჯო ამოიყვანა. გახარებულმა ისროლა ნაპირზე. ბიჭმა მიირბინა და თავზე დააცხრა ასხმარტალებულ თევზს. თხმელის წკნელი მოტეხა, კანი გააცალა და თევზი ლაყუჩით ზედ წამოაგო. კაცმა კიდევ დაიჭირა ღორჯო, მერე დარანში შეჰყო ხელი და მოზრდილი წვერა ამოიყვანა. მერე კიდევ და კიდევ... ბიჭმა თითქმის გაავსო კაკვი. კაცი თევზაობამ გაიტაცა და ახლა იგი ისევ ის პატარა ბიჭი იყო, რომელსაც თევზაობა საჭმელსაც ავიწყებდა, სასმელსაც და სახლსაც, ანაზდად გაანჩხლებული ძახილი გაიგონა:

„მა-მუ-კა!“

ეს დედა ეძახდა და მან მაღლა ნაპირზე, აკაციის ხესთან, დედაც დაინახა. შავი კაბა ეცვა დედას, შავი ცახოცით ჰქონდა თავი წაკრული და ხელში ცელი ეჭირა. იქით არ გაუხედავს, რადგან იცოდა, მაშინვე გაქრებოდა. ბიჭს იყო ასე წყალში, ზურგით ლოდს მიყრდნობილი და ბუნდოვნად ხედავდა დედას. დედა იდგა მაღლა, აკაციის აყვავებული ხის ძირში და საყვედურით ავსებდა შვილს:

„სად დაიკარგე, შვილო, აღარც საჭმელი გახსოვს, აღარც სასმელი. არ ვარგა, შვილო, წყალში დიდხანს ყოფნა. მზემ არ დაგკრას, გველმა არ გიკბინოს. ამოდი, შვილო, მაღლა, ნუ მომკალი. სანამ კოჭებს არ აგიჭრელებ ამ წკეპლით. მანამდე ვერ ისწავლი ჭკუას...“

დიდი ხნით რომ გადაიკარგებოდა, დედა შეშინებული მიდიოდა მოსაძებნად. მუდამ ასე ემუქრებოდა, მაგრამ არასოდეს არ შემოუკრავს. კაცმა იქით გაიხედა, სადაც დედა იდგა და მოჩვენება იმ წამსვე გაქრა. იქ არც აკაციის აყვავებული ხე იყო და არც გვირილები. ნაპირზე გავიდა და ჩაცმას შეუდგა. ბიჭს უკვე მოესწრო ჩაცმა და ორივენი ავიდნენ მაღლა. ბიჭს კაკვზე აცმული თევზები მიჰქონდა. უხმოდ მიდიოდნენ. ბიჭი გვერდზე მიჰყვებოდა და ხმას არ იღებდა, რადგან გრძნობდა, კაცს ახლა არაფრის მოსმენა არ გაახარებდა. იმავე გზით დაბრუნდნენ უკან, შეუყვნენ კოპიტების ხეივანს და ეზოს მიადგნენ. მზე უკვე გადახრილიყო. ხეთა ჩრდილები დაგრძელებულიყო და საღამოს პირზე მოლიც უფრო ხასხასა გამხდარიყო. კაცი კოპიტის ქვეშ შედგა და სამზადს მიაჩერდა. წინათ იქ ისლით დახურული წაბლის გამქვარტლული სამზადი იდგა. სახლის უკან, ხრამის კიდეში, სუროიანი მაღალი რცხილა იყო. ზამთარში, თოვლით რომ დაიყურსებოდა ყველაფერი, სუროზე უამრავი ჩიტი მოდიოდა. სახლში შუაცეცხლი ეწთო, გარეთ ბარდნიდა. მამა კერასთან იჯდა და კალათში სიმინდს ფშვნიდა ან ლაფაროში შეშას აპობდა. ბიჭი ოდნავ გამოღებულ უკანა კართან დარაჯობდა. როგორც კი მოფრინდებოდა ჩიტი, ხელად ანიშნებდა მამას. მამა დინჯად ჩამოიღებდა კედლიდან თოფს და კართან მიდიოდა. ჩიტი სუროს ფოთლებში ასწრებდა შემალვას, მაგრამ მაინც ჩანდა, როგორ ძიძგნიდა გემრიელ ნაყოფს. მამა კარის ღრიჭოში გაჰყოფდა თოფის ლულას, დაუმიზნებდა და ჩახმახს გამოსწევდა. შაშვებს, ფხარწითელებს და კულუმბურებს ბლომად ჰკლავდა მამა. კულუმბურები სკვინჩებს ჰგავდნენ, ოღონდ გაცილებით დიდები იყვნენ და საოცრად მსხვილი ნისკარტი ჰქონდათ. ბიჭს არ ახსოვს, ოდესმე ბოლოშავა მოეკლას მამას. ბოლოშავები სუროზე არ მოდიოდნენ და ისე, ტყეში, ან გაშლილ მინდორზე მიპარვა შეუძლებელი იყო. სულ იმის ნატვრაში იყო, ნეტავ ერთი ბოლოშავა მომაკვლევინაო. მის წარმოდგენაში ბოლოშავები უძლეველი გმირი ფრინველები იყვნენ, მაგრამ ერთ წელიწადს (ეს იყო მამის ომში წასვლამდე ორი წლით ადრე) მაგარი ზამთარი დადგა და ქარმა და შიმშილმა მთებს გადაღმიდან უამრავი ბოლოშავა გადმორეკა. რამდენიმე დღეს განუწყვეტლივ თოვდა და თოვდა. ხე და მიწა გაავსო თოვლმა. ოდნავ რომ წამოუბერავდა, ხეთა კენწეროებზე საშინელი თოვლის კორიანტელი დგებოდა. მერე ძლიერი ყინვებიც დაიჭირა. ჩიტებს საჭმელი აღარაფერი ჰქონდათ. მოილია სურო, კურკანტელი და წვრილი ხურმა. იმ წელიწადს მამამ უამრავი ბოლოშავა დახოცა და ბიჭი გაკვირვებას იყო. შიმშილისა და ყინვისაგან დაუძლურებული ბოლოშავები გაუნძრევლად ისხდნენ ტოტებზე. ხედავდნენ, თოფს რომ უმიზნებდნენ, მაგრამ აფრენის თავიც კი აღარ ჰქონდათ. იმ ზამთარს ბიჭმა შურდულითაც მოჰკლა ბოლოშავა, მაგრამ აღარ უხარობდა. მის თვალში თითქოს ყველაფერი შეიცვალა და ყველაფერმა დაჰკარგა მნიშვნელობა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დიასახლისი ღიმილით გამოეგება. ისევ ის ხალათი ეცვა, მაგრამ ახლა უფრო კოხტად გამოიყურებოდა. ბიჭმა დედას მიაშურა და კაკვზე აცმული თევზები გაუწოდა.

— ოჰო, გითევზავიათ კიდეც, — დიასახლისმა სტუმარს შეხედა. — ეკმაჩიოსქა ძანდით მაღლა.

ქვის კიბეს აუყვნენ. კაცმა იცოდა, რომ კიბეს თერთმეტი საფეხური ჰქონდა, მაგრამ მაინც დაითვალა და მართლაც თერთმეტი გამოვიდა.

— გიგლა უნდა მოსულიყო ამ დრომდე, — თქვა ქალმა. — შეაგვიანდა.

აივანზე ავიდნენ. კაცი სკამზე დაჯდა და მოაჯირს გადაეყრდნო. კიბეს ორივე მხარეს ქვის ლარნაკები ჰქონდა დატანებული. ლარნაკებში ხვიარა მცენარეები იყო ჩარგული, რომლებსაც პაწია ლურჯი ყვავილები ჰქონდათ. წინათ ლარნაკში წითელ ვარდებს რგავდა ხოლმე დედა. მოაგონდა, როგორ ისხდნენ იმ საღამოს კიბეზე სამივენი. მამა შუაში იჯდა და გიტარას უკრავდა. მეორე დღეს მამა ომში მიდიოდა. მაშინაც ზაფხულის ასეთივე ცხელი დღე იყო, ოღონდ უფრო გვიანი იყო და ვაშლის ხის ჩრდილი კიბეს სწვდებოდა. მამა მღეროდა სევდიან სიმღერას, მღეროდა მთელი გრძნობით და გიტარის სიმებიც თითქოს კვნესოდნენ. კაცს ახლაც ახსოვდა ის მოტივი, ახლაც ჩაესმოდა ყურში ის ჰანგები. ის ჰანგები მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვება ალბათ. მამამ შენიშნა, დედა რომ ჩუმად იწმენდდა ცრემლებს, უცებ გამოცვალა სიმღერა და სიმებიც იმედისმომცემად ააჟღერა. მამა მღეროდა მტკიცე, ომახიანი ხმით. ბიჭი უსმენდა და სულ ერუანტელი უვლიდა ტანში. ეს იყო ომში მიმავალი კაცის სიმღერა. მაშინ ბიჭმა იგრძნო, რომ მამა ყველაზე ღონიერი კაცი იყო ამ ქვეყნად, მტრის ტყვია ვერაფერს დააკლებდა და გამარჯვებული დაბრუნდებოდა. მერე მამა ხალხურ შაირებზე გადავიდა და საბოლოოდ გამხიარულდნენ. იმ ღამეს სამივენი ერთად იწვნენ და ერთმანეთის ალერსში თავზე დაათენდათ. დილით მამა ომში წავიდა და, მალე დაბრუნდებიო, დაიბარა.

დიასახლისი გამოვიდა აივანზე.

— მოგკალით დღეს შიმშილით, — თქვა მან. — ნუღარ დაველოდებით გიგლას, შუაღამემდე იცის ზოგჯერ დაგვიანება.

კაცმა შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— სახლში გავაწყო მაგიდა, თუ აქ გირჩევნიათ?

— აქ მირჩევნია, — უპასუხა კაცმა.

ჭიშკართან მძიმე საბარგო მანქანამ ჩაიქროლა და გზა აამტვერა. ქალაქში წასვლამდე მხოლოდ ერთხელ იჯდა მანქანაში და მერე ეს ამბავი სალაპარაკოდ და სატრაბახოდ ჰქონდა ბიჭებში. იმ დღიდან შოფრობა იყო მისი ოცნება. შოფერი რომ ვიქნები, სულ მანქანით ვისეირნებო, ფიქრობდა. როგორ უხაროდა, სტუმარი რომ შემოაღებდა ჭიშკარს. სტუმარს ლხინი და ხალისი შემოჰქონდა ოჯახში. განსაკუთრებით ბიძის სტუმრობა უხაროდა. ბიძა ჭალარა კაცი იყო და მუდამ სათვალეს ატარებდა. ცხენით იცოდა მოსვლა. ჩამოხტებოდა თუ არა, მაშინვე ლაგამს გამოუღებდა პირიდან ცხენს და საბალახოდ მიუშვებდა ეზოში.

თოვლივით თეთრი ცხენი იყო, ჩლიქები და თვალები ჰქონდა მარტო შავი. ბიჭი შორიახლო ჩაცუცქდებოდა და უყურებდა. ხედავდა, როგორ მოძრაობდნენ პრიალა ბალნით შემოსილ კანქვეშ კუნთები. უყვარდა ეს ცხენი და მთელი დღე შეეძლო ასე ეცქირა. ერთხელ ბიძამ ხელში აიყვანა და უნაგირზე შესვა. მაშინ თავის სიცოცხლეში პირველად შეეხო ცხენზე. ბიძას აღვირი ეჭირა ხელში და ნელა დაატარებდა ეზოში. ბიჭი გადმოვარდნაზე იყო,

მაგრამ არ იმჩნევდა. დედა და მამა აივნიდან ლიმილით უყურებდნენ. დედას ეშინოდა, მაგრამ მამა ამშვიდებდა — არაფერი უჭირსო. ბიჭი ხედავდა ცხენის მოშვილდულ კისერს, აქეთ-იქით გადაყრილ ფაფარს და თითქოს სიხდისის ქეჯნას გრძნობდა, რომ ზურგზე აჯდა ასეთ კარგ, ასეთ ლამაზ ცხენს. მერე-რეჯერ, როცა ბიძამ უნაგირზე შემოისვა და ცხენი შარაზე გააჭენა, ეს გრძნობა აღარ განუცდია. ის კი არა და მერე სულ ცხენები ესიზმრებოდა. უნდოდა შემჯდარიყო, მაგრამ ვერასდიდებით ვერ იმაგრებდა თავს უნაგირზე. შეჯდებოდა და იმავე წამს ძირს ვარდებოდა, ისევ შეჯდებოდა და ისევ ეცემოდა მიწაზე, ცხენი კი ტრიალ მინდორში ფაფარაყრილი მიჰქროდა უმხედროდ.

ქალმა პატარა მაგიდა გამოიტანა აივანზე და თეთრი სუფრა გადააფარა. ბიჭი მოვიდა და კაცს გვერდით მიუჯდა. ქალი უკვე მაგიდას აწყობდა. ესმოდა ჭურჭლის წკარუნი და საჭმლის სურნელსაც გრძნობდა.

— ლექსები ვიცი. — უთხრა ბიჭმა.

— ოჰო! — კაცმა შეხედა და გაუღიმა. — ვინ გასწავლა?

— საბავშვო ბაღში ვისწავლე, წელს სკოლაშიც შევდივარ.

— აბა ერთი ლექსი მითხარი.

— მე ბევრი ლექსი ვიცი, რომელი ვთქვა?

— რომელიც გინდა, ისა თქვი.

— სკამზე შევდგები და ისე ვიტყვი, კარგი?

— როგორც გინდა.

ბიჭი სკამზე შედგა და ხელები ჯიბეში ჩაიწყო. ტილოს სამხრეებიანი მოკლე შარვალი და წითელი მაისურა ეცვა.

„მინდორში წაველ, სწორებო,
მზე წითლად ამოდიოდა,
მე იქ რა გამაძლებინებს,
თქვენი ხმა არ მომდიოდა.“

როგორც კი დაამთავრა ლექსი, სკამიდან ჩამოხტა და კაცს ჩაეხუტა. კაცმა შიაქო, მიუალერსა. ბიჭი ისევ გვერდით მიუჯდა და ნიკაპი ჩამოადო მოაჯირს.

— აბა თუ მიხვდები, სად ვიყავი?

— არ ვიცი, — უთხრა კაცმა. — ვერ მივხვდები.

— ჩიტი დავაპურე, წყალიც დავუდგი.

— ყოჩაღ... — კაცმა თავზე გადაუსვა ხელი.

მოაჯირზე იდაყვდაყრდნობილი გასცქეროდა მწვანეში ჩამჯდარ სოფელს. სოფელი უამრავი პატარ-პატარა ხეობებითა და ბორცვაკებით იყო დასერილი. მერე ჩანდა სუფსის დაბლობი და დაბლობში გაშენებული მოზრდილი დაბა. შორს, ჰორიზონტზე, ბახმაროს ლურჯი მთები აღმართულიყო. ჰაერი სუფთა, გამჭვირვალე იყო და მთები მკაფიოდ ჩანდა. ფერდობები ტყით იყო დაფარული, ხოლო მოტიტვლებულ რუხ მწვერვალებზე აქა-იქ ჯერ ისევ იდო თოვლი. თოვლი ზაფხულის მიწურულამდე ვერ ასწრებდა გადნობას და შემოდგომაზე მწვერვალები ისევ თეთრად იპენტეოდა. კაცი უყურებდა და ტკბებოდა მათი ხილვით. ეს მთები მისი სიყრმის მეგობრები იყვნენ. აქ მთებს ხედავდა, როცა აივანზე გაკვეთილს ამზადებდა, ან ეზოში ბურთს თამაშობდა; ხედავდა, როცა ყანაში ეხმარებოდა მამას, ან თივზაობდა; მაშინაც ხედავდა, როცა სკოლის მერხზე იჯდა, ან სკოლიდან შინ ბრუნდებოდა. ეს მთები ისევე ახლობელი იყო, როგორც მზე და მთვარე, და მათზე არანაკლებ უყვარდა. სულ იმის ფიქრში იყო — ნეტავ ვიცოდე, იმ მთებს იქით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ☆

ბიჭი საწოლზე ჩამოჯდა და ცრემლები წასკდა. ასე ფერმკრთალი, ასე მისუსტებული დედა არასოდეს ენახა.

„ნუ გეშინია, — უთხრა დედამ. — მოდი, მომეხვიე“.

ბიჭი დაიხარა და აკოცა. დედამ ხელები მოხვია და გულში ჩაიკრა. ... ხანს ჰყავდა ასე ჩახუტებული, მერე საბანზე დააწყო ხელები. წითელ საბანზე დედის ხელები ძალზე სუსტი და ძალზე გამხდარი ჩანდნენ. ბიჭი საწოლზე იჯდა და იცრემლებოდა.

„შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ...“ — უთხრა დედამ და გაუღიმა.

„ჭკვიანი ბიჭი ხარ, სირცხვილს არ აჭმევ მამაშენს, არც მე...“

ბიჭს ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი.

„შვილო, თითები დამისრისე...“ — უთხრა დედამ.

ბიჭმა აიღო გამხდარი, სუსტი ხელი და დაუსრისა. მერე მან იგრძნო, დედის ხელი როგორ გაცივდა...

— აქეთ კიდევ ორი ოთახია, — უთხრა ქალმა.

კაცი კარგა ხანს გაუნძრევლად იდგა და გაოგნებული უყურებდა ქალს, მერე ცხვირსახოცით სახე გაიმშრალა და მეორე ოთახისაკენ გაჰყვა. ეს ოთახი უწინ სამზარეულოსავით ჰქონდათ, ხოლო მარცხნივ, უფრო პატარა, მისი ოთახი იყო. ოთახს ერთი ფანჯარა ჰქონდა და აქედანაც ჩანდა ის მთები, ასე ძლიერ რომ უყვარდა კაცს. მთვარიან ღამეში მთები მაღალ ცისფერ კედელს ჰგავდნენ. მწვერვალთა კონტურები ძნელად გასარჩევი იყო, თითქოს ცასა და მიწას შორის საზღვარი წაშლილიყო. ფანჯარასთან პატარა მაგიდა ედგა და გაკვეთილებს იქ ამზადებდა. გაკვეთილებს რომ მორჩებოდა, სხვა წიგნებს კითხულობდა. იქით, კედელთან, ძველებური კამოდი იდგა, აქეთ — ხის ტახტი. მაგიდაზე ლამპას რომ დადგამდა, დაწოლილსაც შეეძლო ეკითხა. ზამთრის გრძელ ღამეებში სულ დაწოლილი კითხულობდა. დედას ეშინოდა ლამპა არ დარჩესო და ხშირად უთევდა ღამეს, მაგრამ ბიჭს კითხვაში არასოდეს ჩასძინებია და, წიგნს რომ დახურავდა, მუდამ აქრობდა ხოლმე ლამპას. მთელი ღამე შეეძლო ეკითხა, მაგრამ დილით სკოლაში უნდა წასულიყო. ლამპას რომ ჩააქრობდა, მერე წაკითხულზე ფიქრობდა.

ყველაზე ადრე დედა დგებოდა. ფეხაკრეფით შემოვიდოდა ოთახში და ლოყაზე აკოცებდა მძინარე შვილს. ლამპას აართმევდა, კამოდის თავზე შემოდგამდა და იმავე წამს შუშას გაწმენდდა. მერე საუზმეს უმზადებდა მამაშვილს. მამა სამსახურში მიდიოდა, ბიჭი — სკოლაში. მამა რომ წავიდა, ყველაფერს დედა აკეთებდა: შუშას აპობდა, სარეცხს რეცხდა, საფქვავი მიჰქონდა წისქვილში, პირუტყვს უვლიდა და კოლმეურნეობაშიც დადიოდა ჩაის საკრეფად. ბიჭიც ეხმარებოდა, მაგრამ დედას არ უნდოდა შვილი სწავლაში ჩამორჩენილიყო და რაც მთავარი საქმე იყო, სულ თვითონ აკეთებდა.

უკანვე გამობრუნდნენ სასტუმრო ოთახში. კაცმა სკამზე გადადებული პიჯაკი ჩამოიღო, ჩაიცვა და აივანზე გავიდა. ხელი გაუწოდა დიასახლისს.

— კარგად ბრძანდებოდეთ, დიდი მადლობა!

— დარჩენილიყავით კიდევ ცოტა ხანს.

— არა, არ შემიძლია... — ბიჭსაც ჩამოართვა ხელი.

მან შენიშნა, რომ ვაშლის ჩრდილს სულ მთლად დაეფარა კიბე. დედაშვილმა ეზოში ჩააცილა სტუმარი.

— საით? — ჰკითხა ქალმა, როცა დაინახა, კაცი ზევით, პატარა ალაგესაკენ გაემართა.

— სასაფლაოზე გავივლი, — უთხრა კაცმა. — მერე მთებზე გადავალ და მატარებელს დაველოდები.

— ხშირად ჩამობრძანდით, — უთხრა ქალმა. — როგორც საკუთარ სახლში.

— გმადლობთ, — კაცი ალაგეზე გადავიდა. — ნახვამდის!

ბიჭი თავდახრილი იდგა დედის გვერდით, მერე მიტრიალდა და [illegible]ᲗᲔᲙᲐ

ვოდ გაიქცა.

— ისევ გამებუტა, — თქვა კაცმა.

— სწყინს, რომ მიბრძანდებით, — უთხრა ქალმა. — გაისად მთელი თვით გვეწვიეთ დასასვენებლად, გაგვიხარდება.

კაცმა კიდევ ერთხელ გადაიხადა მადლობა და წავიდა. ცოტა რომ გაიარა, ბიჭის ხმა მოესმა:

— უყურე!

უკან მოიხედა, შეჩერდა. ბიჭს ხელში გალია ეჭირა. კარი გააღო, ჩიტი გამოიყვანა და მაღლა ისროლა. ჩიტმა ფრთები გაშალა და მძიმედ დაეშვა ქვევით, ჯაგებისაკენ.

კაცმა ხელი დაუქნია, გაუღიმა. მერე საურმე გზაზე გავიდა. ჩაის პლანტაციას რომ გაუარა, ჭილისქუდიანმა მკრეფავებმა ცნობისმოყვარე მზერა გააყოლეს. უწინ ეს ადგილები იელისა და შქერის ბუჩქებით იყო დაფარული. აქ დადიოდა შურდულისა და რიკ-ტაფელას ჯოხებისათვის. პლანტაციის განაპირას ჩაის საწონი ფარდული აეგოთ. იქვე, წინსაყენზე, ფანერის დახვრეტილი ყუთებით დატვირთული მარხილი იდგა. წაბლისფერი ცხენი ტუნგოს ქვეშ ბალახს ძოვდა. სადღაც, ტრიფოლიატის ცოცხალი ღობის იქით, გაანჩხლებით უყეფდა ვიღაცას ძაღლი. კაცს ისევ თავისი ბროლია მოაგონდა. ქალაქში რომ მიჰყავდათ, ძაღლი მეზობელს დაუტოვა საჩუქრად. მეზობელმა ძაღლი ოდის ქვეშ დააბა. წასვლის წინ ბიჭმა ერთხელ კიდევ მოინახულა მეგობარი.... ბარგი-ბარხანა ურემზე ეწყო და ზემოთ ბიჭი იყო წამოსკუპებული, ბიძა წინ მიდიოდა და მეურმეს ელაპარაკებოდა. უცებ ბიჭმა მოსახვევში ბროლიას მოჰკრა თვალი. სწრაფად მორბოდა და თოკის ნაგლეჯს მოათრევდა მიწაზე. ბიჭს გაუხარდა და დაუძახა: „ბროლია, ბროლია!". ბიძა ახლოს არ უშვებდა ძაღლს, ხან ჯოხს ესროდა, ხან ქვას. უნდოდა უკანვე გაებრუნებინა, მაგრამ ძაღლი არად აგდებდა ცემას. შეჩერდებოდა ცოტახანს და კაცი რომ თვალს მოარიდებდა, ისევ ურემს აედევნებოდა. მეურმემ ურჩია ბიძას — თან წაიყვანეთ ქალაქში, ცოდოაო. თოკის ნაგლეჯი შემოაჭრეს ყელზე და ისიც მხიარული ყეფით მისდევდა ურემს... დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, მოვიდა მატარებელი. ბიჭმა მაშინ პირველად ნახა მატარებელი. ამდენი ხალხიც ერთად არასოდეს ენახა. აქ იყვნენ ფარაჯიანი ჯარისკაცები. ზოგს თავი ჰქონდა შეხვეული, ზოგს ხელი. ბიჭი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, იქნებ მამა დავინახოო. აქ იყვნენ ქალები ძუძუმწოვარა ბავშვებით, მოხუცები, ახალგაზრდები. ყველას გაწამებული სახე ჰქონდა და თვალებში შურისძიების ცეცხლი უგიზგიზებდათ. მატარებელი ხალხით იყო გაჭედილი. ხალხი სახურავზეც იჯდა, საფეხურებზეც იყო ჩამოკიდებული. რის ვაი-ვაგლახით აიტანეს ბარგი და ავიდნენ მაღლა, მაგრამ გამცილებელმა ძაღლი ვაგონში არასდიდებით არ შეუშვა. ამაო იყო ბიჭის მუდარა. მერე ვაგონის ფანჯრიდან გამოჰყო თავი და დაინახა, როგორ წრიალებდა ძაღლი კიბესთან. „ბროლია!" — დაუძახა ბიჭმა და ძაღლიც ხელად მის წინ გაჩნდა, ბაქანზე, კუდს აქიცინებდა, წკმუტუნებდა, სასოწარკვეთილი ახტებოდა ვაგონის კედელს. მერე მატარებელი დაიძრა და ბროლიაც აედევნა. მერე მატარებელმა სვლას მოუმატა და ბროლიამაც უმატა სირბილს. ახლა ვეღარ ახერხებდა თვალმოუშორებლივ ეცქირა ბატრონისათვის, დროდადრო თუ ამოხედავდა ხოლმე. სწრაფად მორბოდა, მაგრამ მაინც შორდებოდა ბიჭს. ბიჭი ცხვირსახოცით იწმენდდა ცრემლს. მა-

ტარებელი უკვე მთელი სისწრაფით მიჰქროდა, ძაღლი ვეღარ ხედავდა ბიჭს. მაგრამ მაინც თავგანწირული მისდევდა მატარებელს. მერე საბრალო თეთრ წერტილად იქცა და თვალს მოეფარა. ეს სურათი ბიჭს სამუდამოდ ჩარჩა ხსოვნაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საურმე გზამ სასაფლაომდე მიიყვანა. ჭიშკარზე ბოქლომი იდო და იძულებული გახდა გალავანზე გადამხტარიყო. ჭადრისა და კვიპაროსის ხეები იდგა გალავნის ჩაყოლებით. აქა-იქ ანწლი და გვიმრაც მოხშირებულიყო. „სოფელში ვერ უვლიან სასაფლაოებს, — გაიფიქრა კაცმა. — სამაგიეროდ გულში დიდხანს ინახავენ გარდაცვლილის ხსოვნას“. იქით წავიდა, სადაც საგვარეულო სამარხი ეგულებოდა. საფლავები სარეველა ბალახს დაეფარა და ძლივს მიაგნო. იქით, გალავანთან, ბაბუა ემარხა, ოდნავ მოშორებით — ბიძა, მამის უმცროსი ძმა. ლანდივით ახსოვდა ბიძა. იცოდა მხოლოდ, რომ იგი მთელი სოფლის საამაყო, ჭკვიანი კაცი იყო. ბიძის საფლავზე გრანიტის ლოდი იდო წარწერით, რომელიც იუწყებოდა, რომ ბიძამ ამ სოფელში პირველად ჩამოაყალიბა კოლმეურნეობა და 1934 წელს ვერაგულად მოჰკლეს კულაკებმა. მათ შუა, თავისუფალ ადგილას, წესით მამა უნდა დამარხულიყო, მაგრამ მამას არ ეღირსა შშობლიური მიწა. ან იქნებ სულაც არ ეღირსა მამას სამარე? აქეთ დედის საფლავი იყო. მტკაველის სიმაღლე ბეტონის კედელი ჰქონდა შემოვლებული და შიგ ნაძვის ხე იდგა. ნაძვი გაზრდილიყო და ბეტონის კედელი მთლად დაენგრია. „საფლავებს უნდა მივხედო“, — გაიფიქრა კაცმა. დედასთან გამოთხოვების უკანასკნელი წუთები ბუნდოვნად ახსოვდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ის ყველაფერი სიზმარში ნახა. კარგა ხანს იდგა საფლავებთან, მერე გამობრუნდა, გადავიდა ქვითკირის გალავანზე და გაუყვა საურმე გზას. სამუშაოზე მიმავალი თუ სამუშაოდან მომავალი ხალხი ხვდებოდა. ისინი ვერ ცნობდნენ მას, მაგრამ მაინც თავაზიანად ესალმებოდნენ. თვითონ კი ბევრ მათგანს სცნობდა, განსაკუთრებით თეთრწვერა მოხუცებს, რომელთაც განვლილი დრო ოდნავ დასტყობოდათ. ახალგაზრდების ჯგუფმა ჩაუარა. ამათ პირველად ხედავდა და მასაც რომ ეცხოვრა სოფელში, ახლა ყველა მათგანი ეცოდინებოდა — ვინ იყო და რას აკეთებდა. მარჯვნივ, აკაციის თეთრი, ახალი მესრის იქით, ახალშეწამლულ ვენახში დოლბანდით თავწაკრული კაცი მუშაობდა. გუჯა იცნო, ამ ეზოში ხომ გუჯა ცხოვრობდა. გაახსენდა, როგორ იჩხუბეს ერთხელ ბავშვობაში. საღამოს, მთიდან ძროხას რომ მოდენიდა, გზაზე გუჯა დახვდა და ქუდი წაართვა. გუჯა ყველას ერეოდა და დაშინებული ჰყავდა. მტვრიან შარაზე აბურთავებდა ქუდს, აწვალებდა. სხვა ბიჭებიც ისხდნენ გზისპირა თხრილში, არ მოსწონდათ გუჯას საქციელი, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. მაშინ გამწარებული მივარდა გუჯას, საყელოში სწვდა და ერთი მაგარი სილა აჭამა. დიდხანს ჩხუბობდნენ, მაგრამ გუჯა მასზე უფროსი იყო და მოერია. ნაცემი, სახედალურჯებული დაბრუნდა შინ. ხალათზე სისხლის შავი ლაქები აჩნდა. სისხლი ცხვირიდან წასკდა. სისხლი რომ არ წასკდომოდა, გალახულად არ ითვლებოდა და ისე არც მოეშვებოდა გუჯა. გული ბოღმით ჰქონდა სავსე. დედას რომ არ დაენახა, ოთახში ჩუმად შეიპარა, ტახტზე წამოწვა და ატირდა. ძალზე დამცირებულად და დაჩაგრულად გრძნობდა თავს. მაშინ დაიფიცა, რომ ადრე თუ გვიან უსათუოდ შურს იძიებდა.

გუჯა სავენახე ჭიგოებს უთლიდა წვერს და თავისთვის ღიღინებდა. წელს ზევით შიშველი იყო და ოფლიანი ტანი მზეზე უბრწყინავდა. კაცი ნელი ნაბიჯით მიდიოდა და თვალს არ აშორებდა. გრძნობდა, რომ მის გულში შურისძიების თუ სიძულვილის ნასახიც კი არ დარჩენილიყო. პირიქით, ენატრებოდა და უყვარდა გუჯა. „მაშინ ხომ ბავშვები ვიყავით“, — გაიფიქრა, ხოლო ბავშვობისდროინდელი ყველაფერი უყვარდა და ენატრებოდა.

მარცხნივ, მაღალი კოინდარით დაფარულ ეზოში, გოდერძი ცხოვრობდა. გოდერძი მისი კარგი მეგობარი იყო და არასოდეს არ უჩხუბიათ. „ნეტავ სად არის ახლა გოდერძი?“ — გაიფიქრა კაცმა. უცებ სამზადი სახლის კარი გაიღო და ეზოში ლურჯკაბიანი ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. ცალ ხელში ვედრო ეჭირა, მეორეში — კოკა. ჭაზე მიდიოდა, იქვე, ჭიშკართან რომ იყო. კაცს ჟრუანტელმა დაუარა ტანში, ლილის მიამსგავსა ეს ქალი. „ლილის აქ რა უნდა?“ — გაიფიქრა. ლილი მის მეზობლად ცხოვრობდა და ამ დილით, აქეთ რომ მოდიოდა, ბევრი ეცადა, მაგრამ ეზოში ვერსად მოჰკრა თვალი. ქალს შავი თვალ-წარბი, შავი თმა და სევდიანი ლამაზი სახე ჰქონდა. შუა ეზომდე რომ მოაღწია, მაშინ დაინახა შარაზე მიმავალი უცხო კაცი. კაცმა სწორედ ამ დროს მოარიდა თვალი და განაგრძო გზა. გვალვისაგან მიწა დამსკდარიყო და გზისპირას ამოსულ ბალახს მტვერი დასდებოდა. ის ახლა ლილიზე ფიქრობდა, იმ ლილიზე, ამ ოციოდე წლის წინათ რომ იცნობდა. ისინი ტოლები იყვნენ და ერთად იზრდებოდნენ. სკოლაშიაც ერთად დაიწყეს სიარული და ერთ მერხზე ისხდნენ. ბიჭები აბრაზებდნენ, გოგოსთან ზიხარო. მაგრამ გულში მაინც უხაროდა, ლილისთან რომ იჯდა. მაყვალსაც ერთად ეძებდნენ სერზე. ზოგჯერ წვიმა რომ მოუსწრებდათ, ხის ქვეშ შეიყუდრებდნენ და ერთმანეთს ეკვროდნენ. ლილის ნაოჭებიანი მოკლე კაბა ეცვა და წვივები პატარა შავი ბუსუსებით ჰქონდა დაფარული. წვიმით რომ გაილუმპებოდა, მის კაბასა და თმას საოცრად ნაზი, ტკბილი სურნელი უდიოდა. ქალაქში ბიჭი ლილის ხშირად იგონებდა, ხოლო უფრო მოგვიანებით. მიხვდა, რომ უყვარდა. მოგვიანებით, ალბათ, ლილიც მიხვდა ამას და ხშირად ფიქრობდა ბიჭზე. სოფლიდან რომ არ წასულიყო, ლილის შეირთავდა და ისინი ახლა ცოლქმარი იქნებოდნენ. კაცმა ერთხელ კიდევ მოიხედა უკან. ქალი ფერმიხდილი იდგა ჭიშკართან და ისე დაძაბული უყურებდა, რომ ჟრუანტელმა დაუარა ტანში. „ჰო, ის არის, ლილი. — გაიფიქრა მან. — ნეტავ თუ მიცნო?“. ვედრო და კოკა შუა ეზოში ეყარა, ქალი კი იდგა ჭიშკართან, ფერმიხდილი, და უყურებდა. კაცს უნდოდა გაქცეულიყო მისკენ ყვირილით: „ლილი, ჰო, ეს მე ვარ, მამუკა!“. მისი სული გაჰკიოდა კიდეც ამას, მაგრამ ბაგე სდუმდა. მერე მიტრიალდა და დინჯად განაგრძო გზა. ეს გზა არსად არ მიდიოდა, იქვე წყდებოდა მთის ძირში, რადგან სოფელიც აქ თავდებოდა.

კაცი მთებში მიმავალ ბილიკს დაადგა. მთის ფერდობები ნიაღვრისაგან ჩამორეცხილი და გამოფიტული იყო, ხოლო კორტოხები წაბლისა და წიფლის ტყეს დაეფარა. იქიდან სათრიელით ჩამოჰქონდა შეშა ბავშვობისას, ძროხებიც იქ დაჰყავდა საბალახოდ და ახლა ამ ადგილების ნახვა უზომოდ ახარებდა. საღამოს პირი იყო. მთებიდან მონაბერი გრილი ნიავი სახეში სცემდა. გაიარა ჭელიკო, ნატეხი, გადასახედი, და ქვის ჭიშკარს მიადგა. ამ ადგილს უდაბნოს ეძახდნენ, რადგან აქ, გამოქვაბულებში, წინათ მეუდაბნოე ბერები ცხოვრობდნენ. ცოტა შეისვენა და ყური მიუგდო ღელის ჩხრიალს. აქედან ხელისგულივით ჩანდა მთელი სოფელი. ბავშვობაშიც უყვარდა აქ ჯდომა და დაბლობში ცქერა, მაგრამ მაშინ სოფელი ხშირი ბუჩქნარით დაფარულ უწესრიგო კორდს წააგავდა. ახლა უფრო მეტ სივრცეს სწვდებოდა თვალი. სიმინდის ყანები, ვენახის ზვრები და ნაძვისა და ევკალიპტის ქარსაფარი ზოლებით შემოფარგლული ჩაის პლანტაციები ფაქიზად შესრულებულ გეომეტრიულ ნახაზებს ჰგავდნენ. უფრო შორს კი, სუფსის დაბლობში, ლურჯად ლივლივებდა ხელოვნური ტბა. სოფლის ცენტრი მაღლობზე იყო გაშენებული. წითელი თუნუქით დახურული თეთრი შენობები სათამაშოებს ჰგავდნენ. კაცმა ამ დილით გამოიარა სოფლის ცენტრში. სკოლის ნახვა ენატრებოდა, მაგრამ ძველი სკოლა აღარსად იყო. მის ადგილას ქვითკირის ორსართულიანი შენობა წამოეჭიმათ და სკოლაც საშუ-

ალო სკოლად გადაეკეთებინათ. არც ძველი სამკითხველო დახვდა თავის ადგილას, არც საპარიკმახერო, არც ფურნე, არც საწყობი, არც მაღაზია. [illegible] ქალაქს დამსგავსებოდა და ამან სიხარულთან ერთად სევდაც აგრძნობინა.

იჯდა და ყურს უგდებდა ღელის ჩხრიალს. ღელე იქვე ჩამოდიოდა. გაღმა, შევაკებაზე ქვის ლამაზი ეკლესია იყო მაღალი სამრეკლოთი. საღამოობით, როცა ზარს რეკავდნენ, მისი ხმა მთელ სოფელს სწვდებოდა. კაცს არ გაუხედავს იქით, რადგან იცოდა — ეკლესიას ვერ დაინახავდა. ჩამონგრეულიყო.

კაცმა ეკლესიის ნანგრევებს ჩაუარა. უგზობის გამო ვერ მოეხერხებინათ ქვების გატანა და მერე ალბათ აღარც სჭირდებოდათ, რადგან მთებში სამშენებლო ქვის მდიდარი საბადო აღმოაჩინეს. ნანგრევები ჩამავალი მზით იყო განათებული და ზედ ტინტილები და ხვლიკები დაცოცავდნენ. კაცმა ჯოხი ესროლა ხვლიკს და კუდი მოსწყვიტა. ხვლიკმა გაქცევით უშველა თავს, ხოლო კუდი კარგა ხანს იკლაკნებოდა მიწაზე. შეჩერდა და უკან მოიხედა. გამოქვაბულებსაც მისდგომოდა მკვდრის მზე. ჭიშკართან წამოყუდებული თვალშეუდგამი ციცაბო კლდეც მზის სუსტ სხივებში იყო გახვეული. თვალი შეავლო კლდის თავზე აღმართულ ქვის ვეება ჯვარს, გაიხსენა, როგორ ავიდა იქ ბავშვობისას. ჯვარი ზედ ციცაბო კლდის ნაპირზე იდგა. ვერავინ ბედავდა ასვლას, თვითონ კი ავიდა. ჯვარს რომ გადააჯდა და ქვევით, უფსკრულში გადაიხედა, მაშინლა შეუქანდა გული. ოდნავი მცდარი მოძრაობაც საკმაო იყო... შიშისაგან ერუანტელმა დაუარა ტანში. „როგორ გავბედე იქ ასვლა, როგორ გავბედე...“

კაცი მიტრიალდა და წავიდა. მზე ახლა ტყიანი მთის კორტოხებს ანათებდა. გაიარა ჯარქვები, სასირები და თხმელარს რომ მიაღწია, უკვე ბინდდებოდა. მის წინ მდინარე რიონის ვრცელი დაბლობი გადაიშალა, მჭიდროდ დასახლებული დაბა-სოფლებითა და ქალაქებით. ჩანდა რიონის ხიდი და შორს — აღმოსავლეთისაკენ მიმავალი რკინიგზა. მდინარის მოსარკული ფართო ზედაპირი ამოწითლებულ ცის კაბადონს ირეკლავდა. მალე დაღამდა და დაბლობში შუქი აციმციმდა. კაცი თავქვე დაეშვა.

იქ, პატარა პლატფორმაზე დასავლეთიდან მომავალი მატარებლისათვის, უნდა ჩაესწრო, რომელიც მას ქალაქში ჩაიყვანდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღადო სუღაბეიძე

დაკარგული წუთები

მისდევ ბილიკებს,
        გზებს და გამზირებს,
დიდ რკინიგზებს და დიდ მაგისტრალებს.
ხვდები მინდორზე ჩალის დამზვინელს,
სადღაც უკრავენ ჩანგს და გიტარებს.

იჩქარი სადღაც,
        ელტვი მიუღწევს.
რაღაც გაჩერებს,
        გვერდს ვერ შეუვლი.
იქ პაემანზე ველარ მიუსწრებ, —
დაგეკარგება გულის რჩეული.

მკლავს გაიშვერენ სემაფორები,
მატარებლები შეჩერდებიან, —
გულგრილად დგანან შორით გორები,
მათ უკან კიდევ დიდი მთებია.

და რამდენიმე წუთით თუ წამით
დაგაგვიანდა,
        დაგაგვიანდა.
დილით გელოდა
        და მიხვალ ღამით
შენს უსაყვარლეს ადამიანთან.

მოძრაობის და ცხოვრების წესი.
შეგაჩერებს და
        შეგაგვიანებს,
იალაღისკენ იჩქარის მწყემსი, —
სადღაც მუხთალი ზვავი გრიალებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადღაც გველიან,
        სადღაც გვიცდიან,
რთველს არ იწყებენ სადღაც უჩვენოდ.
ყველაზე მეტად შენ განგიცდია
ეს დიდ ომებში გადაურჩენო.

ის დაკარგული გზა-გზა წუთები
იქნებ ლექსია?!
        იქნებ მეტია?!
მოიგონებ და განსაკუთრებით
გული იმათზე ხომ დაგწყვეტია?

წინ გიდევს გრძელი გზები, შუკები,
გადასასვლელი წინ გაქვს გორები.
და გაჩერებენ
        ხან ქარბუქები,
ხან ხელგაწვდილი სემაფორები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაბუა ამირეჯიბი

ბიძაჩემი მოკვდა

მოთხრობა

ბუკაშვილმა მითხრა, სანამ მშობელს არ მოიყვან, გაკვეთილებზე არ დაგიშვებო.

მშობელი როგორ მიმეყვანა, როცა აღარავინ მყავდა. ამის გამხელაც რომ არ შეიძლებოდა!?

უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ თბილისში ერთი მოხუცებული მამიდის მეტი არავინ მყავდა. ერთი სნეული, დავრდომილი ქალი იყო. მარტო ცხოვრობდა. ზემო ვაკეში პატარა ხუხულა ჰქონდა. კარგი მეზობლები ჰყავდა. მეზობლის კვალობაზე მოვლა-პატრონობას არ აკლებდნენ. იწვა საწყალი და ერთთავად თავისი ძმების, ესე იგი, მამაჩემისა და ბიძაჩემი შოთას ბედს დასტიროდა. რაც ის ამბავი დატრიალდა, თვალზე ცრემლი არ შეშრობია. ცალკე ჩემი დარდი ჰკლავდა და იყო გატანჯულ-გაწამებული. წადი და უთხარი, ტექნიკუმში გიბარებენო!...

ლუკაშვილი, ჩვენი სასწავლო ნაწილის გამგე და ქართულის მასწავლებელი, ტანადი, ჭალარა, დარბაისელი მოხუცი იყო. მისი ყვირილი ან ხმამაღალი ლაპარაკი არავის გაგვეგონა... იმ ჯიშისა ან მასწავლებელი გაწყდა და აღარ არის, ან ჩვენი ჯიშის მოწაფე გადაშენდა. ამ ორში რომელიღაც ნამდვილად სწორი მოსაზრებაა. შეიძლება ორივე სწორი იყოს...

რაღას ვიზამდი. გავედი და ტექნიკუმის სადარბაზოსთან დავდექი.

ზამთარი იყო. კაშკაშა ცაზე ცივი მზე იჯდა, მაგრამ მზე მე ასეთიც მიყვარდა. მერე რა, რომ ზამთარია, არ შეგიძლია გაშიშვლდე და სხივებში იბანავო, როგორც ზღვაში. გაივლის რამდენიმე დღე, მზე ისევ მზე იქნება — თბილი, საამო, ძალუმი. უეჭველად იქნება!...

მაინც რამ დამითარსა ის დღე? ჯერ იყო და სისხამ დილით უბნის რწმუნებული დამადგა თავზე: გინდა თუ არა, პასპორტი აიღე, საბინაო დავთარში ჩაეწერე, თორემ გამოგასახლებთო! მილიციაში მეუბნებიან, საპასპორტო ასაკს კიდევ ერთი თვე გიკლია, მერე მოდიო; ეს აქ ჩამციებია — აიღეო... გამოგასახლებთო! გამოსახლებული არ ვიყავი? იმხელა ბინა მოდებაძეებს მისცეს, მე ჩვენს ყოფილ საკუჭნაოში შემსვეს. ამ მოდებაძეებს, თითქოს, არაფერი უშავდათ, კარგი ხალხი ჩანდა. ეგ არის, ცოლი არ მომდიოდა თვალში. კი არაფერი დაუშავებია, პირიქით; დროგამოშვებით შემოვიდოდა ჩემთან,

დედ-მამის ამბავს გამომკითხავდა, ცრემლს გადმოჰყრიდა და წავიდოდა. ჩვენს ბინაში კარგად ცხოვრობდა, ავეჯიც კარგად მიისაკუთრა! ამ ცრემლებისა არა მჯეროდა, იმიტომ არ მომდიოდა თვალში. ქმარმა ერთხელ თუ ორჯერ თითო მანეთიც კი მომცა. გამოვართვი, — თავზე ხომ არ დავამწყრალებდი! ალბათ რაკი მქონდა, იმიტომ გამოვართვი, თორემ უფულოდ რომ ვყოფილიყავი, გამორთმევა შემრცხვებოდა. კარგი, მშვიდი მეზობლობა გვქონდა, არ მეჩხუბებოდნენ... საერთოდ არც ერთი მეზობელი არ მეჩხუბებოდა. რატომ უნდა წამჩხუბებოდნენ, მე არავის არაფერს არ ვუშავებდი, ვიჯექი ჩემს „ორთქლმავალში“ და ვიყავი ჩემთვის... ერთობ ხმოვანი რამე იყო ის ჩვენი საკუჭნაო: გვერდით, საპირფარეშოში მოდებაძეები წყალს ჩამოუშვებდნენ — ჩემს ოთახში თხლაშათხლუში და შიშინი ატყდებოდა და, სწორედ ამ დროს, რომელიღაცა მილიც დაიკივლებდა. გეგონებოდათ, ეს ზომაზე გრძელი, ვიწრო და შეჭვარტლულ-შებოლილი კოლოფი დაიძრა და ბაკურიანის აღმართს შეუყვაო. „ორთქლმავალი“ ჩემს ოთახს მარკოზამ შეარქვა. კარგი მეტსახელი იყო. ძალიან მომეწონა, ენაზე ამეკრო, მას შემდეგ „ოთახი“, „საკუჭნაო“ ან „ბინა“ პირიდან აღარ გამომცდენია — „ორთქლმავალს“ ვამბობდი. სხვებიც. სახლმმართველიც „ორთქლმავალს“ ეძახდა და ბინის ქირას არ მახდევინებდა. იყო რაღაც საამაყო და ღირსეული ამ მეტსახელში, ალბათ ის, რომ მე მარტო ვცხოვრობდი, ყველასგან დამოუკიდებლად, საკუთარ ხარჯზე და ერთი ბეწო, ბნელ საკუჭნაოში.

„ორთქლმავალი!“ კარგი იყო.

ჯერ უბნის რწმუნებულის ჩექმების სუნი არც კი გამქრალიყო, რომ ახლა სახლმმართველი შემომივარდა და შარი ამიტეხა: ყუთები მოგაქვს, „ორთქლმავალში“ ამტვრევ და ღუმელს ანთებ. მაშ რა მექნა, გავყინულიყავი?.. არც „ორთქლმავალში“ ვამტვრევდი. თვეზე მეტი იყო, დამტვრეულ-გამზადებული მომქონდა და „ორთქლმავლიდან“ ჩამიჩუმი აღარავის გაეგონა. რა უნდოდა!?.

სახლიდან გამოვედი. ესტატე-ხოქარმა ქვაფენილზე მიმავალი დამინახა, მიმიხმო. შენ რომ ამ ერთი თვის წინ ბოთლები მოიტანე, სამი ცალი ნავთიანი გამოდგაო. არასგზით არ იქნებოდა ნავთიანი. ის ბოთლები უშანგა კუჭაიძის ეზოდან წამოვიღე. უშანგას სახლში რომ მაღაზიაა, ნავთიან ბოთლებს ჩაიბარებდა? არ ჩაიბარებდა.

მაშინ არ ვმუშაობდი, ფული მიჭირდა და იმიტომ წამოვიღე.

იაკინთე-ფოსტალიონთან შევიარე, იქნებ წამომყვეს და ტექნიკუმში მშობლად გასაღდეს-მეთქი. იწვა, იკრუნჩხებოდა. საწყალი იაკინთე, რა დატანჯული თვალები ჰქონდა! ღვიძლის შეტევებმა გაუჭირეს საქმე.

იაკინთე ავად იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამაღამ მისი წილი დეპეშებიც მე უნდა დამეტარებინა და ღამის სამოთხ საათამდე შინ ვერ დავბრუნდებოდი.

ახლა ტექნიკუმში მოვედი, ლუკაშვილმა თვალი მომკრა — რამდენჯერ უნდა გითხრა, წადი, მშობელი მომიყვანეო... დათარსული და შარიანი იყო ის დღე...

ვიდექი და ვმარჩიელობდი, ლუკაშვილთან ვინ მივიყვანო-მეთქი...

ერთმა გოგომ ჩამოიარა, სევმელა ერქვა, შვიდწლედში ერთად ვსწავლობდით. თავი დავუკარი — არ მიპასუხა. არიან ასეთი მეტიჩარა გოგოები — ვითომდა ვერ მიცნო. სახელიც რომ მეტიჩრული აქვს — სევმელა! მამამისს სევერიანი ჰქვია, დედამისს — მელანო, აქედან დაარქვეს. ეს მაიმახი ჩემი ტოლია, ცოტა უმცროსიც კია — მაღალ ქუსლებზე შემდგარა. შეხე, შეხე, რანაირად დადის. ვაი, შენს პატრონს უბედურს!

იაკინთეზე ვეტყოდი, მამაჩემია-თქო. მე შენ გეტყვი, არ გამოდგებოდა!.. დარბაისელია, მოხუცებული... ეჭვი არავის შეეპარებოდა. ჩემიანებს ტექნიკუმში არც ერთს არ იცნობდნენ. ახლა რომ

დედები, ილლიაში საჩუქრებამოჩრილი, ყოველდღე დაწანწალებენ მასწავლებლებთან, ჩემს შვილიკოს ხუთიანი დაუწერეო, მაშინ ასე კი არ იყო! ისე ამთავრებდა ხალხი ათწლედებსა და ტექნიკუმებს, დედ-მამამ ზოგჯერ სასწავლებლის მისამართიც არ იცოდა.

— პაპიროსი მომე, — მითხრა ვილაცამ.

მოვიხედე — ჭიღლაძე!

— ზარი იყო? — გამიკვირდა, ნუთუ ამოდენა ხანია აქა ვდგევარ-მეთქი.

— არა, კაცო. ჩიკაშუამ გამომაგდო.

— ჩიკაშუამ? რისთვის გამოგაგდო?

— კვერნაძეს თავში ჩავარტყი. აღარ შევალ. ბიძაშვილთან წავალ, საქმე მაქვს. წამო, სახლისკენ არ მოდიხარ?

— სახლში რა მინდა, ვინმე უნდა ვიპოვნო, ლუკაშვილს მივუყვანო.

— რა პოვნა გინდა, ან და მოიყვანე, ან სიძე!

— ბათუმში ცხოვრობენ, რა ხანია!.. აქ მუშაობენ.

— წამო, მეკურტნეები ავადულოთ.

სხვა დროს უხალისოდ მივდიოდი, მობეზრებული მქონდა; ახლა ცუდ გუნებაზე ვიყავი და ჭკუაში დამიჯდა.

წავედით.

ფუხიკულორის ქვედა სადგურთან მეკურტნე მუშები ისხდნენ, მუშტარს ელოდებოდნენ. კურტნებზე ისხდნენ, ქამარზე ხამი თასმის შულოები ეკიდათ. ისხდნენ და ყაყანებდნენ. ყურთასმენა აღარ იყო. მუშტარი შორიახლოდან დაუძახებდა: — მუშა-მუშაო! წამოიშლებოდნენ, თავპირის მტვრევით გამორბოდნენ — დასწრებაზე იყო. ბიჭები მალ-მალე აკითხავდნენ. ხანდახან მეც გვეხალისებოდა, ეს ამოდენა კურტნიანი ხალხი ყვავის გუნდივით რომ აიშლებოდა და გამორბოდა. ცოტას დავაცდიდით და ჩვენც გავრბოდით. დაინახავდნენ, რომ ორნი იყო—ლანძღვა-გინებით თავის ადგილს უბრუნდებოდნენ. ზოგჯერ გამოგვეკიდებოდნენ კიდევაც, მაგრამ ჩვენ უპირატესობა გვქონდა: უფრო სწრაფად გავრბოდით, ვერ გვიჭერდნენ. საკვირველი ის იყო, რომ ამას ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც ვაკეთებდით, მაინც გამორბოდნენ.

ახლაც ასე მოხდა, დავუძახეთ, მოიშალა გუნდი და გამოიქცა. ფეთიანივით მოვწყდი და ქუჩის კუთხეში მენავთემ, ის იყო პირი დააღო, ნავთიო, უნდა დაეყვირა და აკი მეც შევაწყდი.

მენავთეს ხელიდან ბიდონები დასცვივდა და წაიქცა.

მგონი საერთოდ არ გასულა დრო, ისე უცბად ამოვყავი თავი ტექნიკუმის დერეფნებში.

ჭიღლაძის ამბავი კარგად ვიცოდი, ის ალბათ უკვე მტკვარს გაღმა იყო.

ცოტა ხანს დერეფანში ვიტრიალე, ისევ ქუჩაში გავყავი თავი...

სრული სიწყნარე იყო. საშიშროებამ ჩაიარა, მაგრამ მენავთე მაინც არ მეშვებოდა, დაღმართში რახარუხით დაგორებული ბიდონები თვალებში მიტრიალებდა...

ვიდექი ტექნიკუმის შესასვლელთან, ათას რაღაცაზე ვფიქრობდი და უმთავრესად კი იმაზე, თუ ვინ მიმეყვანა ლუკაშვილთან. მამიდაჩემს რა ჯობდა, მაგრამ რომ არაფრით არ შეიძლებოდა! მეტი კი არ უნდოდა იმ უბედურს, გული წაუვიდოდა, მოდექი, და აბრუნე...

თვალი მაინც იქითა მქონდა, სადაც მენავთე წავაქციე. მენავთე აღარსადა ჩანდა, მაგრამ უცებ დავინახე, რომ დაღმართში ჩვენი უბნის მეჯღანა მოალაჯებდა.

„ამას აქ რაღა უნდა?.. ის არის? ჰო. მეჯღანაა. შეხედე, რანაირად გამოპრანჭულა!“ — გავიფიქრე მე.

რაც თავი მახსოვს, მეჯღანაც მახსოვს, ჩვენს ქუჩაზე ედგა ერთი ბეწო ფანერის ჯიხური, ისეთი დაბალი, რომ შიგ მხოლოდ ჯდომა ხერხდებოდა — ბუნაგივით იყო. ხშირად ვიჯექი მეჯღანასთან და ვუცქეროდი, როგორ აკერებდა ნაირ-ნაირ ძველმან ფეხსაცმელს. მე და მეჯღანა ძველი

ჭაბუა ამირეჯიბი
ბიძაჩემი მეჯღანა

მეგობრები ვიყავით, მაგრამ მისი არც გვარი ვიცოდი, არც სახელი. არც სხვებმა იცოდნენ. ზურგს უკან ყველა მეჯღანას ეძახდა. ლაპარაკი კი ისე ხერხდებოდა, რომ სახელის ცოდნა საჭირო არ იყო. მეჯღანამ ქართული, რუსული, სომხური და თათრული სხაპასხუპით იცოდა. მის ეროვნებაში ვერავინ გაერკვეოდა. არც სახეზე ეტყობოდა, ვინ იყო და ვინ არა. წლოვანების დადგენაც შეუძლებელი იყო. შუახნის კაცია— მორჩა და გათავდა. მუდამ შუა ხნისა იყო. ალბათ მაშინაც, როცა ბაბუაჩემის ბაბუის ბიძაშვილის ფეხსაცმელს აკერებდა, თუ იმ დროს საერთოდ ატარებდნენ რამეს ფეხზე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენს ქუჩაზე ჯერ მეჯღანა მოვიდა თავისი ბუნაგით და სახლების შენება მერეღა დაიწყეს.

— აქ რას უდგეხარ? — მკითხა მეჯღანამ და შედგა.

— ჩვენი ტექნიკუმია. — უცებ თავში დამკრა, მოდი, ლუკაშვილთან მეჯღანას მივიყვან-მეთქი. ამ აზრმა ისე ამიტაცა, მეჯღანამაც კი შემამჩნია.

— ისეთნაირად გაგეხარდა ჩემი დანახვა, ვითომ მოვსულვარ, ქოსებში საქეიფოდ წამო-თქო. — მითხრა მან.

მეჯღანას თვალიერებაში გავერთე. პასუხი არ გავეცი.

— რას მათვალიერებ, ბიჭო, საალდგომო ბატკანი ვარ?

„გამოდგება. ნაღდი ბიძაა!“ — გავიფიქრე მე და უნებურად სიცილი ამივარდა. სიხარული მაცინებდა. მეჯღანას გული მოუვიდა.

— არ მეტყვი, რა გაჭიხვინებს? შენი დასაცინი კაცი ვარ, შე მაიმუნო?..,

სიცილი შემაშრა.

— არა, კაცო, მე სხვა რამეზე ვიცინი... მე ვიფიქრე, გამოდგება-მეთქი. გამეხარდა და გავიცინე.

— რა გამოდგებაო?

— შენა. გამოდგები-მეთქი...

— გამოვდგები რა, ორლობეში ნაპოვნი ნალი ვარ?.. ე რანაირები დამიღერღა, უყურებ?.. კარგა დამათვალიერე, შენმა თავის გახეთქამ, იქნება არ გამოვდგე! დუქანში მოსული ალარა გნახო, შე ბემურაზო, შენა!..

ეს ღვთისგან გამოგზავნილი ეკლესიის მეკარგებოდა.

ვეხვეწე: მომისმინე, ყველაფერს აგიხსნი-მეთქი. ვინ გიგდო ყური!..

ადრეც მქონდა შემჩნეული: დაიწყებდა მეჯღანა რაიმეზე ლაპარაკს, რაღაც დასკვნას გამოიტანდა და გაბრაზდებოდა. მერე, გაბრაზებული, სულ უფრო და უფრო მწარე რამეებს ამბობდა და თავისსავე ნათქვამზე სულ უფრო მეტად ცეცხლდებოდა. ხელსაწყოებს მიყრი-მოყრიდა, წამოიწევდა, დაჯდებოდა, ისევ წამოიწევდა, ბორგავდა. პაპიროსს ექაჩებოდა... ახლაც ისე მოუვიდა. ვემუდარებოდი, მომისმინე, საქმე მაქვს, გაგაგებინო-მეთქი... ის კი უკვე იმ ზომაზე იყო მისული, ლამის გამსკდარიყო. ახლა მეც მომივიდა გული და ავუყვირდი:

— რამ გამოგათაყვანა, გაკვეთილებზე არ მიშვებენ, მშობელი დამიბარეს, იქ მინდა მიგიყვანო. გიყურებდი, გასაღდები ბიძაჩემად თუ ვერა... დუქანში ალარა გნახოო? შენმა სიცოცხლემ, შენც რა, სინდიკატის პატრონი ხარ!

მეჯღანა რაღაცას მიხვდა, ხმა ჩაიწყვიტა და ყურადღებით მომისმინა.

— ეგრე მარტო ხარ? თბილისში სუმთლად არავინა გყავს? — მკითხა კარგა ხნის დუმილის შემდეგ. მე თავი დავიქნიე.

— რო არასოდეს არ გითქვამს?

— მე მეგონა, იცოდი.

— ეხლა, შე რო მარტოკა ცხოვრობ, რასა სჭამ?

— სტიპენდია მაქვს, ორმოცდათექვსმეტი მანეთი.

— ვა, მამაცხონებულო, ჩიტი ხარ?

— ვმუშაობ კიდეც.

— მუშაობ? — მეჯღანამ ეჭვით შეჰომხედა. — სადა მუშაობ?.. როდისა ჰუშაობ?

— დეპეშები დამაქვს, ღამღამობით.

— დეპეშები? სარფიანი საქმეა?

საოცარი თვალები ჰქონდა მეჯღანას. მეკითხებოდა, პასუხს ისმენდა,

მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ მისი ფიქრები სადღაც სხვაგან იყო.

— დღეში თუმანს, თხუთმეტ მანეთს გამოვდივარ.

— ეგეთი ჯამაგირია, თუ როგორ?

— არა. მაძლევენ.

— ვა!.. ჰო, ეგრეა, ეგრე, მაღარიჩს იძლევიან. ვთქვათ კვდარის რამეა, კვდარშიც იძლევიან?

— მკვდარზე არ ვიღებ, იაკინთე მიშლის... არ მიშლიდეს, მაინც არ ავიღებდი.

— იაკინთე ვიღაა?

— იაკინთე-ფოსტალიონი არ გახსოვს? ჩვენს უბანში წერილები დაჰქონდა.

— ვიცი, მაშ! აღარა ჩანს. სად არი?

— ტელეგრაფშია, ღამის ცვლაში დეპეშებს ატარებს. მეც მაძლევს.

— ეგ როგორ, იაკინთე გაძლევს თუ კანტორა?

— იაკინთე. დაბერდა, გესმის? იმდენი სიარული აღარ შეუძლია. ზოგი მეხუთე სართულზე ცხოვრობს...

— ჰო, მაგას ჯანი უნდა. კაი საქმე გიშოვნია.

მეჯღანა გაჩუმდა, ეტყობა, ისევ სხვა რაღაცამ მოსტაცა ფიქრი.

— მე შენი ვინა ვარ? — მკითხა მეჯღანამ. — ბიძა?

— ჰო, ვითომ ბიძა ხარ.

— მაიცა... ბიძაშენი შოთას წერილები მოდის?

— ხანდახან, კანტიკუნტად.

— თავის დედის სიკვდილისა იცის რამე?

— არ იცის. წერილებს აქამდე ბებოს სახელზე გზავნის.

— მერე? პასუხს აძლევ?

— ვაძლევ. ბებო დაბრმავდა, წერა თვითონ არ შეუძლია და მე მკარნახობს, მე ვწერ-მეთქი.

— სჯერა?

— ალბათ.

— იქნებ არცა სჯერა, ოღონ კაცი ეგეთია, — დაასკვნა მეჯღანამ. — როცა წერილი დაუწერო, ჩემი სალამი უთხარ... გვარი, სახელი, რამე — არ დაწერო. არ გინდა.

არ ვიცოდი და რას მივწერდი.

— მშობელი რისთვინ გვინდაო?

— მოიყვანე და იმას ვეტყვითო.

— მაშ არ იცი, რისთვინ?

— ვიცი. ამ ბოლო დროს ხან ვაცდენ, ხან ბოლო გაკვეთილებიდან ვიპარები. იქნებ სხვა რამეებიც არის. მასწავლებლისას რამეს გაიგებ?

— როცა მშობელს არ ეძახიან, მაშინ საქმე რიგიანად არის, არა? — მკითხა მეჯღანამ ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ.

— ჰო-რა. რატომ მეკითხები?

— ჩემი მიშაც ტეხნიკუმშია. არ მეძახიან. აცდენ? გაცდენა არ იქნება, ნუ აცდენ!

— დეპეშებს რაღა მოვუხერხო? საღამოს საათებშია სატარებელი.

— სარეცხს ვინ გირეცხავს?

— თვითონა ვრეცხავ.

— თითონა რეცხავ?.. შენც ადექ და ეგრეევე უთხარ, არავინ არა მყავს, ვინ მოვიყვანო-თქო.

— არ შეიძლება.

— ვა, ვითომ რათაო?

— არ მეტყვიან, დედ-მამა რა იქნაო?

— გითხრან, მერე რა? შენც ადექ და უთხარ!

— სტიპენდიას მომიხსნიან, იქნებ ტექნიკუმიდანაც გამაგდონ.

— ეგენი აღარ არი. ეხლა ნათქვამია, შვილს მამის საქმეში ხელი არა აქვსო. გაიგე?

— რა იცი, მართლა ეგრეა?!

— ეგეც საქმეა: ეგრე კი იძახიან და ერთიც ვნახოთ და ეგრე არ იყოს. მეჯღანამ თავისი ნათქვამი თათრულად განაგრძო, მერე სომხურად იბურტყუნა, მერე ისევ ქართულად, ისევ თათრულად... ძალიან გაჯავრებული იყო, მაგრამ სიფრთხილის გრძნობა არ დაუკარგავს: აქეთ-იქით იყურებოდა, ყურს ხომ არავინ მიგდებსო... მერე ისევ ქართულად განაგრძო:

— აფსუს, მამაშენი რა კაცი იყო!

ჭაბუა ამირეჯიბი
ბიძაჩემი მეჯღანა

ჩემმა მზემ... ჰო რა, კაი სიტყვა-პასუხი, რამე... გარედან ეგრე ჩანდა, შიგნიდან — რა ვიცი?.. ეეე, მაიცა, კაცო, როგორ არ ვიცი, მაგისი აფრენილი ბუზი არავის უნახავს. ვითომ რაო, რას ერჩოდნენ? ძალიანაც კაი კაცი იყო, პატიოსანი და თავისი ოფლით პურის მჭამელი. სწორედ ეგრეა. ბიძაშენ შოთასაც წერილი როცა დაუწერო, ჩემი გვარითა და სახელით უთხარ სალამი... არაფრისაც არ მეშინია, გინდა ეხლავე მოვიდნენ, წამიყვანონ, რაც გინდა მიქნან, მე მართალი კაცი ვარ, მართალს ვიძახი...

მეჯღანამ ისევ დიდხანს იბობოქრა. შევცქეროდი და მიკვირდა, ეს კაცი ოთხსავე ენაზე ერთნაირად კარგად რომ ბრაზობდა და სულ უფრო მეტად ღიზიანდებოდა.

— ეხლა, იქ წამსვლელი კაცი რანაირათ უნდა მოიქცეს, რა უნდა გააკეთოს? მე ხაზეინებში არ მივლია, მაგათი არაფერი გამეგება, — მკითხა მეჯღანამ, როდესაც დაცხრა.

— უნდა ჩუმად იდგე და ყური უგდო. ლუკაშვილი ილაპარაკებს, ილაპარაკებს და გაჩუმდება.

— მერე!

— მერე — არაფერი. მშვიდობითქო, ეტყვი... თქმა არც გინდა, თავის დაკვრით გამოემშვიდობე და წამოდი.

— შენ ამ დროს სად იქნები?

— ალბათ, მეც იქ ვიქნები.

მეჯღანამ ცოტა ხნით იყუჩა და თქვა:

— წამო, ჯანი გავარდეს! — ისე თქვა, თითქოს სიცოცხლეს სასწორზე აგდებდა.

დერეფანში შევედით.

— მაშ მე შენთვინ ვინა ვარ? — მკითხა მეჯღანამ დასაზუსტებლად.

— ბიძა ხარ, დედის მხრიდან.

— დედაშენის ალალი ძმა, რაღა!

— ჰო, დედაჩემის ძმა. მე — შენი დისშვილი. რა იციან, ხომ შეიძლება გვარად ბაკურაძე ვიყო და დედით სხვა. არა?

— შეიძლება! შენ ჩემი საქმე ნახე. მამაჩემი მამით სომეხი იყო, დედით — თათარი. დედაჩემი მამით რუსი იყო, დედით — ქართველი. რანაირიც მინდა, იმნაირ ბიძას მოვიყვან. სწორია, ოლ არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სწორია!

ცოტა არ იყოს, შემშურდა კიდეც: მეჯღანა ვისაც მიიყვანდა, ყველა ბიძად გასაღდებოდა და ეჭვი არავის აღეძვროდა.

სამასწავლებლოსთან გავჩერდით.

— შედი, ნახე! — მითხრა მეჯღანამ.

— წამო, კაცო, რა ნახვა უნდა! — მივუგე, მაგრამ მეჯღანას გაუბედაობა ჰეც გადმომედო, შევყოყმანდი.

— შედი, ნახე — მანდ არის?

— აქ არის! აგერ, ვხედავ.

— მიდი, უთხარ, მოვიყვანე-თქო, იქნება გეუბნება, აღარ გინდაო.

ჭკუაში დამიჯდა. მართლა! იქნება გადაიფიქრა?

შევედი. ლუკაშვილი თავის მაგიდას უჯდა, გაზეთს კითხულობდა.

ძალიან მეშინოდა.

— მოვიყვანე, მასწავლებელო! — წავილუღლუღე მე.

ლუკაშვილმა შემომხედა, ცოტა ხანს მიყურა და ფანჯრისკენ წაიღო თვალები. სიჩუმე იყო. დიდხანს იყო სიჩუმე.

— ვინ მოიყვანე?

— მშობელი. — ამ სიტყვის თქმა ისე გამიჭირდა, თითქოს ყანყრატოდან სილით გამოტენილ ტომარას მოვათრევდი.

— მშობელი. — გაიმეორა ლუკაშვილმა და ისევ ფანჯარაში გაიხედა.

— სთხოვე, მობრძანდეს! — მითხრა მან ცოტა ხნის მერე.

მეჯღანა ათი-თხუთმეტი ნაბიჯით გასცლოდა სამასწავლებლოს კარს, ხელები ზურგს უკან მიემალა და იატაკს ჩასჩერებოდა.

— წამო. მოიყვანეო.

— არა თქვა, აღარ უნდაო?

— არა. შემოიყვანეო.

მეჯღანამ ტანისამოსი მიისწორ-მოისწორა და კიდევ ერთხელ მკითხა:

— ბიძა ვარ, არა?

— ჰო, ჰო, ბიძა ხარ, — დავუდას-

ტურე სასწრაფოდ და ბიძაჩემმა სამასწავლებლოს ზღურბლს გადააბიჯა.

ლუკაშვილი ისევ გაზეთს ჩასჩერებოდა. ალბათ ვერ შეგვნიშნა. რას შეგვნიშნავდა, კატებივით შევიპარეთ.

უხერხული სიჩუმე იდგა.

„ისევ მამიდაჩემის მოყვანა ჯობდა,— ვფიქრობდი მე. — ცოტას იტირებდა და... მერე რა?.. მიხვდება, რომ მეჯღანა... ლუკაშვილი კი არა, ჩიკაშუაც კი მიხვდება. რა მიხვედრა უნდა, სად მეჯღანა, სად... თუ ხმას არ ამოიღებს, კიდევ არაფერი უშავს. რამე ხომ უნდა თქვას, სულ გატრუნული ხომ არ იქნება?!“

ვღელავდი და ველოდი, როდის შეგვნიშნავდა ლუკაშვილი.

მეჯღანას ძხერა ვიგრძენი. შევხედე: ძალიან საცოდავი იერი ჰქონდა. კაცის ფერი აღარ ედო. შემეშინდა, არ გამექცეს-მეთქი.

— მასწავლებელო! — ვთქვი მე.

ლუკაშვილმა ამოგვხედა და მკითხა:

— სად არის?

— ვი... ვინა, მასწავლებელო? — წავიბორძიკე მე.

— მშობელი.

ენა ჩამივარდა, მეჯღანას ავხედე. ისე გამომივიდა, რომ ლუკაშვილს უნებლიეთ თვალებით ვანიშნე, აი, ჩემი მშობელი-მეთქი.

ლუკაშვილმა მეჯღანა შეათვალიერა.

— დაბრძანდით, ბატონო!

მეჯღანამ მიიხედ-მოიხედა, დარწმუნდა, რომ დაბრძანება მას ეხებოდა და სავარძელში ჩაეშვა — ალბათ მუხლებში სუსტად იყო.

— ეს ბავშვი თქვენი რა არის?

— ეს ბალღი?.. ჩემი?..

მეჯღანას ზომაზე მეტად შეუგვიანდა პასუხი და იძულებული გავხდი წავშველებოდი.

— ბიძაა, მასწავლებელო!

— ჰო, რა! ამის დედის ძმა ვარ. ჩემი დის ბიჭია, — დააყოლა მეჯღანამ ძველ თბილისურ კილოზე.

ძალიან ცუდად დააყოლა, უარესად აღარც შეიძლებოდა; შეიძლებოდა, თუ „ბემურაზს“ ან „ბედოვლათს“ ჩაუბატებდა.

ლუკაშვილი გაშრა.

— ბიძა? დედაშენი...

— დედაჩემი, მასწავლებელო, მამით რუსი იყო, დედით ქართველი, — მივაყარე სხაპასხუპით და მეჯღანას წარმოშობის მამისეული ნახევარიც კინაღამ მივითვისე.

— მამით რუსი, დედით ქართველი? — ჩაილაპარაკა ლუკაშვილმა. — მერე, ბიძაშენი... — მივხვდი, რაც უნდოდა ეთქვა: მამა თუ რუსი ჰყავდა და დედა ქართველი, ეს ბიძაშენი რატომ არც რუსსა ჰგავს და არც ქართველსო? თქმა აღარ დავაცადე, გზა მოვუჭერი:

— ცოლი სომეხი ჰყავს, მასწავლებელო!

— ჰო, ჩემი ცოლი სომხის ქალი მყავს! — აღნიშნა მეჯღანამ კმაყოფილებით.

ლუკაშვილმა ეჭვით შემომხედა.

გული მომივიდა. ვითომ რატომ არ შეიძლებოდა, რომ ყველაფერი მართლაც ასე ყოფილიყო, და მეჯღანა მართლაც ჩემი ბიძა ყოფილიყო, რას ჩამაცივდა? ნაწილობრივ ხომ სწორედ ასე იყო.

— ბიძაა, მასწავლებელო, ვისაც გინდათ, ჰკითხეთ.

ლუკაშვილი შეყოყმანდა. დარწმუნებული ვარ, ერთი გაფიქრება იფიქრა, რას ვერჩი, შეიძლება ასეც იყოსო, მაგრამ როდესაც კიდევ ერთხელ დაგვათვალიერა, ისევ ეჭვმა შეიპყრო.

— რა ჰქვიან ბიძაშენს? — მკითხა მან.

მეჯღანამ პირი დააღო, სახელის თქმა დააპირა.

— იაკინთე! — წამოვიძახე მე.

მეჯღანა მომიტრიალდა. პირზე ჰქონდა მომდგარი, რას მიედ-მოედები, იაკინთე როდისა მქვიანო, მაგრამ თავი დროზე შეიკავა. ისე კი სრულიად ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილი შესაძლებელი იყო ეთქვა: „ე, აბა, ეგენი არ იყოს!“ ან რაღაც ამგვარი... მეც რაღა იაკინთე ვთქვი — სედრაკა, ალია, გარეგინა, ახმედა — ცოტა იყო?

— იაკინთე ქრისტიანული სახელია... — თქვა ლუკაშვილმა.

— მერე რა? — შევაწყვეტინე მე. — ქრისტიანი ნათლია ჰყავდა, ეკლესიაში მონათლეს.

— ქართულ ადათზე მომნათლეს. კალოუბნის ეკლესია რო იყო, იმაში მოუნათვლინებივართ, — თქვა მეჯღანამ და ვიგრძენი, რომ ბიძაჩემს სითამამე მოემატა.

ლუკაშვილიც თითქოს დამშვიდდა.

— მამა რუსი ჰყავდა, დედა ქართველი, ცოლი სომეხი, ქართულ წესზე მოუნათლიათ! — თქვა ლუკაშვილმა, თვალი შემოგვავლო და განაგრძო. — ასე. ასე!.. ორმოცდახუთი წელიწადია მასწავლებელი ვარ...

— ვახ, ორმოცდახუთი წელიწადი?— გაუკვირდა მეჯღანას. — ქვეყანაზე ნაჭუსი აღარ არის?.. პენსიას არ იძლევიან?..

გული მომივიდა, მეჯღანას ლუკაშვილის პენსია რაში ეკითხებოდა! თვალები დავუბრიალე, ხმა ჩავაწყვეტინე და საქმეს ჩავეშველე:

— ჩვენს კურსზე სვანიძე რომ არის, მასწავლებელო, აბა იმას ჰკითხეთ, ვინ არის. რაჭიდან აფხაზეთში ჩასახლებული გამეგრელებული იმერელი ვარო. ეს თუ შეიძლება, ის რატომ არ შეიძლება, რომ მეჯღანა... ისა, იაკინთე — ფოს... იაკინთე — ბიძაჩემი მამით რუსი იყოს, დედით ქართველი, და ამიტომ ქართულად მონათლული, ცოლი კი სომეხი ჰყავდეს?

ეს არგუმენტი ურყევი იყო. თუმცა ლუკაშვილი რაღაცამ დააფიქრა, იქნებ არასაკმარისად მიიჩნია მტკიცება. მაგრამ მივხვდი, რომ ლუკაშვილი მოტყდა.

„ამ უპატრონოს პენსია რაღამ ათქმევინა?“ — რატომღაც მეგონა, რომ საქმეს თუ გააფუჭებდა, მხოლოდ ეს პენსია გააფუჭებდა.

— როგორ მითხარი, ბიჭო, სვანიძე ვინ არისო?

— რაჭიდან აფხაზეთში ჩასახლებული გამეგრელებული იმერელი, — გავიმეორე მე და ლუკაშვილმა ხითხითი მორთო.

ცხადი გახდა, საცაა მოლაპარაკების არსებითი ნაწილი დაიწყებოდა. ასეც მოხდა.

ლუკაშვილი დაწყნარდა და ბიძაჩემს მოუბრუნდა:

— მოგეხსენებათ, ბავშვი ცოცხალიც უნდა იყოს და ცელქიც, მაგრამ თუ ეს იმ ზომამდე ადის, რომ მასაც და მთელ კლასსაც პროგრამის დაძლევაში ხელს უშლის, ჩვენ მოვალე ვართ ზომები მივიღოთ.

მეჯღანა ძალიან გულდასმით უგდებდა ყურს და ისეთი სახე ჰქონდა, ვითომ ყველაფერი ესმოდა.

— ეს ბავშვი... ბავშვი აღარ არის, თექვსმეტისა სრულდება... ძალიან ცუდად იქცევა.

— ვახ! — გაუკვირდა ბიძაჩემს და მე მომიბრუნდა. — მართალს იძახის? მნახა რა, მოწმე!..

ლუკაშვილი შეიშმუშნა, მეჯღანას მის ნათქვამში რომ ეჭვი შეეპარა.

— შენ გეუბნებიან! მართალს იძახეს-ჰეთქი? — გაიმეორა მეჯღანამ.

არა-თქო. მეთქვა — გამოიღოდა, რომ ლუკაშვილი ცრუობს. დავთანხმებულიყავი — რა ვიცი, აბა?

გაჩუმება ვარჩიე.

— გამოდის, რომ მართალს იძახის! — დაასკვნა ბიძაჩემმა, ლუკაშვილს მიუბრუნდა და უთხრა: — ჰო, მერე?

— თუ ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნებით გავრიცხოთ. გზას გადასცდება, გაფუჭდება, ცოდვაა.

— ცოდოა, მაშ!.. მაინც რასა შვრება, არ შეიძლება გავიგოთ? — დაინტერესდა მეჯღანა.

ლუკაშვილმა თითი ფანჯრისკენ მიაპიზნა.

— ამ ეზოს ხომ ხედავთ?

— ვხედავ, მაშ! კაი კოხტა ეზოა.

— იქ, გარშემო, კლასებია, კაბინეტებია, კურსები მეცადინეობენ. ესენი

გაკვეთილების დაწყებამდე ორი საათით ადრე მოდიან და ამ ეზოში თამაშობენ.

— რასა თამაშობთ? — მკითხა ბიძაჩემმა.

— ლახტს, მრგვალ ჯორს, ფეხბურთს.

— ისე საშინლად ღრიალებენ, რომ კლასებში შეუძლებელია მეცადინეობა...

— კარგა თამაშობს?

— კარგად კი თამაშობს, მაგრამ მთელი ამ დავიდარაბის ორგანიზატორი ეს არის. რამდენჯერ გავაფრთხილეთ, რამდენჯერ ავუკრძალეთ — ვერაფერს გავხდით, ბატონო.

— რა გაყვირებთ, ჩუმად ვერ იქნებით? ამოტენა მუდრეგები შეიყრებით, თქვენი ყროყინის ამტანი ვინ იქნება?.. ჩემ შეგირდობაში რამდენი გვითამაშნია. ყვირილი არ იქნებოდა; უსტა გამოგვივარდებოდა, ფერდებს ჩაგვალეწამდა... აღარ იყროყინოთ, დინჯად მაიქეცით!— ამიკრძალა ყვირილი მეჯღანამ და ლუკაშვილმაც განაგრძო:

— ამას წინათ ალმაშფოთებელი რამ ჩაიდინეს. მემაწვნეს სახედარი მოჰპარეს და, აგერ, იმ კაბინეტში შეიყვანეს. — ლუკაშვილმა ტელეფონის კაბინეტზე მიუთითა.

— ეგრეევე, საპალნიანათ? — მეჯღანამ ტელეფონის კაბინეტის კარი თვალით გაზომა, — კაი განიერი კარია, შეეტეოდა... ხურჯინიანათ შეიყვანეთ? — დასაზუსტებლად მე მკითხა მეჯღანამ.

— დიახ, გაკვეთილზე შეიყვანეს...— განაგრძო ლუკაშვილმა.

— ვახ, ე რანაირი რამე უქნიათ! — წამოიძახა მეჯღანამ და ტაში შემოჰკრა. — მერე, მერე?

— როგორ თუ მერე! განა ეს საკმარისი არ არის? — ალშფოთდა ლუკაშვილი.

— არა, მერე რა იყო-თქო, რაღა, იმასა ვკითხულობ. მერე იქნებოდა რამე თუ არა! მასწავლებელმა ნახა?

— ნახა კი არა... შუა გაკვეთილზე სახედარმა ხმაური ატეხა. მემაწვნე მიხვდა, რომ სახედარი კლასშია, შევარდა შიგ და პედაგოგი კინაღამ სახრით გაგვილახა. გული წაუვიდა, ავადმყოფობა კაცია...

მეჯღანა ახარხარდა, ჩაბჟირდა და ხველება აუვარდა. ლუკაშვილი ალშფოთებული ელოდა, როდის დაამთავრებდა ბიძაჩემი ხველებას. მეც მომაგონდა იმ ამბის ზოგიერთი დეტალი და შიგნიდან მოწოლილმა სიცილმა ლამის სახსრებზე დამბზარა.

— რა არის აქ სასაცილო! — გაჯავრდა ლუკაშვილი.

— არა, მე გითხრათ, ეგ რანაირად იქნებოდა... ვირების ზოგი რამე გამეგება, მამაჩემს კაი ბლომადა ჰყავდა...

ბიძაჩემმა ისევ აურია: ლუკაშვილი არ იფიქრებდა, რუსს სახედრები საიდან უნდა ჰყოლოდაო?!

— პატრონმა ძებნა რო დაუწყო?.. სახედარმა ალბათ თავისი პატრონის ხმა გაიგონა, იცნო და იმისთვის დაიყროყინა...

— ამხანაგო, მე ახსნა-განმარტება არ მჭირდება. მთავარია, რომ ეს საქციელი ხულიგნურია და უმსგავსო. აქ სასწავლებელია! მე გეკითხებით, რა უნდა ვირს კლასში?!. ამისი ინიციატივით მოხდა ეს ხულიგნობა.

მეჯღანა გონს მოვიდა.

— თქვე მაიმუნებო, სად შეგყავდათ, რო შეგყავდათ. სასწავლებელია თუ იარმუკა!?

— ჩვენ არ შეგვიყვანია, თვითონ შემოვიდა, — ავუხსენი მე.

— აბა, აბა, ეგენი არ იყოს! სახედრის საქმე მე არ მასწავლო. ვირი თავის ფეხით სხვის თავლაში თავის დღეში არ შევა! — მომიჭრა მეჯღანამ. პაჰ, პაჰ, პაჰ, ეხლანდელ ყმაწვილებს ერთი ბეწო ნამუსი აღარა აქვთ. მაგნაირი რამის გაკეთება იქნება? — ჯავრობდა მეჯღანა. — კიდე რა ქნა?

— ამ ბოლო დროს გაცდენები აქვს და მასწავლებლები ჩივიან, გაკვეთილები ხშირად არ იცისო. პირველ სემესტრში ფრიადოსნობას აღარაფერი აკლდა,

---

ჭაბუა ამირეჯიბი

ბიძაჩემი მეჯღანა

ერთი სამიანი არ ჰყოლია. ახლა ოთხიანიც სანატრელი გაუხდა.

— გამოვასწორებ, მასწავლებელო. სამიანს არ გამოვიყოლებ, ნახეთ, თუ არა! — შევპირდი ლუკაშვილს.

— სამიანი არ გავიგონო, თორე, დუქანში რო კეტი მიდგას, გინახავს? — დამემუქრა ბიძაჩემი.

— ახლა მთავარი!.. — ლუკაშვილმა იყუჩა.

„ვაიმე! — გავიფიქრე მე. — კიდევ რაღაც ყოფილა!"

თითქოს ყველაფერი ნათქვამი იყო, რაღა ჯანდაბა უნდოდა?!

— ამასთან ამხანაგები იკრიბებიან და ფულზე თამაშობენო...

ელდა მეცა, მუხლი მომეკვეთა. ასეთი უსამართლობა?! იმ დროს მე ხომ არ ვიცოდი აზარტული თამაშები — ამხანაგიც კი არავინ მყავდა ასეთი.

მეჯღანას თითქო შამფური ატაკესო.

— რა დროს შენი ყომარია, ბიჭო! შენ ჯერ კამათლისა რა გაგეგება! კამათელი ძაღლის ძვალია, რასაც იშოვნი — შეგიჭამს... ვინ იცის, კირუხით გეთამაშებიან, ვინ იცის, ჩასხმულ ზარსაც გიგორებენ. თავი გაანებე, ბალღი კაცი ხარ. გაიზრდები. ცხოვრების მუღამს აიღებ — მერე რაც გინდა, ჰქენ. ამას უყურებ?..

— ფულის თამაშში შემჩნეული ორი-სამი კაცი კი გვყავს... იმას თამაშობენ, ნომრები რომ აწერია ქაღალდის ფულს... სიმართლე უნდა ითქვას, ესა და ამისი ამხანაგები იმათთან არ გვინახავს, შეიძლება არც იყოს მართალი, მაგრამ...

— არა, მასწავლებელო, მართალი არ არის. მომიგონეს. მამის სულს ვფიცავ! — ამოვილუღლუღე მე და ყელში ცრემლი მომწვა.

ლუკაშვილს სახე შეეცვალა, დამაკვირდა.

— ნამდვილად ასეა?—მკითხა მან.— მართლა არ თამაშობ?

— მართლა არ ვთამაშობ, მასწავლებელო! — ვთქვი მე და ვიგრძენი, რომ სულ სხვა რამეს მეკითხებოდა.

მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა.

— თამაშზე მოგახსენებდით, ეს ბიჭი — რა ლუკაშვილმა მეჯღანას, — შეიძლება არც იყოს მართალი, — მომიბრუნდა მე და ისევ მეჯღანას მიმართა: — აქ, საქმე რაშია, იცით?..

— ჰო, რაშია?

— მილიციაში განცხადებაა შეტანილი. უწლოვანია, ხულიგნები მოჰყავს, არაყს სვამენ, ფულზე თამაშობენ, ოთახი კი არა, ნაძირალების ბუნაგიაო; ბუნაგს მეტსახელიც კი აქვს. „ორთქლმავალი" ჰქვიანო. მილიციას შეუმოწმებია ეს ამბავი — არაფერი არ დადასტურებულა, მაგრამ ჩვენ მაინც გაგვაფრთხილეს, ყურადღება მიექციეთო. მილიციაში ისეთი აზრი შეიქმნა, რომ განცხადების შემტანს ბინის გაფართოება უნდა. წარსულში ამისი „ორთქლმავალი" იმ ბინის საკუჭნაო ყოფილა...— ლუკაშვილი გაჩუმდა.

— მოდებაძე! — ვთქვი უნებურად, მაგრამ მაშინვე ვიფიქრე, ასეთ რაიმეს როგორ იზამენ-მეთქი.

— ეგ მოდებაძე რომელია? — მკითხა მეჯღანამ. — ახლები რო არიან? მაგის ქალიშვილს წითელი ტუფლები აქვს, არა?

თავზარდაცემული ვიდექი, არაფერი არ მესმოდა და, რაღა თქმა უნდა, არავითარი წითელი ტუფლებისათვის არა მცხელოდა. არ მჯეროდა, მაგრამ ამ აზრს ვერსად წავუვედი.

— მე მეგონა, მამიდას მოიყვანდა, — განაგრძო ლუკაშვილმა. — კარგი ბავშვია. ასეთები ძნელად ფუჭდებიან. თუ შეცდნენ—ადვილად სწორდებიან. ყველაფერი გავითვალისწინეთ... ოჯახური მდგომარეობაც... ამიტომ ვაპატიეთ ის ყველაფერი. მაგრამ ეს, რაზეც ბოლოს გელაპარაკეთ, სერიოზული საკითხია. რახან მობრძანდით, ალბათ, ამ ბიჭზე გულიც შეგტკივათ და, თუ საშუალება ვქონდეთ, თვალყური გეჭიროთ.

სიმწრის ცრემლი მცვივოდა და მაინც გამიელვა, მეჯღანამ კიდევ არ გამოიდოს თავი: თვალს დავიჭერ, მაშ როგორ იქნება, ბიძა ვარო. ერთი რამ ნამდ-

ვილად ვიცოდი: ამას იქით ყუთებს კონებად აღარ მივიტანდი „ორთქლმავალში“. მთელებს მივიტანდი და მოდებაძეების ჯიბრით შუაღამეზე დავუწყებდი მტვრევას.

— აჩიკო, ცრემლები მოიწმინდე, — მითხრა ლუკაშვილმა.

— ამოდენა კაცი და ტირილი! — მითხრა მეჯღანამ და ლუკაშვილს მიუბრუნდა. — ცოდოა, ჩემმა მზემ! ჩემ მუშტარში ამნაირი ოჯახი არ იყო, პურის მადლმა!

— ხომ იცი, ბიჭო, რუსთაველმა რა თქვა? — მითხრა ლუკაშვილმა ძალიან ხმადაბლა: — „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო“. უბადლო სახეა. ქვითკირი, რაც მეტი დრო გადის, რაც მეტი აწვიმს და ყინვა თუ გვალვა ადგება, მით უფრო მაგარი ხდება. რუსთაველს სწორედ ეს თვისება ჰქონდა მხედველობაში. კაცი ქვითკირივით უნდა იყოს, აჩიკო. რაც მეტი გაგიჭირდეს, მით უფრო უნდა გამაგრდე, დავაკაცდე, დაბრძენდე. წადი, იფიქრე ამაზე, საქციელს ჭკუა დააყოლე!

ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ბულზე მომეშვა. მე და ბიძაჩემი ლუკაშვილს გამოვემშვიდობეთ და წამოვედით.

გაკვეთილებზე აღარ დავრჩი. რატომღაც მეგონა, რომ დღეს ამისი სრული უფლება მქონდა. იაკინთესთან მივდიოდი. ავად იყო, მისი წილი დეპეშებიც მე უნდა დამეტარებინა.

თავიდანვე ვიცოდი, რომ ლუკაშვილი კარგი კაცი იყო!.. ძალიან მხიარულ ხასიათზე დავდექი. რაღაც ჰანგი ამეკვიატა, წავიღიღინე და მეჯღანას არსებობა ახლალა მომაგონდა.

მეჯღანა ისეთი იყო, თითქოს ვინმეს კუბოს მისდევდა. ჰანგი პირზე შემაშრა.

— რა იყო, რას დაფიქრებულხარ? — მინდოდა მხიარულად მეკითხა და უკუღმა გამომივიდა, ძალიან მეცოდებოდა.

მეჯღანამ მიიხედ-მოიხედა.

ბესიკის ბაღთან ვიყავით მისული.

— მოდი, ბაღში შევიდეთ, ცოტა ხანი დავჯდეთ! — მითხრა მეჯღანამ.

იაკინთესთან მიმეჩქარებოდა, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ბიძა იყო, ხათრი აღარ გავუტეხე, შევყევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს ვისხედით ჩუმად. მეჯღანა ღრმა ფიქრებში იყო წასული, რაღაც სადარდებელი აწუხებდა. ვიგრძენი, რომ აღარსაით აღარ მეჩქარებოდა. მინდოდა ამ კაცის გვერდით ვყოფილიყავ და მეფიქრა, რაზე ფიქრობს-მეთქი.

— ეეჰ! — ამოიოხრა მეჯღანამ. — შენ რა იცი, მამაშენი რა კაცი იყო. ნამუსიანი კაცი იყო, გამრჯელი, კაი სიტყვა და რიგიანი საქმე ყველა კაცისთვის მზადა ჰქონდა. ოჯახი ააშენა, შვილები დაზარდა, შვილიშვილების ნატვრა ჰქონდა. ეს ამოდენა ოჯახი, ტყაპ, და დაინგრა, აღარ არი. მამაშენი, დედაშენი, ბიძაშენი შოთა ცოცხლები არიან, თუ მკვდრები, შენი იმედი აქვთ... — მელაპარაკებოდა ის და მარიგებდა, როგორ მოვქცეულიყავი, როგორ მეცხოვრა, ავი და კარგი როგორ გამერჩია.

მამა რომ მყოლოდა, ალბათ, ისიც ასე დამარიგებდა ხოლმე. ცოტა სხვა სიტყვებით, ცოტა სხვა კილოზე, მაგრამ აზრი უთუოდ ასეთივე იქნებოდა. გუნებაში ყველა ამხანაგი ჩამოვთვალე, ისინი, ვისაც მამა ჰყავდათ, და ნაღველი შემომაწვა. არ მიყვარდა, როცა მარიგებდნენ. წარბშეკვრით ვისმენდი, როდის გაათავებდნენ. ახლაც გვერდში მამა რომ მჯდომოდა, იქნებ მომბეზრებოდა მისი დარიგება, მაგრამ დანატრულებული ვიყავი დინჯ, გონიერ ბაასს და ამ ადამიანის ხმადაბალი დუდღუნი ძლიერ მსიამოვნებდა; შინაარსი კი არა, შინაარსი მგონი არც მესმოდა — ის მსიამოვნებდა, რომ გვერდით უფროსი კაცი მეჯდა და მამაშვილურად მარიგებდა. ნეტავი არასოდეს არ გათავებულიყო ეს გრძნობა.

— ის ხალხი, საცა არიან, შენ იმედად არიან. შენ კიდე, თამბაქოო, ეზოში ყროყინი და გინებაო, სასწავლებლის გაცდენაო. ეხლა იმასაც იძახიან, ყომარბაზობა დაუწყიაო... აბა, ეგენი საქმეა!?

ჭაბუა ამირეჯიბი

ბიძაჩემი მეჯღანა

— არა, ღმერთმანი, რისი ყომარბაზობა...

— სსს... ხმა ჩაიწყვიტე. რო გელაპარაკები, ყური უგდე. ნახე, იქნება კაი რამე ისწავლო. სასწავლებლიდან რო დაგითხოვონ, რაღას იზამ? მე ვეტყვი რასაც იზამ: უხეირო ხალხში ჩავარდები; ხარი ხართან დაიბმება — ალალი ლუკმის გემოს დაკარგავ, ჰარამი ლუკმის გემოსა ნახავ...

მეჯღანას გაღიზიანება დაეტყო, გაჯავრებული იყო.

— მამაშენს ჰარამი ლუკმით არ გაუზრდიხარ... შენ ეხლა პატარა ხარ, პატარა ჭკუა გაქვს. იცი, რამოდენა სიმწარე უნდა ნახო, რო სახლში ოჯახის სარჩო მოიტანო? სანამ დღე დაღამდება, ათასი მუდრეგი ძარღვებიდან აგშლის. შაქარი მიგქონდეს — პირში მლაშე გემო გაქვს. კაცი რამდენ რამეს ითმენს, იმისთვინ რო შვილები დაზარდოს. შვილები კიდე განა თუ მამის გარჯას აფასებენ? თქვენ ეგეთები ხართ, ისე გვიყურებთ, ვითომ ძროხები ვიყოთ, ჯიქანი გვებას... ერთი ბეწო ნამუსის პატრონი არა ხართ...

მეჯღანას ყელის ძარღვები დაებერა, თვალებში სისხლი მოაწვა, ხმას აუწია. მაინცადამაინც არ გამკვირვებია. ვიცოდი, ასეთი იყო, იბობოქრებდა, იბობოქრებდა და დამშვიდდებოდა.

— ყომარბაზობა, ჯიბგირობა, ქურდობა, ციხე, მიხე... დაგინახავენ, ხელს გამოიშვერენ, იტყვიან: თავისი მამის ჯალაბიდან ეს ერთი ბედოვლათიღა დარჩაო. მამის სახელს არცხვენთ, დედის სახელს აშავებთ. მე შენი გაჩენის დღიდან ერთი სანატრელი მაქვს: გაიზრდება, კაცი დადგება, გამახარებს... არაფერი გახარება შენგან არ არი. მე კაი სიტყვას გეუბნები, შენ ყურის დაგდება არ გინდა. ერთი დღეც გათენდება, სახეში მამაფურთხებ, წიხლს გამომიქნევ, იქნება სილაც გამაწნა... ვახ, ვახ ჩემო თავო, ქვეყნის სასაცილო გახდი, მთელი დუნიის მასხარა შაიქენ! რისთვინ გარჯილხარ, სული რისთვინ ამოგხდომია!..

მომდგა მეჯღანა, ღმერთმა იცის, რაები მელაპარაკა. ყური დაგეგდო, ისე გამოდიოდა, ვითომ ჩემი ხელით საბრჭობელაზე ავიყვანე, თოკი გაწყდა, თავი მარყუჟში ხელმეორედ გავაყოფინე... გული გააწყალა.

— მორჩი, კაცო, რა მოგვიდა — საპონი ჭამე?.. ტრამვაიდან გადმოვარდი?.. — შევუტიე მე.

— აჰა, ხედავ? პირზე ძუძუ არ შეგშრობია, უკვე მაგისთანებს მეუბნები. გაიზრდები, რა ხეირს დამაყრი!..

— რა პანტანაჭამი დათვივით აბურტყუნდი. რა შენი საქმეა...

— პანტანაჭამი დათვიო?.. რა შენი საქმეაო!?. მამაშენს ეგეთები უნდა უთხრა!?. — დაიყვირა მეჯღანამ და ერთი ისეთი ჩამცხო თავში, თვალებიდან ნაპერწკლები გამცვივდა. — მაშ ვისი საქმეა!

განზე გადავუხტი. ისიც წამოდგა და ჩემზე წამოვიდა. მე უკან ვიხევდი — გაცეცხლებული მეჯღანა ჩემსკენ მოიწევდა.

— ამ ძაღლის ლეკვს უყურე?.. სარდიონას შავი ლეღვი გაუკრიფე — არაფერი არა ვთქვი. ბატიბუტის ვაჭარს შტოფები მიჰყიდე — მაგაზეც გავჩუმდი. რუბენას ბიჭს თავი გაუტეხე — ეგეც არაფერი. ბებიაშენის წინდის ჩხირები რა უყავ?.. ეხლა, ტეხნიკუმში მშობელი მოიყვანეო — სხვა მიგიყვანია...

ამასობაში რაღაცას ფეხი წამოვკარი და ბალახში გადავეშვი. მეჯღანამ კისერში ხელი მტაცა, ჩამბღუჯა. ერთი ორჯერ გასხლტომა ვცადე, არაფერი გამომივიდა — ღონიერი იყო, მამაცხონებული. გავინაბე, ეგება თავი დამანებოს-მეთქი. მირტყამდა და ახალ-ახალ ცოდვებს მაბრალებდა: თურმე დაუკითხავად მის ვერცხლის ქამარს ვიკეთებდი. თურმე მისი სამართებლით ფანქარი გამითლია და კიდევ რაღაც. არცთუ ძალიან ბევრი ცოდვა მომაწერა, მაგრამ იმეორებდა და ბევრი გამოდიოდა. ძალიან საინტერესოდ მცემდა: თხლაშათხლუში — გიყვარდეს, და ტკივილი კი არავითარი. შიშმა სრულებით გადამიარა. ჯერ ის გავიფიქრე, აბანოშიც ასე ვწევარ ხოლმე და მექისეც უფრო გამე-

ტებით მიტყაპუნებს ქისას-მეთქი. მექისეზე ფიქრმა მამაჩემი მომაგონა... ერთხელ მთელი დღე სახურავებზე ვირბინე, მტრედებს დავდევდი. მამა სამსახურიდან მოვიდა და გამლახა. სწორედ ასე მცემდა: ხმა დიდი იყო და კი არაფერი მტკიოდა...

— ეეე! — დავიყვირე მე იმიტომ, რომ მეჯღანამ მიჩქმიტა. იმავ წამს ქეჩოშიც მომხვდა...

— შენ რა, მართლა გაგიჟდი, შე მაიმუნო!? — შევძახე გამწარებულმა. — შენი გაზრდილი ვარ? მართლა ბიძაჩემი ხომ არა გგონია შენი თავი. ლატარიაში მერგე?..

მეჯღანა გაინაბა. ნეტავი მანამდე მეთქვა — ხომ აღარც ეს ცემა გადამხდებოდა.

მეც გავიტრუნე, ხელახლა აღარ დამცხოს-მეთქი და ვიყავით ასე: მე პირქვე ვიწექი, მეჯღანა ჩემს გვერდით იჯდა და რაღაცაზე ფიქრობდა.

როცა თვალი ავაპარე და დავრწმუნდი, რომ მეჯღანას ჩემთვის აღარა სცხელოდა, გაქცევა დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე — ნაბეგვი უკვე ვიყავი, ეს კაცი აღარაფერს მიპირებდა და რაღა აზრი ჰქონდა გაქცევას.

— ხო არაფერი დაგიშავდა? — მკითხა მეჯღანამ ხმადაბლა.

ხმა არ გავეცი. ისევ სიჩუმე ... წამოვჯექი.

— არ იქნება! — თქვა მეჯღანამ თავისთვის. — მამისა შეერგებოდა. ჩემი... მე ვინა ვარ, უცხო კაცი ვარ. არ იქნება... შეიძლება თუ არა, ჩემმა მიშამ მე არაფერი არ მითხრას, ეგრე ვინმე მიიყვანოს, ვითომ ბიძა ხარო? ხათრიჯანად იყავ, იზამს.

ავდექი, ტანისამოსი დავიბერტყე, სკამზე დავჯექი.

მეჯღანა გვერდზე მომიჯდა.

— ინდუსტრიალური ტეხნიკუმი სადარი, რომელ ქუჩაზეა, იცი? — მკითხა მან.

— კამოს ქუჩაზე.

— კამოს ქუჩა... ჰო რა, გაღმა. ვერის ხიდზე უნდა გავიდე. ვიცი, — წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა გასასვლელისაკენ.

უკვე ქვაფენილზე იყო, მოტრიალდა.

— მანდ ნუ ხარ, სახლში წადი! — დამიყვირა მეჯღანამ, დაფიქრდა და უფრო მშვიდად გაიმეორა: — მანდ ნუ ხარ, წადი, საქმეს მიხედე!

ჭაბუა ამირეჯიბი
ბიძაჩემი მეჯღანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევგენი ევტუშენკო

კარიერა

მთელი შეგნებით ამტკიცებდნენ დიდი მოძღვრები
რომ გალილეი ბრიყვია და არის უგნური,
მაგრამ გვიჩვენა დრომ და ცხოვრებამ
ამ ბრიყვი კაცის საოცარი აზრის გუგუნი.

სხვაც იყო კაცი,
გალილეის ტოლი, მოძღვარი
და არა ჰქონდა არავიზე ნაკლები ცოდნა,
კარგად იცოდა,
დედამიწა ნაღდად მოძრაობს,
მაგრამ მას მყუდრო ოჯახი ჰქონდა.

ის იჯდა ცოლთან კარეტაში მკაცრის იერით.
ჩაიდინა რა დიდი ღალატი, —
ეგონა, ამით გაიკეთა მან კარიერა,
არადა, ნამდვილ კარიერას
წიხლი ჩაარტყა.

გალილეის კი ეძახოდნენ სხვა პლანეტები
და მიდიოდა უზენაეს აზრთა მკვესავი,
თვით გახდა დიდი და მიწაზე ვერ დაეტია —
აი ნამდვილი კარიერა მართლაც ეს არის.

მაშ გაუმარჯოს კარიერას
სინათლით სავსეს,
იმ კარიერას, საქვეყნოდ რომ ითქვა ხმიერად,
შექსპირს რომ ჰქონდა,
ანდა, ისეთს, რომ ჰქონდა პასტერს,
ლევ ტოლსტოის და ნიუტონის დიდ კარიერას.

ამ დიდ სახელებს სიბნელეში ძალით ამწყვდევდნენ.
დიდი ტალანტი იდგა ცეცხლზე და ვერ დაიწვა.
ხალხს დაავიწყდა სახელები ყველა დამწყევლის,
ვისაც სწყევლიდნენ,
ის შემორჩა ამ დედამიწას.

ვინც ვარსკვლავებში აენთო და სხივად იელვა,
ვისი აზრებიც ძლიერად და მაღლად გვითქვია,
აი ისინი აკეთებდნენ დიდ კარიერას,
რომელიც ჩემთვის დიდზე დიდი მაგალითია.
მე მჯერა მათი,

უიმათოდ ქვეყნად ვერა ვძლებ,
მე მათმა რწმენამ ვაჟკაცად და ძალად მაკურთხა.
მე არასოდეს მიფიქრია კარიერაზე —
და მით ვიკეთებ კარიერას,
დიდს და საკუთარს.

☆

ლექსი ფიდელზე

დიდი სურვილი მაქვს გაგაცნოთ
დიდი ფიდელი,
მაგრამ პირველად მოგიყვებით, —
როგორ ვიდექით
და ვუყურებდით
თვითმფრინავის ფერად ნამსხვრევებს
და მიხაროდა
არნახული ეს სამსახური.
ჯარისკაცები
საჭმლის სუნით უკვე მაძღრები.
ანანასის წვენს მიირთმევდნენ
და თან დასძენდნენ —
„მტრის თვითმფრინავებს
ჩვენ ყოველთვის ვხვდებით ზეიმით.
ვუვლით ნამსხვრევებს,
ღია ცის ქვეშ გვაქვს მუზეუმი“.
დიდი სურვილი მაქვს გაგაცნოთ
დიდი ფიდელი,
მაგრამ პირველი
სანტიაგო-დე-კუბა გახლავთ.
მუშათა კლასის,
მუშა ხალხის,
არა მდიდრების,
მოდერნისტული კლუბებით და
დიდი სახლებით.
ეს ყველაფერი
არის მართლა ხელშესახები.
თითქოს შენია
კედლები და ჭერი სახლების.
...და მითხრა ერთმა ზანგის ქალმა —
„მე მიკვირს სწორედ,
როგორ ვცხოვრობდით
იმ საშინელ და უკუნ დროში,
იმ ჭერგამომპალ ფიცრულებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ვიცხოვრეთ,
როგორ ვკვებავდით საწყალ ბავშვებს
ორიოდ გროშით.
დიდ ნიაღვარში
საწოლები წყალში ცურავდნენ
და ვიხუტებდით ბავშვებს გულში,
როგორც სურათებს.
ახლა მაქვს სახლი,
ფულიც მაქვს და შვილებს არ სცივათ,
მაგრამ მე ვიცი
სადღაც ბავშვებს ტანთ არ აცვიათ.
არ მოგახსენებთ, რომ ეს ხდება
მარსზე,
მთვარეზე,
ჩვენს პლანეტაზე, მეგობარო —
ეს ხდება ჩვენთან,
კაცი, რომელიც თავის გარდა
სხვის ბედს არ ეძებს,
მას არასოდეს არ უნახავს
ცრემლები ჩვილთა.
და თუ ამ ქვეყნად
უსახლკარო დადის ისევე,
მაშინ რა მყუდრო სახლიც გედგას,
ვერ მოისვენებ.
დიდი სურვილი მაქვს გაგაცნოთ
დიდი ფიდელი,
მაგრამ პირველად მოგიყვებით
ყვავილთა ზეიმს,
ყვავილთა ზღვაში
მე ვცურავდი, როგორც ზვიგენი,
და ზეიმივით ვზუზუნებდი
ტალღებზე ზევით.
ამნაირობა არ მინახავს, —
კარნავალებზეც,
ჩემთან მორბოდნენ,
ბავშვებივით თეთრი ვარდები,
მწვანე ნიღბები ჰქონდათ თვალებზე.
მერე მიჰქროდნენ
ისე, როგორც კინოკადრები.
ჩემთან მოვიდა მეყვავილე
და მომესალმა —
„შენ ხარ პოეტი?
ესე იგი შენ ხარ ჩვენსავით.
ვინა სთქვა ნეტა
ყვავილებზე სიტყვა აუგი,
კაცი მკაცრია,
თუ სინაზე სულს ვერ გაუგე,
როცა მტერს წუნკალს
იარაღით ბუნაგს გაუნგრევ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევოლუციას
ყვავილები უნდა გაუგო!"
ხალხის გარეშე
იკარგება ყველა იდეა,
სიცოცხლე ხალხის
უკვდავება არის იდეის,
როგორ?
მე თქვენთვის არაფერი მითქვამს
ფიდელზე?
სწორედ ეს ხალხი ანთებული
არის ფიდელი.

კუბა, პლაია-ხირონი, 1961 წ.

თარგმნა **ჯანსულ ჩარკვიანმა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე გონჩაროვი

სინგაპური

ნაწყვეტი წიგნიდან: „ფრეგატი „პალადა“

სადა ვარ, სად, მეგობრებო? სად გადმომტყორცნა ბედმა მდევარმა ჩვენი არყის ხეებისა და ნაძვების, თოვლისა და ყინულის, ავი ზამთრისა და უგერგილო ზაფხულის სამეფოდან? ეკვატორის ძირას ვიმყოფები, სადაც მზე სხივებს შვეულად აფრქვევს, სადაც ინდოეთისა და ჩინეთის მიჯნაა, სადაც მუდმივი, შეუბრალებელი, მცხუნვარე ზაფხული გამეფებულა. ჭვავის თვალუწვდენელ ყანებს მიჩვეული თვალი შაქრისა და ბრინჯის პლანტაციებს ჭვრეტს; მარადმწვანე ფიჭვი ნიადაგ მწვანე ბანანსა და ქოქოსს შეუცვლია; შტოშმა და ყვითელმა ყოლომ ადგილი დაუთმო ანანასებსა და მანგუს. მე მომწამლავი წიწაკების, ცხარე ძირების, სპილოების, ვეფხვების, გველების სამშობლოში ვარ, წვერგაპარსულ თუ წვერმოშვებულ ადამიანთა ქვეყანაში, რომელთა შორის ერთმა ნაწილმა ქუდი რა არის, არ იცის, მეორეს კი თავზე ქსოვილების კოშკი ადგას; ერთნი დღენიადაგ შრომით იწყვეტენ წელს, ნიადაგ ურო, წერაქვი, ნემსი, საჭრისი უკავიათ ხელში; მეორენი ერთი მუჭა ბრინჯის შეჭმაზეც ძლივს იწუხებენ თავს და მთელი დღე ადგილს არ მოიცვლიან; მესამეთ მტრობა გამოუცხადებიათ ყოველგვარი წესრიგისა და შრომისათვის, მჩატე „პროაებით“ მამაცურად დაძრწიან ზღვებზე და ვაჭარ ზღვაოსნებს ძალისძალად ართმევენ ხარკს.

თითქო სადღაც იდუმალი მტერი ჩაგვსაფრებიაო, დიდი სიფრთხილით, ნელა-ნელა ვუახლოვდებით სიბნელეში სინგაპურის რეიდს. ამ ზღვების სიღრმისა და ხასიათის გამომკვლევი სახელგანთქმული გორსბურგის მითითებებითა და საძირავით ვხელმძღვანელობდით ყოველ წუთს. ბოლოს ჩაუშვეს ღუზაც და ფრეგატზე გამეფებული დაძაბული ყურადღება, ადგილმდებარეობის დაკვირვებული გამოკვლევა და ხალხის გაფაციცებული საქმიანობა მაშინვე შესცვალა უდარდელმა განწყობამ და დასვენების სურვილმა. ამ ბნელ, მაგრამ ეშვენიერ, წყნარ ღამეში დაღლილ მეზღვაურსაც შეუძლია არხეინად მიეცეს გულის ძილს და ოფიცრებმაც ტკბილად ისაუბრონ ჩაისთვის გაწყობილ სუფრის გარშემო. ზემოთ საზეიმო დუმილი გამეფებულა, მსუბუქი სიო არ არხევს ჰაერს, წყალზე ჭავლის ნატამალი არა ჩანს, და მაინც სამარის დუმილს არაფერი მიუგავს. რაოდენი სიცოცხლე იგრძნობა ამ ნაზ, მოალერსე სითბოში, რომელსაც ნდობით, უშიშრად გადაუხსნი გულს, მოიღეღავ ყელს, როგორც პატიოსან კაცს გადაუშლი შენს სულს, თუკი ტკბილად შეგხვდა! რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმტაცი და მომხიბლავია ვარსკვლავების ეს გასაოცარი ბრჭყვიალი, დინ-
ბის ძალით ხან წინ, ხან უკან მძიმე-მძიმედ გაგორებული ზღვა, თუნდაც ამ
კლდეთა შავი ლოდები და მათ მწვერვალებზე არშიად მოვლებული ტყეები!

სულ გგონია, რომ ამ გალურსულ სიჩუმეში ბუნება რაღაცას ფიქრობს,
რაღაცას აპირებს, ცეცხლოვანი თვალები ზემოდან მრავლისმეტყველად, ჭკვი-
ანურად დაგაშკაშებენ, წყლის ანაზდეული წყნარი შხაპუნი თითქო პასუხად
გაისმის ვიღაცის შეკითხვაზე; სულ გგონია, რომ ამ სიჩუმესა და თბილ, გა-
სულდგმულებულ წყვდიადს ხმა იდუმალი, ხმა საზეიმო დაარღვევს. რაღაცას
ელი, რაღაცაზე ფიქრობ, რაღაცას გრძნობ, მაგრამ რას — ვერ იტყვი და ვერც
სახელს დაარქმევ. მხოლოდ შენ თვითონ არ იცი, რა მხურვალე გრძნობაა
ასეთი, რომ გულს გითრთოლებს და ნერვებს გიწეწავს! ამ ცის ქვეშ, ამ ჰაერ-
ში ფანტასტიური ზმანებები დაქრის; ასეთ ღამეებს მხოლოდ მცხუნვარე
სიზმრები და ფრთაგაშლილი პოეტური ოცნებანი სჩვევია, ოცნება ბრამას ამ
ქვეყნად მოვლინების, ოცნება მოკვდავთა მიმართ ღმერთების მხურვალე
სიყვარულის, — აქაური ბუნების ზღაპრული ნაყოფიერების ეს მგზნებარე
წარმოდგენები.

ზონდის სრუტიდან დაწყებული სულ ასეთი ღამეებით ვნეტარებთ. ზეცა
აქ წიგნია, რომლის წაკითხვა არ მოგწყინდება. ის აქ უფრო გადაშლილია და
ნათელი, რამეთუ თვით ზეცა დედამიწას აქ თითქო უფრო დაახლოებია. მე
და ბ (არონი) კ (რიდნერი) დიდხნობით ვიდექით ხოლმე მევახტის სკამზე, ვე-
ღარ ვძღებოდით ვარსკვლავების, მოკაშკაშე ციაგის და განსაკუთრებით მეტე-
ორების ცქერით, რომლებიც ბენგალის შუშხუნებივით ბრჭყვიალით სერავდ
ხშირ-ხშირად ცას ყოველი მიმართულებით.

ერთხელ ღამის სიჩუმე უცბად ფრეგატის გვერდით ნიჩბების ტყლაშუნმა
დაარღვია. „რა ამბავია? ნავს რა უნდა გაშლილ ზღვაში?“ — და ნახევარ პორ-
ტიკს დაკვირვებით დავაცქერდი. ფადეევი ამ დროს ზარბაზანზე იდგა, ზღვი-
დან წყალი ამოჰქონდა და მე მასხამდა. იმანაც გადაიხედა. ნავში სამნი ისხ-
დნენ, მაგრამ ვინ იყვნენ — სიბნელეში ვერ გავარჩიე. „ნეტავ ვინ უნდა იყოს-
მეთქი?“ — ვიძახდი ამ ამბით შეცბუნებული. „ისევ ფინელები იქნებიანო,
თქვენო მაღალკეთილშობილებავ!“ — მითხრა ფადეევმა გულგრილად. ფინე-
ლებში აივანზე ნახულ მალაელებს გულისხმობდა. „ან ლიტველებიო“, —
უფრო გულგრილად დაურთო მეორე მეზღვაურმა. მალაელებს რამდენიმე ანა-
ნასი მოეტანათ. ლოცმანობაც შემოგვთავაზეს. ჩვენ მასხრობა დავიწყეთ: ალ-
ბათ მეკობრეები იქნებიან, გუნდმა გამოაგზავნა იმის გამოსაძიებლად, რა ტი-
პის ხომალდი მოდის, რამდენი ხალხია და რა იარაღია ზედ, რომ მერე თავზე
დაგვესხან-თქო. აქაურ მეკობრეებისათვის ეს ჩვეულებრივი ხერხია. ერთხელ
თურმე ასევე სამი-ოთხი კაცის რაოდენობით ეწვივნენ ჰოლანდიურ ხომალდს,
მოშხამული ხილი აიტანეს, ეკიპაჟი მოწამლეს, მერე უკვე მთელი ხროვით და-
ესხნენ თავზე და ხომალდი ხელთ იგდეს. შემდეგ, როგორც მუდამ წესად აქვთ,
ეკიპაჟი ზონდის ერთ-ერთ კუნძულზე წაიყვანეს ტყვედ, ხომალდი კი ჩაძირეს.

ერთი მალაელი გემბანზე ამოძვრა და ჩვენთან დარჩა ღამის გასათევად,
დანარჩენმა ორმა ღამე ნავში გაათია, ფრეგატს გამობმული ნავი მთელი ღამე
უკან მოგვყვებოდა. 24 მაისს, დღის თერთმეტ საათზე სინგაპურის სრუტეში
შევედით. წვიმა დაიწყო, გრიგალიც ამოვარდა და ჰაერი გააგრილა. ჩვენც სუ-
ლი მოვითქვით, სიცხე აღარ გვაწუხებდა: რეომიური ჩრდილში 23 $^1/_2$°-ს აჩვე-
ნებდა, მალაელი კი გაგვეთოშა. ჩითის ქვედაწელი ეცვა, მხრებზე პერანგივით
მოეხურა რაღაც, ზემოდან წითელი ბამბის ქსოვილის ნაჭერი მოეგდო კიდევ;
ჩვენი დედაკაცებივით თავზე თავსაფარი წაეკრა, უამისოდ აბა როგორ იქნე-

ბოდა, და ფეხშიშველი იყო, ეს მათი სრული მოკაზმულობა გახლავთ. დანარ-
ჩენები კი მეტწილად თითქმის ტიტლიკანები დადიან. მალაელი
გადმოხურულს ეფარებოდა, მერე ჩემი კაიუტის კარი რომ დაინახა,
დაპირველად ერთი ფეხი შემოდგა, მერე მეორე, ზურგიც შემოაყოლა, თავი
კი ჯერ გარეთ ჰქონდა. „ცივა?“ — ვკითხე მე. „Jes“, — მიპასუხა და კაიუტაში
ძოლიანად შემოაბიჯა. ნეტავ რამ შეაცივა, სითბო ოც გრადუსზე მეტია-
მეთქი, ამიტომ აღარ შემეცოდა და, როცა სინათლეზე ჩამომეფარა, ხელი
ავუქნიე, გარეთ გადი-თქო. მის ნავში მყოფ ორ ამხანაგს სრულიადაც არ აწუ-
ხებდათ, რომ გრიგალის დროს ნავის ხან ცხვირი, ხან კიჩო წყალში იფარებო-
და: ერთი ზანტად ასხამდა წყალს ნავიდან ჩამჩით, მეორე კი ზანტადვე უც-
ქერდა ამ ამბავს.

სინგაპურს საღამოს მივუახლოვდით. საინტერესო იყო მიწის ამ პატარა
ნაგლეჯზე შექუჩული ნაირნაირი ფერის კანიანი და ნაირნაირ ენაზე მოლაპარაკე
ხალხის ნახვა. ამერიკელ ვილკსის გამოანგარიშებით, მარტო აზიელთა ტომები
აქ ოცამდე დაითვლება.

25 მ ა ი ს ი. დილაა. მზე კაშკაშებს და ირგვლივ ყველაფერს კაშკაში
ვაუდის. ვიშ, რა სანახაობაა! რა რიგ დუღს სიცოცხლე, რა ღრიანცელი და
ფაციფუცია! ან რა სახეებია! რა ნაირნაირი ენა გესმის! გარშემო კუნძულები
ნწვანეში ჩაფლულა, პირდაპირ, ანძების ტყეების მიღმა, მაღლობებზე ქალა-
ქის შენობები ჩანს. ჯონკები, ნავები, ჩინელები და ინდოელები ნაპირიდან
ხომალდებისკენ თუ ხომალდებიდან ნაპირისკენ მიდი-მოდიან და ერთმანეთს
გზას უჭრიან. ჩვენს მარჯვნივ და მარცხნივ ყველაფერს ველური იერი დაკ-
რავს. ქოქოსების გაუვალი ტყე ყურეს დაჰყურებს; უკან ზღვა მოჩანს.

დილით ადრე ი. ი. ბ(უტაკოვმა) მომიკაკუნა კაიუტაში, ნახევრად ღია
კარში ხელი შემოჰყო, რაღაც მუქი წითელი ხილი, ვაშლის სიდიდისა და მოყ-
ვანილობის, მომაწოდა და „გასინჯეთო“, — მითხრა. გავჭერი: წითელი ხორ-
ცის შიგნით თეთრი, მომჟავო-მოტკბილო გული დამალულიყო, რამდენიმე
ნაწილად დაყოფილი და თითოეულში თესლის მსხვილი კაკალი იდო. მეტად
გოილი, ქორფა, ფაქიზი და ტკბილი გამოდგა, ოდნავ მომჟავო. ეს მანგუსტანი
ანუ, როგორც ინგლისელები გამოთქვამენ, „მანგუსტენ“, ყოფილა. იმათ ხომ
არ შეიძლება სიტყვა არ დაამახინჯონ.

კაიუტა ლამის შემომიმტვრიეს ინდოელებმა, მალაელებმა, ჩინელებმა,
სხვადასხვა ეროვნების ხომალდებიდან მიღებული ატესტატებით. ყველანი
თერძები, მრეცხავები, კომისიონერები იყვნენ. გემბანზე ნამდვილი ბაზარი
გაემართათ: ნაირნაირი ტომის სტუმრებს საქონელი გაეშალათ, ყველა თავის
ენაზე გაჰკიოდა და ქსოვილებს, ნიჟარებს, მაიმუნებს, ფრინველებს, მარჯნებს
გვთავაზობდა.

ქიმზე გადავიხედე: იქ ნავების მთელი ფლოტილია დამხვდა, სულო და
გულო, რით არ იყო გაჭედილი, მეტწილად ხილით. ანანასები ისე ეყარა, რო-
გორც ჩვენში თალგამსა და კარტოფილს დაახვავებენ, მერე რა ანანასები იყო!
არ მეგონა, თუ ამ სიდიდე და ასე ლამაზი იზრდებოდა. მაშინვე გავჭერი და
გიახელით: წვენი ხელებზე ჩამომდიოდა, თეფშზე, იატაკზე ეწვეთებოდა.
მინდოდა თქვენთვის წერილი მომეწერა, მაგრამ გული გემბანზე მეწეოდა. ხან
ხიჟარა ვივაჭრე, ხან რა, უფრო მეტად კი ამ ჩემთვის ახალ სახეებს ვაკვირდე-
ბოდი. რა ლამაზი ხალხია ინდოელები და რა შეუხედავი ჩინელები! პირველნი
ტანადები და თამამებია. ლაღი მიმოხვრა სჩვევიათ; მათ სიარულსა თუ სახის
მოძრაობაში რაღაც საზეიმო მედიდურება გამოსჭვივის, ზანტად დადიან.
ნარნარი მოძრაობა აქვთ. ტუჩებს თითქმის არ ამოძრავებენ, თითქო ყელში

ლაპარაკობენ. მათი სინარნარე ბუნებრივად მომდინარეა, ასე რომ არა, კაცს უთუოდ გააცინებდა მათი ნელი, ფრთხილი სიარული, თავის ამაყი დაჭერა, ხელების ზომიერი ქნევა. კიდეც შვენით ეს ამბავი: აჩქარება, დიახაც, არ მოუხდებოდათ.

ინდოელებს ზედა ტანი სულ გაშიშვლებული აქვთ, მგონი, რაღაცას იცხებენ ზედ, თუ არ ვცდები, ქოქოსის ზეთს, თორემ რა კანი გაუძლებდა ამ მზეს! თეძოებზე კაბასავით შემოუხვევიათ ბამბის წითელი თუ ლურჯი ქსოვილი. ყურებში უთუოდ საყურეები აქვთ გაყრილი; ზოგს თითო ყურზე, ზემოთ და ქვემოთ, ორ-ორი უკეთიათ. ერთს ყურში რაღაც ვერცხლის სარჭი დაეუნახეთ, მეორეს მარჯვენა ნესტოში ჰქონდა საყურე გაყრილი. ის ბებერი იყო უკვე, თეთრი ქვედა კაბა ეცვა, ზედა ტანი წითელი მატერიით დაეფარა, თავზე ჩალმა ეხვია. ხომალდზე ამოსულებს, ამასობაში, ერთ კუთხეში შკაფუტზე მოუყარეს თავი, რათა ყველგან არ ებორიალათ. ბერიკაციც გულმოდგინედ შველოდა ამ საქმეში. მაგრამ მეზღვაურებმა, ყველა რომ გამორეკეს, ისიც იმავე კუთხეში შეაგდეს.

ჩინელებს ინდოელებზე უფრო ღიაფერის კანი აქვთ. ინდოელები ყველანი მუქი შოკოლადისფერი არიან, ჩინელებზე კი მხოლოდ შავგვრემანი ითქმის. სხეული თითქმის ჩვენი ფერისა აქვთ, ოღონდ — თვალები და თმა სრულიად შავი. ისინიც ნახევრად შიშვლები დადიან. ბევრს მოხუცივით დასჭკნობია სახე, მთელი თავი გადაუხოტრავს, კეფის გარდა, და გრძელი კიკინა ფეხებში ეთრევათ. უწვერულვაშო, დანაოჭებული სახეებით დედაბრებს მეტისმეტად ჰგვანან. ვაჟკაცობისა და სიმხნევის ნატამალი არ სცხიათ. სახე თითქოს ერთნაირი ყალიბიდან ჩამოუსხიათო.

ან რა სახეებს დაინახავ ნავებში! აგერ მოხუცი ინდოელი, შავ სახეზე ჭაღარა ქილვაშები უჩანს და ტუჩების ქვემოთ ნიკაპის გარშემო ჭაღარა წვერი მოსდებია. აგერ, სპილენძის ფერი მალაელი ერთმანეთზე გადაბმულ ორ ნიჩაბს უბიძგებს და ისე მოჰყავს ნავი. ზოგი შუაგულ მზეზე გაშხლართულა, ზოგი ქუსლებზე ჩაცუცქულა, რასაც ევროპელი ვერაფრისდიდებით ვერ მოახერხებს. უკვე რამდენჯერმე მომიახლოვდა ერთი ფრანგულად მოლაპარაკე ინდოელი. სადაური ხარ-მეთქი? — მან რაღაც გაუგებარი სახელი მითხრა. „ხომ ინდოელი ხარ?“ — „არა!“ — თავი გადააქნია. „მაშ მალაელი?“ მან უფრო დიდი უარი დამირტყა. „მაშ ვინ ხარ, რომელი ქვეყნიდან? — ისლამი, მაჰმადიანი“. — ეს ხომ შენი სჯულია. „წარმოშობა“? — „ისლამი, მაჰმადიანი“, — იძახდა ის. „აბა რომელი ქალაქიდან ხარ?“ — „პონდიშერიდან“. — „მაშ რად თქვი, ინდოელი არა ვარო?“ ის მაინც თავს აქნევდა. „აგერ ინდოელი! — მეუბნებოდა და ერთზე მითითებდა, რომელიც მისგან არაფრით განირჩეოდა, — მე კი მაჰმადიანი ვარ“. — „ჰო ისინი ბრამინელები არიან“. — „დიახ, დიახ! ბრამა, ინდოელი!“ — იმეორებდა ის.

ნასადილევს ხომალდი ხელად დაცარიელდა: ყველანი გაემგზავრნენ. კაპიტანმა შემომთავაზა, ერთად წავიდეთ, ოღონდ მომიცადეთ, ვიდრე ფრეგატზე თადარიგს არ დავიჭერო. ნავები ისევ გარშემო გვეხვეოდა, ხილს ასაღებდა. ყველა კაიუტა ანანასებით იყო გაჭედილი. ქოქოსები პირდაპირ იატაკზე ეყარა. თითოეულ მეზღვაურს დანა და ანანასი მოუმარჯვებია. ჩრდილოეთში თითო ანანასი ალბათ ხუთი თუ შვიდი მანეთი ეღირება ვერცხლით, აქ კი ორ პენსად იყიდება. შილინგად თორმეტ ცალს მოგცემენ, ესპანურ ტალერში ასობით გადმოგითვლიან, მაგრამ ანანასმა ბევრს აუწვა ენა და პირი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ბევრმა მანგუ უფრო ირჩია: მსხვილ, ყვითელ ქლიავს ჩამოგავს, მხოლოდ უფრო მაგარი კანი აქვს და კურკაც მოზრდილი აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულში; ხორცი ნარინჯისფერი ბოჭკოებისაგან შედგება, გემრიელი წვენით გაჟღენთილი.

ხილის გარდა ინდოელებს ევროპული ტანსაცმელი, პერანგებიანი ჩექმები, ჩაისა თუ ხელსაქმისათვის განკუთვნილი პატარა ჩინური კოლოფები და ასეთები მოეტანათ გასაყიდად.

ნაპირზე გადასვლის მოლოდინში ბადეებს დავეყრდენი და ინდოელთა ნავებს, ნაირნაირ ფერადკანიან სხეულთა ნაირნაირ ჯგუფებს დავაცქერდი. საათის ხუთზე, მზის ჩასვლის წინ, მაჰმადიანები იქვე, ნავებში განბანვასა და ნამაზს მოჰყვნენ. ერთმა ყმაწვილმა მაჰმადიანმა განბანვა რომ მოათავა, რაღაც ძველი ჭუჭყიანი თავსაფარი გაიშალა წინ, ქუსლებზე ჩაცუცქდა, პირი დასავლეთით, მექასკენ მიიქცია და მეტანიას შეუდგა. ტუჩებს ოდნავ ამოძრავებდა, დროდადრო ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ხან უკან ნელა მოაბრუნებდა თავს. ფრეგატიდან მაყურებლებს ყურადღებას არც გვაქცევდა. ასე ილოცა ნახევარი საათი. იმან რომ მოათავა, მაშინვე მეორე წამოდგა დინჯად ზეზე და ასევე დინჯად გაიმეორა იგივე.

ექვსი საათი იყო, კაპიტანმა თავისი საქმე რომ მოათავა. ნაპირს უკვე სიბნელეში მივადექით, რეიდზე სამი ვერსის გავლა დაგვჭირდა. ნაპირზე ფიაკრები დაგვხვდა (ერთი პატარა ცხენით შებმული მსუბუქი კარეტები, ასეთ ცხენებზე ჩვენში ბავშვებს შესვამენ ხოლმე). ფიაკრებით წასვლა არ მოვინდომეთ, ინდოელები კი მაინც უკან გამოგვყვნენ. არ ვიცოდით, საით წავსულიყავით, ამ კუთხეში გაზს ჯერ არ მოეღწია და ქუჩაში ბნელოდა. მარცხნივ ავიღეთ გეზი: გზა მდინარემ და რაღაც პავილიონმა გადაგვიღობა. გაღმა ნაპირზე სინათლე კიაფობდა, როგორც ჩანს, დუქნებში ენთო, ვიცოდით, რომ აქ სადღაც ხიდები იყო, მაგრამ ამ ხიდებისათვის საით მიგვეგნო? ბედად ორი გერმანელი შეგვხვდა და London hotel [1]-ში მიგვაცილეს. ძალზე ბნელი ღამე იყო. რაღაც გულისამრევი, ტკბილი სუნი მეცა, მუშკის სუნს მიაგავდა, საკმაოდ უსიამო გახლდათ. მწერებს ისეთი ჭრიჭინი გაჰქონდათ ბალახში, ჩიტების ჭახჭახს მოგაგონებდა. ოტელში სოდის წყალი და ჩაი მოვითხოვეთ და ზემოთ, აივანზე დავსხედით. ჩემმა ამხანაგებმა მაინც გადაწყვიტეს სასეირნოდ წასვლა. მეც თან გავყევი, მაგრამ სიბნელეში ბორძიკით სიარულმა გული გამიწყალა და ისევ აივანზე მოვბრუნდი ჩაის დასალევად. აივანზე რამდენიმე ინგლისელი და ამერიკელი გადი-გამოდიოდა. ეტყობა, ამ სასტუმროში ცხოვრობდნენ. სავარძელში დასხდეზოდნენ, ფეხებს მაგიდაზე აალაგებდნენ (ასე სჩვევიათ თურმე ჯდომა), ჩაის მოატანინებდნენ და მდუმარედ ისხდნენ. ჩაის მიქსტურასავით რაღაც სამკურნალო ბალახის სუნი და გემო გადაჰკრავს.

დადგა ღამე და კვლავ გამიღიზიანა ძარღვები, კვლავ რაღაც გაურკვეველი შფოთი და წუხილი აღმიძრა ამ ნარკოტიკული ოხშივარით გაჟღენთილმა ჰაერმა, თბილმა წყვდიადმა. რაღაც ზმანებები მომეჯარა, ბუნდოვანი ფიქრები დამეხვია. ვერა, დიდხანს ვერ გაუძლებს კაცი აქაურ ცხოვრებას, ვარდებს, შხამებს, ბაიადერკებს, პალმებს, მზის გაბოროტებით ნატყორცნ შვეული ისრების ლაშქარს!

სხვა რა საქმე მქონდა და კედლებს დავუწყე თვალიერება. რას ვხედავ: კარის თავზე რაღაც მიძვრება, ჭერზე, ჩემს ზემოთ კედლებზე, კუთხე-კუნჭულში — ყველგან რაღაც დაცოცავს. „რა არის-მეთქი?" — ვკითხე პორტუგალიელ მსახურს. რა მიპასუხა, ვერ გავარჩიე. ახლოს მივედი და დავინახე:

---

[1] სასტუმრო „ლონდონი" (ინგლ.).

ხვლიკებია, სიგრძით გოჯნახევარი თუ ორი გოჯი. თურმე მწერებს ანადგურებს და სახლებში სასარგებლო ყოფილა.

ბოლოს ჩემი ამხანაგები მობრუნდნენ. ბევრი ვისეირნეთ, თუმცა ფერი დავინახეთო, მითხრეს. სასადილოში შევედით და ისევ სოდის წყალს ვექეცით. სიცხემ რომ ძალუმ შეაწუხათ, ჩინელ ბიჭებს უბრძანეს, სასადილოში მთელი სიგრძის გაყოლებაზე ჭერზე დაკიდებული უზარმაზარი მარაო დაერხიათ. მარაო ტილოს ერთი განიერი ნაჭერია, მარმაშის ფოჩებით, იქიდან კარებზე ზონრებია გაჭიმული, მსახური ამ ზონრებს ჩამოქაჩავს და ოთახს აგრილებს. მაგრამ ამ სეირს რომ შესცქერი, შენდა უნებურად, მაინც იმას ფიქრობ, რომ ეს ხელოვნური, დროებითი სიგრილეა, რომ როგორც კი მსახური თავს დაანებებს ზონრის ქაჩვას, მაშინვე ისევ დაიხუთები, თითქო აბანოში ვიღაცამ ქურქი მოგასხაო.

კიდევ ცოტა ხანს დავრჩით სასტუმროში და მერე კაპიტნის ნავისაკენ გავსწიეთ. უკან ინდოელების ჯგრო გამოგვყვა, ალბათ ეგონათ, მათ ნავს დავიქირავებდით. იმედი რომ გაუცრუვდათ, აღარ იცოდნენ, რით გაეწიათ სამსახური: ერთმა ჭრაქი დაგვინთო, როცა ნავში ვსხდებოდით, მეორემ ხელი მოგვაშველა. სასტუმროში ხურდად მიღებული რამდენიმე ცენტი (შავი ფული) მივეცით და გზას გავუდექით.

ფრეგატზე დაბრუნება ყველაზე სასიამოვნო გამოდგა ამ ჩვენს სეირნობაში: გრილოდა, წყნარი ღამე იდგა. კრიალა ჰორიზონტზე მწვერვალებისა და ტყეების შავი ლანდები მკვეთრად ირჩეოდა, კაშკაშებდა აქაური ზეცის ნიადაგ დამამშვენებელი ციაგი. თავზე ვერცხლის ძაფებად გვეღვრებოდა ვარსკვლავთა შუქი. მაგრამ ზღვის ნახვას მაინც არაფერი სჯობდა: ნიჩბების ყოველ ბოქნევას წმინდა ვერცხლი ამოჰყვებოდა, მერე ჩანჩქერებად იმსხვრეოდა და ნავის ირგვლივ კარგა მანძილზე ნაპერწკლებად იფანტებოდა.

27 მ ა ი ს ი. ოთხმა კაცმა გადავწყვიტეთ, კარგა საფუძვლიანად გაგვესეირნა, და დილის თორმეტ საათზე გავემგზავრეთ. მაგრამ ესეც თურმე გვიან ყოფილა. სიარული ვერ შევძელით. გზად რეიდზევე დავათვალიერეთ ჩინური ჯონკა. შორიდან დიდი ცნობისწადილი აღგვიძრა: კიჩო და ცხვირი წყლიდან არაბუნებრივად მაღლა ამოსწეოდა. ასე გგონია, ეს სამტრედესავით ხუხულანაგებობა, ჩხირებზე შეყენებული, ჰა და ჰა, ჩამოიმხობაო. ჯონკა ცისფრად, წითლად და ყვითლად იყო შეღებილი. ცხვირის ორივე მხარეს თევზის თვალი მიუხატავთ: ჩინელებს ეს ნავჭურჭელი, რამდენადაც შეიძლება, თევზს უნდათ მიამგვანონ. როცა მივუახლოვდით, ნავებმა გზა დაგვითმო. ჩინელები ღიმილით შემოგვეგებნენ. ხუთნი იყვნენ: ზოგი ნახევრად შიშველი, ზოგი ბინძურად ჩაცმული. შევედით და პირდაპირ სამზარეულოს ღუმელს ჩავუარეთ, სადაც მზარეული ტრიალებდა. საკვამურიდან სულისშემხუთველი, მყრალი სიმხურვალე გამოდიოდა. ჯონკა წითელი, სანდალის თუ სხვა ხე-ტყით იყო დატვირთული, ჩინეთში მიჰქონდათ. სლიპ ფიცრებზე ფეხი გვისრიალებდა. კიბეს ავყევით და კიჩოზე ავედით. იქ, სიღრმეში, სალოცავი და კერპები დავინახეთ, აქეთ-იქით ბინძური კაიუტები მიჰყვებოდა. ერთი ჩინელი მეორეს კიკინას უვარცხნიდა, ალბათ, ჯონკის პატრონი იყო. ისინი უხმოდ გვიცქერდნენ და სიარულსა და დათვალიერებას არ გვიშლიდნენ. ყველაფერი პატარა ფიცრებით, ლატნებით, ჭილოფებით შეუკოწიწებიათ. იალქნებიც ჭილოფისა იყო, საჭე უშნოდ ნაჩორკნი. წამოვედით და ჩვენს კატერზე ამოვისუნთქეთ შვებით. გვიკვირდა, ასეთი ნავჭურჭლით ნეტავ როგორ ბედავს ხალხი ზღვაში გამოსვლას, ისიც ამ სიშორე მანძილზე-თქო. კანტონიდან ხომ 1800 საზღვაო მილია იქამდე! მაგრამ როცა ჩინეთის ზღვებში გასულს ქარიშხალი აქეთ-იქით გვაქანებდა, ან მუსონის ზურგქარი ნელა მიგვასრიალებდა,

მაშინ კი მივხვდით, ჯონკები ამ სიშორე მანძილს როგორ გადიან. სამაგიეროდ, რამდენი იღუპება გრიგალში!

ჩვენი კატერი პირდაპირ მდინარეში შევიდა, გვერდი ჩაუარა ქვეყნის ჯონკებსა და პატარა ნავებს, რომლებიც წინ და უკან დასრიალებდნენ ხან ტვირთით, ხან მგზავრებით სავსე, და სანაპიროს მიადგა, სადაც ქვის დუქნები იყო ჩარიგებული. მათ მნახველს სწორედ ჩვენი ქარვასლები დაგიდგებოდა თვალწინ. ისეთივე თაღები, გასასვლელი დუქნები, ბელლები, დაზვინული ფუთები, კასრები თუ სხვ. ისეთივე გნიასი და მოძრაობა. ვაჭრები მეტწილად ჩინელებია. საქონელს ბითუმად ჰყიდიან, ჩინეთიდან ევროპაში აგზავნიან, ან პირიქით, ევროპაში უკვეთენ ჩინეთში გამოსაგზავნად. ბოლოს, როგორც იქნა, მეწვრილმანეთა დუქნებს მივაღწიეთ. დუქნებში იმგვარადვე ჩაცმული ჩინელები ისხდნენ, როგორც იავაზე ვნახეთ. თეთრი ბამბის ქსოვილის კოფთა, ქალის საღამური კოფთებივით. შავი, მეტწილად ლურჯი შარვლები, მდიდრებს ატლასისა აცვიათ, წინიდან გადახოტრილი თავი, კოჭებში მობანდალე კიკინა, ბუნებრივი თუ ხელოვნური, ქუდის მაგივრად მარაო — აი, მთელი მათი მორთულ-მოკაზმულობა. ჩინელს მარაო ხელში უჭირავს, მზეზე რომ გამოვა, თავზე დაიფარავს ხოლმე. თუმცა გარეთ მომუშავე მდაბიო ხალხს მჩატე ლერწმისგან დაწნული წოპწოპა ქუდები ჰხურავთ, განიერი ფარფლებით. იავაზე მალაელები ვნახე, რომლებსაც თავზე უბრალოდ კუს ბაკანი წამოეცვათ. ევროპელებს კი... იცით რა ხურავთ? რა და ტილოს მუზარადები, რომელიც დონ-კიხოტის მუზარადისაგან არაფრით განსხვავდება. ჭილის ქუდებს რატომ არ ვხედავ არსად? მანილა აქვე, ყურის ძირში აქვთ, სადაც ესოდენ დიდებული ჩალა იცის! მაგრამ შემდეგში გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ჩალა აქაური მზისგან ვერაფერი-შვილი დამცველია. ამ მუზარადებს ორმაგი ძირი აქვს, შუაში ცარიელი ადგილია დატოვებული და ჰაერის სამოძრაოდ ცოტაზე გამოუჭრიათ. ზოგიერთები, მეტწილად შკიპერები ჩალის ქუდებს ატარებენ, ოღონდ ქუდის ცასა და ფარფლებზე, ზემოდან, თეთრ ქსოვილს იხვევენ ჩალმასავით.

გავიარეთ ქვის დუქნების რიგი და ფიცრულ დუქნებს მივადექით, რომლებიც ამავე დროს, ჩინელების საცხოვრებლებს წარმოადგენს. ზემო სართულში ბინებია გამართული, ქვევით — დუქნები. აქ ყოველივე თვალისა და ყნოსვის შეურაცხმყოფელია. ტიტლიკანა ჩინელები, ქვედა კაბებისა ან შარვლების ამარა, ზოგი მარტო თეძოებზე შემოხვეული ნაჭრებით, დუქნებში ან გარეთ ზღურბლზე მოკალათებულნი, გრძელ კიკინებს უვარცხნიდნენ ერთმანეთს, თუ არა და თავსა და ნიკაპს უპარსავდნენ. საათობით არიან ხოლმე ამ საქმით გართულნი. ეს მათი დროს ტარება გახლავთ. ზოგიერთს თავი მაგიდაზე ჩამოედო და დალაქი ისე პარსავდა. გაპარსვას რომ მოათავებდა, მერე ეულმოდგინედ აუბრაგუნებდა ზურგზე მუშტებს. ეს ამბავი, მგონი, იმას ჰგავს, ჩვენს აბანოებში ტერფებზე რომ უღიტინებენ, ან სახსრებს უზელენ ამ სიამოვნებათა მოტრფიალეებს.

მაგრამ ამ ზომაზე მეტად გაპარსული თავებისა და სახეების, ტიტველი, მოყვითალო-შავგვრემანი სხეულების, ამ ხან ბებრული, ხან ყმაწვილური, გატკეცილი, რბილი, მზაკვარი სიფათების ჭვრეტა, ენერგიისა და ვაჟკაცურობისა რომ არაფერი სცხიათ, და ბოლოს, მათი ცხოვრების წვრილმანების, ოჯახური თუ შინაური ყოფა, ქუჩაში გამომზეურებული, — ყოველივე ეს მეტად თავისებურია და... მეტად უსიამოვნო.

დუქნებში დაკიდებული და გამოლაგებული საქონელიც მეტწილად თვალსა და ცხვირს განზე წაგაღებინებს. იქ დაინახავ უმ, შემწვარ თუ მზეზე გამხმარ ხორცს, თევზეულს, კიბოებს, ლოფორთქინებს და მისთანა საზიზღრო-

ბას. აქვეა მოძრავი დუქანი მაყალით, ქვაბით, რაშიც ან ლაფშა, ან კისელი, ან თავ-ფეხი თუ სხვა ასეთი საჭმელია და რასაც არ გინდა მაინცდამაინც ჩააკვირდე. ან იქვე ახლოს, გვერდით, სულ საწინააღმდეგოს, ხილის და მწვანილის დუქანს დაინახავ და მაშინვე გულიც იქით გაგიწევს: ანანასი, მანგუსტანი, საზამთრო, მანგუ, კიტრი, ბანანები თუ სხვ. ბლომად დახვავებულა. შუაში ბებერი ჩინელი ზის ჭაღარა კიკინით, ტიტლიკანა, თუმცა სათვალე კი უკეთია. ზის და ვაჭრობს. მეორე ადგილზე უცბათ ნივრისა და უცილობელი მუშკის სუნი გეცემა, რასაც, მგონი, სანდალის თუ სხვა სურნელოვანი ხეები გამოსცემს. ამას კიდევ ქოქოსის ზეთი, თამბაქო და ოპიუმის სურნელი მიუმატეთ — ეს ყველაფერი თავსა და ტანს დაგაკარგვინებს. ეს ყოველივე ინდოეთის ცხელ ჰაერს შეზავებია და ყოველ კუთხეს ეფინება.

ძლივს გამოვაღწიეთ ჩინურ ქალაქს, მაღალი ფიცრული ხიდი გავიარეთ და ევროპულ ნაწილში გავედით. აქ სულ სხვას დაინახავს თვალი. გაშლილი სივრცე, სისუფთავე, ლამაზად ნაგები სახლები, რომლებსაც სუროსავით შემოხვევია ცისფერი ყვავილიანი პატარა მცენარე და კედლები სულ დაუფარავს. ორი ეკლესია, პროტესტანტული და კათოლიკური, დიდი ეზოებითაა შემორტყმული. შიგ ლეღვის, ჯავზის თუ სხვა ხეები დგას, ქვეყნის ყვავილები ხარობს. ერთი ინდოელი აგვეკიდა, მეგზურად გამოგყვებითო, ჩაგვაცივდა. ვუბრძანეთ, ბექობზე წაგვიყვანე, გუბერნატორის სახლთან-თქო. გზა ჯავზის, თურინჯისა და ვარდების დიდებულ ხეივანს მიჰყვება. pudica-ს (ხელუხლიას) ბალახს დაეფარა მიწა. ქოლგას რომ შეახებდი, მყისვე ფოთლებს მოჭმუჭნიდა.

ბოლომდე ვერ შევძელით ბექობზე ასვლა, სადაც გუბერნატორის სახლი იდგა. ცხელოდა, ოფლი წურწურით ჩამოგვდიოდა სახეზე. შუა ბექობიდან რეიდსა და ქალაქს გადმოვხედეთ. ევროპელების სწორად განლაგებული უბანი ბექობის გვერდით მდებარეობდა. მერე ვუბრძანეთ, სასწრაფოდ ოტელში წაგვიყვანეთ-თქო, რა არის, ჩრდილისათვის შეგვეფარებინა თავი. ძლივს მივაღწიეთ აივანს და საუზმე შევუკვეთეთ. მანამდე კი სოდის წყალით ლამის გავიჭყიპეთ და სული ძლივს მოვიბრუნეთ. ქოლგამ ვერაფერი გვიშველა. მზე უმოწყალოდ გვიწვავდა ფეხებს, ზურგს, მკერდს... რასაც კი მისი სხივი დაეცემოდა.

ევროპელი საზოგადოება თითქმის ყველა ქვეყნის კონსულებისაგან შედგება. მშვენიერი სახლები აქვთ ზღვის ნაპირის გასწვრივ, ესპლანადაზე მდგარი. ევროპელები აქ ოთხას კაცამდე იქნებიან, ჩინელები — ორმოცი, ინდოელები, მალაელები თუ სხვა აზიური ტომები — ოცი ათასამდე: ეს მთელ კუნძულზე. ქალაქში ბევრი ევროპული სახლი ვნახე უპატრონოდ მიგდებული. ზოგიერთს ქაღალდი აქვს მიკრული და „ქირავდებაო" აწერია. თვით ბირჟა ძველი შენობაა, ბათქაშჩამოცვენილი. რაც ჰონ-კონგი დაარსებულა, მას აქეთ აღარ შეუკეთებიათ. ამბობენ, ჰონ-კონგის წყალობით სინგაპურმა რამდენიმედ დაჰკარგა სავაჭრო მნიშვნელობაო. ზოგიერთმა ევროპელმა, განსაკუთრებით ინგლისელებმა, იქ გადაიტანა თავისი სამოქმედო ასპარეზი. ჩინელებმა, ცოტა არ იყოს, უკლეს სინგაპურში სიარულს, რაკი საშუალება აქვთ თავიანთი საქონელი იქ, ჩინეთის კარიბჭესთან გაასაღონ.

თუმცა სინგაპური, როგორც ევროპის, აზიის, ავსტრალიის და ინდოეთის არქიპელაგის კუნძულებს შორის მდებარე საწყობი, არასოდეს მიყრუვდება. ისიც არ დაივიწყოთ, რომ ის მალაელი და ჩინელი მეკობრეების თავშესაფარს წარმოადგენს. ისინი კი აქაურ ზღვებში ჯერჯერობით ფრიად ძლიერნი და მრავალრიცხოვანნი არიან. ნაძარცვი საქონლის მეტ ნაწილს აქ ასაღებენ, მშვიდობიან ვაჭრებად გადაცმულები. ხოლო იარაღი თუ თავიანთი საქმიანობის

სხვა მამხილებელი საგნები ამ დროს უდაბური კუნძულის რომელიმე ყურეში აქვთ დამალული. ბელჩერის თქმით, სინგაპურელი ჩინელები მხოლოდ მათთვის ამზადებენ იარაღს. ამიტომ მეკობრეების მოსპობა თითქმის შეუძლებელი გამხდარა: ზოგიერთ კუნძულებზე ისე კარგად გამაგრებული ადგილები აქვთ, რომ ყოველ შეიარაღებულ ძალას წინააღმდეგობას გაუწევენ. დიდი სამხედრო ხომალდები კი აბა როგორ მიუდგება ამ კუნძულებს, როცა იქაურ ყურეებში მხოლოდ ყაჩაღების მსუბუქ პროას შეუძლია გაძრომა? „ვინ იცის, ამათში ნახევარი მეკობრეებია“-მეთქი—ვფიქრობდი გულში, როცა რეიდზე ძოფუსფუსე ჭილოფის იალქნებით გრძელ ორჩხომელებს ვუყურებდი.

ბირჟაზე ჩინელი, სომეხი, სპარსელი და, რა თქმა უნდა, ინგლისელი ვაჭრები ირევიან. მთელი მოსახლეობა დაუდგრომელ მოძრაობაშია. აგერ თითქმის ჩამომათხოვრებული, ფეხშიშველი ჩინელი მარდად მირბის, ლერწმის ქუდი ჰხურავს, ძაფზე ჩამოუკიდნია რაღაც საძაგლობა სადილისთვის, — თევზის ნაჭერი, ღვიძლი თუ შიგნეული; აგერ მეორეს ხონჩაზე წყალი, ანანასები, თუ სხვა ხილი დაულაგებია, მესამეს საპალნე დაუდევს ორი კუზიანი ხარისთვის; აგერ თეთრი მარმაშის ხალათებში გამოწყობილი სპარსელები მოაბიჯებენ; აგერ ფარისელი მოდის შავგვრემანი, ფერმკრთალი სახით და ცბიერი თვალებით; შემდეგ სომეხსაც დაინახავ, ევროპული პალტო მოუსხამს; იქვე ინგლისელი მობრძანდება ცხენით.

ნასაუზმევს კარეტები მოვაყვანინეთ და ქალაქგარეთ გავსწიეთ. კარეტები და მეეტლები ქალაქის ერთ-ერთ შესანიშნაობას წარმოადგენს და მაშინვე გეცემა თვალში. აკი მოგახსენეთ, რა წამს ნავიდან ხმელეთზე გადმოვაბიჯეთ, რამდენიმე მეეტლე შემოგვეხვია-მეთქი თავისი კარეტებით. კარეტები რესორებიანია, მაგრამ აკვანივით რბილად მიგარწევს. კარეტაში მხოლოდ ორი ადგილია, მაგრამ თუ შევიწროვდებით, ოთხიც დაეტევა. ბალიშებსა და კედლებზე ჭილოფია გადაკრული. ქალაქის ბოლომდე ნახევარ დოლარად წაგიყვანენ, უფრო მოშორებით ერთი დოლარი ღირს. მთელ დღეს თუ დაიქირავებ, ამასაც ერთ დოლარად გიანგარიშებენ. მეეტლეს ადგილი აღარ რჩება: ის, რაც ძალი და ღონე აქვს, გვერდით მოგდევთ აღვირით ხელში მაშინ, როცა ევროპელს ამ გაგანია სიცხეში კარეტაშიც უჭირს ჯდომა. სინგაპურში ფილაქანი არაა დაგებული, სილამოყრილი და დატკეპნილი ხეივნებია, როგორსაც ჩვენში მლაგინის პარკში ნახავ. ნახევრად ტიტველი ინდოელი, პატარა წინსაფარაფარებული, თავგაპარსული, ჩალმიანი თუ თმაჩამოშვებული, იმის მიხედვით, რა სჯულისაა, თანაბარი ნაბიჯით, გრაციოზულად მორბის, ფეხებს უკან ისვრის კარგა სიგრძეზე, გიღიმის და მშვენიერ კბილებს გიჩენს. ღამით მეეტლეებს ფარნებით დაატარებენ, თორემ ამ წყვდიადში თვალში თითს ვერ მიიტან.

მეეტლებმა ჯერ მალაელების, ინდოელებისა და ჩინელების გარეუბნებში გაგვაქროლეს. მალაელთა სადგომები უბრალოდ გამჭოლი გალიებია, ბამბუკის ჯოხებისაგან ნაგები, ქოქოსის ხმელი ფოთლებით დახურული. ბოძებზეა შემდგარი ნესტისა და მწერებისგან თავდასაცავად. ბეღელი რომ უწოდო, ესეც დიდი პატივი იქნება. ჩინელები უფრო მდიდრულად მოწყობილან — მათი ორსართულიანი სახლები რიგრიგად მისდევს ერთმანეთს: ქვემოთ დუქნები და სახელოსნოებია, ზემოთ საცხოვრებელი, ჟალიუზებით დახურული. ინდოელები ფაცხებში დაბინავებულან.

საითაც არ გაიხედავ, ყველგან ა რ ე ს ა ს ა თუ ქოქოსის პალმებს აუყრიათ ტანი. პურის ყანებს ნაკლებად ნახავ, ყავისა და შაქრის პლანტაციებიც კი ცოტაა: ადგილი არ ჰყოფნით — სულ ჭაობები და ხშირი ტყეებია. სამხრეთ აზიის მთავარი საკვები, ბრინჯი, სინგაპურში მალაკისა და ინდოეთის ნახევარ-

კუნძულებიდან ჩამოაქვთ. სამაგიეროდ რამდენი ხეებია — პურის, თუთის, ჯავზის, თურინჯის, ბანანისა თუ სხვ.

ჩვენ ქალაქში ჩამავალ ისევ იმ მდინარის ნაპირს მივყვებოდით, რომელიც, საც სინგაპური ეწოდება. კაცმა არ იცის, მისი წყალობით მოინათლა ქალაქი, თუ ის მოინათლა ქალაქის წყალობით. მდინარე მღვრიეა და მნახველს თვალს არ გაუხარებს, თანაც ძალზე ვიწრო გახლავთ, თუმცა სიღრმე არ აკლია.

ნაპირზე ფაცხები და ქოხები იყო ჩამწკრივებული. იქიდან ხან ინდოელი, ხან მალაელი იჭყიტებოდა. ერთ ადგილს, კარგა მოზრდილ მინდორზე, კაცები, ქალები და ბავშვები დავინახეთ, ჭყეტელა ფერის წითელი და ლურჯი ტანსაცმელი ეცვათ. ხეებზე რაღაცას კრეფდნენ. აქ მდინარიდან კამეჩს ამოუყვია თავი, იქ ღარიბ-ღატაკი, კარგა ხნის გაუპარსავი, ოფლში გაღვრილი ჩინელი მოათრევს ტვირთს. თავზე მოწნული ქუდი ხურავს. აგერ რამდენიმე ჩინელი ჩაცუცქულა მოძრავ დუქანთან თუ თავის მაღაზიაში, წრე შეუკრავთ და ორი ჩხირით მოხარშულ ბრინჯს მიირთმევენ, ჯამი ზედ პირთან მიუტანიათ, დროდადრო კი იმავე ჩხირებით შავი სითხით სავსე მეორე ჯამიდან საოცარი სიმარჯვით რაღაც ნაჭრები ამოაქვთ და ჭამენ. რამდენიმე პატარა ხიდი გადავიარეთ. შორს, ბექობებზე ევროპელთა აგარაკები მოჩანს კვიპაროსების, ბანანებისა და პალმების ჭალებში. ბოლოს ისევ ჩინურ უბანში შევედით და ისევ ხაირნაირი სურნელი შემოგვეფრქვია.

დუქნების თავზე რამდენიმე ადგილას ინგლისური წარწერა წავიკითხე: ოპიუმით ნებადართული ვაჭრობა. გვინდოდა დაგვენახა, ოპიუმს როგორ ეწევიან და დუქანში შევედით, მაგრამ იქ თურმე მარტო ოპიუმი იყიდებოდა. ბევრი ასეთი დუქანი მოგვატარეს მეეტლებმა. ამ საზიზღარ, ბინძურ გალიებში შიშველი ჩინელები საწამლავს გვთავაზობდნენ საყიდლად. ბოლოს კულიმ ერთი დუქნის ბნელ საკუჭნაოში გაგვიყვანა: იქ, ჭუჭყიან ჭილოფზე ერთი მწეველი იწვა; ჩხირით წარამარა ამოჰქონდა ოპიუმი და მრგვალი, დიდი ჩიბუხის პაწაწინა ნახვრეტში დებდა. მაგრამ მეზობლად მოთავსებულ ჩინურ სამზარეულოდან ისეთი სულისშემხუთველი ჰაერი, სიმყრალე და სიმხურვალე გამოდიოდა, რომ ოპიუმის მოქმედებას აღარ დავუცადეთ, გარეთ გამოვცვივდით და, ჩინურ უბანს რომ გავშორდით, მაშინღა მოვითქვით სული.

ზოგიერთებს რამე-რუმეების ყიდვა უნდოდათ და ევროპულ მაღაზიისაკენ გავსწიეთ, თუმცა ევროპული მაღაზიები სადაა. ევროპელები ბითუმად ვაჭრობას ეწევიან, ჩამოაქვთ და გააქვთ საქონელი. საცალო ვაჭრობა მთლიანად ჩინელების ხელშია. დუქანი დიდი იყო, ორი ოთახი ეკავა. სულო და გულო, რას არ ნახავდი შიგ! ტილოს, აბრეშუმს, სიგარებს, სუნამოს, საპონს, პომადას, ბოლოს ჩინურ ჩუქურთმიან ნივთებს, ჩაის და სხვ.

თვალი მოვკარით, რომ ტილოს ნაჭერს რუსული ბეჭედი ესვა: ა. პრელოვის ფაბრიკაო. „საიდან? რა გზით?" — ვკითხეთ ინგლისელ ნოქარს. „ეს ინგლისური საქონელია, — გვითხრა. ბეჭედი კი რუსულია". განგებ ავითრიე ფეხი დუქანში: მეეტლეებმა დაისვენონ-მეთქი. მაგრამ იმათ, მგონი, სულაც არ აწუხებდათ ეს ამბავი. პირველად შემრცხვა კიდეც, ისინი რომ მიგვარბენინებდნენ, მაგრამ ნახევარ საათში შეეჩვია თვალი. „საით წავიდეთ კიდევ? რა ვნახოთ?" — ვიძახდით ჩვენ. „ჰო, ჩვენ ხომ, ასე ვთქვათ, ინდოეთში ვართ: ალბათ სპილოებიც იქნება; უნდა ვნახოთ და გავისეირნოთ კიდეც". — „სპილოები თუა აქ?" — ვკითხეთ მეეტლეს. „კია", — გვითხრა. „აბა სადაა? ბევრია?" — „მარტო ერთია". — „ერთი! თუმცა ამ კუნძულს ერთიც ეყოფა!" — „შეიძლება შევჯდეთ და გავისეირნოთ?" — „არა, შაქრის ქარხანაში ამუშავებენ".

ცოტა ხანს კიდევ ვიტრიალეთ ქუჩებში, ესპლანადაზე გავიარეთ, ევრო-

ბულ შენობათა გვერდით გაშენებული ბაღების ცქერით დავტკბით, ოთხი საათისთვის London hotel-ში დავბრუნდით და მაშინვე მარაოს ქვეშ მოვიკალათეთ. სადილის ზარი დაირეკა. მართალია, ჯერ არ მოგვშივდებოდა, მაგრამ მე და ბ (არონი) კ (რიდნერი) სანახავად გავეშურეთ, „ვნახოთ რას ჭამენ“. ეს ბარონის სიტყვები გახლავთ. თუმცა არა ერთხელ მქონდა შემჩნეული, რომ ასეთ შემთხვევებში ჩემი თანამგზავრი „ნახვას“ მეტისმეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. სასადილო განცალკევებით, ეზოში აშენებულ, ყოველ მხრივ ღია ფიცრულ გალერეაში მოეწყოთ, როგორც ჩვენში კეგლის სათამაშო სახლს აგებენ ხოლმე. ეზოში კიდევ იდგა მეორე ასეთივე გალერეა, საამისოდ გამიზნული. დარბაზის მთელ მორთულობას გრძელზე გრძელი მაგიდა, ჭერზე მთელი მაგიდის სიგრძეზე დაკიდებული მარაო და კუთხეში არცთუ დიდად რბილი, ორი უშნო დივანი შეადგენდა. იქ უკვე თხუთმეტიოდე ინგლისელი და ამერიკელი დაგვხვდა: თითქო ინგლისში იყვნენო, ხერესს, პორტვეინსა და ელს შეექცეოდნენ ნება-ნება.

ინგლისური ჩვეულების მიხედვით, სადილი მთლიანად გამოელაგებინათ სუფრაზე. ცხელი კერძი მოგვიტანეს. გავსინჯე — რაღაც ნაცნობი გემო ჰქონდა. „ეს ხომ უხაა“, — ვუთხარი ბ (არონს). „თევზის წვნიანიო“, — პედანტურად გამისწორა მან. შემდეგ თევზი მოგვიტანეს, რომელიც ძველი მომეჩვენა. მას მშვენიერი მოხარშული მწვანილიც მოაყოლეს. ვისაც რა უნდოდა, ის გადმოჰქონდა. არჩევანი დიდი იყო: ათიოდე კერძი იდგა სუფრაზე. ღორის ხორცი საოცრად თეთრი, გემრიელი და ქორფა გამოდგა. აქაურ ღორებს კაცმა არ უნდა დაუკარგოს სიკეთე: შესახედად ჩვენს ღორებზე უშნო და დაბლებია, ჯაგრის ნაცვლად ღინღლივით ბეწვი ამოსვლიათ, თხლად, და იქიდან თუნთულა, ჩავარდნილი ზურგი უბზინავთ, მუცელი თითქმის მიწაზე ეთრევათ. სიმსუქნისაგან ვეღარც დადიან, მაგრამ ძალზე ნაზი ხორცი კი აქვთ. სამაგიეროდ აქ მეტად ნაზადაც ეპყრობიან. ერთხელ ვნახე ორ კამეჩს ღორებით დატვირთული ურემი რომ მოჰყავდა: თითოეული ღორი ცალკ-ცალკე მოეთავსებინათ ღორის სიმაღლეზე დაწნულ გოდორში. ამიტომაც მათი გამჭვალავი ჭყვირილი აღარ იღებდა ქუჩას, როგორსაც ჩვენში გაიგონებ ხანდახან. მეორედაც ორ ჩინელს ზურგზე შეედგათ ასეთი კალათა, შიგ არხეინად გაშხლართულიყო ღორი და დიდი სიფრთხილით, ასე გასინჯეთ, პატივისცემით მოაბრძანებდნენ.

სინგაპურისთანა ქალაქებს, ე. ი. სავაჭრო და საწყობ ადგილებს, დიდი მოწონების თვალით, უფრო სწორად, ხალისით არასოდეს ვუცქერი. ყოველივეს აქ შემთხვევითობისა და გარემოებით გამოწვეული იძულების ბეჭედი აზის. შეხვდებით ევროპელს და ატყობ, რომ აქ სულ მოკლე ხნით ჩამოსულა, რაღაც დიდ საქმეს ჩამოუყვანია. თუნდაც აქ ათი წელი ცხოვრობდეს, სახეზე მაინც ეს აწერია: „მხოლოდ გარემოება მაიძულებს აქ ვიყურყუტო, პირველი შემთხვევისთანავე აქედან მოვუსვამო“. სახლებიც კი თითქო ამას ღაღადებენ: „კონსული რომ არა, აქ ვინ დამდგამდა: რა წამს ის წავა, მაშინვე ან დავიწვები, ან დავინგრევიო“.

მე და ბ (არონი) სუფრაზე მჯდარ, მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან „ქონების მოსახვეჭად“ გადმოხვეწილ ხალხს ვაკვირდებოდით და ჩუმჩუმად ვუზიარებდით ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. ერთმა ყმაწვილმა კაცმა ფრიად გაგვაოცა თავისი შეხედულებით. „ერთი შეხეთ რა ლამაზი ვაჟკაციაო!“ — მითხრა ბარონმა იმ ინგლისელზე. „ასეთი სილამაზე ყოვლად დაუშვებელია-მეთქი!“ — მივუგე მე. მართლაც, ნაზი, ფერმკრთალი პირისკანი, ჩაფიქრებული, წყლიანი ცისფერი თვალები, აბრეშუმივით რბილი, ნაზ სახეზე ტალღებად ლამაზად ჩამოშლილი თმა, მშვიდი ხმა, მეტი რა უნდა ინატროს კაცმა. ნეტავ ეს რომელი სვებედნიერი გამოქცეულა ევროპიდან? აქ რამ ჩამოხვეწა? ნუთუ ოქროს

ბრჭყვიალმა? ის თქვენთან უნდა ტრიალებდეს, ბანოვანებო, მაგრამ თქვენში მხოლოდ ინგლისელ ქალებს ძალუძთ სიტურფით გაუტოლდნენ. ეს ბრიტანული სილამაზე გახლავთ, ნაზი, მწყაზარი და ჭკვიანური, თუკი ასე შეიძლება გამოითქვას: არც ვარდი უყვაოდა ღაწვებზე, არც შროშანი, არც შავ[illegible] ბორკალოდა წარბები; მთელ მშვენებას ნაკვთთა და ფერთა სიწმინდე და ჰარმონია შეადგენდა, ვითარცა დიდის გემოვნებით შერჩეულ თაიგულში.

ვუყურებდი ამ კალმით ნახატ ვაჟკაცს, ვაკვირდებოდი მის საუბარსა და მიმოხვრას: მინდოდა შემეტყო, გრძნობს კი, რა ლამაზია, მოაქვს კი ამით თავი — ერთი სიტყვით, ფუქსავატია თუ არა-მეთქი. მაგრამ აქ ქალები არ ბრძანდებოდნენ, ამის შეტყობა კი მხოლოდ მათ წრეში შეიძლება. დიდი ხათაბალაა ასეთი ლამაზი ვაჟკაცი: თუკი მახინჯს ბევრი ღირსების გამოჩენა მართებს სიმახინჯის დასამალად, ლამაზ კაცს უფრო მეტი სჭირდება, რომ ასეთი სილამაზე შეუნდონ. ჯერ რამდენი ჭკუაა საჭირო, რომ დაივიწყო შენი სილამაზე! მაგრამ ვაი, რომ ასე არ ხდება. ხელოვნურად უნდა მიაღწიო მისი დავიწყების შეგნებას, ე. ი. ყოველ წამს უნდა გახსოვდეს, დავიწყებაა საჭირო.

საღამომდე ვისხედით ოტელში და ჭაღარა ამერიკელ შკიპერს ვკმუსაიფებოდით, რომელიც მოგვიჯდა და თავისი ამბები მოგვიყვა. ახალგაზრდა გასულა ზღვაში, და მას აქეთ დაეხეტება თურმე ზღვაზე. ახლა ინგლისში მიაქვს ტვირთი, იქიდან ექვსიოდე კვირის შემდეგ ნიუ-იორკში გაგზავნიან, მერე რიო-ჟანეიროში. ასე გაუტარებია ორმოცი წელი.

უკანდაბრუნებულებს გზაში კვლავ ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დაგვკაშკაშებდა: ერთი მხრივ, დიდი რვილი, მეორეს მხრივ, სამხრეთის ჯვარი, შემდეგ კანოპუსი, ცენტრავები, ბოლოს ყარიბი იუპიტერის სხივთა ნაკადი იღვრებოდა, მათ იქით კი ვარდისფერი დაფიონივით ცის იკანკლედი კამკამებდა, ცაზე გადავლილი შავი ღრუბლები უფრო ქუფრად ჩანდა და შიგადაშიგ ელვა დაიკლაკნებოდა ხოლმე; ნიჩბები კვლავ მწყობრად მიარღვევდა ვერცხლის წყალს. უკან, დუქნებთან დაკიდებული ფერად-ფერადი ფარნებით ჩინური უბანი ელვარებდა; რეიდზე ხომალდების შუქი კრთოდა. ჩავუარეთ ჯონკებს. მძიმე-მძიმედ ირხეოდა იმათი მახინჯი დიდრონი ჩრდილები ვარსკვლავებით მოკენჭილ ცის ფონზე და წყალზე, ზემოდან ცხელი სუნთქვა გვეფრქვეოდა, ზღვა ოდნავ გვასხურებდა სიგრილეს. წარმოიდგინეთ, მთელი წლის მანძილზე სულ ასე გრძელდება! სულ ასეთ სურათებს ჭვრეტს თვალი, ასეთ ცას, წყალს, ასე ცხელა ნიადაგ! რა საამოც არ უნდა იყოს მზეთუნახავის ვნებიანი ღიმილის, მისი მიბნედილი თვალების, მწველი ბაგის, მღელვარე მკერდის ცქერა, ნაინც დაგღლის კაცს, თუ ან ფიქრმა, ან შეშფოთებამ, ან დარდმა არ შეუცვალა სახე, თუ სიმორცხვის ალმა არ შეუფაკლა ლოყები.

სადილმა და ორმა ჭიქა შამპანურმა თავისი ჰქნა. მარტოოდენ ინგლისელთა რკინის კუჭებს ძალუძთ ჭამასა და ჩვევებში ევროპულ რეჟიმს მისდიონ და არა დაუშავდეთ რა. სხვები მეტ-ნაკლებად კლიმატს თავის ხარკს უხდიან. გარდა ამისა, აუტანელი სიცხე სულს გიწუხებს დღისით თუ ღამით. კარს გააღებ, ორპირ ქარში დაჯდები — მაინც არაფერი გშველის. ღამის ჰაერი მეტისმეტად თავაზიანი სტუმარივით კართან ატუზულა და კაიუტაში არ შემოდის დახუთული ჰაერის გამოსაბრძანებლად. დღისით მზის თვალისმომჭრელი ბრჭყვიალი წყალს გამდნარ ვერცხლივით ალაპლაპებს; სხივთა კონები შვეულად ეფრქვევა ყველაფერს — კლდეებს, პალმათა წვეროებს, ხომალდთა გემბანებს, და არეკლილი — ცეცხლის ჩანჩქერებად იღვრება ყოველ მხრივ. თეთრი გემბანი სპილოს ძვალივით ელავს, სილა თოვლივით ქათქათებს კლდეებზე. ყოველი სულდგმული გაქცეულა თუ დამალულა; ევროპელები ან შინ სხედან, ან ნავით მიდიან, ტილოს შეფარებიან, ნაპირზე კარეტებით მიდი-მოდიან. მარ-

ტო ინდოელი გაშხვართულა ნავში, ძილში ხან ერთ გვერდს მიუფიცხებს მზესა და ხან მეორეს. მის გამომწვარ კანს ლაპლაპი გაუდის, სხივები ხედ სხლტება, სხეულში არ ატანს. თუ არა და ნახევრად თავმოპარსული ჩინელები იქნევენ ნიჩბებს, ან საჭეს ატრიალებენ რეიდზე მიმავალ ორჩხუმელზე, ან ევროპული ხომალდების გვერდით აკაკუნებენ ჩაქუჩს, საპალნეებს მიათრევენ. „ოჰ, როდის მოვშორდებით აქაურობას!“ — ისმის აქეთ-იქიდან. გწყურია — მაგრამ წყალი თბილია, ჩაის გემო დაჰკრავს. ყინული, ყინული და თოვლი გენატრება: მამულის კვამლს კი არა, თოვლს და ყინულს თხოულობს სული!

ირგვლივ კი ყველაფერი გადაფურჩქნილა: ამაზე დიდებულ სურათს კაცი ვერ ინატრებს. დღის ცა ღამისას არ ჩამოუვარდება სიტურფეში. ღრუბელი ღრუბელს მისდევს და ნელა იძირება ბრჭყვიალა ცისკიდურში. დაფიონს ვარდისფერი, ფანტასტიური ცეცხლი წაჰკიდებია. როგორც ატლანტის ოკეანეში, ღრუბლები აქაც საოცარ სურათებს ქმნიან.

ნაპირზე კი, ნაპირზე რას ხედავს თვალი? არესას პალმების მუქიმწვანე, თითქო ბოლოებშეჭრილი ფოთლები, რის გამოც მთელი ხე კოხტად გაკრეჭილი გამოიყურება, ქოქოსები, გრძელი, წაწვეტებული ფოთლები, პატარა პრიალა ფოთლიანი ჯავზის ხეები, შემდეგ თურინჯები, ბანანები — აი, რა არშია, გვარტყია ირგვლივ! უეცრივ დეკორაცია იცვლება: აღარაფერი ბრჭყვიალებს და კამკამებს. წვიმა მოდის. ღრუბელი საიდან გაჩნდა? ზეცას თითქო ზეწარი გადაეფარა და ნიალვარი გადმოთქიშინებს: შედგმული კასრები ხუთ, ათ წუთში ივსება. მაგრამ გაფიქრებას ვერ მოვასწრებ, რამდენ ხანს გაგრძელდებაო, რომ წვიმა შეწყდა უკვე... ისევ გაშრა ყველაფერი, აქ ტალახს რა უნდა. გინდ ბალახზე დაადგით ფეხი, გინდ მიწაზე, ფეხსაცმლის ძირი მშრალი რჩება.

ცხოვრობს ხალხი ამ კლიმატში და მერე რა იაფად ცხოვრობს! ტანისამოსად ტილოსა თუ ბამბის ერთი პატარა ნაჭერი სჭირია, თეძოებზე შემოსახვევად, მეტი არაფერი. სხვა დანარჩენი სულ ტიტველია. არც ფეხსაცმელი, არც პერანგი აწუხებს — ევროპელებს ერთიც აცვიათ და მეორეც, მაგრამ რა სიამოვნებით გაიხდიან და მგონი მესამეს... შარვალსაც მიაყოლებდნენ! საჭმელად — ერთი მუჭა ბრინჯი, დესერტი — კაპიკად ღირებული ანანასი, თუ კაპიკი არ გააჩნია და ამიტომ არც ანანასი აქვს, სხვისი ღობიდან გამომზირალი მუქთი ანანასი აქვე არაა! თუ არც ესაა, მაშინ არც მიწაზე ჩამოვარდნილ ჯავზის კაკალს უშავს რამე. დასალევად თუ მღვრიე წყალს არ ისურვებს, აგერ, ბატონო, ქოქოსის კაკალი, რომელიც არავის საკუთრებას არ წარმოადგენს და ამიტომ ყველას ეკუთვნის. ცხოვრება, ე. ი. ძილი სადაც გენებოს: სადაც დაწვები, ყველგან თბილა და სიმშრალეა.

რაკი ქოქოსი ვახსენე, იმასაც გეტყვით, რომ მალე გაგვიარა მისმა ტრფიალმა. თუ ჯერ კიდევ მწვანეს მოსწყვეტ და მაშინვე დალევ, წვენი გაგრილებს. მაგრამ თუ კაკალს რამდენიმე დღე გააჩერებ, ქოქოსის რძე თბება და დედდება. როგორც ჩვენებური უბრალო კაკლის ლებანია, მწიფე ქოქოსის რძეც ასევე მაგრდება ხოლმე. ქოქოსის ლებნიდან ნუშივით რძეს ვაკეთებდით: ბსუყე და მეტისმეტად ტკბილი გამოდიოდა; ჩაისა და ყავას ნაღებივით თუ მიაყოლებ, კარგია, თორემ ისე არ დაილევა.

მერე რა როლს ასრულებს ეს ქოქოსი აქ, ამ ტროპიკულ განედებში! ადამიანებიცა და ცხოველებიც ქოქოსის კაკალს სჭამენ, სვამენ ქოქოსის წვენს; ქოქოსის გულიდან ზეთს ხდიან, რაიც ჩინეთსა, სანდვიჩის კუნძულებსა თუ სხვა მრავალ ადგილებში ვაჭრობის ერთ-ერთ მთავარ დარგს წარმოადგენს. ქოქოსის ხიდან სახლებს აშენებენ, ქოქოსის ფოთლებით ხურავენ, ქოქოსის კაკლის ნაჭუჭიდან ჭურჭელს ამზადებენ.

ანანასებმაც ყველას მოგვაბეზრა თავი. მისი მოტრფიალენი დილიდან საღამომდე შეექცევიან. ერთი გვარწმუნებდა, სამი ცალი ვჭამეო, რაც ტრაბახად ჩავუთვალეთ. ანანასს აქ გოჯზე მეტად გადაუჭრიან თავს და გადააგდებენ, უგემური არ გეგონოთ, უბრალოდ, დანარჩენი უფრო გემრიელია. ზედმეტ ჩენჩოსა და ნახვრეტებს გამოაცლიან; წვენი დანაზე მოწურწურებს, ნაჭერი კი პირში გიდნება. კაიუტაში ყველას ანანასები ჩაუმწკრივებია კედელზე, მაგრამ ერთმა ჩვენმა ოფიცერმა (მეორე ხომალდიდან) გვითხრა, ჩემი თვალით დავინახე ანანასების მწვანე ძირებიდან სამი პატარა მორიელი რომ გამოძვრაო. თავდაპირველად ობობები ეგონათ თურმე. ამ ამბის შემდეგ იმავე ხომალდზე ერთ მეზღვაურს ფეხზე უკბინა მორიელმა, ალბათ ერთი იმათგანი იქნებოდა. ფეხი დაუსივდა, მაგრამ სიმსივნე მალე დაცხრა და საქმე ამით დამთავრდა.

რას წარმოადგენს მაინც სინგაპური? ამაზე ჯერ არაფერი მითქვამს. ეს რამდენიმე მილის სიგრძე პატარა კუნძულია, მალაის ნახევარკუნძულის ბოლოში, ჩრდილოეთ განედის 1° 30′-ზე მდებარე, მაშასადამე, ზედ ეკვატორთან. ის მალაის ერთ-ერთმა სულთანმა 1819 წელს დაუთმო ინგლისელებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მას თავის სამფლობელოებში განმტკიცებულიყო. ისიც უნდა იცოდეთ, რომ სწორედ ამ ამბის წინ ჰოლანდიელებმა დიდის გაჭირვებით გამოსთხოვეს მეორე სულთანს, პირველის მეტოქეს, იმავე ადგილებში სავაჭრო დაბა, კერძოდ, რიოს სრუტეში. ინგლისელებს კი ადათად მოსდგამთ, სადაც ვაჭრობის სუნს იკრავენ, თავისი საქონლით მყის იქ დაიბადონ. ჰოდა, აქაც ასე მოიქცნენ. ჰოლანდიელების ადათი კი ისეთია, სადაც თვითონ ვაჭრობენ, სხვა აღარავინ გააკარონ. ეს იყო მიზეზი, რომ სინგაპური აშენდა და გაიფურჩქნა, ხოლო ჰოლანდიელების დაბა დაეცა.

სტენ ბილი, დანიური კორვეტის კომანდირი და მოგზაურობის მეთაური ახლანდელ სინგაპურს ვაჭრობის მხრივ ძველ ვენეციას ადარებს. შედარება სუსტია, სინგაპურისთვის არც ისე სატრაბახო. აბა სად იმდროინდელი ვენეციის რესპუბლიკის კაპიტალი და სად ბრიტანული?! სად ვენეციის მდგომარეობა მაშინდელ აღმოსავლეთ-დასავლეთს შუა და სად სინგაპურის წინა ინდოეთის, ჩინეთის, მალაიის ნახევარკუნძულის, ავსტრალიის, სიამის, კოჰინჰენისა და ბირმის იმპერიების წინაშე, რომლებიც პროდუქტებს პროდუქტებზე აგზავნიან სინგაპურში და იქიდან ევროპაში?! მერე რაღას არ აგზავნიან აქ ევროპიდანაც? ბოლოს, სად დაედრება მაშინდელი ფუფუნება ახლანდელ კომფორტს. ფუფუნება — მანკიერება გახლავთ, სიმახინჯე, ადამიანის არაბუნებრივი ლტოლვა, ბუნებრივ მოთხოვნათა საზღვარს გადაცილებული გარყვნილება. განა გარყვნილება და სიმახინჯე არაა, ათასობით ოქროს მანეთი გადაიხადო ფრინველთა ტვინისა თუ ენისაგან შემზადებულ კერძში ან თევზის სუკში არა იმიტომ, რომ ეს კერძები სხვა, უფრო იაფ კერძებზე გემრიელია, არამედ იმიტომ, რომ ამდენი ჩიტისა თუ თევზის შოვნა ფრიად ძნელია. განა უგუნურება არაა, ისეთ სერვიზზე ისადილო, როგორსაც სხვას ვერვის უნახავ, თუნდაც ნახევარ მამულად დაგიჯდეს ის? განა სისულელე არაა, ოქროთი და პატიოსანი ქვებით დაიმძიმო თავი, და ვეღარ გაინძრე, ან ობობას ქსელივით სიფრიფანა მაქმანებში გაეხვიო და დაჯდომისა თუ დაყრდნობისა გეშინოდეს?

ვენეციელი მოქალაქეები — (თუკი სიტყვა „მოქალაქე“ აქ დაცინვით არ ისმის) ყოველივე ამას სჩადიოდნენ. ისინი ხმელ, თუმცა ხავერდის სკამებზე ისხდნენ, ჩხვლეტია, თუმცა ფარჩის ქვეშაგებში ეძინათ, დიდებულ, თუმცა წყვდიადში ჩაფლულ მოედნებზე დადიოდნენ, და ოდნავი წარმოდგენაც არ ჰქონდა ახლანდელ ცხოვრების გემოზე, ე. ი. ცხოვრება რომ ყოველნაირად მოიხმარო, შენს სარგოდ და საამოდ გამოიყენო.

მედიდურობა და ნეტარება — განცხრომაში გადამლაშება — აი, ფუფუნების დამახასიათებელი ნიშნები. ამიტომაც ხანმოკლე დღე აქვს ფუფუნებას, ამიტომ გამწარებული ესწრაფება ეფემერულ სიცოცხლეს. არც ერთი ეკრანზე არ გადაქცეულა ჰერკულესის ბოძად. ფუფუნება რომ ყველაფერს მოუმზადებს და ვაჭრობასაც თან წაიყოლებს. ფუფუნებას აჩრდილივით დასდევს მისი უხილავი მტერი — სიღატაკე, ის დადარაჯებულა, როდის შეირყევა კვარცხლბეკზე ზიზილპიპილებიანი ქალღმერთი, რომ სწრაფად ძირს გადმოაგდოს დედოფალი, მის ტხტზე თვისი ცინიკური ძონძებით მოიკალათოს და მისი დიდებული ნასუფრალი დახრას.

გაიხსენეთ ვენეცია, გაიხსენეთ თუნდაც ესპანეთი: იმაზე მორთულ-მოკაზმულ ეპანჩას კაცი, მგონი, ვერ მოიგონებს, მერე კი რა დაგლეჯილ მანტიად გადაექცა! და განა მარტო ესპანეთი და ვენეცია?..

სადაც ფუფუნებაა, იქ ვაჭრობა არაა; ეს კონვულსიური, სასოწარკვეთილი დოღი გახლავთ, მრავალ გადასალახავ დაბრკოლებებით, courses aux clochers: გადახტები, თასს ჩაიგდებ ხელში და ფეხებს კი მოიმტვრევ.

კომფორტი სულ სხვა ყაიდისაა: ფუფუნება თუ უგუნურებაა, ბუნებისა და გონებით ნაკარნახევ მოთხოვნილებათაგან მახინჯი, არაბუნებრივი გადახვევა, კომფორტი ამ მოთხოვნილებათა გონიერ დაკმაყოფილებას წარმოადგენს, რაიც მეტად მკაცრად, დახვეწილად შეუმუშავებიათ. ფუფუნებას სიმდიდრე სჭირია, კომფორტს ჩვეულებრივი სახსრებიც გასწვდება. მდიდარი თავის საწოლს ვალანსეს მაქმანებით მორთავს, კომფორტი წმინდა, გაქათქათებულ ტილოს იკმარებს. ფუფუნება ინკრუსტირებულ, მოოქროვილ სავარძელში მოიკალათებს, ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელზე მიირთმევს. კომფორტი მოოქროვილის ნაცვლად რბილ, მყუდრო სავარძელს არჩევს, ძვირფას ხეს არ დაგიდევთ. მაგიდაზე ქაშანურის, დიდი-დიდი, ფაიფურის ჭურჭელს დასჯერდება. ფუფუნებას იშვიათი ფრინველის ხორცი უყვარს, ზამთარში მარწყვს მოითხოვს, კომფორტი ჩვეულებრივ კერძებს დაკმაყოფილდება, სამაგიეროდ, სადაც არ უნდა გადატყორცნოს ბედმა: აფრიკაში, სანდვიჩის კუნძულებზე თუ ნორდკაპში — ყველგან ქორფა სანოვაგე, საქონლის რბილი ხორცი, ვარიები, ძველი ღვინო უნდა დახვდეს. ყველგან უნდა ის მაუდი თუ აბრეშუმი ეცვას, რასაც პარიზში, ლონდონსა თუ პეტერბურგში ატარებს. ყველგან მეწაღე, თერძი, მრეცხავი უნდა ეახლოს. ფუფუნება ცდილობს, მე ისეთი რამ მქონდეს, რაც თქვენ არ გაგაჩნიათო. კომფორტი, პირიქით, თხოულობს თქვენთანაც ის დამხვდეს, რასაც ჩემს ქვეყანაში მიჩვეული ვარო.

მსოფლიო ვაჭრობის ამოცანასაც სწორედ ის წარმოადგენს, რომ ეს საგნები გააიაფოს, ყველგან ხელმისაწვდომი გახადოს კეთილმოწყობის ის საშუალებანი, რასაც კაცი თავის ქვეყანაში მიჩვეულია. ეს გონივრული და სამართლიანია. სასაცილოა მის მომავალ წარმატებაში ეჭვის შეტანა. ვაჭრობამ ყველგან მოიკიდა თუ იკიდებს ფეხს, მსოფლიოს ყველა კუთხეში ცივილიზაციის ნაყოფი შეაქვს. ეს დიდად მნიშვნელოვანი საკითხია, ვინემ ერთი შეხედვით ჩანს. კომფორტი და ცივილიზაცია თითქმის სინონიმებია, უფრო სწორად, პირველი მეორის გარდუვალი, გონივრული შედეგი გახლავთ. ამიტომაც არასოდეს დაეცემა ვაჭრობა, რადგან უმრავლესობის, თუმცა დახვეწილ, მაგრამ გონიერ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და არა უმცირესთა დამთხვეულ ჟინს. საქმე თითქმის უკვე გაკეთებულია. სადაც ევროპელი ფეხს დადგამს, იქ გულშშვიდად შეგიძლიათ გაემგზავროთ, არაფერი მოგაკლდებათ და ისეთივე გემრიელი ცხოვრება შეგექმნებათ, როგორც შინა ხართ მიჩვეული, ცხადია, თუ ფეხს იქამდე გაჭიმავ, სანამდის საბანი გაგწვდება.

სინგაპური ერთ-ერთი მსოფლიო ბაზართაგანია, სადაც ჯერჯერობით ყველაფერი იყრის თავს, რაც სასარგებლოა თუ მავნეა ადამიანისათვის, აუცილებლად საჭირო ქსოვილებიცაა და პურიც, საწამლავიცა და სამკურნალო ბალახებიც. გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, სომხები, სპარსელები, ინდოელები, ჩინელები — ყველა გასაყიდად თუ სავაჭროდ ჩამოსულა; სხვა სურვილი თუ მიზანი აქ არავის ამოძრავებს. ფუფუნების ნაზ შხამ-სამსალასა და სანელებლისათვის გამოუგზავნია ხალხი, კომფორტი ტანისამოსს, საცვლებს, ტყავეულს, ღვინოს აგზავნის, გაჰყავს გზები, აშენებს სახლებს, კაფავს ახოებს და უდაბნო ადგილებში იჭრება...

რას წარმოადგენს ძველი ვენეცია და მისი მოოქროვილი გალერეები ამ მაბინჯ ჯონკებისა თუ ოსტ-ინდოეთის ხომალდების გვერდით, რომლებიც ნედლი თუ დამუშავებული ურიცხვი სიმდიდრითაა სავსე?

ერთსაც კიდევ ვიტყვი, რაც უმცირესობისათვის მიუწვდომელ ფუფუნებას წარმოადგენდა, ცივილიზაციის წყალობით ბევრისთვის ხელმისაწვდომი გახდა: ჩრდილოეთში ანანასი ხუთი, ათი მანეთი ღირს, აქ — ერთი კაპიკი. ცივილიზაციის ამოცანაა — სწრაფად გადაიტანოს ის ჩრდილოეთში და შაურის საფასური გახადოს, რომ მე და თქვენც ჩავიტკბანუროთ პირი.

პროგრესმა უკვე ბევრ გამარჯვებას მიაღწია. წაიკითხეთ ოთხმოცდაათი წლის წინანდელი მოგზაურობათა აღწერა. რა იყო ეს? — ტანჯვა და წამება! მოგზაურს რამდენი გაჭირვება უნდა აეტანა, მარილიანი ხორცი ეჭამა, წყლის დალევისას ცხვირზე უნდა მოეჭირა ხელი, ველურებთან ეომა. ახლა კი? რა წამს ინდოელებს, ჩინელებს, ველურებს ნავსადგურში მიადგებით, მყის ნავები შემოგეხვევათ, როგორც ჩვენ აქ: ჩინელ თუ ინდოელ მრეცხავს მიაქვს თქვენი ტილოს საცვლები; ახამებს, რეცხავს, როგორც პეტერბურგში. გეახლებათ თერძი, გრძელკიკინა, კოფთასა და შარვალში გამოწყობილი, გიჩვენებთ მაუდის, ქსოვილის ნიმუშებს, აგიღებთ ზომას და ევროპულ ტანსაცმელს შეგიკერავთ. გადახვალთ ნაპირზე — მცხოვრებლები აქეთ-იქით კი არ გარბიან, ჯგროდ დაგეხვევიან, კარეტას, ტახტრევანს შემოგთავაზებენ, სასტუმროში მიგაცილებენ. იქ კი ისეთივე რბილი ბიფშტექსი, ისეთივე ლაფიტი, ხერესი და გაქათქათებული ლოგინი დაგხვდებათ, ვითარცა ევროპაში.

ორი დღე არ გადავსულვარ ნაპირზე. უქეიფოდ ვიყავი, ბადეზე დაყრდნობილი ცას, ირგვლივ მდებარე კუნძულებს, ტყეებს, ნაპირზე მიმოფანტულ ფაცხებს, რეიდზე მოფუსფუსე ჯონკებს, ნავებს გავცქეროდი, ინდოელთა, ჩინელთა სახეებს ვაკვირდებოდი, მათ ლაპარაკს ვუგდებდი ყურს.

ყველაზე საინტერესო სანახაობა მაინც ის იყო, როცა ჩვენი მეზღვაურები აქაურებისაგან ხილს, სხვადასხვა ნივთებს, კოლოფებს, მარაოებს, უბრალო ქსოვილებს თუ სხვას ყიდულობდნენ. მერე რა ენა მოუგონიათ — თუმცა მშვენივრად კი აგებინებენ ერთმანეთს! მივცემ ფადეევს ფულს, ის ნავებზე ჩავა ანანასებისა თუ სხვა რამის საყიდლად: აი, ვიღაცას ედავება, ბრაზობს; ბოლოს მოურიგდება და რაც საჭიროა, მომიტანს. „ამ ქაჯებს ვერაფერს გაუგებ! — იძახდა იგი. — გუშინ ნახევარი შილნიკი მომთხოვა, ახლა ერთი შილნიკი (შილინგი) მოისურვა". — „რა ენაზე ელაპარაკები მათ?" — „ინგლისურზე". — „როგორ ეკითხები?" „რაც მინდა, ხელში ავიღებ ხოლმე და ვკითხავ ო მ ა ჩ?" (how much — რა ღირსო?).

ბოლოს, ცოტათი რომ მოვმჯობინდი, რამდენიმე ამხანაგთან ერთად სინგაპურში წავედი. აქ ბევრისგან გაიგონებ ვაჭარ გამპოას სახელს. კანტონში ასე ეწოდება ბოლაზსა თუ ვერფს. იქიდანაა წარმოშობით სინგაპურელი ვაჭარი თუ არა — არ ვიცი, ოღონდ იმასაც ვამპოა ჰქვია. უკვე ოცი წელიწადია ჩი-

ნეთიდან ჩამოსახლებულა აქ. თავის ქვეყანაში ვერ დაბრუნდება თუ რომ... ქრთამი არ გადაიხადა. თუმცა ახლა არც აქვს, ალბათ, ამის სურვილი. მდიდრული მაღაზიების, სახლებისა და დიდებული აგარაკის პატრონია. ჩვენებმა ძისგან იყიდეს და მოიმარაგეს ყველაფერი. სწორედ მის დუქანში გავსწიეთ ახლა.

შესასვლელში ერთი სქელზე სქელი ჩინელი იჯდა. სხვებივით მასაც მუშამბის კოფთა ეცვა, ლურჯი შარვალი, ნატის, მეტისმეტად მაღალლანჩიანი ფეხსაცმელი, სიარულიც კი გაუჭირდება კაცს, არათუ სირბილი. თავი, რა თქმა უნდა, წინიდან გადაეხოტრა, ზურგზე კი კიკინა გადაეგდო. იქვე ტრიალებდნენ ინგლისელი ნოქარი და რამდენიმე ჩინელი. დუქნის პატრონი სწორედ ეს სქელი კაცი ყოფილა. დუქანი მთელი მსოფლიოს მაღაზიებსა ჰგავდა, თუ კიდევ ჩინურ ნახელავს, გალაქულ კოლოფებს, მარაოებს, სპილოს ძვლის, წითელი ხისა თუ სხვათა ნაჩუქურთმევ პატარ-პატარა ნივთებს დავუმატებთ.

ამ ბაზარს რომ დავხედეთ, მერე კვლავ ქალაქში გავიარეთ, მალაურ, ინდურსა და ჩინურ უბნებში, და ცხვირზეც ხშირად გვქონდა ხელი მოჭერილი. შემდეგ ბუდას კერპსამლოცველოს წინ გავაჩერებინეთ ეტლი. ქუჩაში გულდაგულ ჩარაზული ალაყაფი გამოდიოდა, მეჩხერ მესრიდან ბოლოებაზნექილი სახურავი მოჩანდა. ყველაფერი წითელი, მწვანე და ყვითელი ფერებით შეეღებათ. ინდოელმა მსახურმა გაგვიღო ჭიშკარი. ფილაქნებით მოგებულ, დიდ, სუფთა ეზოში შევედით. მარჯვნივ ჭა იყო, მერე ცარიელი კედელი და კუთხეში ოთხივ მხრივ ღია სამზარეულო. იქ, ქურებზე და ტაფებზე ნაირნაირი ხორაგი შიშხინით იხრაკებოდა და იხარშებოდა, რამდენიმე ჩინელი დატრიალებდა თავზე. მარცხნივ, კედლის შუა, პატარა სამლოცველო იყო სამსხვერპლოთი, კერპებით, ანთებული საკმევლებითა და ცვილის სანთლებით. სამსხვერპლოს წინ ბონზა დაჩოქილიყო: პატარა, მრგვალ დოლს ჯოხს სცემდა და წამღერებით, ოდნავ ცხვირში, კითხულობდა წიგნს. იქვე, სამლოცველოში, რამდენიმე ჩინელი შემოჯდომოდა მაგიდას და რაღაცას კერავდა. ბერს ზედაც არ უყურებდნენ. მე სახეში ჩავხედე მას: გამხდარი, გაცრეცილი იყო, თვალები დაეხუჭა.

მთელ ეზოში გალავნის გასწვრივ ბანანის, პალმისა და ჯავზის ხეები ჩაერგოთ. შუა ეზოში მთავარი კერპის სამლოცველო — საკმაოდ დიდი, ყოველ მხრივ ღია შენობა იდგა ბოლოებამოზნექილი სამი თუ ოთხი სახურავით. რამდენი ოქროს ვარაყი, ჩუქურთმები, ზიზილპიპილებით, ყალბი თვლებით შეემკოთ იგი და რაოდენი უგემოვნება იგრძნობოდა ამ აღმოსავლურ სიჭრელეში!— ჩინელებს და ინდოელებს, მგონი, ერთად ჩაუქსოვიათ თავიანთი გემოვნება ნაგებობასა და მორთულობაში. ამიტომაც ქვების ეს ზვინი, ყალბი ოქრო, გახუნებული ქსოვილები, ვერავითარ წარმოდგენას ვერ შეგიქმნის შენობისა და მისი მორთულობის სტილზე. სამლოცველოს შიგნით სამი წალო იყო კერპებით. ირგვლივ დახურული გალერეა მისდევდა. მოაჯირები თუ კედლები — ყველაფერი ამოეჩუქურთმებინათ. სახურავის გრანიტის ბოძებიც, ცხოველებს რომ წარმოადგენენ, ტლანქად იყო გამოთლილი. კერპებს შუა ბუდა იდგა, თავისი ორი მსახურით, რომელიღაც ქალღმერთი და კიდევ ორი სხვა კერპი — ყველა საზარლად მახინჯი სახეებით. იქვე, სხვათა შორის, ერთი ქანდაკება ამართულიყო — აწმყოს, წარსულისა და მომავლის ემბლემა. კერპების წინ წვრილი გრძელი სანთლები ენთო. მინდოდა მენახა, რისგან იყო ჩამოქნილი, და ერთი ვითხოვე. ინდოელმა მაშინვე ამინთო და მომაწოდა, მაგრამ მ (ამა) ი (ვაკუმმა) სასწრაფოდ მითხრა: „მიაფურთხეთ, ხელი არ მოჰკიდოთ: უნდა, მაგათ კერპისთვის სანთელი დაენთოთო!“

ბუდის კერპთტაძრიდან ინდოელთა ბომონში, ბრამას თაყვანისმცემლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან გავეშურეთ. საკმაოდ მაღალ, ტლანქად გამოთლილ ლოდებისგან ნაგებ
კოშკიდან განიერ ხეებით შემორაგულ ეზოში გადიხარ და ბოძებზე შემდგა-
რი დახურული გალერეა ბომონში შეგიყვანს. მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი რომ
გადავდგით, შეგვაჩერა ერთმა ინდოელმა, რომელიც წამღერებით კითხულობ-
და წიგნს, და უხმოდ გვანიშნა წაღებზე: ან გაიხადეთ, ან გაბრუნდითო. შევ-
ჩერდით და შორიდან შევაცქერდით სამლოცველოს, მაგრამ იქ სანახავი არა-
ფერი იყო: ბუდისტებივით აქაც სამი წალო იდგა მოოქროვილი კერპებითა,
მაგრამ ზიზილპიპილების ნაცვლად მხოლოდ ცოცხალი ყვავილებით შეემ-
კოთ. სამლოცველოს გარეთ, გალერეაში ხის ცხენი იდგა, ჩვენი ბალაგანების
ცხენების მსგავსი, ოღონდ ნატურალურ სიმაღლის, სულ მთლად მოხატული,
ზედ ნაირნაირი ნივთები და მორთულობანი ეკიდა. როგორც ინდოელმა რის
ვაი-ვაგლახით გაგვაგებინა, ცხენი საზეიმო პროცესიებისთვის ყოფილა გან-
კუთვნილი.

ჩვენ რომ გამოვბრუნდით, ინდოელმა ისევ წიგნის ხმამაღალი ღაღადი
ვანაგრძო, დანარჩენი ორი ქუსლებზე ჩაცუცქდნენ მოსასმენად, მეოთხემ წა-
ლოდან ვარდები გამოგვიტანა ლანგრით. მეზობლად მალაელთა მეჩეთი იდგა
და იქაც შევიხედეთ. „ეგ ხომ ყაზანშიც მინახავსო", — თქვა ერთმა ჩემმა ამ-
ხანაგმა, შიშველ კედლებს რომ შეხედა.

გამოვედით და ქუჩებს გავყევით, ღელისაკენ... უცბად რაღაც უცნაური
მუსიკის ხმამ გაგვაკვირვა.

ქუჩაში პროცესია მოემართებოდა. ჩინელთა ლუღლუღში ვერ გავარ-
კვიეთ, რა პროცესია იყო, ოღონდ სამგლოვიარო კი უნდა ყოფილიყო. ჩვენს
შეკითხვებზე ერთი სულ „sick" (სნეულია) გაიძახოდა, მაგრამ ჩინეთში ნამ-
ყოფმა ჩვენმა თანამგზავრმა აგვიხსნა, გარდაცვლილის მოსახსენებელიაო.
თავით ფეხამდე მარმაშის საბურში გახვეული ორი ქალი ხელით მოჰყავდათ.
წინ ქურუმები მიდიოდნენ, მერე ვიღაც კონკიაჟღარუნები მოჰყვებოდნენ
ძაძებში და გაჰკიოდნენ, მუსიკოსები გონგებით წინ გამოჭიმულიყვნენ. კარე-
ტიდან გადმოვედით და პროცესიას შევერიეთ. ვერ ვიტყვი — მუსიკა მხოლოდ
ბრახაბრუხი იყო, არა, მელოდიაც იგრძნობოდა, ოღონდ უბადრუკი და უცნა-
ური. პროცესიამ ვიწრო შესახვევში შეუხვია, ჩვენ კი ოტელში გავსწიეთ,
ივანზე დასაჯდომად და სანებივროდ.

მეორე დღეს ახალი ნავსაყუდელის და ავსტრალიიდან მოსული
გემის სანახავად გიჩკით წავედით. მშვენიერი დარი იდგა-მეთქი ვიტყოდი,
აქ რომ სხვანაირი სცოდნოდა. სინგაპურსა და სხვა პატარა ზურმუხტისფერ
მწვანით დაფარულ კუნძულებს შუა ვიწრო სრუტეში შევედით. მზე დამკოდველი
სხივების ღვარს აფრქვევდა კლდეებს. ტანში ჟრუანტელი დაგივლიდა, იქ, ამ
ცხრების ქვეშ ასვლა რომ წარმოგიდგებოდა, ჩინელები და მალაელები კი
ტიტლიკანები დაცოცავდნენ ზედ, ზოგს ქუდიც არ ეხურა. იქაურმა სხივებმა
ევროპელი თავშიშველი რომ შეგისწროს, თავშესაფარს უფრო მეტი სიმკვირ-
ცხლით მიაშურებ, ვინემ კოკისპირული წვიმის დროს.

ევროპელთა აგარაკები, სოფლები, ნაპირები—ყველაფერი მწვანეში ჩაფ-
ლულა. სადაც არ გაიხედავ, ხშირი ბალახი და პალმებია. ბოლოს ნავსადგურს
მივადექით და გემზე ავედით. მაგრამ მე გემი რაში მენაღვლებოდა?!. ავედი
და მაშინვე გამოვტრიალდი, ჩემი მეზღვაური ამხანაგები კი ყოველ ჭანჭიკსა
და ქანჩს ჩაშტერებოდნენ. ნავსადგურზე წავედით. სათადარიგო პაკგაუზები
ვეება კარებით ჩაეკეტათ, შიგ საქონელი ინახებოდა ევროპასა, ჩინეთსა და
ავსტრალიაში გასაგზავნად ხომალდების მოლოდინში. მართალია, ახლა მდუ-
მარედ ჰყრია, მაგრამ რაწამს სანუკვარი ალამი გაიფრიალებს, ეს კარები მი-

ლიონობით საქონელს გადმოანთხევს ან ჩაყლაპავს. იქვე ნახშირის დიდი ფარდულები იყო აშენებული. ასზე მეტი ჩინელი ტრიალებდა, სამ-ოთხ ფუთიან ტომრებს მჩატედ, მარჯვედ მოიგდებდნენ კისერზე და, რაც ძალა ღონე ჰქონდათ, გემისკენ მირბოდნენ ამ შუაგულ მზეზე. შენ სტენჯარ ... ჭირს, ასე გგონია, ცეცხლს ყლაპავდე, ისინი კი აინუნშიც არ აგდებენ: სხეული გაუტიტვლებიათ, თავი გადაუშვლეპიათ, რადგან ლერწმის განიერი ქუდები ტომრების კისერზე მოგდებას დაუშლიდათ. ოღონდ კიკინები კი დიაცებივით აუწევიათ კეფაზე. ბევრი მართლაც ქალივითაა ჩამრგვალებული; წვერულვაში თითქმის არ ეზრდებათ, რაც კი ამოუვათ, იმასაც ძირშივე იპარსავენ. ბევრი ჭკვიანური, უფრო სწორედ, საზრიანი სახე შეგხვდება, მაგრამ უფრო ძეტად კი ცბიერულს ნახავ.

ჩავუარეთ ყველა ამ სავაჭრო შენობას, პაკგაუზებს, ავედით კორდზე და ბუჩქებში პალმების ჩრდილს შევაფარეთ თავი. „ოჰ, ნეტამც პირი გაგვასველებინაო". — ვიძახდით ჩვენ. მაგრამ რით? ამ ნაპირზე არავინ ცხოვრობს, მის დამუშავებას ახლახან შედგომიან. საბედნიეროდ, მეზღვაურებს ანანასები უყიდიათ და ჩვენც გვიწილადეს. შუაგული ისე ოსტატურად ამოაჭრეს სპირალურად, ჩინელებიც არ დაიწუნებდნენ.

რეიდი გადავჭერით და ქალაქისკენ ავიღეთ გეზი. გზაში ერთ ინგლისურ იახტას გამოვეკიდეთ, რომელიც ხან მარჯვენა, ხან მარცხენა გალსზე წვებოდა და ნარნარით არტყამდა წრეებს. მაგრამ არც ჩვენი მეზღვაურები გახლდენ ნაკლები ბიჭები: თეთრი ხალათები ეცვათ, საყელოზე ლურჯი არშია ევლოთ, თეთრი ქუდები ეხურათ, მკერდი მოეღეღათ „აბა, მიაწექ! მიდი, ჰა!" ამის გაგონებაზე ექვსივე ერთად გასჭიმავდა დაკუნთულ მკლავებს, ექვსივე ერთად დააკვდებოდა ნიჩბებს და ლომებივით ბრდღვნიდნენ წყალს ნიჩბებით.

მდინარეზე გადავედით და ნაცნობ დუქნებსა და ქუჩებში ხეტიალს მივყევით. უცქერი ამ ნაირნაირ სახეებს, ჭრელ-ჭრელად ჩაცმულ ხალხს, ტიტველ, სხვადასხვა ფერის სხეულებს, ტანწერწეტა, მოხდენილ ინდოელებს, მოყვითალო ჩინელებს, ყავისფერ მალაელებს, რომელთაც ბეთელის უთავბოლო ღეჭვის წყალობით პირი თამბაქოთი ათი წლის ნაბოლებ ყალიონს დამგვანებიათ, დახროვილ საქონელს, ხილის მთებს, უხვად გაბარდნილ ხასხასა მწვანეს, უცქერი და, მიუხედავად ამისა თუ ამის გამო, თვალი მაინც მალე გეღლება, რაღაცას ეძებს და ვერ პოულობს: ამ ბრბოს აკლია მისი ყველაზე ცოცხალი ნაწილი, მისი მშვენება და გვირგვინი — ქალები.

წარმოიდგინეთ, რომ სამოცი ათასი მცხოვრებლებიდან მხოლოდ შვიდასამდე იქნება ქალი. ევროპელი ქალები, კონსულებისა თუ სხვა სავაჭრო პირების ცოლები და ასულები, ძალზე ცოტანი არიან და ისიც ჩრდილში იმალებიან, ჩრდილოეთის ყვავილებივით. ჩინელსა და ინდოელ ქალებს კი იმათზე ნაკლებ შეხვდები. გარეუბნებში რამდენიმე სწორედ გულისამრევი ბებრუხუნა ჩინელი ვნახეთ, ახალგაზრდას თითქმის ერთსაც ვერ ნახავ. სამაგიეროდ რამდენიმე საკმაოდ ლამაზი ყმაწვილი ინდოელი ქალი შეგვხვდა. მათი უზარმაზარი ოქროს საყურეები, ბეჭდები, ვერცხლის სამაჯურები ხელებზე და ფეხებზე მაშინვე თვალში გეცემოდა.

ევროპელ ქალებს ან სახლში ნახავთ, ან ხუთი საათიდან შვიდამდე ესპლანადაზე მოსეირნეს იხილავთ კოხტა ეკიპაჟის ელასტიურ ბალიშებზე ნებივრად გადაწოლილთ, აქაური ჰაერივით მსუბუქი სიფრიფანა კაბები აცვიათ და პეპელასავით ქუდები ახურავთ. ეს ქალბატონები ზანტად მიგრიალებენ მშვენიერ გზაზე, დიდებულ ბანანების, პალმების ჩრდილში, წყლის მწვანე ზვირთები ბორბლებთან ფოჩებად იმსხვრევა. მხოლოდ ერთი ვერ გამიგია: ეს

ქედმაღალი ინგლისელი ბანოვანები, რომელთა საწოლ ოთახში ღვიძლი ქმაც ვერ შევა უნებართვოდ, რომლებთან სიტყვა „შარვლის“ ხსენება არ შეიძლება, ამდენ უშარვლო ხალხში ნეტავ როგორ ცხოვრობენ? იქნებ არისტოკრატიული ზიზღი შველით?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს სინგაპურის ერთ ამბავს გიამბობთ, კიდევ უფრო სწორად, ვამპოას აგარაკის ამბავს. ამ ვაჭარმა თავისთან მიგვიწვია, ოღონდ არ უთქვამს, ვინ წავსულიყავით ან რამდენი, მარტო ის თქვა, ოთხზე გელით, დუქანში შეპომიარეთ და ერთად წავიდეთო. ხუთი კაცი მივადექით დუქანში. ბუდასავით ძედიდურად და უძრავად წამოსკუპებულიყო ერთ ადგილზე. ორი თავის კალიასკაში მიიწვია და როგორც თავის დუქანში იჯდა, იმავე კოფთით ეკიპაჟში ჩაჯდა უქუდოდ. სხვები დაქირავებულ კარეტებში მოთავსდნენ. აგარაკამდე სამი მილი იქნებოდა, დაახლოებით ოთხი ვერსი. მეეტლეებისთვის კარგი მოციონი იყო — ამ გაგანია სიცხეში სირბილი.

სწორ გზას ორივე მხარეს თხრილი მისდევდა. პლანტაციებს, ხეხილის ხეებსა თუ ჭაობიან დაბლობ მინდვრებს მივყვებოდით. გზიდან უკვე ჩანდა გაუვალი ტყეები, სადაც ფოცხვერები, უფრო მეტად კი ვეფხვები ბუდობდნენ. ვიდრე სინგაპურის კუნძული უდაბური იყო, ვეფხვები აქ არ ყოფილან, მაგრამ რა წამს ეს ადგილი დასახლებულა, მალაიის ნახევარკუნძულიდან გადმოსულან და ხალხსა და შინაურ ცხოველებს სიცოცხლეს უმწარებენ. მათ გასაწყვეტად სპორტსმენები ჯერ არ გამოჩენილა, ასე რომ ჯერჯერობით ვეფხვები სპობენ ადამიანებს. სინგაპური თავის ნიმროდებს ჯერაც ისევ მოელის. ამბობენ, აქაური ვეფხვები ისეთივე დიდი და ღონიერია, როგორც ინდოეთის ნახევარკუნძულზეო: ერთი ჯიში ჰქონიათ, რომ დავამრგვალოთ, ორ დღეზე თურმე ერთი ადამიანი მოდის ვეფხვების შეჭმული; ყველაზე მეტად ჩინელები იღუპებიან, ალბათ იმიტომ, რომ ორმოცი ათასამდე იქნებიან, სხვები კი ოცი ათასია მხოლოდ. მაგრამ ჩვენს იქ ყოფნაში უბედური შემთხვევა არ მომხდარა; ოღონდ ერთ ჩინელს, რომელიც ტყეში საკმაოდ შორს შესულა, ვეფხვმა ძაღლი მოსტაცა.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ჩვენმა მეეტლეებმა უცბად ერთ ადგილას გზიდან გადაუხვიეს და ცხენები და ეკიპაჟები ბუჩქებში შეათრიეს. „საით? ვეფხვი ხომ არ დაინახეს?“ — „არა, ეს ვამპოას აგარაკისაკენ მიმავალი ხეივანიაო“.

ეს რა არის? მართალია, ვიცოდი, რაღაც ორიგინალურს რომ ვნახავდი, ბევრი გამეგონა, ვამპოა მდიდარია და კარგად ცხოვრობსო, მაგრამ რაც ვნახე, იმას კი სწორედ არ მოველოდი. ვამპოამ მაშინვე ჩაგვიყვანა ბაღში, სახლს რომ ირგვლივ შემორტყმოდა. ჩინურ ბაღებზე კარგიც და ავიც ბევრი მსმენია. ერთნი იძახდნენ, ჩინელებს სულ არა აქვთ ფაქიზი გემოვნება, ბუნებას ძალას ატანენ, თავიანთ ბაღებში მინიატურულ მთებს, ტბებს, კლდეებს აწყობენ, რაც დიდი ხანია სასაცილოდ და მახინჯადაა ჩათვლილიო. ერთ ჩვენს თანამგზავრს ათი წელი ეცხოვრა პეკინში და ის გვეუბნებოდა, ჩინელებს, პირიქით, ყველაზე უკეთ ესმით მებაღეობის ოსტატობა — გაჭრიან ხოლმე კლდეებს, ნაკადულებს ბუნებრივ მდინარეებას უქმნიან; რასაც ამბობენ, ყველაფერს ისე აწყობენ, ოღონდ გრანდიოზული სიდიდისას და არა უბადრუკს. ბოგდიხანის ბაღები პეკინში შეუდარებელ მაგალითს წარმოადგენს საამისოდო. ვის უნდა დაუჯეროს კაცმა? იმათაც და ამათაც: რომ ბოგდიხანის ბაღები სხვებზე გრანდიოზულია და დიდი — ეს გასაგებია; რომ კერძო პირებს უფრო მოკვეცილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო დაქუცმაცებული აქვთ — ესეც გასაგებია. ვნახოთ, ვამპოას ბაღი რა-გორია.

სახლიდან მეტწილად ვიწრო-ვიწრო, ზოგან დიდრონი ხეებით, ზოგან ბუჩქებითა თუ მხოლოდ ყვავილებით დაბურული ხეივნები იშლებოდა ყოველი მხრივ. ჩვენი მასპინძელი ამ საქმის არა მარტო მოყვარული, დიდი მცოდნეც ყოფილა. დაწვრილებით აგვიხსნა თანმიმდევრობით დარგული ყოველი მცენარის ზნე ბაღში. ყველაფერს ვერ ჩამოგითვლით, კიდეც რომ მოვინდომო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დამავიწყდა, მეორეც, ინგლისური დასახელებიდან ნახევარი ვერ გავარჩიე, თუმცა ვამპოა ოცი წელია, რაც სინგაპურში ცხოვრობს და ინგლისელივით წმინდად ლაპარაკობს ამ ენაზე. „აგერ მიხაკის, აგერ პილპილის ხე, — გვეუბნებოდა მასპინძელი და სათითაოდ ყოველ ბუჩქთან შივყავდით, — აი, საგის პალმა, ეკლიანი ვაშლი, ბამბის ბუჩქი, პურის ხე". ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ინდოეთში ხარობს.

ყვავილებიდან ყველაზე მეტად წყლის მცენარეებმა, უზარმაზარმა შროშანებმა და ლოტოსმა მოგვხიბლა: ისინი წყლით სავსე თხრილში ამოსულიყვნენ. შესანიშნავი გახლდათ აგრეთვე წყლით სავსე ვეება ლარნაკში ჩინეთიდან ჩამოტანილი გაბარდნილი ბუჩქიც, სუროს რომ მიაგავდა. მისი ფესვების ირგვლივ პატარა ოქროს თევზები დაცურავდა. ლარნაკში, მასპინძლის თქმით, ეს ბუჩქი ისე იზრდება თურმე, თავის ნებაზე რომ მიუშვა, ორი წლის შემდეგ მთელ ბაღს დაფარავს. წყლის გარდა კი სხვა ნიადაგი არ სჭირდება. არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ამბავი. იქვე დავინახეთ ერთი ლამაზი მცენარე. თავდაპირველად თურმე მუქი წითელი ფოთლები გამოდის, კუთხოვანი მოყვანილობის, მერე კი, სიმწიფეში შესვლისას, ფოთლები თანდათან მწვანდება და პრიალა მოგრძო ხდება. ბამბუკი და ბანანები ბაღში ღობეებივით ჩამწკრივებულა. ყვავილები უამრავი და ყველა ერთიმეორეზე უკეთესი იყო. იქვე ანანასების რამდენიმე კვალიც დავინახეთ. მე მეოცედსაც ვერ ჩამოგითვლით, რაც ჩვენ იქ ვნახეთ: ვითარცა უბრალო მოყვარულს და საქმის არამცოდნეს, ბაღის საერთო იერი უფრო მაინტერესებდა. დიახ, ეს ინდოეთი და ჩინეთი გახლდათ ერთად. აი, ტროპიკული მზის პირმშო მცენარეები — ბუნების არისტოკრატები! ყველაფერი დიდებულად მორთულა, აყვავებულა, ნაზ სურნელს აფრქვევს; ყოველივეს ბუნების ნაზი მადლი მინიჭებია; მარტივი, ტლანქი საჭიროებისათვის არც ერთი არაა გაჩენილი. აქ შეშად არაფერი გამოდგება. კუჭის გამოსაძღობს და ამოსავსებს ვერაფერს ნახავ, სახლს ვერ ააშენებ, ხომალდს ვერ ააგებ: უცქერ ბუნების ამ ნაზ ნაოსტატარს და ტკბები ისე, როგორც დაგატკბობს ხელოვნების ქმნილება. ყოველ ხესა და ბუჩქს ისეთი თავისებური, თავბრუდამხვევი სილამაზე ახასიათებს, რომ გვერდს შეუმჩნეველად ვერ ჩაუვლი, ერთმანეთში ვერ აურევ. ვამპოასაც დიდი ოსტატობით, ჭკუითა და სიყვარულით სურათების გალერეასავით განულაგებია მცენარეები თავის ბაღში.

მცენარეების გარდა ბაღში სხვადასხვა ცხოველების სადგომები მოეწყოთ. რამდენიმე პატარა კოშკიც აეშენებინათ, გისოსიანი ჩარდახებით, მტრედებისათვის, რომლებიც ჩვენებურზე პატარა, მაგრამ ჭრელები და ლამაზები იყვნენ. ხოხბები თუ სხვა ფრინველები ბუჩქებს შუა ჩადგმულ მავთულის ვეება გალიაში ბუდობდნენ. შიგ რომ შევედით, შეშინებული ფარშევანგების, ყანჩების და კიდევ რაღაც უცნაური თეთრი იხვების გუნდები, ლოთი კაცივით წითელი ხორცმეტები რომ გამოზრდოდათ ცხვირსა და თვალებთან, სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. გავედით ხიდზე, წყლის მცენა-

რეების გვერდით და საჩიხეს მივადექით, სადაც გარეული თხები და შველებიც ჩვენს დანახვაზე კვლავ კუნჭულებში მიიმალნენ. იქვე მავთულის კარის შიგნით განცალკევებით იჯდა კაზუარი — მაღალი, ღონიერი ფრინველი, ... მელსაც სქელი ფეხები და ტერფების ნაცვლად ფლოქვები აქვს. მასპინძელმა გვითხრა, კაზუარმა ცხენივით ღონიერი წიხლები იცისო. თუმცა ჩვენთან კი ბეტად სასაცილოდ მოიქცა. როცა მის გალიას მივუახლოვდით, სასწრაფოდ გაგვეცალა და ოთხივე კუთხეს ისე გამწარებით მიაწყდა, თითქო მეხუთე კუნჭულს ეძებს, რომ შიგ დაიმალოსო; მაგრამ რომ წამოვედით, კარისკენ გამოიქცა, გაწიწმატებულმა ერთი ამბავი ატეხა, ფეხები ააბაკუნა, ფრთები და ნისკარტი კარს დაუშინა, ერთი სიტყვით, თავისი ზნით კრილოვის იგავ-არაკებისთვის ზედგამოჭრილი იყო.

უკანასკნელად მასპინძელმა ყველაზე დიდებული რამ — შესანიშნავი არაბული ცხენი გვაჩვენა. სულ თეთრი იყო და ტანი ვერცხლივით უბზინავდა. ზედ ეტყობოდა, თვალის ჩინივით რომ უვლიდა: პატრონივით ისიც ჩათქვირებული და ჩამრგვალებული გახლდათ.

შემდეგ სახლში შევედით. ის ბაღზე შესანიშნავი აღმოჩნდა.

განიერ შესასვლელს მოჩუქურთმებული კარი ჰქონდა. ჭილოფებით მოგებული ხის კიბე ზემოთ, ჟალუზებით ჩამობნელებულ ოთახებში ადიოდა. ოთახსა და ოთახს შუა მრგვალი კარები დაეტანებინათ. კედლები თუ ავეჯი სულ ჩუქურთმებით შეემკოთ, მოოქროვილი თეჯირები, გრძელი, დახურული გალერეები მოჩანდა, დიდი გემოვნებითა და ფუფუნებით მორთული; ყველგან ბრინჯაოს, ფაიფურს დაინახავდით, კედლებზე ქანდაკებები, არაბესკები...

ევროპულ კომფორტსა და აღმოსავლურ ფუფუნებას აქ ხელი ხელს მიეცათ ერთმანეთისთვის. ეს უხილავი ფერიასე ინდოელ პერისა თუ თვით საკუნტალას სასახლე გახლდათ. აგერ, მისი პატარა ფეხების ნატერფალი, სიფრიფანა მარმაშით შებურული საწოლი, დაკიდებული ლამფები და ფერადი ჩინური ფარნები, მდიდრული ევროპული დივანი და მის გვერდით გრძელი, განიერი ბამბუკის სავარძელი. მოოქროვილი, ჩუქურთმიანი სვეტები კარიბჭედ ედგა საწოლს, სადაც დღის მცხუნვარე საათებში ალბათ განცხრომით ისვენებს ქალღმერთი და დაკიდებული მარაო ნაზად უნიავებს.

მაგრამ ქალღმერთი არა ჩანს: ჩვენ თითქო თვით ინდოეთის კერპი, სიუხვისა და ნაყოფიერების ემბლემა — ვამპოა დაგყვება. ნუთუ ის ნეტარებს ამ მარმაშით შებურულ საწოლში, მას უნიავებს მარაო, მას მალავს ჟალუზები და მოოქროვილი ჩუქურთმიანი თეჯირები სიცხისგან იფარავს? ვითომ ასეა? ჰაშ სახლში სამი თუ ოთხი საწოლი ოთახი რად არის? აგერ ის პაწაწკინტელა ქოშები, საწოლქვეშ რომ შემალულა, ვისია? ვისია ეს პაწაწა ნივთები, კალათები? ვინ ჯდება ამ მრგვალ მაგიდაზე, სადაც აბრეშუმის ნაჭრები, ძაფები თუ ხელსაქმის სხვა ნაკვალევი მოჩანს?

ყველა ოთახი ვილაცის იდუმალ არსებობას გაუსულდგმულებია: ყვავილები, ჩინური ბიბლიოთეკა, ლარნაკები, პატარა კოლოფები. ჩვენმა სტუმრობამ თითქო ვილაც დააფრთხო. მაგრამ სახლში არც ფაჩუნი, არც შრიალი ისმის. აგერ, ორი-სამი ტუალეტი: ეჭვი არაა, ვამპოას ერთი ან იქნებ ორი-სამი ცოლიც ჰყავს. სად არიან ისინი? უიმათოდ რა ფასი აქვს ამ ვილას, ამ ოქროს ვარაყს, უზარმაზარ სარკეებს, ნაჩუქურთმევ კარადებს და ჩინური ბუნებისა თუ ხელოვნების სხვა ნაწარმოებებს, თვით მასპინძლის ჩათვლით?

მასპინძელმა სასტუმროში მიგვიწვია. იქ დიდ მრგვალ მაგიდაზე უამრავი თეფშები და ლანგარები იდგა, ქორფა ხილითა და მურაბებით სავსე. შემდეგ მსახურებმა ხერესის, პორტვეინის გრაფინები და ელის ბოთლები შემოიტანეს. გავსინჯეთ ეს უკანასკნელი და სიამოვნებისგან გონს ვეღარ მოვედით: ლუდი

ყინულივით ცივი იყო, ისე რომ კბილიც ამტკივდა. წყალიც ძალზე ცივ[illegible] მოგვართვეს. მასპინძელმა აგვიხსნა, მიწაში ღრმა სარდაფები მაქვსო[illegible] ამისა მისი ბრძანებით მსახურებს ლუდი და წყალი გვარჯილით [illegible]

წამოსვლის წინ ერთხელ კიდევ შემოვიარეთ ოთახები, გალერეები, სახლს რომ ირგვლივ ერტყა: რა სანახაობა იშლებოდა! რას გიზგიზებდა დაისი! რა ცეცხლი წაჰკიდებოდა ცისკიდურს! რა ფერებით შემოსილიყვნენ ეს ხეები და ყვავილები! რა მხურვალე სურნელი ასდიოდათ! ნუთუ ეს ის მზეა, ჩვენთან რომ ანათებს? გამახსენდა, არყის ხეებსა და ფიჭვებზე ალმაცერად, მკრთალად ჰოციგლიგე სხივები, ჩაფერფლილი, უკანასკნელ სხივებთან ერთად გაციებული ყანები, თვლემამორეულ მინდორთა ნოტიო ოხშივარი, დაისის მკრთალი ნაკვალევი ცაზე, თვლემასთან ჭიდილი ბინდბუნდში და ღამით მკვდარივით ძილი— გამახსენდა და უეცრად იქ, იმ საამო ქვეყანაში მომინდა ყოფნა, სადაც... სადაც ესოდენ ცივა.

წამოვედით. დაისის მეწამულ დაფიონში უკვე მკრთალად ციმციმებდნენ ვარსკვლავები და მზის ჩასვლას უცდიდნენ, რომ უეცრივ აკაშკაშებულიყვნენ. მალე ძოწისფერი ბრჭყვიალი ცაზე ნაზმა ფერებმა შესცვალა. ქალაქამდე არ ვიქნებოდით მისული, რომ ცა, ტყე — სულ სხვანაირი გახდა.

ქალაქში უკვე სინათლე ჩახჩახებდა; განსაკუთრებით ჩინური დუქნების მწკრივი გაეჩაღებინა ფერადი ქაღალდის ფარნებს. ესპალანდაზე, ბანიანის ძირს მუსიკა გრიალებდა. იქ გავჩერდით და შუაღამემდე დავყავით. სიბნელეში ვიღაც ფრანგს შევეჩეხე და ბევრი ვ[illegible]ლაპარაკეთ ქალაქის, მოსახლეობისა და ქვეყნის შესახებ. სხვათა შორის, ისიც ვკითხე, ოთხასი ევროპელი ნეტავ ასე მშვიდად როგორ შეგუებია სხვადასხვა ჯურის, სჯულის, შეხედულებისა თუ ცივილიზაციის მქონე სამოცი ათას მოსახლეობას-მეთქი? მითხრა, პოლიციელები ბევრი გვყავს. ისინი მეტწილად სიპაები, ე. ი. ინგლისის ჯარში მომსახურე ინდოელები არიან და არც სიფხიზლე აკლიათ, ამასთან ყველა ფერადკანიან ტომს თეთრების დიდი პატივისცემა აქვთო.

ივლისის დასაწყისში დავტოვეთ სინგაპური. ერთი კვირა ბევრიც გამოდგა ამ ადგილის შესასწავლად. კიდევ ერთი დღე რომ დავრჩენილიყავით, სიცხე და მოწყენილობა მოგვკლავდა. არა, ინდოეთი საჩვენოდ არ გამოდგება! ინგლისელებიც კი გაურბიან პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ამ კლიმატსა და კეთილი იმედის კონცხს, ჯავსონის ნავსადგურს აფარებენ თავს — გარბიან ეკვატორიდან შორს, სადაც ასეთი მწველი დღეები იცის, ასეთი დახუთული ღამეებია, სადაც ისე ვერ სვამს და ჭამს კაცი, როგორც ინგლისელებს სჩვევიათ, რომ მერე არ ამოშხამდეს.

მიხაროდა, რომ სინგაპურში ვიყავ, მაგრამ წასვლისას გული არ დამწყვეტია: და თუ ოდესმე იქ დავბრუნდი, ალბათ ჩემი სურვილით არ მოხდება და არც ნასიამოვნები ვიქნები ამით.

ნახვამდის.

ჩინეთის ზღვა.

1853 წლის ივლისი.

თარგმნა **ამირან გაბესკირიამ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელოვანი იუბილე

რევაზ გრძელიძე

ვ. ი. ლენინი — სსრ კავშირის შექმნის ინიციატორი

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელმა ვ. ი. ლენინმა მარქსიზმის ისტორიაში პირველმა შეიმუშავა თეორიული პროგრამა და პოლიტიკა ეროვნულ საკითხში.

ვ. ი. ლენინი იყო ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის პოლიტიკის შთამაგონებელი და პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა მისი განხორციელების საქმეს.

ხალხთა თანამშრომლობისა და მეგობრობის გრანიტულ საფუძველზე ორმოცი წლის წინათ შეიქმნა თანასწორუფლებიან ერთა ნებაყოფლობითი გაერთიანება — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

განვლილი ორმოცი წლის მანძილზე ხალხთა მეგობრობის პირმშომ — სსრ კავშირმა თვალნათლივ ცხადყო თავისი სიცოცხლისუნარიანობა და ცხოველმყოფელობა; მასში გაერთიანებულმა ხალხებმა მრავალი ქარტეხილი გადაიტანეს, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებანი მოიპოვეს და ამჟამად წარმატებით ანხორციელებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად პროგრამას, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ დასახა.

*
* *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილმა საბჭოთა სახელმწიფომ თავისი არსებობის პირველი დღიდანვე გამოაცხადა მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის პოლიტიკა, რუსეთის ხალხების თანასწორობა და სუვერენობა, მათი პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლება.

1917 წლის 2 (15) ნოემბერს გამოქვეყნდა „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“, ხოლო 1918 წლის 12 იანვარს საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობამ ერთსულოვნად დაამტკიცა ვ. ი. ლენინის მიერ შედგენილი „მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია“. ამ ისტორიულ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული იყო რუსეთის ხალხების თანასწორობი-

სა და ძმური თანამშრომლობის, მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის შემდეგი ძირითადი პრინციპები: რუსეთის ხალხების თანასწორობა და სუვერენობა; რუსეთის ხალხების თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებით აღიარება თვით ცალკე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფამდე; ეროვნული და ეროვნულ-რელიგიური პრივილეგიებისა და შეზღუდვების გაუქმება; რუსეთში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისა და ეთნოგრაფიული ჯგუფების თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფა; ფედერაციის საფუძველზე საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი მშენებლობა.

საბჭოების მესამე ყრილობაზე წარმოთქმულ საბოლოო სიტყვაში ვ. ი. ლენინი წინასწარმეტყველურად ამბობდა: „... მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რევოლუციური რუსეთის ირგვლივ სულ უფრო და უფრო შემოიკრიბება თავისუფალი ერების ცალკეული სხვადასხვა ფედერაცია. სრული ნებაყოფლობით, სიცრუისა და მახვილის გამოუყენებლად, გაიზრდება ეს ფედერაცია, და იგი უძლეველია“.

სრულიად რუსეთის საბჭოების მესამე ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად ფართოდ გაიშალა რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობა ფედერაციის საწყისებზე.

1922 წლისათვის რუსეთის ფედერაცია უკვე ათ ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და თერთმეტ ავტონომიურ ოლქს აერთიანებდა. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკა ხალხთა ძმური თანამშრომლობისა და სახელმწიფოებრივი წყობის ნიმუშად იქცა დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის.

1917 წლის დეკემბერში უკრაინის მუშებმა და გლეხებმა დაამხეს ბურჟუაზიული ცენტრალური რადის ხელისუფლება და შექმნეს უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. 1918 წლის ბოლოს და 1919 წლის დასაწყისში წითელი არმიის მიერ განთავისუფლებულ ვრცელ ტერიტორიაზე შეიქმნა ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები.

1920 — 1921 წწ. ამიერკავკასიის მშრომელებმა რევოლუციური რუსეთის დახმარებით თავი დააღწიეს მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების ბატონობას და აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებად გამოაცხადეს.

ყველა საბჭოთა რესპუბლიკამ თავისი შექმნის პირველი დღიდანვე აღიარა რუსეთის ფედერაციასთან მტკიცე კავშირისა და ძმური თანამშრომლობის აუცილებლობა.

ხალხთა თანამშრომლობის პირველ პერიოდში, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებიდან 1918 წლის მეორე ნახევრამდე, მიმდინარეობდა ეროვნული ჩაგვრის ბორკილების მსხვრევის პროცესი, საფუძველი ეყრებოდა რუსეთის სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მეგობრულ კავშირს.

1917 წლის დეკემბერში გამოიცა დეკრეტები უკრაინის, ფინეთის და თურქეთის სომხეთის დამოუკიდებლობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთმა საქვეყნოდ აღიარა უკრაინის დამოუკიდებლობა, უკრაინის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ შექმნისთანავე გამოაცხადა რევოლუციურ რუსეთთან კავშირის პოლიტიკა.

პირველი პერიოდი დასრულდა რუსეთის ფედერაციის შექმნით და პირველი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებით, რომელმაც იურიდიულად განამტკიცა რუსეთის მრავალეროვანი სოციალისტური ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა.

ხალხთა თანამშრომლობისა და გაერთიანების მეორე პერიოდი 1918 წლის მეორე ნახევრიდან 1920 წლის ბოლომდე გრძელდება. ახალგაზრდა საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკებმა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ერთიანი ბლოკი, სამხედრო კავშირი შეკრეს.

საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დამყარებულმა სამხედრო პოლიტიკურმა კავშირმა გადამწყვეტი როლი შეასრულა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და შინაგანი კონტრრევოლუციის განადგურების საქმეში.

ხალხთა თანამშრომლობისა და გაერთიანების შემდგომ პერიოდში 1920 წლის ბოლოდან 1922 წლის პირველ ნახევრამდე, მას შემდეგ, რაც სამოქალაქო ომი ძირითადად წარმატებით დასრულდა და ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა პარტიის მოღვაწეობის მთავარი ამოცანა გახდა, საბჭოთა რესპუბლიკებს შორის უკვე არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს სამეურნეო კავშირი დაემატა.

1921 — 1922 წწ. ხალხთა შორის თანამშრომლობა სამეურნეო-პოლიტიკურ სფეროში დაფუძნებული იყო საბჭოთა რუსეთსა და ცალკეულ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის არსებულ მუშურ-გლეხურ ხელშეკრულებებზე.

სსრ კავშირის შექმნა შინაპოლიტიკური ხასიათის ფაქტორებთან ერთად განაპირობა საგარეო-პოლიტიკური ხასიათის ფაქტორებმა. საბჭოთა რესპუბლიკებს სოციალიზმის მშენებლობის დაწყება მოუხდათ კაპიტალისტური გარემოცვის რთულ ვითარებაში. იმპერიალისტური სახელმწიფოები და მათი დასაყრდენი ძალა ქვეყნის შიგნით — დამხობილი ექსპლოატატორული კლასები იმედოვნებდნენ, რომ ინტერვენციის ან დიპლომატიური ზეგავლენის გზით მოახდენდნენ კაპიტალიზმის რესტავრაციას საბჭოების ქვეყანაში. ასეთ რთულ ვითარებაში აუცილებელი იყო საბჭოთა რესპუბლიკების ღონისძიებათა გაერთიანება ქვეყნის თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის დარგში.

მაშასადამე, 1922 წლისათვის სავსებით იჩინეს თავი საშინაო და საგარეო ხასიათის ფაქტორებმა, რომლებმაც განაპირობეს ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა.

ველიკორუსული შოვინიზმისაკენ გადახრა პარტიას განსაკუთრებით მავნე და საშიშ მოვლენად მიაჩნდა, რადგან იგი ძირს უთხრიდა წინათ ჩაგრული ხალხების ნდობას რუსი ერისადმი. ველიკორუსული შოვინიზმის აღმოფხვრის შემთხვევაში არსებითად ბოლო მოეღებოდა ადგილობრივ ნაციონალიზმს ცალკეულ რესპუბლიკებში.

განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატული ფორმა ადგილობრივ ნაციონალიზმს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ჰქონდა, სადაც ნაციონალისტური პარტიების — მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკების რამდენიმე წლის ბატონობამ მძიმე შედეგები დატოვა ეროვნულ ურთიერთობათა სფეროში.

საბჭოთა ხელისუფლებას ამიერკავკასიაში უნდა შეექმნა ეროვნული მშვიდობიანობის ისეთი ორგანო, რომელიც შეძლებდა ეროვნული კონფლიქტების მოწესრიგებასა და ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფეროს აღდგენას. ეროვნული მშვიდობიანობის ასეთი ორგანო უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიის ფედერაცია, რომლის პროექტი პირადად ვ. ი. ლენინმა შეადგინა და რომელიც 1922 წ. მარტში შეიქმნა (ჩამოყალიბდა). ნაციონალ-უკლონისტებმა თავიდანვე გააფთრებული ბრძოლა გააჩაღეს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ.

ნაციონალ-უკლონიზმის იდეურმა განადგურებამ ხელი შეუწყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნას და განმტკიცებას.

ხალხთა თანამშრომლობისა და გაერთიანების დასკვნითი პერიოდი მოიცავს 1922 წლის მეორე ნახევარს, როცა ნაციონალური რესპუბლიკები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად გაერთიანდნენ. 1922 წლის 10 აგვისტოს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოყო კომისია ი. ბ. სტალინის მეთაურობით რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის რსფსრ, ბელორუსიის სსრ და

ამიერკავკასიის ფედერაციის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის მოსამზადებლად. ი. ბ. სტალინმა კომისიას განსახილველად წარუდგინა საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ თეზისების პროექტი. იგი ითვალისწინებდა უკრაინის, ბელორუსიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებას რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ რესპუბლიკასთან ავტონომიური რესპუბლიკების უფლებამოსილებით. რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სახელმწიფოებრივი ორგანოები მთელი ფედერაციის უმაღლეს ორგანოებად უნდა ყოფილიყო აღიარებული.

სექტემბრის ბოლოს ვ. ი. ლენინი, მიუხედავად ავადმყოფობისა, გულდასმით გაეცნო რკპ(ბ) ც. კ-ის კომისიის მუშაობის შედეგებს. 27 სექტემბრის წერილში პოლიტბიუროს წევრებისადმი ვ. ი. ლენინმა უარყო ავტონომიზაციის ფორმით რესპუბლიკების გაერთიანება და წამოაყენა თანასწორობის საფუძველზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის იდეა. „... ჩვენ ვცნობთ ჩვენს თავს — ნათქვამია აღნიშნულ წერილში, — თანასწორად უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან და სხვებთან და მათთან ერთად თანასწორი უფლებებით შევდივართ ახალ კავშირში, ახალ ფედერაციაში, ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში“.

1922 წლის 6 ოქტომბერს რკპ (ბ) ც. კ-ის პლენუმმა განიხილა და ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა რესპუბლიკების ერთ საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების პროექტი იმ შესწორებებით, რომლებიც მასში ვ. ი. ლენინმა შეიტანა. 1922 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებულმა საბჭოთა რესპუბლიკების საბჭოების ყრილობებმა ცხადყვეს, რომ ყველა რესპუბლიკის მუშები და გლეხები ერთსულოვნად იწონებდნენ სსრ კავშირის შექმნის ლენინურ იდეას და მოითხოვდნენ მის დაუყოვნებლივ განხორციელებას.

1922 წლის 23 — 27 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც ყველა საბჭოთა რესპუბლიკამ მოიწონა სსრ კავშირის შექმნის იდეა და მისი პრაქტიკული განხორციელება მოითხოვა, მოსკოვში შეიკრიბა საბჭოების სრულიად რუსეთის X ყრილობა.

ვ. ი. ლენინს განზრახული ჰქონდა ყრილობაზე გამოსვლა, სიტყვის კონსპექტიც შეადგინა, მაგრამ ავადმყოფობის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო ყრილობის მუშაობაში. სსრ კავშირის შექმნის საკითხი თავდაპირველად ყრილობის დღის წესრიგში შეტანილი არ იყო.

26 დეკემბერს საბჭოების ყრილობაზე მოხსენებით საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ გამოვიდა ი. ბ. სტალინი. უკრაინის, ბელორუსიის, ამიერკავკასიის წარმომადგენლები რესპუბლიკების მშრომელთა სახელით მიესალმნენ სსრ კავშირის შექმნას და ერთხმად დაუჭირეს მხარი ყრილობის დადგენილებას საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების შესახებ.

1922 წლის 30 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის საბჭოების პირველი ყრილობა. ვ. ი. ლენინი ავადმყოფობის გამო ყრილობას ვერ დაესწრო. საბჭოების ყრილობამ ვ. ი. ლენინი აირჩია საპატიო თავმჯდომარედ და გულთბილი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მას. ყრილობამ განიხილა ი. ბ. სტალინის მოხსენება სსრ კავშირის შექმნის შესახებ, დაამტკიცა დეკლარაცია და საკავშირო ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ, აირჩია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

დეკლარაციაში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს სსრ კავშირის — თანასწორუფლებიანი ხალხების ნებაყოფლობითი სახელმწიფოებრივი კავშირის — შექმნა. „ნება საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებისა, — ნათქვამია დეკლარაციაში, — რომლებიც ამ რამდენიმე ხნის წინათ შე-

აკრიბნენ თავიანთი საბჭოების ყრილობებზე და ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ". საიმედო თავდებია იმისა, რომ ეს კავშირი არის თანასწორუფლებიან ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომ თვითეულ რესპუბლიკას უზრუნველყოფილი აქვს უფლება — თავისუფლად გამოვიდეს კავშირიდან, რომ კავშირის კარი ღიაა ყველა, როგორც ამჟამად არსებული, ისე იმ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, რომლებიც მომავალში შეიქმნებიან".

საკავშირო ხელშეკრულება განსაზღვრავდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობას — მისი უმაღლესი ორგანოების — საბჭოების ყრილობისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახით, რესპუბლიკებისა და საკავშირო სახალხო კომისარიატების ურთიერთობას, აწესებდა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეთათვის ერთიან საკავშირო მოქალაქეობას, ერთიან სახელმწიფო დროშას, გერბსა და ბეჭედს; ხელშეკრულების დასკვნითს, 26-ე მუხლში ნათქვამი იყო, რომ თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა ინარჩუნებს კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებას.

სსრ კავშირის შექმნა კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის ბრწყინვალე ტრიუმფი და მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ინიციატორი ვ. ი. ლენინი იყო. ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა სსრ კავშირის შექმნის იდეა. იგი ავადმყოფობის მიუხედავად ყურადღებით ადევნებდა თვალს პარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისიის მუშაობას და დროულად ასწორებდა მის მიერ დაშვებულ შეცდომებს სსრ კავშირის შექმნის პროცესში.

ვ. ი. ლენინმა, რომელიც უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პარტიის ეროვნული პოლიტიკის სწორად გატარებას და საბჭოების ყრილობის მიერ მიღებული დეკლარაციისა და ხელშეკრულების პრაქტიკულ განხორციელებას, 1922 წლის 30 და 31 დეკემბერს უკარნახა წერილი „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის შესახებ".

ვ. ი. ლენინი აღნიშნულ წერილში ღრმა სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ავადმყოფობამ ხელი შეუშალა „საკმაოდ ენერგიულად და საკმაოდ მკვეთრად" ჩარეულიყო ყბადაღებულ საკითხში ავტონომიზაციის შესახებ, რომელსაც სრულიად არასწორ და უდროო წამოწყებად თვლიდა. ამავე დროს იგი აფრთხილებდა პარტიას — თავი დაეღწია ველიკორუსული შოვინიზმის საშიშროებისათვის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში „კავშირიდან გასვლის თავისუფლება", რითაც ჩვენ თავს ვიმართლებთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდება, რომელიც ვერ შეძლებს დაიცვას რუსეთის სხვატომელები იმ ჭეშმარიტად რუსი კაცის, ველიკორუსი შოვინისტის, არსებითად ნაძირალისა და მოძალადის თავდასხმისაგან, როგორიც არის ტიპიური რუსი ბიუროკრატი".

საქართველოს მაგალითზე ვ. ი. ლენინმა ცხადყო, რომ ადრე მჩაგვრელი ერის კომუნისტები არა მარტო უნდა აღიარებდნენ ერთა თანასწორუფლებიანობას, არამედ უნდა შესწევდეთ უნარი გამოიჩინონ მაქსიმალური დამთმობლობა და ლმობიერება წინათ ჩაგრული ერების მიმართ.

აკრიტიკებდა რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისიის მიერ საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანების პროცესში დაშვებულ შეცდომებს, ვ. ი. ლენინი წერდა: „ეფიქრობ, რომ აქ საბედისწერო როლი შეასრულეს სტალინის აჩქარებულობამ და ადმინისტრატორულმა გატაცებამ, აგრეთვე მისმა გაბოროტებამ ყბადაღებული „სოციალ-ნაციონალიზმის" წინააღმდეგ. საერთოდ, გაბოროტება ჩვეულებრივ მეტად ცუდ როლს ასრულებს პოლიტიკაში" [1].

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 690.

ვ. ი. ლენინის გენიალურმა წინასწარხედვამ და მისმა ბრძნულმა მითითებებმა შესაძლებლობა მისცეს პარტიას დროზე აღმოეფხვრა საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების პროცესში დაშვებული შეცდომები და შეექმნა მსოფლიო ისტორიაში ჯერ არნახული, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრანიტის საძირკველზე დაფუძნებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

*

* *

ორმოცმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა თანასწორუფლებიან ხალხთა ნებაყოფლობითი სახელმწიფოებრივი გაერთიანება — სსრ კავშირი. საბჭოთა კავშირის შექმნამ მოამზადა ყველა საჭირო პირობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, წინათ ჩაგრული ხალხების მოწინავე, სოციალისტურ ერებად გადაქცევისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის.

სოციალიზმის გამარჯვებასთან ერთად საბოლოოდ გაიმარჯვა ერთა თანასწორუფლებიანობის, მეგობრობისა და ძმობის საბჭოთა იდეოლოგიამ. საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი მეგობრობა, რომელმაც მრავალ განსაცდელს გაუძლო, საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მძლავრ მამოძრავებელ ძალად იქცა.

ურღვევი მეგობრობით შეკავშირებული ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი ხალხები ამჟამად წარმატებით ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახულ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად პროგრამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ჭიღაძე

სითამამე და გულწრფელობა

დღევანდელი დღე, მიუხედავად თავისი მკვეთრად გამოკვეთილი ტექნიკური პროგრესისა, უაღრესად პოეტურია. პოეტურ წარმოდგენებივით თამამი და უნაპიროა თანამედროვე ქიმიისა და ფიზიკის არაჩვეულებრივი მიღწევებიც. ფიზიკისა და ქიმიის მიერ „სასიცოცხლო ელექსირის“ ძიებამ დღეს ფილოსოფიური ელერა მიიღო და ამით თავის მკაფიოდ გავლებულ მიჯნას გადააბიჯა და ახალი მეტად საინტერესო სამყარო წამოაყენა. თანამედროვე ტექნიკის ერთ-ერთ ყველაზე დიდი მიღწევიდან—კოსმოსურ ხომალდ „აღმოსავლეთი 1“-დან იური გაგარინის მიერ გადმოცემულ რეპორტაჟში ასეთ პოეტურ ადგილებს ვხვდებით: «Вижу звезды через «Взор», как проходят звезды»... და ცოტა ხნის მერე: «Ушла звездочка. Уходит, уходит»... თანამედროვე ტექნიკის გამოცდის ამ მეტად საპასუხისმგებლო ჟამს კოსმონავტი ლექსებით ლაპარაკობდა, რადგან მისი სიამაყისა და სიხარულის გადმოცემა მხოლოდ ლექსს შეეძლო. ადამიანის სულის მარადი პოეტურობა მისი გაუტეხელი ბუნებისა და მომავლის რწმენის დამამტკიცებელია. ადამიანი რაც უფრო იშორებს პიროვნულ ნაჭუჭს, მით უფრო მიმზიდველი ხდება, რაც უფრო მაღალ მწვერვალებს აღეწვს, მით უფრო პოეტურია იგი. პოეზია სწორედ ადამიანთა შორის მჭიდრო კონტაქტის გრძნობას ეყრდნობა, რადგან იგი თავისთავად უდიდესი ნდობაა ერთი კაცისა მეორისადმი. ეს არის დიდი სიკეთე, რწმენა და თანაგრძნობა და დიდი ადამიანური გამარჯვება დუმილსა, ბოროტებასა და მარტოობაზე. პოეზია თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია და მსოფლიოს ყველა ხალხისათვის ერთნაირად გასაგები და მახლობელია შექსპირის, გოეთეს, რუსთაველისა და პუშკინის შემოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ ხალხებს ერთმანეთისაგან განსხვავებული, ისტორიულად ჩამოყალიბებული წარმოდგენები აქვთ ბუნებასა და ცხოვრებაზე, იმდენად განსხვავებულიც კი, რომ, მაგალითად, სკანდინავიელი ჯოჯოხეთს ყინულის ბუდედ წარმოიდგენს, სამხრეთელი კაცი კი — ცეცხლოვან ქვესკნელად, რომ ჩრდილოეთელი ზღვას „თეთრს“ უწოდებს, სამხრეთელი კი — „შავს“ ან „წითელს“, რომ არსებობს მკვეთრად განსხვავებული აღქმა ფერისა, ბგერისა და ფორმისა, რაც პოეზიის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს, მაინც ნამდვილი, ჭეშმარიტი პოეზია ყველასათვის ახლობელია, რადგან ის „ცხოვრების პოეზიას“ გამოხატავს და ადამიანურ ვნებებს, ტკივილსა თუ სიხარულს საკაცობრიო მნიშვნელობას ანიჭებს. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ლირიზმი, რასაც ხშირად ვერ ვამჩნევთ, როდესაც დაზგასთან ან ბრძმედთან ვდგავართ, როდესაც ლაბორატორიებში ცდებს ვატარებთ, ან როდესაც მიწას

ეხნავთ, სულში ხშირად უჩინარი ნაპარალებით ქონავს და ჩვენ თვითონვე ვერ ვგრძნობთ, ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემო ხდება, როგორ აპოეტურებს ჩვენს არსებას. ფრანსუა ვიიონი, უილიამ ბლეიკი, ტიუტჩევი, ბარათაშვილი, ფედერიკო გარსია ლორკა სწორედ ამ ფარული, თითქოსდა შეუმჩნეველი ლირიზმის ამეტყველებაა და ისინი ჩვენთვის მახლობელი იმიტომ არიან, რომ მათ ლექსებში ჩვენს საკუთარ, ჩვენგან გამოუთქმელ ვნებებს ვხვდებით. მათი პოეზია ეს ერთი განუწყვეტელი შვებით ამოსუნთქვაა და ისეთი ყველასათვის გასაგები მშვენიერება, როგორც ზღვაზე ჟზის ჩასვლა. პოეზია ის თიხაა, რომლიდანაც მომავალი თაობები თავიანთ ფიქრებსა და წარმოდგენებს ძერწავენ. პოეზია, როგორც ზღვა, ერთდროულად ასვენებს და შორეულ სივრცეებზე აფიქრებს კაცს. იგი ადამიანის ყველა სასიკეთო საქმიანობის სტიმულის მიმცემია და ხშირად ერთი შეხედვით მისგან ძალიან განსხვავებული გამოგონების საფუძველი. განა ვერონეზეს ლაქვარდებიდან, დანტეს, ლეონარდო და ვინჩის, ბახისა და პუშკინის გენიალურ შემოქმედებიდან არ აიდგა ფეხი კაცობრიობის ფიქრმა შორეულ ვარსკვლავებსა და კოსმიურ ფრენაზე? პოეზია თანამედროვეობის მიმართ ჰეიგერის მრიცხველივით მგრძნობიარეა და ზუსტად აღნიშნავს მის მთავარ განწყობილებასა და ხასიათს. თანამედროვეობის გრძნობა ჭეშმარიტი პოეზიის საფუძველია. ჩვენი ცხოვრების რიტმი განსაკუთრებით სწრაფია და უამრავი ახალი მოვლენა, ტექნიკისა და მეცნიერების ფანტასტიკური განვითარება ხშირად ჩვენს შეგნებაში არეკლასაც ვერ ასწრებს. მე, პირადად, არა მგონია, ვინმეს ჰქონდეს უფლება, ეს სიახლე და ცვლილება ვერ შეამჩნიოს. განსაკუთრებით კი ამის უფლება არა აქვს პოეტს, თუ, რა თქმა უნდა, სურს, რომ მოწინავე შემოქმედთა რიგებში იდგეს. ცხოვრება კი მართლაც ძალიან სწრაფად მიდის წინ. მახსოვს, მეორე თუ მესამე კლასში ერთ ასეთ ლექსს გვასწავლიდნენ:

„შეხე, დიტო, აგერ ავტო
თვალებს როგორ აბრიალებს,
შიგ რომ ხარი არ უბია,
ბორბლებს როგორ ატრიალებს?“

ამ ლექსს მაშინ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი ოდნავი გაკვირვებისა და აღტაცების ძალა. ახლა მეორე ან მესამე კლასელ მოწაფეს ასეთი ლექსი რომ წაუკითხო, გულიანად გაიცინებს. პატარა ბიჭები ახლა ხმით ანსხვავებენ „ვოლგასა“ და „მოსკვიჩს“. არიან პოეტები, რომლებიც საცოდავ დიტოს ისევ იმ ლექსებს უჩიჩინებენ. ასეთი პოეტები თანამედროვე ყოფისათვის დამახასიათებელი საგნებით ავსებენ ლექსს და ამით ცდილობენ მას დღევანდელი ელფერი შესძინონ. შეიძლება ლექსში არც კი ახსენო ტრაქტორი, ბრძმედი, ელსადგური ან რაკეტა და ლექსი მაინც უაღრესად თანამედროვე იყოს. შეიძლება ლექსი მეტად ინტიმური ხასიათისა იყოს და თანამედროვეობის სულს ბრწყინვალედ გამოხატავდეს. მთავარია პოეტის დამოკიდებულება ბუნების, ცხოვრებისა და ადამიანისადმი. პუშკინის ცნობილი ლექსი „მე თქვენ მიყვარდით“ თითქოს მხოლოდ სიყვარულის გამჟღავნებაა, მაგრამ ის გაჟღენთილია თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ჰაერით. შინაგანი თემის მნიშვნელობას, თუნდაც თავისთავად პოეტურობას არ შეუძლია ლექსი პოეზიად აქციოს. „მერანის“ თავისთავად გენიალური იდეა უბრალო ენითაც გადმოცემის დროსაც მნიშვნელოვანია, მაგრამ განა შეედრება იმ დიდებულ პოეტურ აზრს, იმ აზრის სიმფონიურ ჟღერას, რომელიც ჩანჩქერივით გადმოქუხს პოეტური სახეებიდან, რიტმიდან, სიტყვათა გამიზნულ მოძრაობიდან და იმ ამაღლებულ განწყობილებიდან, რომელიც მთელ ლექსს გასდევს? ზოგიერთი თანამედროვე პოეტის ლექსის ნარკვეული ხასიათი პირდაპირ ეწინააღმდეგება პოეზიის პრინციპებს. დიტო ბავშვია და ზრდილობიანი მოთმინებით უსმენს, მაგრამ საკვირველია ჩვენი კრიტიკა ზოგჯერ გულგრილობას რომ იჩენს ასეთი ლექსების მიმართ. შეიძლება იმიტომაც,

რომ ზოგიერთი კრიტიკოსი ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული პრინციპით სარგებლობს და სხვა არაფრის გაგონება არ სურს. მათ თავიანთი კრიტიკული წერილებით ზოგიერთ მწერალს ისეთი ხოტბა შეასხეს, რომ მათ ლიტერატურული ტაბუს ძალა შეიძინეს. ისინი ხელშეუხებნი არიან და მათი გაკრიტიკება დიდ ცოდვად ითვლება. კრიტიკოსები მათ, როგორც საკუთარ ბოსტანს, თავს დასტრიალებენ და ელოლიავებიან. მათი ყველა ნაწარმოები „ლიტერატურის მიღწევად" არის გამოცხადებული და კრიტიკოსები ვერ ამჩნევენ, რომ ბოსტანში ბევრი რამ უკვე გადამწიფდა და დაძველდა. ერთხელ დადგენილი ლიტერატურული იერარქიის დარღვევა მათ ეშინიათ და გამბედაობა არ ყოფნით, რომ ახალი სახელები თამამად ასხენონ. ეს იმიტომაც ხდება, რომ მათ სწორედ ის აკლიათ, რასაც ახალგაზრდა მწერლებს თავგამოდებით უჩიჩინებენ— ცხოვრების ცოდნა. ჩვენს პრესაში არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ კრიტიკოსს მწერალზე არანაკლებ მოეთხოვება იცოდეს ჩვენი ბობოქარი ცხოვრების ცენტრში და მას ყოველდღიურად სწავლობდეს. სახელები ისეთი ავტორიტეტებისა, როგორიც არიან ბელინსკი, დობროლიუბოვი, ჭავჭავაძე (ხშირად რომ იშველიებენ), სწორედ მათ წინააღმდეგ ლაპარაკობს. მცდარია აგრეთვე ზოგიერთი კრიტიკოსის მიერ ახალგაზრდა პოეტების ლექსების გარჩევის მეთოდი. ეს სიმცდარე გამოიხატება ახალგაზრდა პოეტის, ლექსებისა და პოეზიის დიდოსტატების შემოქმედების დაპირისპირებაში. როდესაც ახალგაზრდა პოეტს უპირისპირებ ა. წერეთელს, მაიაკოვსკის ან გ. ტაბიძეს, ამით, რა თქმა უნდა, თავიდანვე არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებ მას. როდესაც ჩვენ ყოველ წამს მიგვითითებენ დიდოსტატების შემოქმედებაზე, როგორც სანიმუშოზე, ამით ოდიდეს უნდობლობას გვიცხადებენ ოუ შენ ფიქრობ, რომ ახალგაზრდა პოეტმა არ იცის ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, პუშკინისა და ბლოკის შემოქმედება ოუ მათ თავის მასწავლებლებად არ გულისხმობს, მაშინ ჯობს მთლად გაჩუმდე და არაფერი არ თქვა მის ლექსებზე. პოეზიაში დაპირისპირების მეთოდი საერთოდ მიუღებელია. პუშკინის დიდებული პოეზია ჩრდილს კი არ აყენებს თუნდაც ანა ახმატოვას შესანიშნავ ლირიკას, არამედ ასხივოსნებს მას. კლასიკოსები კი არ თრგუნავენ მომდევნო პოეტებს, არამედ მაღლა სწევენ მათ. ესეც რომ არ იყოს, თვითეული ახალი, ჭეშმარიტი პოეტი ადამიანის სულის ახალ რეგისტრში თრთოლვაა და როგორც ბრუმელის ნახტომი ზრდის საერთოდ ადამიანის შესაძლებლობებს, ისიც გვამდიდრებს და ფრთებს გვასხამს. პოეზიის ევოლუცია ერთიანი მძლავრი დინებაა და პოეტების მიერ ერთმანეთის მხარდაჭერა. ბარათაშვილის პოეზია არა მარტო იმით არის მნიშვნელოვანი, რომ თვითონ არის ბრწყინვალე პოეტური ფაქტი, არამედ იმითაც, რომ ამ ქვეყნად არსებობენ გურამიშვილი და პეტრარკა, კიტცი და ლერმონტოვი. და სწორედ ის, რაც მე ასე ძალიან მომწონს ჩემი მეგობრების — ქართველი და რუსი, უკრაინელი და ლატვიელი, სომეხი და ესტონელი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში, არის მაღალი პოეზიის პრინციპებისათვის ბრძოლა. ქართველი ახალგაზრდა პოეტები თავისი შემოქმედებით ჩვენი დიდი ქართული საბჭოთა ლიტერატურის მემკვიდრენი არიან და ამავე დროს ეყრდნობიან ჩვენი კლასიკური მწერლობის მდიდარ ტრადიციებს. თავისი ლიტერატურული საქმიანობით ახალგაზრდა ქართველი მწერლები მჭიდროდ უკავშირდებიან უფროსი თაობის მწერლებს და დღევანდელ ქართულ მწერლობას საერთო საქმედ გულისხმობენ. მე ტერმინს თაობას პირობითად ვხმარობ, რადგან, ჩემი აზრით, საერთოდ არსებობს მხოლოდ ერთი თაობა — თაობა ნამდვილი მწერლებისა, რომლებიც ასაკს კი არ აძლევენ მნიშვნელობას, არამედ შემოქმედებით მანერასა და სტილს. ანა

კალანდაძის, არჩილ სულაკაურის, მუხრან მაჭავარიანის, ოთარ ჭილაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედება გაგრძელებაა ქართული პოეზიის სახელოვანი გზისა. ისინი ღირსეული მემკვიდრენი არიან ჩვენი შესანიშნავი პოეტებისა. მე მახსოვს, როგორი სიყვარულითა და აღტაცებით ლაპარაკობდნენ უკრაინელი ახალგაზრდა პოეტები ტიჩინასა და ბაჟანზე; ვიცი ჩემი მეგობრები, რუსი ახალგაზრდა პოეტები რა დიდ პატივს სცემენ ტიხონოვს, პასტერნაკს, ზაბოლოცკისა და ტვარდოვსკის. მახსოვს საღამო სიგულდის ტყეში, სადაც ლატვიელი ახალგაზრდა პოეტები მიკითხავდნენ რაინისის, სუდრაბკალისა და მირძა კემპეს ლექსებს. მე ვიცი, რომ ისინი წმინდად შეინახავენ ჩვენი ლიტერატურის მაღალ ტრადიციებს და არასოდეს არ წავლენ ხალტურისა და ყალბი პოეტურობის გზით, რომელსაც ცნობილი რუსი რეჟისორი მეიერხოლდი მოსწრებულად „მაყურებლის თანაგრძნობის სენტიმენტალურ ექსპლოატაციას" უწოდებდა. ახალგაზრდა პოეტები თავიანთი სიჭაბუკის გამო არავითარ დათმობას არ მოითხოვენ, რადგან როგორც ძალიან ზუსტად თქვა ევგენი ვინოკუროვმა: „ცუდია, თუ სამოცი წლის პოეტი ახალგაზრდა არ არის და ოცი წლისა კი — ბრძენი. ახალგაზრდობა არ შეიძლება იყოს მხოლოდ ასაკის პრივილეგიაო". მათ შემოქმედებას სითამამე ახლავს თან და ახლის დაუცხრომელი ძიებითაა გამსჭვალული. ამბობენ, რომ მაიაკოვსკი ცხოვრებაში თურმე მორიდებული და მორცხვი ყოფილა. მაგრამ როდესაც საქმე ეხებოდა პოეზიას, როდესაც ის ტრიბუნაზე ადიოდა, ის იყო ამაყი და პირდაპირი. როგორც გრანიტის სვეტი, რომელზედაც გემებს აბამენ. თუ ლექსებს მართლაც გასართობად ან წუთიერი ეფექტების გულისთვის არ წერ, უნდა იცოდე, რომ პოეზია მრისხანე იარაღია ბოროტებისა და სიბნელის წინააღმდეგ. ვინც შუასაუკუნეების სქოლასტიკასა და უგუნურობას ებრძოდა, მის გზაზე დანტესა და რუსთაველის პოემები ნიშანსვეტებად ენთო. განა პუშკინმა თავისი [illegible] ის ზარბაზნები არ ამოქოლა [illegible] მარსის მინდვრებზე დეკაბრისტებს ხვრეტდნენ? ერთმა ახალგაზრდა ფრანგმა პოეტმა თქვა, რომ „პოეზია წინააღმდეგობის ხაზიაო". სწორედ ჩვენი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედება, ოფროსი თაობის მსგავსად, უნდა იქცეს წინააღმდეგობის ხაზად კოლონიალიზმის, ომისა და სიბნელის წინააღმდეგ. ანა კალანდაძის, ბელა ახმადულინას, იუნა მორიცის, ევგენი ევტუშენკოს, ივან დრაჩის, ვიტალი კოროტიჩის, მიკოლა ვინგრანოვსკის, ოიარ ვაციეტისის, ოთარ ჭილაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედება გამსჭვალულია რა ამ მაღალი ჰუმანიზმით, ამავე დროს ფორმისა და გამომსახველობითი საშუალებების სითამამით გამოირჩევა. როდესაც მათ ლექსებს ვკითხულობ, მახსენდება ილია სელვინსკის სტრიქონები:

Он поет, как птица, но при этом
Слышит, как скрипит Земная Ось.

ეს არის შეგნებული, გამიზნული პოეზია, რომლის მთავარი ძალა მიმართულია ჰუმანიზმის, სიკეთისა და მეგობრობის დასამკვიდრებლად. ისინი თამამად არღვევენ დაკანონებულ პოეტურ ფორმებს და თავიანთი სულის მოლოდინებას ახალ ფორმაში ავლენენ. პოეზია, ხელოვნების მსგავსად, სტანდარტირებას ვერ იტანს და ჯერ არავის არ განუსაზღვრავს, თუ რა არის ლექსი. ქართველი ბუალო—მამუკა ბარათაშვილი პოეზიის დანიშნულებად სიუჟეტიანი ამბების გალექსვას მიიჩნევდა. ეს რომ კანონად ქცეულიყო, მაშინ პოეზიის სფეროში ვერ მოხვდებოდა ბესიკის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის ბრწყინვალე ლირიკული შედევრები. პოეზია ადამიანის ბუნებასავით მრავალმხრივია და უნაპირო. უფრო შორს წავალ და ვიტყვი, რომ, ჩემი აზრით, ჰაჯი მურატის გაქცევის სცენაც ნამდვილი პოეზიაა. პოეზიის მიჯნების დადგენა თითქმის შეუძლებელია და ყოველ-

თვის ის პოეტი აღწევს ნამდვილ გამარჯვებას, რომელიც თამამად ვძებს ახალს და მანამდე არსებულ პოეტურ ნორმებს ფეტიშად არ იხდის. შესანიშნავი ამერიკელი დირიჟორი ლეოპოლდ სტოკოვსკი თავის წიგნში „მუსიკა ყველასთვის“ წერს: „ჩვენ გვახსოვს ცნობილი ეპიზოდი ბეთხოვენის ცხოვრებიდან, როცა მისმა ერთერთმა მეგობარმა ყურადღება მიაქცია პარალელურ კვინტებს მის სიმფონიაში. „მერე რა მოხდა?“ — ჰკითხა ბეთხოვენმა. „კი მაგრამ ეს ხომ აკრძალულია“!—უპასუხა მეგობარმა. „მე ვაძლევ მათ არსებობის უფლებას!“ — იყვირა გაბრაზებულმა ბეთხოვენმა“.

სითამამე და გულწრფელობა ნამდვილი ტალანტის დამახასიათებელი თვისებებია. ამას წინათ „ლიტერატურნაია გაზეტაში“ დაბეჭდილი უკრაინელი ახალგაზრდა პოეტის ივან დრაჩის ძალიან კარგი ლექსი „ბალადა მზესუმზირაზე“ ერთ-ერთ ამის დამამტკიცებელ მაგალითად მიმაჩნია. ველოსიპედზე მჯდარი, წითელ ხალათიანი მზე, მისი სუნთქვა და გულისცემა მთელ ლექსს ცხადსა და ნათელ პერსპექტივიანს ხდის. ეს ლექსი, მიუხედავად თავისი მეტად თანამედროვე მეტაფორული აზროვნებისა, სრულიად არ არის ამოვარდნილი უკრაინული პოეზიის მძლავრი დინებიდან. ლექსი თავისი უახლესი ფორმით და ამავე დროს მეტად გასაგები წარმოდგენებით ეხმაურება ახალგაზრდა უკრაინელი კომპოზიტორის ლეონიდ გრაბოვსკის შესანიშნავ ნაწარმოებს „ნანას“, რომელშიაც უკრაინის მზიანი ტრამალების, მზესუმზირის ყანებისა და დნეპრის გუგუნის თონზე ხალხის უკვდავების თემა ჟღერს.

ახალგაზრდა პოეტების შემოქმედება გამოირჩევა მაღალი ტექნიკითაც. მათ იციან, რომ პოეტური სიტყვა ისევე განსხვავდება ჩვეულებრივი, საგნის აღმნიშვნელი სიტყვისაგან, როგორც ალგებრაში რაციონალური რიცხვი განსხვავდება ნატურალური რიცხვისაგან. რაციონალური რიცხვების მსგავსად, პოეტურ სიტყვებს თავიანთი მკვეთრად ნიშნული დადებითი ან უარყოფითი ნიშნები ახლავთ და ისინი ან ამტკიცებენ რაიმეს, ან უარყოფენ, ან იცინიან, ან დუმან. და სწორედ მაშინ, როცა სიტყვა შეიძენს ფერის ელვარებას, მუსიკალური ბგერის ჟღერას და ამავე დროს თვითონაც დამოუკიდებელ მხატვრულ სახედ იქცევა, როცა პოეტის ხელი პოეტურ გამებზე ვარჯიშით გაიწაფება. შენს სათქმელსა და აზრს სკულპტურული ფორმის სრულყოფა ენიჭება. პოეზიაც ისეთივე ხელოვნებაა, სადაც შრომის კვალი შრომითვე იშლება. როცა კითხულობ რუსთაველის მდინარესავით თავისუფლად მომდინარე პოემას, ან პუშკინის ქარივით ლაღ ლექსებს, გგონია, რომ ისინიც ისევე თავისთავად, სტიქიურად გაჩდნენ ამ ქვეყნად, როგორც მდინარე და ქარი.

თუ ჩვენი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებას მთლიანად გავიაზრებთ, დავინახავთ, რომ მათი შემოქმედების ლეიტმოტივი ცხოვრებაში ადამიანის აქტიური ჩარევაა. მათი პოეზია მიმართულია გულგრილობის, მეშჩანობისა და ობივატელობის წინააღმდეგ და ბოლო წლების ჩვენი ცხოვრების მთავარ განწყობილებას — სიკეთესა და ადამიანისადმი შეუნელებელ ყურადღებას გადმოსცემს. თანამედროვე ადამიანი თავისი რთული ფსიქიკითა და ცხოვრებით, თავისი სიხარულითა და ტკივილით, თავისი შეუკავებელი სწრაფვით მშვიდობისაკენ და უკეთესი მერმისისაკენ — აი მათი ლექსების ლირიკული გმირი. არჩევდე ავსა და კარგს, ცხოვრობდე შენი ხალხის დიდი ცხოვრებით, გიყვარდეს და გწამდეს ადამიანი, გესმოდეს მისი სიძლიერეც და წამიერი სისუსტეც — აი, ის ძირითადი ხაზი, რომელსაც ჩვენი ახალგაზრდა პოეტები მიჰყვებიან.

თამაზ ჭილაძე

სითამამე და გულწრფელობა

ოზია პაჭკორია

„შუადღის“ ილუზიები

არსებობს სქემები, არსებობს ჰედონისტური სიკეთე, ბოროტება, სიყვარული... არსებობს დამუშავებული ტექნიკა, რომანის, მოთხრობის, ნოველის სტრუქტურა და კიდევ არსებობს ერთი დიდი მხატვრის ხუმრობა — რა საჭიროა პალიტრა, უმჯობესი იქნებოდა იყიდებოდეს ქილები საღებავით: „სახის ფერი“, „მუნდირის ფერი“, „თვალების ფერი“.

ჩვენი მწერლების შემოქმედებითი ლაბორატორია ხშირად დალაგებულ და დაყოფილ ლიტერატურულ ჰეშმარიტებათა ლაბორატორიის შთაბეჭდილებას სტოვებს, რაც, რასაკვირველია, ცოდნაა, მაგრამ არის თუ არა ნამდვილი მწერლობა, ძნელი სათქმელია.

თანამედროვე პროზის პრინციპები ექსპერიმენტების წყაროდ იქცა და დაგვაფიქრა, ისე წერა, როგორც ვწერდით არ შეიძლება, საჭიროა ახალი ფორმები და ასეთი ფორმები არსებობს. არსებობს ასოციაციები, კონტრაპუნქტი, რეტროსპექტული პროზა. შესაძლოა, ჩვენი პროზის ხასიათი და პრობლემატიკა სხვაა, მაგრამ ვცადოთ ამ პრობლემების მზა სქემებში ჩატევა; ჩვენ განსხვავებული მგრძნობელობა გვაქვს, ვცადოთ მისი ახლებურად გამოხატვა, შევქმნათ ახალი თვისობრიობა. ესაა ქართული პროზის სიახლის საფუძველი, რამაც ბევრი საინტერესო და კარგი შედეგი გამოიღო, ბევრჯერ მხოლოდ ილუზიები შექმნა.

რომანი და მოთხრობა ხშირად აღარაა მონუმენტური, იგი სულიერი მოტივების სიუხვითა და შემადგენელი ნაწილების ფსიქოლოგიური დატვირთვით ავსებს კომპოზიციის, აზრობრივის, საგნისა თუ მოვლენის დაშლითა და დანაწევრებით გამოწვეულ ხარვეზს და ასეთი დაშლა ნებისმიერ ცდებს როდი ნიშნავს, იგი გამართლებულია მაშინ, როცა ერთი მთავარი, ძირითადი თვისების ან ხასიათის გამომზეურებას ემსახურება, როცა არ იკარგება აზრობრივი ფენომენი. შესაძლოა მასშტაბები იცვლებოდეს, მცირდებოდეს კიდეც, მაგრამ არ მცირდება ნაწარმოების ესთეტიკური და შემეცნებითი ღირებულება.

ჩვენ თანამედროვე ქართულ პროზას არ აღვიქვამთ, როგორც მაღალ კვარცხლბეკზე შემდგარ ძეგლს. იგი ჩვენს შორის იმყოფება, მანძილი (კონტაქტი) მკითხველსა და პროზას შორის უაღრესად შემცირდა. ჩვენ ამ პროზის ენით ვმეტყველებთ და ვაზროვნებთ (ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს). მისი რიტმითა და ინტონაციით ვცხოვრობთ და, ამდენად, შესაძლოა ცოტა მკაცრნიც ვიყოთ მისი შეფასებისას, რადგან იგი

ჩვენი იმედების, სურვილების, სულიერი სამყაროს გამომხატველი პროზაა.

მას, რასაც ჩვენ ჯერჯერობით პიროობითად თვისობრივად ახალი პროზის შექმნის ცდას ვუწოდებთ, თავისი დავა, უარყოფა და მტკიცება მოჰყვა; ჩვენ შეგვაშფოთა სუბიექტის, მე-ს უპირატესობამ, მასში ეგოცენტრიზმის და ობიექტური ასახვის უარყოფის საშიშროება შევნიშნეთ, დაგვაბნია ჩვეული, დეკლარაციული განცხადებების უარყოფამ, რაშიც დაწვრილმანება, ფილოსოფიური და სოციალური პრობლემების უარყოფა დავინახეთ.

ჩვენი უფროსი თაობის მწერლობასა და ჩვენს შორის ჩადგა დროის ხანგრძლივი მონაკვეთი — სქემატური ლიტერატურის აყვავების ხანა, როცა მნიშვნელოვანს მნიშვნელოვანი იარლიყი უნდა ჰქონოდა, მასშტაბს ოფიციალური ეტიკეტი განსაზღვრავდა და ა. შ.; ყველაფერი, რაც ამ გაბატონებულ სქემატურ შეხედულებებს არღვევდა, ხელაღებით გვსურდა უარგვეყო, რის გამოც ხელოვნურად და უმიზეზოდ დავუპირისპირეთ ერთმანეთს თაობები, თვისობრივი სიახლეების ძიება პრინციპულ საფუძვლების რღვევად მივიჩნიეთ და, გარდა ამისა, ჯერ კიდევ ვერასგზით ვერ გადავეჩვიეთ ლიტერატურის ლინეისებური ცხრილებით დალაგებას.

ახალგაზრდა მწერლებმა თვითშემეცნებისა და თვითგამოხატვის რთული გზა აირჩიეს, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ადამიანის ფსიქიკითა და შინაგანი სამყაროთი განსაკუთრებული დაინტერესება. ეს, რასაკვირველია, უპრეცენდენტო მოვლენა არაა, უფრო რესტავრირებული მორალური და ფსიქოლოგიური ვითარებებია და ეს იყო ერთადერთი გზა, რომელიც უპირისპირდებოდა სქემატურსა და ცალმხრივ გამიზნულ ლიტერატურას.

შეიძლება თუ არა თვისობრივი სიახლეების ძიებას ლიტერატურული პროცესის (ნოვატორობის) კვალიფიკაცია მივცეთ? შეიძლება. ახალი, განსხვავებული მგრძნობელობის თავისებურად, ახლებურად გამოხატვის სურვილი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტია. მაგრამ ნუ დავივიწყებთ ეროვნული ნოვატორობა აზრობრივი [illegible] და ახალი „ძველი მასალის ახლებური შეკავშირება კი არაა, ახალი — ახალ მასალას ნიშნავს“.

თანამედროვე ქართულ პროზაში ბევრია ექსპერიმენტი. დამახასიათებელია ერთი — წინა პლანზე წამოწეული ტექნიკური ძიებები. პროზის ტექნიკა ფარული ტექნიკაა. როცა ნაწარმოებში ტექნიკური ძიებები ნათელია, მაშინ ყველაფერს სტრუქტურული სქემა ჰფარავს. ჩვენ არ უნდა ვუფრთხოდეთ ექსპერიმენტებს, მაგრამ უნდა ვუფრთხოდეთ ერთ ვითარებას: ჩვენი პროზა, ზოგი ექსპერიმენტის წყალობით, შეიძლება ალქიმიური ქვის ძიებად გადაიქცეს, მით უმეტეს მაშინ, თუ ჩვენი ექსპერიმენტების მასალად ილუზიებს, ლიტერატურულ გავლენებს, თვითგამოხატვის თვითმიზნად გადაქცევას და ზოგჯერ ეკლექტიზმსაც კი ავირჩევთ.

ჩვენ ვეთანხმებით ზოგ ახალგაზრდა კრიტიკოსს, როცა იგი მთელ რიგ აღდგენილ ვითარებას ახალი მასალის მნიშვნელობას ანიჭებს; დღეს, ჩვენი პროზის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, აღდგენილს, — უფრო სწორად, გაღრმავებულსა და განახლებულს — ახლის მნიშვნელობა ეძლევა. ვეთანხმებით, როცა წერენ ჰუმანიზმზე (ჩვეულებრივ ჰუმანიზმზე, რომელიც განყენებული ცნება კი აღარაა, არამედ რეალური, დამახასიათებელი თვისება), როცა აღნიშნავენ ხასიათებისა და სტილის სხვაობას და ა. შ. მაგრამ ახლა, როცა იწყება ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდის შემოქმედებითი გზა, საჭიროა მეგობრული, მიუკერძებელი და მკაცრი აზრის გამოთქმა.

შესაძლოა ჩვენი თაობა გარდამავალი ლიტერატურული თაობაც კი იყოს, რომელიც ახალ გამომხატველობითს ფორ-

---

ოტია პაჭკორია
„შუადღის ილუზიები“

მებსა და თვისობრიობას ეძებს, მისი როლი ძნელი და ნაკლებ ეფექტურიც იყოს, რადგან იგი ამზადებს ნიადაგს და ჩვენ მოგვიხდეს ზოგი პროცესის დაცვა იმდენად, რამდენადაც მასში პერსპექტიული ზრდის შესაძლებლობას ვხედავდეთ, მაშინ, მით უმეტეს, გულახდილად უნდა გამოითქვას აზრი, რადგან ხშირად „ახალი პროზის“ თეორიული აღიარება ჰქმნის ერთგვარ საფარველს, რომლის მიღმაც იქმნება ლიტერატურული ილუზიები, როცა „ბანალობის შიში გვავიწყებს უბრალოებას“, როცა ზოგადად ვიცით, რა პრინციპებით იწერება თანამედროვე პროზა, მაგრამ ამ ცოდნასთან ორგანული ემოციური კონტაქტი არა გვაქვს. საჭიროა მსჯელობა ისეთ „წვრილმანებზეც“, როგორიცაა ინტელექტი, ინტონაცია, ენერგია, ასოციაციები, „ცალკეული სხეულების სხვადასხვა სულიერი მოტივებით დატვირთვა“, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც მონუმენტურს თუ არა, ჭეშმარიტ ლიტერატურულ ღირებულებას მაინც ქმნის.

•

სტენდალი წერდა, რომ სულ სხვაა ლიტერატურული ნაწარმოები წარმოსახვაში და სულ სხვაა დაწერილი. დაწერილი გაცილებით მეტია, ვიდრე ჩაფიქრებული.

ჩვენ უკუპროცესსაც ვხვდებით და მსჯელობასაც ამით დავიწყებთ.

ხშირად გრძნობთ, რომ ავტორს რთული და მნიშვნელოვანი ჩაუფიქრებია. მას აქვს გარკვეული შეხედულებები, სურვილები, რომლებიც, თეზისებად ჩამოყალიბებული, საინტერესოა; მათში ფაქტის ცოდნაცაა, აზრიც, განწყობაც, შესაძლოა ზოგჯერ ეს ცოდნა მწიგნობრულია, მაგრამ იგი მაინც ლიტერატურული ძიებაა, რომლის საფუძველიც თვითგამოხატვისა და ობიექტური ასახვის დიდი სურვილია; მაგრამ დაწერს და მხატვრულად განხორციელებული ჩანაფიქრი უმნიშვნელო ხდება. ვფიქრობთ, რომ მკითხველს არაერთგზის გასჩენია სწორედ ამ უმნიშვნელობის გრძნობა, როცა პრობლემა, ფსიქოლოგიური წიაღსვლები, რომელიმე დეტალი მოულოდნელად ცვნდება, პატარავდება და ბუნდოვანდება, იცვლის ხასიათს და გაცრუებული იმედივითაა. უნდა ითქვას, მსგავსი მოვლენა სიმპტომატურია, მაგრამ ამ მოულოდნელი უმნიშვნელობის მიზეზთა პოვნა უაღრესად ძნელია; შესაძლოა ამის ძირითადი მიზეზი ენერგია, უფრო სწორად, უენერგიობა იყოს, და აქ ბევრს ვერაფერს იტყვი, მაგრამ ენერგიაში იგულისხმება ზოგი ისეთი ვითარებაც, რომელზე მსჯელობაც შესაძლებელია: ინტონაცია, ტონი, ლექსიკური მასალის შერჩევა ქმნის ენერგიის გრძნობას.

თამაზ ჭილაძე მოთხრობაში „გასეირნება პონის ეტლით“ აღწერს მარმარილოს სპილოების ქარავანს კამოდზე, „სპილოების გვერდზე სილის საათია, რომელიც უკვე აღარავის სჭირდება“.

მკითხველს შეუძლია მთელი რიგი ემოციური და აზრობრივი დასკვნები გააკეთოს; ყოველ ჩვენთაგანს უნახავს მსგავსი სპილოებისა თუ აქლემების ქარავანი კამოდსა ან როიალზე. თავისთავად ისინი მოძრაობას, ადამიანში მარად ცოცხალ სწრაფვას გამოხატავენ. ეს მოძრაობის სიმბოლოა, მაგრამ ასეთი სიმბოლო კამოდის თავზე სრულიად საწინააღმდეგო რეაქციას იწვევს: უმოძრაობის, ობივატელობის შთაბეჭდილებას ქმნის; აქ მეშჩანური ყოფის ტრაგედიაა, სურვილისა და ყოფის შეუსაბამობა, და იგი იმდენადაცაა საინტერესო, რამდენადაც მოთხრობა მეშჩანობის წინააღმდეგაა გამიზნული. შესაძლოა ასეთი ასოციაცია სუბიექტურიც იყოს, მაგრამ მკითხველს ყოველთვის სურს ამოიკითხოს ქვეტექსტი, დეტალი ქვეტექსტითაა, და უცებ სულ ერთი სიტყვა ან ფრაზა მთლიანად ცვლის მოყვანილი ადგილის ინტონაციასა და, მასთან ერთად, მის მნიშვნელობასაც.

ავტორს უწერია: „დიდი სპილო იცინის, რადგან მისთვის ყველაფერი

სულერთია... — ჰა, ჰა, ჰა, — იცინის პატარაც, ის ცოტა თავხედია და თავის ტანთან შედარებით ზედმეტ სითამამეს იჩენს. დიდი სპილო გულში ბრაზობს, მაგრამ დასატუქსავად არ სცალია და განა აქვს რაიმე მნიშვნელობა, დატუქსავ თუ არა პატარა, თავხედ სპილოს?...“

სიტყვები: იცინის, თავხედი, პატარა და დატუქსვა ცვლის, აკნინებს და უმნიშვნელოს ხდის ინტონაციასაც და აზრსაც, და მკითხველი აღარ ფიქრობს არც მეშჩანობის ტრაგედიაზე, არც ადამიანის ოცნებებზე; და ეს მხოლოდ და მხოლოდ „დატუქსული, პატარა და თავხედი სპილოს“ გამოისობით, რომელსაც სურს წინამდგომ, მამაშვილურად მომთმენ და სენტიმენტალურ დიდ სპილოს გაუსწროს. რეგისტრი იცვლება, დეტალი კამერულ ხასიათს იღებს და მკითხველს ავიწყდება ისიც, რომ ქარავანში პატარა სპილო არ არსებობს. დიდი და პატარა აქ უბრალო პერსპექტივაა, რომელიც სივრცისა და მოძრაობის ილუზიას ქმნის, ხოლო როგორც ბრძენი და დიდი, ისე პატარა და თავხედი სპილოები ერთი სიდიდისანი არიან და ზანტად იძვრიან მეშჩანობისა და უმოძრაობის უდაბნოში.

ეპიზოდი მთავრდება ფრაზით — „თეთრ სპილოებს ბედნიერება მოაქვთ ოჯახისათვის (!)“. აქ ახალი ასპექტი ჩნდება. ამ ცნობილ გამოთქმას ლეგენდის, იმედისა და ოცნების ტონი აქვს, ოღონდ „ოჯახისათვის“ ზედმეტია; დაკონკრეტება კვლავ ცვლის ინტონაციას,— თეთრ სპილოებს ბედნიერება მოაქვთ საერთოდ, ასეთია თქმულება სპილოებზე; ჭილაძის სპილოები მსჯელობენ — „რა გულუბრყვილოა კაცი, განა შეიძლება ასეთ პატარა სპილოებს დააკისრო ამხელა მოვალეობა?“. პატარა სპილოებს, რასაკვირველია, ვერ დააკისრებ „ამხელა მოვალეობას“, სპილოების ქარავანს — სიმბოლოს ლეგენდა მოაქვთ, მათი მოვალეობა მნიშვნელოვანია; აქ არასწორი აზრობრივი აქცენტი უნდა იყოს, რაც თავის მხრივ იმავე „უმნიშვნელობას“ იწვევს.

შესაძლოა მოყვანილი მაგალითი ერთი შეხედვით წვრილმანად მოგვეჩვენოს, მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებში წვრილმანი არ არსებობს, მით უმეტეს ისეთ ნაწარმოებში, რომელიც დეტალიზაციის პრინციპზეა აგებული; ყოველ წვრილმანს ფსიქოლოგიური ფუნქცია აქვს და ყოველი სცენა მოთხრობის იდეის შეკუმშული განმეორებაა. უნდა ითქვას, ავტორი ამ ეპიზოდშიც აღწევს მთელი მოთხრობის დედააზრის თავმოყრას, მაგრამ მცდარი ტონი და აზრობრივი აქცენტი მძაფრად ცვლის ინტონაციასა და მნიშვნელობას.

*

მოთხრობაში „გასეირნება პონის ეტლით“ არის ერთი პერსონაჟი, რომელიც აქტიურად ერევა მოთხრობის მსვლელობაში, და ჩვენ განსაკუთრებით შევჩერდებით მასზე, რადგან იგი ავტორის ინტელექტუალური თვისებების გამომხატველია.

მკითხველისათვის ადვილი დასადგენი როდია, რა დანიშნულება აქვს არაკს ღმერთის მონაწილეობით, რა ასპექტში უნდა აღიქვას იგი: ფილოსოფიის, სატირისა თუ, უბრალოდ, ათეიზმის.

უნდა ვივარაუდოთ, რომ არაკი ერთგვარი ფსიქოლოგიური და აზრობრივი ექსპერიმენტია, რომელმაც მოთხრობის ტონზე გარკვეული გავლენა უნდა მოახდინოს, შეცვალოს მისი ინტონაცია, გაზარდოს მასშტაბი.

რა დანიშნულებაც არ უნდა ჰქონდეს ღმერთს, მოთხრობის ამ ნაწილსაც მცდარი ინტონაცია აქვს. იგი დაწერილია სისადავის, გაუბრალოების სურვილით, ამავე დროს კი ბუნდოვანია, გაუგებარი.

ეფელი თავის სერიაში „სამყაროს შექმნა“, მიუხედავად უარყოფისა, მაინც ინარჩუნებს მითის ინტონაციას, რაც სრულებითაც არ არბილებს სატირას.

თამაზ ჭილაძის მოთხრობის ღმერთი ეფელის ღმერთს წააგავს, მაგრამ საქმე მხოლოდ ღმერთში როდია; თვით არაკის

ოტია პაჭკორია
„შუადღის ილუზიები“

ტონი არ უნდა იყოს სწორი, არაკი ასოციაციურ მონაკვეთებად ჩაერთვის მოთხრობის ერთ-ერთ დრამატულ ადგილს და მოულოდნელად განტვირთავს დრამატულ განწყობას.

საქმე ის კი არ არის, რომ ღმერთი აქ შეუცნობისა და ტრაგიკულის როლში უნდა მოგვევლინოს ან რაიმე მისტიკურ ბინდს ქმნიდეს. ღმერთი-პერსონაჟი ახალი არაა, მისი პერსონაჟად გადაქცევა სათანადო ინტელექტუალურ სირთულეს მოითხოვს. რა პოზიციიდანაც არ უნდა მივუდგეთ მას — თუნდაც უკიდურესი ათეიზმის, თემას თავისი დამახასიათებელი, ბიბლიური კილო აქვს (მით უმეტეს, თუ თემატურადაც ვიმეორებთ ბიბლიას) და მისი მოდერნიზება აქცენტის შეცვლაში კი არ მდგომარეობს, არამედ აზრობრივ — მსოფლმხედველობით სფეროს განეკუთვნება.

ვოლფგანგ ბორჰერტის ღმერთი ტრაგიკული ფიგურაა. მას არაფერი აქვს საერთო არც ბიბლიასთან და არც რელიგიასთან (თემატურადაც და გარეგნობითაც). იგი ადამიანის სულიერი განწყობილების განსხეულებაა, გაძარცვულია, მიუსაფარი და უსუსური. ბორჰერტის ღმერთი არც სამყაროს შემქმნელია და არც რაიმე ცნებაა. იგი დამხობილი კერპია, უაღრესად დაქუცმაცებული, ნერვიული რეალობის შედეგი, რომელიც ნანგრევებში საკუთარ თავს დაეძებს, და ტრაგიკულია, რადგან მომაკვდავია. მისი ფუნქცია ბორჰერტის პიესაში ინტელექტუალურია. თამაზ ჭილაძის ღმერთი ინტონაციურია. იგი სიზმრისა და ლეგენდის გარსში რჩება და ამავე დროს დაკნინებულია, მას აკლია ის, რამაც მაღალი ინტონაცია უნდა შექმნას.

ღმერთი კვლავ ბრუნდება, ამჯერად უკვე ახალ მოთხრობაში — „შუადღე". ბრუნდება სმოკინგში შემოსილი, მათემატიკასა და ფიზიკაში განსწავლული, რულეტების სახლის მეპატრონის მსგავსი, შემკრთალი და პასიური.

თ. ჭილაძის თეორიული პოზიცია ღმერთისადმი სადავო არაა, მაგრამ იგი უკვე აკვიატებული პერსონაჟია. იგი მოთხრობის გმირის ბარაბას ფანტაზიის ნაყოფია. ბარაბა პათოლოგიურ ... იმავე დროს „კოსმიური" კატეგორიებით აზროვნებს. იგი ფანტასტიკური ასოციაციებითა და უაღრესად განვითარებული წარმოსახვით ქმნის მეშჩანურ საიქიოს, ტუბერკულოზის დისპანსერის მოსაცდელივით სტერილურს, მოფუსფუსეს, ბრეზენტგადაფარებული პინგპონგის მაგიდებითა და შეყვარებული ფოსტალიონით, რომლის სამოთხეში მოხვედრილი სული ერთხელ კიდევ იკლავს თავს.

ჭილაძე ისევ და ისევ უბრუნდება ღმერთს — პერსონაჟს და მის გარემოს. სავარაუდოა, რომ თემა მას ინტელექტუალური დამოკიდებულების გამოსახატავად სჭირდება. მაშინ სადავოა ავტორის მსჯელობა ცოდვა-უცოდველობაზე, უკვდავებაზე (დიოგენის პოზიციიდან). ქვეტექსტი მითის დაღუპვაზე, ღმერთის ფიზიკით დაინტერესებაზე, ცარცში ამოსვრილ ღმერთზე, მიუხედავად გარეგნული სირთულისა, რამდენადმე სწორხაზოვანია.

*

„თანამედროვე ადამიანის აზროვნება ასოციაციურია" — ამ ბოლო დროს კინოზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე მსჯელობისას ასეთი განცხადება დებულებად იქცა.

ასოციაციური აზროვნების თანამედროვე ადამიანის თვისებად აღიარებამ ლიტერატურაში ფსიქოლოგიური დატვირთვისა და სიმბოლური გააზრების თავისუფლება შექმნა, დაშორებული ემოციური და აზრობრივი ვითარებები ერთ რკალში მოაქცია, შეიმუშავა ზეგავლენის ახალი ფორმები და მაინც შეინარჩუნა ერთი აუცილებლობა: ასოციაციებს ლიტერატურაში თავისი კანონზომიერება აქვს და ამ კანონზომიერებას ჩვენ ასოციაციების ლოგიკასაც კი დავარქმევთ.

ასოციაციური თავისუფლება მიმზიდველიცაა და სახიფათოც. ამ შემთხვევაში ჩვენ იგი უაღრესად ცალმხრივად გვაინ-

ტერესებს — როგორც დებულება, რომელიც მხატვრული განხორციელებისას კომპოზიციაში ექსპერიმენტებით განისაზღვრება.

ამ ბოლო დროს კომპოზიცია „ფორმის ახალი გრძნობის“ გამომხატველად მიიჩნიეს და „ნოვატორობის“ მისიაც დააკისრეს. ქართულ პროზაში გახშირდა ასოციაციებითა და კონტრაპუნქტის პრინციპით აგებული ნაწარმოებები, რაც ჯერჯერობით კომპოზიციური ვარიაციების სფეროს ვერ გასცდა.

ჩვენ არ უარვყოფთ კომპოზიციის მნიშვნელობას, ოღონდ გაუგებარია მისი გამოყოფილად, თავისთავად ნაწილად მიჩნევა და იმ ფუნქციების მიკუთვნება, რომელიც მას, უფრო სწორად, მ ხ ო ლ ო დ მას არ ეკუთვნის. გაუმართლებელია ძველი მასალის „ახლებური შეკავშირებით“ (ამ შემთხვევაში თავისუფალი ასოციაციებით დაკავშირებული სიუჟეტური წვრილმანები) ახალი ფორმის შექმნის ცდა. ახლებური შეკავშირებაც შეფარდებითია; თითქმის ყოველი კომპოზიციური ვარიანტი დიდი ხანია რაც შეამოწმეს და, როგორც წესი, უფლებამოსილია ის, რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული ნაწარმოების შინაგან თვისებებთან, თემასთან, ხასიათთან, მსოფლაღქმასთან და, თუ გნებავთ, ნერვებთანაც.

ზედმეტი იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს თამაზ ჭილაძე „ასოციაციების ლოგიკას“ ვერ გრძნობდეს, იგი არ ერიდება გარეგნულად განსხვავებული ვითარებების გაერთიანებას. ჭილაძე თავის მოთხრობას პოლიფონიურ ფორმას აძლევს. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ფორმას, რადგან მოთხრობა გარეგნულადაა პოლიფონიური და, თუ ამ შემთხვევაშიც ყველაფერი რიგზე არაა, ამის მიზეზია შემოქმედებითი პროცესის შედარებით ტექნიკური ელემენტი — მონტაჟი.

მოთხრობა „შუადღე“ ორი პარალელური (უაღრესად განსხვავებული ინტონაციის მქონე) მოთხრობა და რამდენიმე ნოველაა.

„შუადღე“ პანოპტიკუმია, შედგენილი ასოციაციებით; აზრობრივი, ფსიქოლოგიური და ინტონაციური ხაზი თანდათან მძაფრდება, მოთხრობას ერთიანი კრეშენდო ახასიათებს. რაც შეეხება ძველ მასალას, მოთხრობაში ბევრია ძველი მასალა, როგორც თემატურად (თებროსა და პავლეს ამბავი), ისე ფსიქოლოგიურად და ინტონაციურად (ბარაბა, ფერეზა, არკადი).

პანოპტიკუმი იშლება, ზოგი რამ გამახსოვრდებათ, ზოგი იკარგება და მაინც იქმნება შთაბეჭდილება — ასოციაციებიცა და კონტრაპუნქტიც მექანიკურად ემსახურება კომპოზიციის განახლებას.

და ამ შთაბეჭდილებას ძირითადად ქმნის ერთი ვითარება — შ უ ა დ ღ ი ს მ ო ნ ტ ა ჟ ი ს უ ს ტ ი ა.

ყველას, ვისაც თუნდაც ერთი გვერდი დაუწერია, განუცდია დაწერილის უარყოფის სიძნელე. ხშირად რაიმე დეტალს ან სცენას თავისთავადი ღირსება აქვს, ნაწარმოებს კი მაინცდამაინც არაფრად ჭირდება, მაგრამ მწერალს უჭირს შეელიოს მას, რადგან უძნელდება უარყოს შემოქმედებითი პროცესის ყოველგვარი შედეგი. ვფიქრობთ, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მწერლობა ასეთი დათმობა და მოკვეთაცაა, ეს უკვე მონტაჟია, მტკივნეული, მაგრამ გარდუვალი პროცესი.

ასოციაციური პროზის პრინციპი უაღრეს ზომიერებასა და სიმკაცრეს მოითხოვს, რადგან უმნიშვნელო, ერთის შეხედვით შეუმჩნეველი ზედმეტობაც კი თითქმის ყოველთვის არღვევს კონტურებს და ამორფულობას იწვევს.

ჩვენი აზრით, თამაზ ჭილაძეს შეეძლო უარი ეთქვა მოთხრობის ზოგ ნაწილზე, ზოგ პერსონაჟზეც კი.

როცა მოთხრობის გმირი გოგი მანქანაში გოგონა ლიზიკოს ესაუბრება, ყველაფერი გასაგებია და ბუნებრივი, მაგრამ საჭიროა თუ არა კლოუნი არკადი, ან მარიკასა და მილიციელის გასაუბრება, ან საერთოდ სცენები ცირკში — ძნელი სათქმელია. ზოგ შემთხვევაში ავტორმა თავის ადამიანურ დამოკიდე-

---

ოტია პაჭკორია
„შუადღის ილუზიები“

ბულებას და ცოდნას მსხვერპლად შესწირა ზომიერება. ასევეა მთელი საიქიოც, რომელთანაც უფრო რთული ვითარებაა დაკავშირებული. საიქიო უკვე აღარაა ასოციაცია, საიქიო ფილოსოფიაა, შესაძლოა ავტორის კი არა, ბარაბას ფილოსოფია, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის. საიქიო ხელოვნური გამონაგონია, ასეთივეა ბარაბაც. იგი ნამდვილი არაა, შესაძლოა სმერდიაკოვიცაა და ე. წ. юродивый-ც, ყოველგვარი ლიტერატურული ბოროტისა და კეთილის ნარევი. ბარაბა შექსპირის მესაფლავის მოდერნიზებული ვარიანტიცაა (პირველი და მეორე მესაფლავის დიალოგი). იგი არც ხელმოცარულ მწერალს ჰგავს, ავტორს არც სურს ბარაბა მწერალი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად აყენებს შემოქმედებითი წარმოსახვის ფსიქიკურ მდგომარეობაში. ბარაბა არც პროფესიული ბოროტმოქმედია, იგი რაღაცნაირი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კოსმოპოლიტური ქვეწარმავალია და მკითხველისთვის გაუგებარია ბარაბას ეროვნება, სოციალური სახე, ფსიქოლოგია, გაუგებარია, საჭიროა თუ არა ბარაბა საერთოდ. იქნებ აჯობებდა ბარაბაც მონტაჟის მსხვერპლი გამხდარიყო. მაშინ მოთხრობა განთავისუფლდებოდა ერთგვარი ლიტერატურული ბალასტისაგან (საიქიო, მკვლელობა სასაფლაოზე, თებროს ყულაბა და სხვ.).

*

თამაზ ჭილაძის მოთხრობა ორ ფენად ლაგდება: პირველი, როცა იგი თხზავს და საკუთარი გამოცდილებიდან გამოდის — მაშინ იგი ბუნებრივია, მხატვრულ დამაჯერებლობასა და ფსიქოლოგიურ სიმართლეს აღწევს, და მეორე — როცა იგი ხელოვნურად თხზავს რომელიმე აზრობრივ ვითარებას და მასთან დაკავშირებით თხზავს ამბავს.

ობიექტური გამოცდილება (ის, რაც ცხოვრების გამოცდილებაცაა) ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმ ცოდნას, რაც მწერალს უნდა ჰქონდეს. ეს ჯერ კიდევ არაა კონკრეტულის განზოგადებისა და ამ ზოგადის მხატვრულად წარმოსახვის უნარი. ობიექტური გამოცდილება ყველას აქვს, მაგრამ მისი პირდაპირი განმეორებით ლიტერატურული ლიტერატურა — არ იქმნება. ის „ნამდვილი" ბოროტებაც ცოდნის საფუძველია, აზრობრივი და ემოციური გარდაქმნის შემდეგ იძლევა ახალ „ნამდვილს" — მწერლის „გამონაგონს". ესაა გამოცდილების ცოდნად და ცოდნის ლიტერატურულ თემად გარდაქმნის რთული პროცესი და, თუ შემოქმედს არა აქვს შეგნებული მისი აუცილებლობა და სიძნელე, თუ იგი ვერ აღწევს აზრობრივის ემოციასთან და წარმოსახვასთან შერწყმას, მაშინ მის შემოქმედებას ან მეტაფიზიკური უმოძრაობა და ფოტოგრაფიზმი, ან ინტელექტუალური სწორხაზოვნება ელის.

თამაზ ჭილაძის „გამონაგონს" ორმაგი ხასიათი აქვს. მას შესწევს უნარი საკუთარი გამოცდილება შემოქმედების თემად აქციოს; მაშინ მისი წარმოსახვა რეალურ სურათებს ქმნის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი გამონაგონი ნამდვილია (გოგის ასოციაციები, გოგის ბავშვობა და სხვ.). მაგრამ მას პარალელურად იზიდავს გამონაგონი, რომელიც უკვე ლიტერატურულ წარმოდგენებზეა დაფუძნებული და რომელთანაც მას აკავშირებს მხოლოდ გონება, უფრო სწორად, ქვეშეცნეული ლიტერატურული მეხსიერება, შესაძლოა ლიტერატურული გამოცდილებაც და არა მწერლის სუბიექტური ცოდნა. ავტორს არა აქვს ემოციური კონტაქტი მთელ რიგ თემებთან, აქ უფრო ხელოვნური წარმოსახვაა, რომლის საფუძველიც განყენებული ლიტერატურული განათლებაა და ამიტომაც ზოგი რამ დროისა და სივრცის გარეშე რჩება (იგივე ბარაბა, არკადი, თუნდაც თებროს ამბავი). ამავე დროს იგი ხშირად ხელოვნურად ქმნის აზრობრივ და ინტონაციურ ვითარებებს (არაკი ღმერთზე, ბარაბას საიქიო, კლოუნი არკადი, სპილოს მწვრთნელი კაცი და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ლიტერატურულ მეხსიერებას, იგი ხშირად უნებლიე დამთხვევას იწვევს. ზოგჯერ მეხსიერებაში რამე დაილექება, მერე კვლავ უბრუნდება მეხსიერებას, როგორც უკვე საკუთარი და ლიტერატურულად განხორციელდება. აქ არც უშუალო გავლენაა, არც მექანიკური გადმოღება, ხშირად გაუცნობიერებელი მსგავსებაა და მისი გამომწვევი მიზეზის ძიება შორს წაგვიყვანდა, მაგრამ როცა ძალდაუტანებლად, თითქმის დაუფიქრებლად პოულობ პარალელს, რასაკვირველია, ორიგინალობა იკარგება.

საქმე ის როდია, რომ „შუადღე" კომპოზიციურად ჰაკსლის ასოციაციებით აგებულ „კონტრაპუნქტს" მოგვაგონებს, ან, მეორე მხრივ, ბიოლის რეტროსპექტულ პროზას ეხმაურება, — კომპოზიცია გავლენების საძებნელად ნაკლებ გამოსადეგია, — ხშირად ლიტერატურიდან ნაცნობ, თითქმის ზუსტად განმეორებულ განწყობებს, ფსიქოლოგიურ მიგნებასა და აზრს ხვდები, და „შუადღეში" ბევრია ასეთი დამთხვევა.

ბარაბაზე, როგორც ლიტერატურული წარმოდგენებით შექმნილ პერსონაჟზე, ზემოთ უკვე ითქვა; ასეთივეა კლოუნი არკადი, მწვრთნელი ქალი, მამაკაცი — სამკუთხედი კლასიკური დრამით. არკადი — პიკასოს სევდიანი პიეროს გარეგნობით (პორტრეტი დახატული არაა, გმირის მსჯელობა ქმნის გმირის პორტრეტს, რაც თავისთავად კარგია) იმდენად ნაცნობია — ნაცნობი არა როგორც სინამდვილიდან აღებული ტიპაჟი, არამედ როგორც ლიტერატურული წარმოდგენა ჯამბაზზე, პიეროზე, არლეკინზე, — რომ იგი უკვე აღარაა თანამედროვე პერსონაჟი.

არკადის განწყობილება მეორდება სპილოს მწვრთნელშიც, რომლის შინაგანი დიალოგი, უფრო მონოლოგი—რადგან ამ დიალოგს მონოლოგის ინტონაცია აქვს, უაღრესად ნაცნობი და სადღაც წაკითხულია; ნაცნობია მსჯელობის ხასიათით და, რაც მთავარია, აზრის სტრუქტურით. ლიტერატურიდან ნაცნობი აზრობრივი სტრუქტურების განმეორება ამ მოთხრობის ერთ-ერთი თვისებაა.

არკადი მსჯელობს და არკადი მართალია, იგი მართალია ლეონკავალოს ჯამბაზის სიმართლით. არც განყენებული წამოძახილის — „ბესტიარია, ბესტიარიას!.." — სიმბოლური აზრია უმართებულო. მაგრამ თვით კლოუნი არკადი და მისი გარემო არ უნდა იყოს ლიტერატურული სიახლე, „შუადღის" გარემოდან ამოვარდნილია და არც თუ ისეთი ორიგინალური აზრი უდევს საფუძვლად. შესაძლოა, ლიტერატურა საერთოდ არ ამბობდეს არაფერს ისეთს, რაც არავინ არ იცის, მაგრამ იგი არც იმას უნდა ამბობდეს, რაც ყველამ იცის (ამ შემთხვევაში იმას, რაც ბევრგან წაუკითხავს).

„შუადღეში" ზოგან გარკვეული კომპლექსები მეორდება. მოთხრობაში არის ერთი თითქოსდა უმნიშვნელო, მაგრამ რთული ფსიქოლოგიური აზრის მქონე ფაქტი: პავლე ილუპება, თებრო მარტო რჩება სასაფლაოზე, რომელიც ოდესღაც პავლეს ფიცრულიდან შორს იყო და ახლა კარზე მოადგა (აქაც ნაცნობი ინტონაციაა).

„ამბობენ, ბარაბა დღე-დღეზე გამოვაო, თითქოს პავლე მარტო ათი წლით მოეკლას". ამ ფრაზას თავისი მართებული აზრი აქვს, აქ დიდი ადამიანური წუხილია: ბარაბას სასჯელი მის დანაშაულზე მცირეა. ბარაბა არა მარტო მოძალადეა და მკვლელი, ის სოციალური ბოროტებაა და ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოიკვეთოს; ბარაბა კი დღე-დღეზე უნდა დაბრუნდეს. თებრო ფულს აგროვებს, აგროვებს ათი წელი: თებრომ თოფი უნდა იყიდოს და შური იძიოს.

სწორია ავტორი, როცა თავის გმირს ამ სურვილს არ უსრულებს, — მაშინ ზუსტად განმეორდებოდა ფოლკნერის

ოტია პაჭკორია
„შუადღის ილუზიები"

კომპლექსი. და მაინც გახსენდებათ სნოუპსი — კაცი, რომელიც ოცდარვა წელი იცდიდა, რათა უკანასკნელი ათი დოლარით რევოლვერი ეყიდა და გასწორებოდა ფლემს — თავისებურ, განახლებულ „იოკნაპატოფელ გობსეკს“.

არტემას კრემატორიუმიდან სიმამრის ფერფლი გამოაქვს. „ხურდა დამიბრუნეს“, ფიქრობს არტემა, რომელშიც მისთვის უჩვეულო აქტი, — ცხედრის ნაცვლად ფერფლის მიღება — ერთგვარ იუმორისტულ და უნდობლობის განწყობილებას ქმნის. ამ ადგილს უაღრესად ნაცნობი ტონი აქვს. რომანში „ჟამი სიკვდილისა და ჟამი სიცოცხლისა“ გრეგერს გესტაპოში ელიზაბეტის მამის ფერფლს აძლევენ, გრეგერი იჭვითა და დაცინვით აღიქვამს ფაქტს.

თამაზ ჭილაძე იმ გავლენებს არ განიცდის, რასაც ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ერთი ნაწილი. იგი არც შეუგნებელ სტილისტურ სიახლეებს ეძებს, არც ენობრივი ქსოვილისა და სინტაქსური ნორმების დარღვევას ცდილობს; თამაზ ჭილაძის გავლენები თავისებური ხასიათისაა, იგი განიცდის აზრობრივი ვითარებების, განწყობების გავლენას, გავლენებს თემისადმი მიმართებაში და ამას თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

*

„— ჩამოჯექი ქვაზე...

— ეს ქვა არ არის, ეს საფლავის ლოდია...

— განა ერთი და იგივე არაა?

— არა, ქვა მძიმეა...“

ასეთი დიალოგით იწყება მოთხრობა და პირველივე აბზაცები წარმოშობენ პირველ შეკითხვებს, საფლავის ქვა და უბრალო ქვა ერთი და იგივე არაა და ალბათ ყოველი ჩვეულებრივი ადამიანის შეგნებაში საფლავის ლოდი ყველა ქვაზე მძიმე ქვაა ამ ქვეყნად. ამ გრძნობას გასაგები ფსიქოლოგიური და ემოციური საფუძველი აქვს.

მოთხრობის ავტორი ალეგიზმს უშვებს. შესაძლოა მან ჩვეულებრივი საფლავის ქვა ბანალობად მიიჩნია, რაც უმართებულო როდი იქნებოდა, მაგრამ მიზეზი სხვაა: ავტორმა ხელოვნური განწყობილება შექმნა, ხელოვნური იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ლოგიკური დაარღვია და მოულოდნელი ქვეტექსტი იპოვნა. ლოდი შვილის საფლავზე დევს და ქალის მიერ წარმოთქმული ფრაზა ფიზიკური შეგრძნების შედეგია; ფრაზა — სურვილია. ქვა მძიმეა, შვილის საფლავის ლოდი მსუბუქი უნდა იყოს. გაჩნდა ლოგიკა, მაგრამ აქ დაფიქრებაა საჭირო. მკითხველი ელის ერთს, ნაცნობსა და შესაძლოა ბანალურსაც, მერე ხვდება მოულოდნელ და უჩვეულო აზრს — თუ რას ნიშნავს საფლავის ლოდზე მძიმე ქვა, მაგრამ ემოციური ზეგავლენა უკვე სუსტდება. ხელოვნურად შექმნილმა განწყობამ ტრადიციული დაარღვია და ვერც ახალი ემოციური ზეგავლენა მოახდინა. შეიძლებოდა ეს მაგალითი არც მოგვეყვანა, მოთხრობას საერთოდ რომ არ ახასიათებდეს ნაცნობი, ჰარმონიული განწყობების დარღვევა და დარღვეული განწყობის მასალის გადაადგილებით ახალი, არაბუნებრივი განწყობის აღძვრის ცდა.

შემდეგ ავტორი დასცინის პროვინციალიზმს — საფლავზე წარწერილ „დოცენტს“, „ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს“, დრამატულ სცენაში პამფლეტის ელემენტები შეაქვს; მერე რატომღაც მსჯელობს — „კაცმა არ იცის, ჭირდება თუ არა სიკვდილს შენი დოცენტობა“, რაც ინტონაციურად, ცოტა არ იყოს, იმავე „დოცენტსა და დოქტორს“ წააგავს.

თებროს სიყვარული ტრადიციული სიყვარულია. მკითხველს სჯერა თებროს სიყვარულის. მას არ შეუძლია ყალბი იყოს. თებროსა და პავლეს სიახლოვის სცენა საპირისპირო განწყობილებას იწვევს. ავტორი სცენის აღწერისას ლიტერატურულ პათოსში ვარდება.

„თივის ზვინი იწვის, იწვის... — კიოდა ვიღაც“. ბავშვობისას ნახა თებრომ, როგორ იწვოდა თივის ზვინი და ახლა პავლეს მკლავებში გაიხსენა, კი არ გაიხსენა, წარმოიშვა ასოციაცია და მასსა და პავლეს შორის ჩადგა.

ავტორში თებროს გრძნობა ხანძრის ასოციაციას იწვევს, ეს პოეტური ასოციაციაა და ავტორს ეკუთვნის, თებრო აქ არაფერ შუაშია; ავტორი თებროს ფსიქიკაში თავისი ფსიქიკით იჭრება, თავს ახვევს თავის პოეტურ წარმოსახვას. უკვე აღარ არსებობს უბრალო, მოსიყვარულე თებრო, მამაკაცი რომ პირველად შეეხო, — არსებობს პოეტური გადახვევა:

„ჩააქრეთ, ჩააქრეთ...“

„არა, არა...“

„ჩააქრეთ, ჩააქრეთ...“

„არა, არა...“

სადავო თითქოს არაფერია; დიდი და უმანკო სიყვარული, ძლიერი ვაჟკაცი, ცეცხლმოდებული თივის ზვინები — ასოციაციები კანონზომიერია. თებრო, რომელსაც უყვარს, ის თებროც კი, რომელიც ყულაბაში ფულს აგროვებს, მართალია თავისი თავისა და მკითხველის წინაშე; თებრო, რომელსაც კივილი ესმის და რთული შინაგანი დიალოგებით აზროვნებს — ტყუის. ამ დიალოგებში დაცულია ფიქრის ემოციური ტონი, გაწყვეტილი, დაუკავშირებელი ფრაზები, და მაინც თებრო არ ფიქრობს, მის ნაცვლად ფიქრობს ავტორი, რომელმაც კარგად იცის, როგორ უნდა დაიწეროს შინაგანი დიალოგი.

ავტორისა და პერსონაჟის ინტელექტუალური დონე და ემოციური სამყარო გაიგივებულია, საჭირო კი იყო სრული გარდასახვა.

•

„შენ გავხარ თეთრ,
ძალიან თეთრ აფრას,
შენი ზღვა
ახალია და მშვიდი“...

ასეთია მარიკა, მოთხრობა „შუადღის“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო კოლორიტული პერსონაჟი, თავისუფალი შეხედულებების გოგონა. იგი ოდნავ წააგავს „სუფრაჟისტკებს“, ჩვენი საუკუნის დასაწყისში ქალთა უფლებებისათვის რომ იბრძოდნენ. შეიძლება დაისვას კითხვა— არის თუ არა მარიკა თანამედროვე ქართველი გოგონა? გარკვეული პასუხის გაცემა ძნელია, ყოველ შემთხვევაში მკითხველს მარიკა ამახსოვრდება, სულერა მისი არსებობა. ავტორი ხორცს ასხამს თავის წარმოდგენას, იქნებ მარიკა ასეთი არცაა, მაგრამ მარიკა ასეთი — უნდა იყოს — იგი ამ პრინციპითაა შექმნილი. შესაძლოა მარიკა ზოგჯერ ნაცნობ განწყობებს იმეორებდეს, ზოგ ვითარებას ნაცნობი ინტონაციაც ჰქონდეს, მაგრამ მარიკა გაცილებით უფრო რეალურია, ვიდრე თუნდაც მოთხრობის მთავარი გმირი გოგი.

გოგი აფასებს, იგონებს, საგნებთან და მოვლენებთან ასოციაციურად აკავშირებს თავის წარსულს. გოგი პასიურია, ცოტათი სქემატური. გოგიზე ფიქრისას უნებურად გახსენდებათ მარიკას ალერსიანი და დამცინავი წამოძახილი — „სულელი ყანჩა...“ არის გოგის ხასიათში რაღაც ისეთი, რაც სულელს არა, მაგრამ ცალ ფეხზე შემდგარ წეროს კი მოგაგონებთ.

გოგი თავის რთულ ფსიქოლოგიურ და ემოციურ განწყობებს ენერგიულად არ გამოხატავს, იგი ჰვრეტით ერთობა, ლიტერატურულად ჩხუბობს, ბარაბასთან შეტაკებისას „სიფრიფანა კედლებს“ ხედავს და დღევანდელი დღე ხვალინდელი ჰგონია, მაგრამ გოგი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც თავისი ხასიათით მწერალია, გარემოსა და მოვლენებს მწერლის თვალით აღიქვამს; იგი თავისი წარსულიდან ერთგვარ ლიტერატურულ თემებს ამოკვეთს, ოღონდ ამ თემებს არა აქვთ ხასიათის ჩამოყალიბებისათვის გარდამტეხი „რამდენიმე დღის“ მნიშვნელობა.

მიუხედავად იმისა, რომ თებროსა და პავლეს ამბავი, ერთი შეხედვით, უფრო დასრულებულ შთაბეჭდილებას ქმნის, „შუადღეში“ გაცილებით უფრო საინტერესოა მეორე თემატური ხაზი — გოგი და მარიკა. აქ ავტორი ნათლად გამოხატავს თავის ლიტერატურულ პოზიციას, უბრუნდება თანამედროვე თემას, დაუფარავად გადმოგვცემს თავისი

ოტია პაჭკორია
„შუადღის ილუზიები“

და თავისი გმირების დამოკიდებულებას საგნების, მოვლენებისა და ადამიანებისადმი. ბევრია ფიქრი, შეფასება, მსჯელობა. ამ ნაწილში ახალი ლიტერატურული გმირები იქმნება. შეიძლებოდა ბევრი კარგისა და ნაკლის თქმაც, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთ ვითარებაზე შევჩერდებით.

თამაზ ჭილაძეს ერთგვარი პოეტური ეგზოტიკა იზიდავს. შესაძლოა ამის მიზეზი ავტორის მეორე პროფესია იყოს — იგი პოეტია და ზოგჯერ პროზაში შეაქვს წმინდა პოეზიის ელემენტები და ინტონაცია, სახეების სისტემა, პოეტური ხილვა; მაგრამ ეგზოტიკაში ჩვენ მარტო ლექსის ელემენტებს როდი ვგულისხმობთ, პროზისათვის უჩვეულო ინტონაციას თავისი შედეგი მოსდევს. მოთხრობაში მოქმედება რეალურ, ნაცნობ გარემოში ვითარდება და მაინც „შუადღის" სამყარო უცნობია; ობიექტური გარემო კი არაა უცნობი, მოთხრობის ხასიათია უცხო, რამდენადმე ინერტული. შესაძლოა ამ გრძნობას ჩვენთვის უჩვეულო პასიური სიახლე იწვევდეს. მწერალი მსჯელობს, იგი ხშირად დაობს, მაგრამ დაობს ისევე, როგორც მისი გმირი ჩხუბობს — პასიურად, ლამაზად, ზოგადი პოეტური სახეებითა და დებულებებით.

ოცი თუ ოცდაათი წლის წინათ მთვარე და ვარსკვლავები მხოლოდ პოეტური კატეგორიები იყო, მათ ან სიმბოლური, ან განწყობის, ხშირად ერთგვარი ასტროლოგიური ფუნქცია ჰქონდათ. დღეს მთვარემ და ვარსკვლავებმა საგნობრივი სიცხადე შეიძინა, ფიზიკურად დაგვიახლოვდა, აზრობრივ ფაქტად იქცა. ეს სრულიადაც არაა ლიტერატურის დამსახურება. მაგრამ უკვე ძნელია დამოკიდებულების ტრადიციული ფორმით გამოხატვა, და ჯერ არც ახალი ემოციური კონტაქტი დამყარებულა და არც ფაქტის ლიტერატურული გაცნობიერება მომხდარა.

თამაზ ჭილაძე ცდილობს ასეთი კონტაქტის დამყარებას. იგი თხზავს გოგის სიზმარს — კოსმონავტიკისა და პოეზიის ნაერთს. ძნელი სათქმელია, რამდენადაა მართებული საკითხის ასე გადაჭრა, ამ მხრივ არავითარი ლიტერატურული გამოცდილება არა გვაქვს. მაგრამ პირველი შთაბეჭდილება მაინც რამდენადმე ხელოვნურია. ფაქტია ერთი — გაჩნდა ფამილარული დამოკიდებულება შორეული ვითარებებისადმი, რასაც ჯერ-ჯერობით დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ვერ მიეცა. მაგრამ ასეთი კონტაქტის ძიება უაღრესად საინტერესოა. ეს ახალი მასალის ძიებაცაა და, როცა თემა როგორც აზრობრივად, ისე ემოციურად ორგანული გახდება, მაშინ ქართული ლიტერატურა შეიძენს იმ ახალ მასალას, რასაც შესაძლოა მოულოდნელი და თავისებური გამოხატვის ფორმები მოჰყვეს.

თამაზ ჭილაძე თემას პოეტური ეგზოტიკის ასპექტში აღიქვამს, რის გამოც დეკორატიულ სიზმარს თხზავს.

*

„ყველა პატარა რუკაზე შეიძლება შეამჩნიოთ, თუ რა დიდია მიწა, — წერს თამაზ ჭილაძე და იქვე დასძენს, — არიან ადამიანები, რომლებისთვისაც ქვეყანა მხოლოდ იმით განისაზღვრება, რასაც ხედავენ, მაგრამ არიან სხვებიც... მათ საოცარი გრძნობა აქვთ სამყაროს სიდიდისა".

ავტორის სურვილი ცხადია — პავლეს, თებროს, გოგისა და მარიკას ქვეყანა პატარა რუკაზე დანახული დიდი მიწა უნდა იყოს, — და მოთხრობაში მაინც ვერ იგრძნობა „სამყაროს სიდიდე". მკითხველი მოთხრობაში ბევრს მოგზაურობს: სასაფლაოდან ზღვაზე, თბილისიდან საიქიოში, საიქიოდან ცირკის მანეჟზე, მანეჟიდან კოსმოსში. მოგზაურობს ისე, თითქოს მატარებლების განრიგს კითხულობდეს, თვით კი უმოძრაობა, რადგან „შუადღის" სამყაროა ინერტული, სტატიკურ მდგომარეობაში მყოფი. ეს მართლაც სიცხით გათანგული შუადღეა, რომლის უმოძრაობაშიც მთვლემარე ილუზიები თრთიან.

„შუადღის" სამყარო დეკორატიულია. დეკორატიულობას სინამდვილის ილუ-

ზიური ხედვა იწვევს. ილუზიურ ხედვაში ჩვენ იმ ფანტაზიას კი არ ვგულისხმობთ, რომელმაც შექმნა სტენდალის პარმის საპერცოგო ან ფოლკნერის შტატი იოკნაპატოფი. აქ იგულისხმება კონკრეტული და „უბრალო" ვითარება— ცხოვრების ცუდად ცოდნა, უფრო სწორად, სინამდვილის ლიტერატურის საშუალებით გაცნობიერება, რამაც წარმოშვა ცხოვრებისადმი მწიგნობრული, მოინტელიგენტო და, ამდენად, პასიური დამოკიდებულება, ამან კი, თავის მხრივ, გამოიწვია დეკორატიულობა და ლიტერატურიდან უკვე ნაცნობ აზრთა სტრუქტურის განმეორება.

ცხოვრებასთან დამოკიდებულებამ ერთი საკითხიც წამოაყენა. ჩვენ წერილში რამდენადმე ინტონაციურ-სტილისტური ანალიზით შემოვიფარგლეთ, რასაც თავისი მიზეზი აქვს.

თუ როგორ დაიწერა მოთხრობა „შუადღე", გასაგებია და ეს მსჯელობის საინტერესო მასალას გვაწვდის, მაგრამ მთავარი — რაზე დაიწერა მოთხრობა, უპასუხოდ რჩება. უაღრესად ძნელია მოთხრობის იდეის, აზრობრივი კონცეფციის ჩამოყალიბება. თემა — ადამიანია, მაგრამ ადამიანი ყველა მოთხრობის თემაა; როგორია პრობლემა, რამაც მწერალს მოზრდილი ნაწარმოები დააწერინა — გაუგებარია. ჩვენ ვერ შევძელით გამოგვეკვეთა ნაწარმოების აზრობრივი კრედო, რომელიც გამოსავალი წერტილი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ დაგვეშალა მოთხრობა ანალიტურ ნაწილებად (თუმცა მოთხრობა თავისთავადაა დაშლილი ასეთ ნაწილებად). როცა მკითხველისათვის გაუგებარია ნაწარმოების დედააზრი, მისთვის შესაძლოა წყლის ნაყვაც კი იყოს შემადგენელთა მხატვრულ ღირებულებაზე მსჯელობა. იდეა თამაზ ჭილაძის პირველი მოთხრობისა— „გასეირნება პონის ეტლით" მეტნაკლებად ნათელია — ბრძოლა მეშჩანობასთან. არის თუ არა ასეთი იდეა ქართული პროზისათვის მნიშვნელოვანი, ეს უკვე სხვა საკითხია, მაგრამ ამ მოთხრობაში შეიძლება აზრობრივი ფენომენის პოვნა. „შუადღეში" ჩვენ ვერ შევძელით მსგავსი ფენომენის დანახვა. სავარაუდოა, რომ მოთხრობას შემთხვევით არ ქვია „შუადღე", მას აქვს გზაჯვარედინზე შეჩერებული კაცის განწყობილება, მაგრამ მხოლოდ განწყობილება. პროზას გაცილებით უფრო დიდი და მნიშვნელოვანი მისია აკისრია. ნაწარმოები, დაწერილი ათეულ გვერდებზე, ლირიკული ლექსი არაა, რომ თავისი არსებობა ამორფული განწყობილების შექმნით გაამართლოს.

თამაზ ჭილაძემ აირჩია ძნელი გზა — ასოციაციებისა და კონტრაპუნქტის, კომპოზიციური მთლიანობის დაშლის, ინტელექტუალური პროზის გზა.

მან თავის მოთხრობას თანამედროვე პროზის ბევრი გარეგნული თვისება მიანიჭა, რაც თავისთავად უაღრესად საინტერესოა. ძნელია არ დავეთანხმოთ მწერალს, როცა იგი შეგნებულად უპირისპირდება ჩვენ პროზაში გაბატონებულ მთელ რიგ ტენდენციებს, რომელთაც პრიმიტივისტული საფუძველი აქვს. მართალია ეს დაპირისპირება ჯერჯერობით მექანიკურია, მაგრამ იგი მნიშვნელოვანია; დაპირისპირება მაინცდამაინც წინააღმდეგობა როდია, ამ დაპირისპირებათა ხასიათი ქართული პროზის ერთიანი განვითარების საწინდარია. თამაზ ჭილაძის თეორიული შეხედულებები თანამედროვე პროზის დონეზეა. მან გაართულა კომპოზიცია, დაანაწევრა პრობლემები, მოვლენები ფსიქოლოგიზმის სფეროში გადაიტანა და ანალიტურად დაშალა, თამამად შეიტანა პროზაში მნიშვნელოვანი პოეტური გამოცდილება და პოეტური

ოტია პაჭკორია
„შუადღის ილუზიები"

კულტურა. რაც მთავარია, მან მსჯელობის საგნად აქცია მთელი რიგი ისეთი ვითარება, როგორიცაა კონტრაპუნქტი, ასოციაციები, გამონაგონის ხასიათი და სხვ. მაგრამ ყველაფერი ეს ერთგვარი გარეგნული სირთულეა და ჩვენ არაერთგზის მოგვიხდება მსჯელობა მთელ რიგ პრინციპულ საკითხებზე (უპირველეს ყოვლისა თემის შერჩევაზე და სინამდვილესთან დამოკიდებულებაზე). სირთულე (რასაც ამ შემთხვევაში სიახლის ფუნქცია აქვს) გამართლებული იქნება მაშინ, თუ იგი შექმნის პროზას, რომელშიც, ავტორისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „პატარა რუკაზე შემჩნეულ დიდ მიწას“ დავინახავთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 70 წლისთავი

ქეთევან ხაჩიაშვილი

გალაკტიონ ტაბიძის ერთი უცნობი წერილი

1959 წლის აგვისტოში საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა გალაკტიონ ტაბიძის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში მიგვავლინა. პოეტის ბავშვობის, ჭაბუკობისა და დავაჟკაცების მომსწრეთაგან ჩავიწერეთ მოგონებები და აღმოვაჩინეთ მრავალი საინტერესო სურათი და წერილი. განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი წერილი, რომელიც 1912 წლით არის დათარიღებული და ვინმე მიხასადმია მიწერილი. წერილი სულ რვა გვერდია. მასში მოყვანილი ლექსი „ზულეიმა" დღემდე უცნობია. ზულეიმაში ვის გულისხმობს პოეტი, გაურკვეველია. ლექსი დაწერილია გალაკტიონისათვის დამახასიათებელი ლირიზმითა და მუსიკალობით, თუმცა პოეტს იგი „გაუთლელად" მიაჩნია და იმედოვნებს, „გავთლიო".

წერილი დაწერილია ოცი წლის ჭაბუკის მიერ და ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი შეურიგებლობით და პირდაპირობით ამხელს ზოგიერთი ადამიანის გულქვაობას, ჩივის თავის გაჭირვებულ მდგომარეობაზე და ერთადერთ თანამგრძნობელს, რომელსაც იგი ამ წერილში მიმართავს, უზიარებს თავის იმედებსა და ტკივილებს.

წერილი დაწერილია სოფელ ჭყვიშში. „დღე არ გაივლიდა, რომ რაიმე დამარცხება არ მიმეღო, რაიმეში არ მოვტყუებულიყავ... ამას დაუმატე რაისასადმი მხურვალე გრძნობა, რომელიც არაფერს არ მაძლევდა და წარმოიდგენ... ღმერთს გეფიცები, სულ ცოტა-ღა მაკლდა შეშლას, სულ ცოტა... პირდაპირ შევიშლებოდი, რომ ჩემი ძმა არ ჩამოსულიყო და სულ ძალით არ წავეყვანე სოფელში..."

წერილში ნახსენებ რაისაზე გალაკტიონის ბიძაშვილისა და ტიციანის ძმის სვიმონ ტაბიძის მოგონებებში ვკითხულობთ: „ქუთაისში იყო რაისა, ჩვენს ბინასთან ახლოს ცხოვრობდა. ის იყო დედაჩვენის შორეული ნათესავი. ეს ქალი მოსწონდა ტიციანს და მასთან ძალიან ხშირად საუბრობდა. ტიციანმა რაისა გალაკტიონს გააცნო, როგორც ეტყობა, გალაკტიონსაც მოეწონა, მე ვფიქრობ, მიწერ-მოწერაც ჰქონდათ. გალაკტიონიც ხშირად მინახავს მასთან მოსაუბრე. ტიციანმა და გალაკტიონმა არ იცოდნენ, რომ ერთი და იგივე ქალი მოსწონდათ, ქალი სხვაზე გათხოვდა" (ს. ტაბიძის მოგონება ინახება საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში).

გალაკტიონი მართლა ყოფილა გატაცებული რაისათი. მის არქივში აღმოჩნდა ორი ლექსი. ერთ ლექსს სათაურად აქვს „გაზაფხული" და ლექსის სტრიქონების პირველი ასოები ქალის სახელზე მიგვითითებს (ეს ლექსი ჟურნალ „ცისკრის" ა. წ. № 4-ში დაიბეჭდა).

მეორე ლექსშიც ორჯერ არის იმავე ქალის სახელი ნახსენები.

ჩამავალი მზე

ვუძღვნი მონაზონ ქალს

1

მზე დასავლეთით ესვენებოდა,
სჭკნებოდნენ ენებით სხივები მზისა.
ორთქლით შებურვილ მინაზე ვწერდი:
„რა რიგ მიყვარხარ, ჩემო რ ა ი ს ა“

2

მზე ამოვიდა, ღრუბელთ სიწითლეს
მოულოდნელად ფერი ეცვალა
და საიდუმლოს ფერი ბრწყინვალე
შემოეძარცვა, შემოეცალა.

3

ცელქმა ნიავმა ჩემი სიტყვებით
დასწერა ლურჯი ეთერი ცისა.
და წაიკითხა მთელმა მსოფლიომ:
„რა რიგ მიყვარხარ, ჩემო რ ა ი ს ა“.

4

უცებ გარინდდა ირგვლივ ყოველი,
მიწას დაეცა მწუხარე ბინდი,
წამოიშალა ძველი სიტყვები,
პირქვე დავემხე და ავქვითინდი.

ამ ლექსის უკანასკნელი სტრიქონის მოტივი „პირქვე დავემხე და ავქვითინდი“ მეორდება ლექსში „მერი“.

გალაკტიონის ერთ ცნობილ ლექსს „ამაოა მთლად ცხოვრება, დრტვინვის წუთისოფელია...“ აწერია: „ვუძღვნი მონაზონ ქალს რ-ს“. ეს „რ-ს“ ისევ ის რაისაა; ეს უკანასკნელი ორი ლექსი დაწერილი უნდა იყოს რაისას გათხოვების შემდეგ.

გალაკტიონს წაუკითხავს იმ კაცის მოთხრობები, რომელსაც წერილს სწერს და თავის შეხედულებებს უზიარებს. ნახსენებია ორი მოთხრობა „მიმოზა“ და „მწუხრიშვილი“.

„მწუხრიშვილის დღიური“ გამოქვეყნებულა 1916 წლის ლიტერატურულ-მხატვრულ კრებულ „სხივში“, რომელიც ქუთაისში გამოსულა. მეორე მოთხრობა არსად არ ჩანს. მათი ავტორის ვინაობა გაურკვეველია.

გ ა მ ა რ ჯ ო ბ ა მ ი ხ ა!

მართალია, დიდი ხანია ერთმანეთისთვის წერილი არ მიგვიწერია. ამაში ცოტა მეცა ვარ დამნაშავე და აი ორი ფურცლის მაგიერ, ჯინზე, ოთხ ფურცელს ავავსებ. გადავიწყება შენი, ჩემო მიხა, ყოველად შეუძლებელია, რაზარრადაც არ ისურვოს კაცმა და მით უმეტეს მე. ხომ იცი რაა ადამიანის ცხოვრება: „დაჰბერა ქარმან და მსწრაფლ წარიღო“ სადღაც სწერია, არ მახსოვს კი სად... მე და შენ ამ ცხოვრების ერთი შეგნებული ხანა განვვლეთ, ჩემო მიხა! და აი ამ ხანში, ერთმანეთისთვის იმდენად, იმდენად დაახლოებულ ადამიანებად ვითვლებოდით, რომ გადავიწყება ყოვლად შეუძლებელი რამაა, უნდა გაგვაწითლოს ხოლმე ამ ფიქრმა, რომ უნებურად გავივლოთ კიდევ გულში. ყოველ წუთში მინდოდა, ღმერთმანი, წერილის მოწერა, მაგრამ რაღაც ხელს მიშლიდა, რაღაც მაბრკოლებდა, ეხლა შენი წერილის ძლიერ გავლენის ქვეშ ვწერ.... შენი წერილი მივიღე და სიმართლე უნდა გითხრა, ძალზე გამახარა, მოულოდნელი რამე იყო ჩემთვის, და იმდენად სასიამოვნო, რომ გადავწყვიტე ეხლავე დავწერო სამაგიერო წერილი.

შენს პესიმისტურ აზრებზე, ყმაწვილო, ბევრი ვიცინე, იწერები! „ოჰ, სად არის დღეს მეგობრობა და თანაგრძნობა, ოჰ, დაიმსხვრეს, დაიმსხვრეს ბარემ ეს ცხოვრება, რომ ახალი აღმოცენდეს!“ იმე, იმე! როგორ თუ დაიმსხვრეს და ახალი აღმოცენდეს! ხუმრობის გარეშე, გასალახავი არიან შენგან ის მეგობრები, რომლებიც ასე „გაიღიმებენ და მოჰყვებიან სოფისტურად მტკიცებას“ იმისას, რომ ჩემი აღრესის მოუწვდენლობაში ისინი არ არიან დამნაშავენი... ძვირფასო მიხა! ამ სულ უბრალო საქმეშიაც მათი წყალწაღებული ზნეობა იხატება, არა? ასეთი არიან, საზოგადოდ ადამიანები! მე და შენ, ძალიან კარგად ვიცით რას ნიშნავს ადამიანი. დეე სხვებმა იძახონ, რომ ადამიანის გული გამოუცნობი სფინქსიაო; რა სფინქსი, რის სფინქსი, სთქვი ბარემ, რომ ადამიანის გულში ხუთი წილიდან ოთხი წილი გარეული ნადირი ზის... მორჩა და გათავდა, მართალია ეს გარეული ნადირი შესაჭმელად ეტანება ყოველ ჩვენგანს, მაგრამ მე ვეღარ მაშინებს

ეს ყველაფერი, საკმარისად გავიცანი ცხოვრება, რომელშიაც ბევრი არ მიგემია სიტკბო; მაგრამ უბედურებები ხომ ჩემს ხელთ იყო... ასე თუ ისე, ვიცი ყოფნის მთავარი მიმდინარეობა, ადამიანის გული და ამის შემდეგ მეც ფრთხილად დავიჭერ თავს. საზოგადოდ ჩემთვის დიდ საჭიროებას აღარ წარმოადგენენ, რაც უფრო მარტო ვარ, ადამიანებისაგან შორს, მით უფრო მეტს სულიერ სიმშვიდესა და გრძნობის დამშვიდებას ვგრძნობ. მერწმუნები ამაში თუ არა? ღმერთს გეფიცები ეს ასეა. არსად არა ვგრძნობ ისე ობლად და მარტოდ თავს, როგორც სხვასთან, თუნდ საზოგადოებაში; მაშინ ჩემი სასოწარკვეთილება უმაღლეს წერტილამდე აღწევს და არ ვიცი რა ვქნა. შენ არ გაგიკვირდება ეს, მაგრამ უცნაურად მაინც მოგეჩვენება, რადგან შენთვის აუცილებლად საჭიროა ადამიანები; მოთხოვნილება ხალხში ცხოვრებისა — ეს ბუნების დაურღვეველი წესი და კანონია, მესმის, მე კი სიამოვნებით ვიცხოვრებდი თუნდ შენს „ჯვარისაში", ოღონდ ერთი ლამაზი ქალი მყავდეს თან. სხვა არავინ... ცხოვრებამ მშვენიერი გაკვეთილი მომცა, რომ ასე ვიფიქრო, ღმერთს ვფიცავარ, თვითონ ცხოვრება მითრევს კლანჭებში და თავის ნებაზე მატრიალებს; თორემ ჩემთვის უკეთესი არაფერი იქნებოდა, სადმე მშვენიერ ადგილას პატარა სამოსახლო მიწა, ქოხი და ლამაზი ქალი. მე, სწორედ გუშინ, ამგვარმა ოცნებებმა გამიტაცეს: თითქო გავექეცი ცხოვრების ვაივაგლახს და მქონდა საკუთარი მყუდრო ბინა, მყავდა მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სახელიც კი დავარქვი: ზულეიმა, ეს იყო ჩემი თანამგრძნობელი. წარმოვიდგინე შემდეგ ზამთრის დილა, რომ ამ სევდიან დროსაც მყავს ისეთი პირი, რომელიც მუდამ ჩემი იქნება. ოცნებებმა ისე შორს გამიტაცეს, რომ ლექსიც კი დამაწერინეს... აი ის ლექსი:

შერიგება

ალბათ ღამით, ყინვა მინებს
მოსდებია როგორც ლილა,
ხედავ, არე-მიდამოზე
ოეთრი თოვლი დაწოლილა.
თითქო ზეცაც არ იცინის:
მოწყენილა, მოღუშულა:
ხეებს გუნდად დასწოლია
ფიფქი თოვლი — ბამბის ქულა,
ზულეიმა, ჩემო კარგო,
ახლო მოდი, ყური მიგდე:
მინდა ბრძოლა გავათავო,
მინდა ჩემს ბედს შევურიგდე!
დავივიწყო, ვინც რომ გუშინ
უმიზეზოდ მაწყენინა.
და არას დროს არ დავტოვო
მოღუშული ჩემი ბინა,
შევეჩვევი ზამთრის დღეებს,
დარჩი ჩემთან, ყური მიგდე
მინდა ყველა დავივიწყო,
მინდა ჩემს ბედს შევურიგდე!

ცოტა გაუთლელი ლექსია, მაგრამ არა უშავს-რა, მაინც გვარიანია, გავთლი...

იცი, ერთი რამ უნდა გითხრა, საკმარისია, ხანდახან სულ უბრალო აზრმა გამიელვოს თავში, რომ შემდეგ უეცრად გამოვთქვა ეს სრულიად გაუჭირვებლად, ამდენი ხანი ეს ასე არ იყო, დიდი დრო მინდებოდა აზრის მშვენიერ ფორმაში ჩამოსხმისათვის.

ეს ყველაფერი ასეა, მიხა, მაგრამ შენ ეხლა გულში სულ სხვასა ჰფიქრობ... გამოტყდი!

ხშირად რომელიმე წიგნს ვკითხულობ, და ხომ იცი, რა ხდება წიგნის კითხვის დროს: გაჰყვები მოქმედ პირებს და არაფერი არ გახსოვს, უეცრად ახალი რაღაც ფიქრი გამოგიქროლებს, გაგაწითლებს, აგაჟრჟოლებს, სასოწარკვეთილებამდე მიგიყვანს!

მიდიხარ გზაზე ოცნებებში გართული, უეცრად იგივე ფიქრი გაგიელვებს თავში, და მიჯაჭვულივით ერთ ადგილზე

ქეთევან ხაჩიაშვილი

გალაკტიონ ტაბიძის ერთი უცნობი წერილი

შედგები, სირცხვილი გკლავს, გტანჯავს... ასე ხშირად მემართება ეხლა მე; როცა ჩემდა უნებურად მომაგონდება ის საბედისწერო „კვიტანციები", პირდაპირ გავშრები ხოლმე, აუწერელ წამებას ვგრძნობ, ამის შემდეგ იფიქრე რანაირად უნდა მიშფოთებდეს გულს სიტყვები შენი წერილიდან: „რა ვქნა რომ აღარ ვიცი, რა ვქნა და ათასჯერ რა ვქნა, ჩემი ერთად ერთი მიზანი ახლა კვიტანციების ფულის გადახდაა". შენ ეხლა მართლაც იტანჯები, დამნაშავე მე ვარ, მე მოგაყენე ამდენი უსიამოვნება იმ მართლაც ღრმა მეგობრულ თავგანწირულებისათვის, რომელიც ამ შემთხვევაში გამოიჩინე, რომლის მსგავსი მე არავისგან არაფერი მახსოვს. მე მშვენივრად მახსოვს შენი თანაგრძნობა, თითქო ჩემი საქმე კი არა, საკუთრად შენი საქმე ყოფილიყოს, იმგვარ გატაცებით მოეკიდე დაწყებულ საქმეს, თითქო პირადად ჩემი სრულიად არ გამოგერჩეოდა შენისაგან, და აი მხოლოდ ეს მაწითლებს მე, როცა წარმოვიდგენ თუ რითი გადაგიხადე გულწრფელი დახმარებისა და თანაგრძნობის მაგივრად: უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენე, საკუთარი საქმე აგირიე, აგიწეწე, მაგრამ რაც უნდა დამემართოს, რა მდგომარეობაშიაც უნდა ჩავვარდე, უსათუოდ გადავიხდი ამ ვალს, პირველადვე, როგორც კი ჩამივარდება ხელში ფული. როდესაც ქუთაისში ვიყავი, მე ეს ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა, რომ დავიწყე საქმე და დასრულება აღარ ეღირსა მეთქი, ღამ-ღამობით ძილი არ ეკიდებოდა ჩემს თვალებს, დღით მოსვენება არ ვიცოდი, თითქმის სულ დამავიწყდა ყველაფერი,. მერე როგორ ვსცხოვრობდი? რომ მომაგონდება ტანში ჟრუანტელი დამივლის; აბა წარმოიდგინე, ნახევარჯერ მშიერი, მწყურვალი, თითქმის ტიტველიც. დღე არ გაივლიდა, რომ რაიმე დამარცხება არ მიმეღო, რაიმეში არ მოვტყუებულიყავ... ამას დაუმატე რაისასადმი მხურვალე გრძნობა, რომელიც არაფერს არ მაძლევდა და წარმოიდგენ, ღმერთს გეფიცები, სულ ცოტა-ღა მაკლდა შეშლას: სულ ცოტა... პირდაპირ შევიშლებოდი, რომ ჩემი ძმა არ ჩამოსულიყო და სულ ძალით არ წავეყვანე სოფელში, ეხლა თავადივითა ვარ, მაგრამ [illegible] და?—ღულაძის მინდვრიდან [illegible] და თეთრ ხიდს დაყოლებული სობოროს იქით — ყაფნამდე, არც ერთი სასადილო არ არის, რომ ორი სადილის მაინც არ მმართებდეს, არც ერთი სარძეო არ არის, რომ არ მმართებდეს... არც ერთი დალაქი არ არის, რომ არ მმართებდეს... დიასახლისის პირდაპირ 25 მანეთი გამომყვა, და ათასი სხვა, ვინ მოსთვლის!.. აი ეს შემძინა ქუთაისში ცხოვრებამ. სხვა მევალეებმა ჯვარი უნდა დაუსვან ჩემს ვალებს, რანაირადაც არ უნდა მრცხვენოდეს მე ეს, მაგრამ შენთან მინდა უსათუოდ პირნათლად გამოვიდე პირველადვე, როგორც კი შემთხვევა მომეცემა, ზნეობრივად პირდაპირ დავმარცხდი, არ მგონია, თუ ისევ წამოვდგები ზევით, მაგრამ იმედი მაინცა მაქვს.

Дню прошедшему забвенье
Дню грядущему привет!

ვნახოთ, რას იზამს მომავალი, მაინცა და მაინც დიდად არ მეშინია მისი... ე. ი. სუყველაფერი ერთია ჩემთვის, რაც უნდა იქნეს.

შენი „მიმოზას" გამოგზავნა ვერას გზით ვერ მოვახერხე და როდესაც კი ქუთაისში ჩავალ — უსათუოდ დავტოვებ. იცი, ეს მოთხრობა შემიყვარდა რაღაც, ოთხჯერ მაინც გადავიკითხე, მიუხედავად იმისა, რომ ტიპი ჩვენი, ქართული არ არის. თავი და თავი, რომლითაც ის მხიბლავს, ეს ჩუმი, დაფარული მელანქოლიაა, რომელიც იქაც კი იჩენს თავს, სადაც ვითომ სიხალისე მეფობს, მაგალითად მიმოზას გულთა ძებნის დროს, თვითონ მიმოზას ტიპი გიდგას თვალწინ ისე, თითქო ეს მისი სიამაყე რაღაც სხვა, უფრო ძლიერი გულის სევდითაა გამოწვეული, დაუკმაყოფილებლობით, ვნებით, ადამიანთადმი სარკასტული დაცინვით და რაღაც სასწაულებრივ მოლოდინში გარინდებული გრძნობით... მიმოზას სიხალისეს თავისი ღრმა ტრაღედია აქვს, რამდენადაც ეს შეიძლება ქალის არსებაში მოთავსდეს. ფანტაზიები კიდევ ხომ ქალის გამოგონილია და მიმოზაც განა ამან არ იმსხვერპლა? ყველა ჩვენგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალდახუჭულად მიჰყვება ვნებებს, მაგრამ სულ სხვაა ქალი, იმას თვალებიც დახუჭული აქვს და რამდენადაც სწრაფად ითვისებს ყოველი მოვლენის ზერელე სახეებს, რამდენადაც უფრო განვითარებული აქვს შემოქმედება, იმდენად მისი ყოველი ნაბიჯი სისწორეს მოკლებულია.

„მწუხრიშვილს“ უსათუოდ დაბეჭდავს ბოცვაძე, მაგრამ დააგვიანდება კი ცოტა, როგორც შენ ფიქრობ და მართალია კიდეც, მერე რა უშავს?

სხვა, მიხა, გული არ გაიტეხო, მომავალი ჩვენია, ვიძახოთ ასე და თუ არ იქნება ჩვენი მომავალი, ჯანდაბას იმისი თავი, ასე ვფიქრობ მე და ვწერ განუწყვეტლივ. სწერე შენც, მე, მაგალითად ორი პოემა დავსწერე: „ძველი კოშკი“ (ორი შენი „მწუხრიშვილის“ ტოლა პოემა), „ალვის ხეები“ (მისტიციზმითაა ავსებული), „ორი მეგობარი“ (მოთხრობა, რომელსაც წინად „ძველი კოშკი“ ჰქვიოდა და რომლის ნაწილი წაგიკითხე კიდეც, ტუტუცური ადგილებიც გადავასწორე. ჩავუმატე რამეები და დავათავე კიდეც), ჰომერის „ოდისეი“ (მესამედი გადავთარგმნე და ჯერჯერობით მიტოვებული მაქვს) ერთი ასამდე წვრილი ლექსი დავწერე. ვწერ დღე და ღამე განუწყვეტლად, ავადმყოფივით, ეხლა თავში აზრად მოგვივიდა პოემის „ქრისტე უდაბნოში“ დაწერა. ამიტომ თუ სადმე საღვთისმეტყველო წიგნები მაქვს, გატაცებით ვკითხულობ, რას დავეძებ, მე კარგად ვიცი, ხანდახან იმდენსა სწერ, რომ შენც გიკვირს, ხანდახან კი სულ ვერაფერსა სწერ და გული მოგდის, ეს ხომ შენც გამოგიცდია! ნაწერები არასდროს ტყვილა არ დაიკარგება, სადმე შეაპარებ უსათუოდ, ნეტავი ეხლა სალდათობა არ მიწევდეს და სხვა არაფერი მინდა...

მაშ ასე ჩემო მიხა, ვუცადოთ ბედს! მალე ამოანათებს ჩვენი ვარსკვლავი, ნუ გეშინია! მოგწერდი კიდევ, მაგრამ აი ხომ ხედავ, ოთხი ფურცელი გადავაჭრელე!

მარადის შენი მეგობარი

გ. ტ

1912 წ.
22 ოქტ.

ქეთევან ხაჩიაშვილი

გალაკტიონ ტაბიძის ერთი უცნობი წერილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუხუჟი ბლაქბა

ივანე პაპასკირი

დაბადების 60 წლისთავი

60 წელი შეუსრულდა გამოჩენილ აფხაზ მწერალს ივანე პაპასკირს. მისმა ნაწარმოებებმა, რომლებშიც თავისებურადაა ასახული სოციალისტური აფხაზეთის განვითარების გზა, დიდი როლი შეასრულა აფხაზური პროზის ჩამოყალიბებისა და ახალ საფეხურზე მისი აყვანის საქმეში.

ივანე გიორგის ძე პაპასკირი დაიბადა 1902 წლის 25 დეკემბერს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტაულში. მისმა ბავშვობამ ღარიბი გლეხის ოჯახში განვლო. პატარა ივანე ხედავდა, თუ რა აუტანელ სიღატაკესა და გაჭირვებას განიცდიდა ხალხი. სხვა გლეხის ბიჭების მსგავსად ისიც პატარაობიდანვე ეწეოდა მძიმე ფიზიკურ შრომას. მამას უნდოდა შვილისათვის განათლება მიეცა. თავდაპირველად ბიჭუნა თავისი სოფლის დაწყებით სკოლაში სწავლობდა, მაგრამ მატერიალურმა ხელმოკლეობამ აიძულა სწავლას მოწყურებული ყმაწვილი, სასწავლებლისათვის თავი დაენებებინა. ბოლოს, 1919 წელს, მან რის ვაი-ვაგლახით მოახერხა სოხუმის სამასწავლებლო სემინარიაში შესვლა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ივანე პაპასკირის ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართა.

1923 წელს მან წარმატებით დაასრულა პედაგოგიური ტექნიკუმი. სწორედ სწავლის წლებში მიიღეს ის ლენინური კომკავშირის რიგებში.

ლიტერატურით ივანე პაპასკირი ჯერ კიდევ ტექნიკუმში სწავლის დროს დაინტერესდა. მისი აქტიური მონაწილეობით ჩამოყალიბდა ლიტერატურული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა აფხაზეთის სახალხო პოეტი დიმიტრი გულია. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ივანე პაპასკირი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა მშობლიურ სოფელში, აქტიურად ებრძვის წერა-კითხვის უცოდინარობას, რელიგიას, უმეცრებას, სტატიებითა და ნარკვევებით ეხმარება საჭირბოროტო საკითხებს. 1928-29 წლებში ივანე პაპასკირი სწავლობდა ლენინგრადის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში, შემდეგ მუშაობდა გაზეთ „აპსნი კაპში"-ს რედაქციასა და აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობაში. ლიტერატურული მოღვაწეობა ივანე პაპასკირმა 30-იან წლებში დაიწყო.

30-იანი წლები გარდატეხის წლები იყო აფხაზეთის ლიტერატურის განვითარებაში. ახალმა ეპოქამ მოიტანა მდიდარი თემები და სახეები, რის ასახვაც ლიტერატურასა და ხელოვნებაში ფართო, ეპიურ ტილოებს მოითხოვდა. სწორედ ამ მომენტიდან იწყება აფხაზური პროზის ფორმირება. თუ 20-იან წლებში მხოლოდ მხატვრულ ნარკვევებსა და პატარა-პატარა მოთხრობებს წააწყდებოდით აფხაზური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, 30-იან წლებში უკვე მოზრდილი მოთხრობები და რომანები დაიწერა.

30-იანი წლების აფხაზურ ლიტერატურაში ივანე პაპასკირი იმთავითვე მოვიდა, როგორც ოსტატი პროზაიკოსი. და ეს როდი იყო შემთხვევითი. იგი ხანგრძლივად და ჯიუტად იმაღლებდა იდეურ-მხატვრულ ოსტატობას, სწავლობდა გარემო სინამდვილეს და ხალხის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. შრომისმოყვარე და თავმდაბალი, ადამიანების მიმართ ყურადღებიანი და სათუთი ივანე მუდამ მკაცრ მომთხოვნელობას იჩენდა თავისი სამწერლო მოღვაწეობისადმი.

მისი პირველი ნაწარმოებები: რომანი „თემირი“, მოთხრობა „კარვალური თოფი“, „ბოჩოლა“ და „ქელეხი“, რომლებიც 1937 წელს გამოქვეყნდა, მკითხველმა მოწონებით მიიღო.

პაპასკირის შემოქმედების მთავარი თემაა აფხაზური სოფელი. მწერალი გვიჩვენებს აფხაზი ხალხის ცხოვრებასა და ყოფას, მისი კულტურის ზრდას, სოციალისტური მშენებლობის პირობებში მის გარდაქმნას. ამ მხრივ საყურადღებოა მისი რომანი „თემირი“, რომელშიც ასახულია კოლმეურნეობების ჩამოყალიბების პირველი პერიოდი და აფხაზ გლეხკაცთა ცხოვრებასა და შეგნებაში მომხდარი ძირეული გადატრიალება.

პაპასკირის კალამს ეკუთვნის კიდევ ორი რომანი: „ქალის ღირსება“ და „ერცახუს ძირას“. პირველი რომანის მოქმედება მოიცავს ვრცელ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს 30-იანი წლებიდან დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე. ესაა მრავალპლანიანი მხატვრული ნაწარმოები — აფხაზი ქალის ცხოვრების რთული გზის ამსახავი ეპოპეა. რომანის მთავარი გმირია საიდა — უკანონოდ შობილი ქალი, რომელიც გადალახავს ათასგვარ სიძნელეს და ცხოვრების მრავალი მკაცრი განსაცდელიდან გამარჯვებული გამოდის. საიდას დახატვით ავტორმა შექმნა მშრომელი აფხაზი ქალის ტიპიური სახე.

რომანი „ერცახუს ძირას“ განცალკევებით დგას მწერლის შემოქმედებაში. ეს ნაწარმოები გვიჩვენებს, თუ აფხაზეთის სამთო მრეწველობის განვითარების პროცესში როგორ იქმნება აფხაზი მუშების ადგილობრივი კადრები. მეხსიერებაში გრჩებათ მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები, რომლებსაც მწერალი გვიხატავს როგორც შრომაში, ისე პირად ცხოვრებაში. შთამბეჭდავად და მაღალოსტატურადაა რომანში შესრულებული ხალხთა მეგობრობის ამსახავი ეპიზოდები.

ი. პაპასკირს მხოლოდ ეპიკური ტილოები როდი აქვს შექმნილი; მან აფხაზური ლიტერატურა ნოველებითა და მოთხრობებითაც გაამდიდრა. ეს ნოველები და მოთხრობები ასახავს ხალხის წარსულ და აწმყო ცხოვრებას, მკითხველს იზიდავს მხატვრული განზოგადების ძალით, ძველსა და ახალს შორის ბრძოლის რეალისტური ასახვით. ომისდროინდელ მოთხრობებში — „მზვერავი“, „სახრჩობელაზე“, „ორი ცნობა“ და სხვ. მწერალმა გვაჩვენა, თუ რა მაღალი მორალური თვისებები გამოამჟღავნეს დიდი სამამულო ომის მკაცრ დღეებში საბჭოთა ადამიანებმა.

ი. პაპასკირის შემოქმედება საშუალებას გვაძლევს თვალი მივატანოთ ახალგაზრდა აფხაზური ლიტერატურის დადგენისა და განვითარების პროცესს, რომელიც მიმდინარეობდა სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. კომუნისტი მწერლისათვის დამახასიათებელი მთელი გულმხურვალეობითა და პრინციპულობით ამხილებს ი. პაპასკირი თავის მოთხრობებში, ნოველებსა და რომანებში კერძო-მესაკუთრული სამყაროს იდეოლოგიას, მოძველებული ტრადიციების დამყაყებულობასა და კონსერვატიზმს, წარსულის გადმონაშთებს ადამიანის შეგნებაში.

ი. პაპასკირის შემოქმედება ღრმად ეროვნულია თავისი შინაარსითა და ფორმით. იგი წერს ხალხისათვის გასაგებ ენაზე. მისი მეტყველება აფხაზური ხალხური ლექსის სინათლით, უბრალოებითა და ხატოვანებით ხასიათდება. პაპასკირი აფხაზური ლიტერატურული ენის ერთ-ერთი შემქმნელია.

ი. პაპასკირის შემოქმედების მნიშვნელობა გასცდა აფხაზური ლიტერატურის ფარგლებს. ქართულ და რუსულ ენებზე თარგმნილი მისი ნაწარმოებები მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის კუთვნილებად იქცა.

აფხაზი მწერალი დღესაც მხნედ გრძნობს თავს, სავსეა ენერგიით და მზადაა, კვლავაც თავდადებით ემსახუროს თავის საყვარელ საქმეს — წეროს საბჭოთა მკითხველისათვის.

ხუხუტი ბღაჟბა

ივანე პაპასკირი

ნოდარ გურაბანიძე

ქართველ მაყურებელს ყურმოკვრით თუ ჰქონდა გაგონილი სახელი ამერიკელი ქორეოგრაფის ჯორჯ ბალანჩინისა, რომელსაც ფრანგული „თანამედროვე ბალეტის სიტყვარი“. და შეერთებულ შტატებში გამოცემული „დიდი ბალეტის სრული ისტორია“ მიიჩნევს ერთ-ერთ ნიჭიერ შემოქმედად და თანამედროვე კლასიკური ბალეტის შემქმნელად. ალბათ, პაბლო პიკასოს გარდა არავის მოუსმენია იმდენი უნაპირო ხოტბა და ასევე უზომო ძაგება, იმდენი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებანი, საჯარო ოვაცია და შერისხვა, რამდენიც ბალანჩინს.

მხატვრული ხილვის მოულოდნელობით, ელასტიურობითა და მრავალფეროვნებითაც ჰგავს ეს ორი შემოქმედი ერთმანეთს.

ბალანჩინის შემოქმედების მკვლევარები და რეცენზენტები დაწვრილებით აღწერენ მის დამსახურებას მსოფლიო ქორეოგრაფიაში და, ვრცელი ასოციაციების კარნახით აღნიშნავენ, რომ მისი დადგმები ძალზე საინტერესოა.

ჯორჯ ბალანჩინის გავლენა ევროპის თანამედროვე ბალეტზე განუზომლად დიდია. იგი ჯერჯერობით მიჩნეულია ამ ხელოვნების მეტრად და მის ყოველ აზრს გულისყურით უსმენენ. ბალანჩინი ძალზე ძუნწად ლაპარაკობს ხოლმე ნიუიორკის საბალეტო დასზე („მე არ შემშვენის კომენტარები გავუკეთო „ნიუ-

ეორკ სიტი ბალეტის“ მოღვაწეობას, რადგან მე დავემსგავსებოდი მამას, რომელიც თავის შვილებზე ლაპარაკობს“), სამაგიეროდ მისი მოსაზრებანი საერთოდ საბალეტო ხელოვნებასა და საცეკვაო მუსიკაზე ფრიად საგულისხმოა. იგი საშუალებას გვაძლევს მის პრინციპებსა და კრედოს გავეცნოთ.

იგი თითქოს მის'დევს ცნობილ ფრანგულ ანდაზას: „ყველაფერი კარგია, რაც მოსაწყენი არაა“ და თამამად და შეუზღუდავად უყურებს მთელ საბალეტო ხელოვნებას, მის სტილთა მრავალფეროვნებას, მიმდინარეობათა ცვალებადობას. ბალანჩინი კატეგორიებისა და „იზმების“ მიხედვით არ ალაგებს ბალეტს. მის ფართო ერუდიციას, რაფინირებულ კულტურას, გემოვნებას და პირდაპირ განსაცვიფრებელ ფანტაზიას (შეიძლება მიიღოთ ან არ მიიღოთ მისი ხელოვნება, სცნოთ ან არ სცნოთ მისი პრინციპები, მაგრამ თვით ყველაზე ჩვეულებრივ დადგმებშიც კი მჟღავნდება ეს ფანტაზია და გემოვნება) ძალუძს ყველაფერი დასძლიოს, გარდაქმნას და ახალი სიცოცხლე მიანიჭოს. „მე ვიცნობ მხოლოდ კარგსა და ცუდ ცეკვას. ყველაფერი დანარჩენი მხოლოდ სტილისა და ტექნიკის საკითხია. თქვენი ჩანაფიქრის გამოსახატავად გინდა ფეხშიშველმა იცეკვეთ და გინდა პუანტებზე, მთავარია, სათქმელი გქონდეთ“.

თვითონ ბალანჩინი ერთ პროგრამაში აერთიანებს კლასიკური სტილით დადგმულ ცეკვებს, სადაც ერთის შეხედვით ყველაფერი ტრადიციულ არაბესკებზე, პუანტებზე და პირუეტებზეა აგებული, ძველ ცეკვებს, რომლებიც შეიცავენ ხალხური გალიარდისა და სარაბანდის ელემენტებს და ე. წ. „გამომსახველ ცეკვას“, რომელიც ემყარება მკაცრ რიტმს, პლასტიურობას, სტატიურ ჩამოქნილობას და ათლეტიზმს. ეს მრავალმხრივობა, როგორც ჩანს, მისი შემოქმედების მთავარი სულია და თბილისში წარმოდგენილმა სამმა პროგრამამ დაგვარწმუნა, რომ ბალანჩინი აერთიანებს პოეტის, ფილოსოფოსისა და სკულპტორის თვისებებსაც.

მან განვლო რთული და მდიდარი შემოქმედებითი გზა. როგორც ჩანს, ტვრპსიქორას ენება, რომ ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის ვაჟს მისთვის მსხვერპლი ეწირა პეტერბურგსა და პარიზში, ლონდონსა და კოპენჰაგენში, და, ბოლოს, აღმოჩენილიყო იმ ქვეყანაში, სადაც ცეკვის ამ ქალღმერთს საკუთარი ტაძარიც კი არასოდეს ჰქონია.

ბალანჩინი თანამედროვე კულტურის ატმოსფეროთი სუნთქავს. მან შეითვისა

ნოდარ გურაბანიძე

ჯორჯ ბალანჩინი და მისი ქორეოგრაფია

ყველა ის სიახლენი, რაც XX საუკუნემ მოიტანა მუსიკაში, ფერწერასა და მხატვრულ სიტყვაში. მისი დადგმების ცქერისას დაკვირვებულ თვალს, ვგონებ, არ გამოეპარება ის იდეებიც, რომლებიც თავის დროზე ბევრ რამეს შთააგონებდნენ იმპრესიონისტებს (უპირველესად ფერწერაში — რენუარსა და სეზანს, მუსიკაში — მორის რაველს, პროკოფიევსა და სტრავინსკის). ცხადია, პირდაპირი სახით არაფერი არ არის ასახული მის ქორეოგრაფიულ იდეებში. აქ მე ვგულისხმობ საერთო სულისკვეთებას და მისწრაფებათა ორიგინალობას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბალანჩინმა ზურგი შეუბრუნა კლასიკურ ბალეტს და მის ტრადიციებს. პირიქით, იგი არის ერთ-ერთი ჩინებული მაგალითი თანამედროვეობისა და ტრადიციის ბედნიერი შერწყმისა. მისი ხელოვნება წარმოუდგენელია რუსული კლასიკური საბალეტო სკოლის (რომლის დამაარსებლებიც არიან პეტიპა და ფოკინი) და რუსული მუსიკის (ჩაიკოვსკი, პროკოფიევი, სტრავინსკი) გარეშე. მან ბრწყინვალედ დაამთავრა (1921 წ.) პეტერბურგის ქორეოგრაფიული სასწავლებელი, ერთხანს ცეკვავდა მარინის თეატრის სცენაზე, ჩამოაყალიბა დასი („ახალგაზრდული ბალეტის საღამოები"), განახორციელა რამოდენიმე საინტერესო დადგმა, ხოლო 1924 წლიდან გამოდიოდა პარიზში, დიაგილევის „რუსული ბალეტის" დასში. აქ მან დადგა პროკოფიევის „ძე შეცთომილი" და ი. სტრავინსკის „აპოლონ მუსაგეტი".

„აპოლონ მუსაგეტზე" მუშაობა იყო შემობრუნების პუნქტი ჩემს შემოქმედებაში. ამ პარტიტურის დისციპლინა და თავშეკავებულობა, ტონისა და განწყობილების განსაცვიფრებელი ერთიანობა უდიდესი აღმოჩენა იყო ჩემთვის. მაშინ პირველად შევიტყე, რომ შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, უკუგდებაა".

ამ დადგმებმა მას პირველხარისხოვანი ქორეოგრაფის სახელი მოუპოვა. მალე (1933 წ.) ლინკოლნ კირსტაინი, მეცენატი და ბალეტომანი, ამერიკაში იწვევს და წინადადებას აძლევს ჩამოაყალიბოს საბალეტო სკოლა. 1934 წელს, სწორედ იმ შენობაში, სადაც სწავლობდა ძველი თაობის ქართველი მაყურებლისათვის ეგზომ ცნობილი აისედორა დუნკანი,

გაიხსნა პირველი ამერიკული ქორეოგრაფიული სასწავლებელი. ამ სასწავლებლიდან გამოვიდა მოცეკვავეთა მრავალი თაობა, რომელთაგან საუკეთესონი მოხვდნენ „ნიუ-იორკ სიტი ბალეტის“ დასში.

ამერიკის ქორეოგრაფიას არავითარი ტრადიციები არ ჰქონდა. ამ მხრივ ბალანჩინი შეუზღუდავი იყო. მას შეეძლო არა მარტო განეხორციელებინა თავისი იდეები, არამედ ეწარმოებინა დაუსრულებელი ექსპერიმენტები; ამას გარდა, იგი გრძნობდა იმ უპირატესობასაც, რასაც ოსტატს ანიჭებს საკუთარ გემოვნებაზე და პრინციპებზე აღზრდილი დასი.

ცხადია, ბალანჩინი რომ ევროპაში დარჩენილიყო, თავისი დიდი ნიჭის წყალობით მაინც შესძლებდა ახალი ქორეოგრაფიული ენის, „გამომსახველი ცეკვების“ შექმნას, მაგრამ საეჭვოა, რომ აქ მას შეექმნა თავისი საკუთარი სკოლა და მთელი მიმდინარეობა. იგი იძულებული იქნებოდა სადღაც მაინც გაეწია ანგარიში ტრადიციებისათვის, რომლის შეზღუდულობის წინააღმდეგ მან ასეთის წარმატებით დაიწყო ბრძოლა ამერიკის ქორეოგრაფიის შიშველ ნიადაგზე. მისი ბალეტის თავისებურებანი, სიახლენი, მრავალმხრივ არის განპირობებული, აგრეთვე, ტიპიური ამერიკული ყოფის ელემენტებით, იქაური ცხოვრების რიტმით. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ბალანჩინის ხელოვნება ევროპულიცაა და ამერიკულიც.

ჯორჯ ბალანჩინის შთაგონების სათავე მუსიკალური სამყაროა. მუსიკა მასში იწვევს ასოციაციებისა და პლასტიკური ხილვების დაუსრულებელ ნაკადს. ამჟამად აღიარებულია, რომ იმ ქორეოგრაფთა შორის, რომელთაც ესმით და გრძნობენ მუსიკას, ბალანჩინს ის უპირატესობა აქვს, რომ მისი ხილვები ეყრდნობა არა მხოლოდ რიტმსა და მელოდიას, არამედ მუსიკალური პარტიტურის მთელს შინაგან სტრუქტურას.

თვით იგი დიდი მუსიკალური ნიჭით არის დაჯილდოვებული.

მისი მაღალი მუსიკალობა მისივე ქორეოგრაფიის წიაღია.

ნოდარ გურაბანიძე

ჯორჯ ბალანჩინი და მისი ქორეოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალანჩინს წარმატებით შეუძლია უდირიჟოროს სიმფონიურ ორკესტრს, ხოლო როიალზე უკრავს ისე, რომ მისი მეგობარი კომპოზიტორი იგორ სტრავინსკი მას მიიჩნევს საკონცერტო მასშტაბის პიანისტად. ყოველივე ამან მას საშუალება მისცა უაღრესად გაეფართოვებინა ქორეოგრაფიის რეპერტუარი.

ჯორჯ ბალანჩინი არის უსიუჟეტო ბალეტის შემქმნელი. მაგრამ როგორც მახვილგონივრულად შენიშნა გაბოვიჩმა — იგი მოკლებულია ტექსტს და არა აზრს, სიუჟეტს — მაგრამ არა შინაარსს.

ამგვარად, ბალანჩინი, როგორც ბალეტმეისტერი, თავისუფალია სიუჟეტის ტყვეობისაგან. თუ აქამდე ქორეოგრაფები ჯერ შესაფერ ტექსტს ეძებდნენ, სიუჟეტში პოულობდნენ შემოქმედების იმპულსებს, ხოლო მერე ეძებდნენ კომპოზიტორს და ბოლოს პლასტიკურ სახეებში გადაჰყავდათ ყოველივე ეს, ბალანჩინი მუსიკას და ქორეოგრაფიას განიხილავს ერთ მთლიანობაში და მსახიობის სხეულის მრავალფეროვანი გრადაციებით იძლევა მუსიკალური ფრაზის ადექვატურ პლასტიკურ ფრაზას. მან ქორეოგრაფიაში გააკეთა ის, რაც თავის დროზე გააკეთეს ფრანგმა იმპრესიონისტებმა ფერწერაში. მათ ფერწერა გაანთავისუფლეს „ლიტერატურშჩინისაგან", ფერს ბუნებრივი, თავისთავად ნაგულისხმევი ესთეტიკური ძალა დაუბრუნეს; ამ ხელოვნებას ჩამოაშორეს „თხრობის" ელემენტები და ფერით (და არა მარტოოდენ ამბის განვითარებით) გამოხატეს ემოციები და განწყობილებანი. როგორც ჩანს, ბალანჩინი ფიქრობს (და როგორც ეს მისმა სპექტაკლებმა გვიჩვენეს, სავსებით სამართლიანადაც), რომ ადამიანის ლამაზ სხეულს, მის ჩამოქნილ, დახვეწილ ფორმებს აქვთ ისეთივე ესთეტური, იდუმალი ძალა, როგორც ტემბრს მუსიკაში, ფერს ფერწერაში და თუ ყოველ ხელოვნებას თავისი სპეციფიკური ენა აქვს, რაც მას დამოუკიდებელ სიცოცხლეს ანიჭებს — ასევე ქორეოგრაფიის მთავარი ძალა ადამიანის სხეულში, მუსიკალურად გამოხატულ ემოციებშია და არა რაიმე ლიტერატურულ სიუჟეტში.

მოცეკვავის მოძრავმა სხეულმა უნდა შექმნას მხატვრულად ამაღელვებელი სურათი და უბიძგოს მაყურებლის ფანტაზიას.

ბალეტის სიუჟეტისგან ემანსიპაციის შემდეგ მის წინ გადაიშალა ვრცელი და მომხიბლავი სამყარო. ამიერიდან ქორეოგრაფიის სფერო, რაკი იგი მუსიკაში იღებს სათავეს, ისევე დიდი და მრავალფეროვანია, როგორც თვით მუსიკა. თუ

აქამდე ბალეტის რეპერტუარი შეზღუდული იყო და იგი საუკუნეების მანძილზე ძალზე ნელა უშვებდა თავის რკალში სიახლეებს, ახლა შესაძლებელი გახდა ბეთხოვენისა და მოცარტის, ბახისა და მენდელსონის, ბიზესა და დონიცეტის მუსიკის პლასტიკურ სახეებში გადაყვანა. მაგრამ ყველა მუსიკალური ოპუსი როდი იხმობს ბალანჩინის სურათოვან ხილვებსა და ასოციაციებს. იბსენის ბრანდისა არ იყოს, იგი მუსიკიდან ღებულობს ყველაფერს ან არაფერს, მუსიკის ქორეოგრაფიულ სახეს იგი ან ძალიან სწრაფად აგნებს ხოლმე, ან სულ ვერ აგნებს. მუსიკა მასში იწვევს მოძრაობათა მთელ სისტემას, რომელიც შემდეგ ფორმდება დასრულებულ, ჩამოქნილ საბალეტო სურათში.

ყოველი მუსიკალური ფრაზა არის მიზეზი და განმსაზღვრელი ყოველი მოძრაობის ფაზისა, რომელიც შემდეგ იწვევს მეორეს და საბოლოოდ იღებს მუსიკალური ქორეოგრაფიის ექვივალენტს.

როგორც ბრწყინვალე კოლორიტში შეუძლებელია ფერის ამოგდება, რომ არ დაირღვეს ფერწერული ტილოს მთლიანობა, ასევე ბალანჩინის ქორეოგრაფიული პარტიტურიდან შეუძლებელია რამე ნაწილის ამოღება ან შეცვლა.

მუსიკაში იგი შეუმცდარი თვალით ხედავს ყოველ ნაგულისხმევ მოძრაობას, შესაძლებელ ჟესტს, რომელიც „გასრიალდება" რიტმულ თუ მელოდიურ „სხეულზე". თუ ი. სტრავინსკის მუსიკის (მაგ. „ორფეოსის", „პეტრუშკას") მოსმენისას სცენური, თვალნათელი, ფიზიკური გამოსახვის გარეშე თქვენ შინაგანი ხილვით შეგიძლიათ დაინახოთ მთელი სურათი — აღსავსე პლასტიკური ფიგურებით, ცოცხალი მოძრაობითა და მრავალფეროვანი ჟესტებით, დაინახოთ ბაზრის მოედანზე მოზიმზიმე ხალხის ჭრელი კოსტუმებიც კი (თუ ფან-

---

ნოდარ გურაბანიძე

ჯორჯ ბალანჩინი და მისი ქორეოგრაფია



ტაზიას არ შებორკავთ და მაინცდამაინც კონკრეტულ, სიუჟეტურ ასოციაციებს არ გაყვებით), ასევე—ოღონდ პირუკუ—ბალანჩინის დადგმებში თქვენ გესმით მუსიკა. მაგ. უცებ ორკესტრმა რომ შეწყვიტოს დაკვრა, იმდენად ორგანულია ბალანჩინის ცეკვები, რომ თქვენს შინაგან სმენაში არ შეწყდება მუსიკალური ფრაზის მდინარება.

მართლაც გასაოცარი სინქრონიზმი და პოლიფონიურობაა ნაგრძნობი მუსიკასა და ქორეოგრაფიას შორის, ამავ დროს, არცერთი არაა ერთმანეთის დამატება ან „შევსება". ცეკვა, მოძრაობა ორგანულად შეუძლია რიტმის გამოგონება, იგი მხოლოდ ასახავს მას მოძრაობაში. „კომპოზიტორისგან, უპირველესად, მე მოვითხოვ მყარ რიტმს, რომელიც მთელ ნაწარმოებს ერთ მთლიანობაში ჰკრავს, რიტმს, რომელიც იგრძნობა პაუზებშიც. მუსიკალური პარტიტურის ხილულ სახეებში სრულფასოვანი გადაყვანის იდუმალება მდგომარეობს სიჩუმის დინამიურ გამოყენებაში და დროის უკიდურესად ნათელ შეგრძნებაში". ამიტომ მის ვერცერთ დადგმაში ვერ დაინახავთ გაჩერებულ მოცეკვავეს, რომელიც ელოდება, თუ როდის დაამთავრებენ მისი პარტნიორები თავიანთ პარტიებს. აქ არ არის დრო შეყოვნებისათვის, ლამაზი პოზებისათ-

გამოდის მუსიკიდან და დასრულებული სპექტაკლის ცქერისას ვერ გაიგებ, ჯერ ცეკვა შეიქმნა და მერე მუსიკა, თუ პირუკუ. ყოველი მუსიკალური თემის განვითარებას, მისი ფრაზის სირთულეს, რიტმულობას, ატონალობას, მელოდიათა შეჯახებას აბსოლუტური სიზუსტით მიყვება მოცეკვავის სხეულის მოძრაობა. ბალანჩინის აზრით, ბალეტმეისტერს არ ვის, ყველა მოძრაობს, მოქმედებს და ჰქმნის საერთო სურათს. ბალანჩინი ქორეოგრაფიაში გვიჩვენებს მხოლოდ იმას, რაც დასანახია, გრძნობს და მიჰყვება მოვლენის სულს და არა კონკრეტულ მომენტებს.

თვით ყველაზე გრაციოზულ დადგმებში (ჩაიკოვსკის „სერენადასა" და „პადე-დე"-ში, ბიზეს „ბროლის სასახლე-

ში"), სადაც მოცეკვავის სხეულს საკ-ვირველი სიმსუბუქისაგან დაკარგული აქვს მატერიალურობა, ყველაფერი ემორ-ჩილება სიმეტრიასა და პროპორციებს, ბალანჩინს მოულოდნელი შტრიხი შეაქვს და გვაფიქრებინებს, რომ არაფერი არ არის ამ ქვეყნად მუდმივი, ყველაფერი ემორჩილება სამყაროს ცვალებადობის კანონებს, რომ შუქ-ჩრდილების თამაშ-შია მშვენიერება. უცებ კომპოზიციურად და დიდის სილამაზით დალაგებულ ჯგუფს უხილავი ხელი გამოსტაცებს ხოლმე ერთ მოცეკვავეს, დროებით ყვე-ლაფერი ირევა და მერე ისევ მშვიდდება, ყალიბდება ცეკვის სიმეტრიებში. აქ არის ნაგრძნობის „სიმეტრიის ასიმეტრულო-ბა" და „ქაოსის წესრიგი".

მოცეკვავე ქალებს არ სტოვებთ საკუ-თარი სხეულის სილამაზის, ძალისა და სიმსუბუქისაგან მოგვრილი სიამაყე. მა-მაკაცების ათლეტიზმი შერწყმულია ქა-ლების მგრძნობიარობასთან, ხოლო სო-ლისტისა და კორდბალეტის ხელოვნება განუყოფელია.

ბალანჩინი აღწევს კლასიკური ცეკვის თვით ელემენტების მოდერნიზაციას. პუანტებსა და ცალი ფეხის წვერზე თავ-ბრუდამხვევ ტრიალში მას დამატებით შეაქვს ახალი რთული მოძრაობა და, პარადოქსალური ის არის, რომ, რაც უფრო ართულებს ცეკვას, მით უფრო მსუბუქი, ადვილი და გრაციული გვეჩ-ვენება იგი. ამას გარდა, კლასიკური ცეკვის საზღვრები მოცეკვავის ინდივი-დუალობით არის გაზრდილი. ჩაიკოვსკის „პა-დე-დე"-ში ისეთი გამჭვირვალებით, პოეტური საბურველით არის გარემოსი-ლი მოცეკვავე წყვილის სხეულები, თით-ქოს ისინი მიბნედილობის, ურთიერთ-გაღმერთების ატმოსფეროში მოექცნენ. მათი მოძრაობა ჰქრება როგორც ცეცხ-ლი ღველფზე, ნელდება და იძირება ვნების უფსკრულში. იმავე ჩაიკოვსკის „სერენადაში", სადაც თითქმის მთელი დასი ცეკვავს და გამორიცხულია წყვილ-თა განმარტოება, გადმოცემულია ქალ-წულებრივი კდემამოსილება და მისწრა-ფება რაღაც გაუცნობიერებელი მშვენიე-რებისაკენ. უკან გაშლილი ხელებით მოცეკვავე ქალები მისრიალებენ სცენის სიღრმისაკენ, შემდეგ უცებ გაირინდე-ბიან, თითქოს იდუმალებამ შეაკრთო და ხელგაწვდილნი წამით უყურებენ სივრ-ცეს, შემდეგ მათ ეუფლებათ სიმშვი-დე, ფეხმოკეცილ სამ ქალს ცალცალკე, სამ-სამი ქალი ჩაჰკიდებს ხელს და იქმ-ნება „ვნების კარუსელი". ამ თავბრუდამ-ხვევ ტრიალში ერთი ქალი შემოიჭრება და თითქოს კვლავ მოუხმობს მათ, უღვი-ძებს დროებით ჩამქრალ ვნებას. ერთი მამაკაცის ცეკვა სამ ქალთან იძლევა კომპოზიციების დაუსრულებელ ცვალე-ბადობას... ხან მწყობრად იკეცებიან მა-მაკაცის მძლავრ მკლავზე ქალები, ხან მის ზურგს უკან ექცევიან და ხელგაშ-ლილნი ქმნიან ნაზი და მოალერსე დე-მონის სახეს. თითქოს ყოველი ეს გან-წყობილება, ქორეოგრაფიული იდეა უნ-და განვითარდეს, მაგრამ ბალანჩინი (ჩვენი დროის დიდი თეატრალური რე-ჟისორის ჟან ვილარის მსგავსად) გარ-კვეულობას, სინათლეს მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა თავს იზღუდავს და ჰკვეთს იქ, საიდანაც თითქოს მრავალ ახალ შესაძლებლობათა ასპარეზი იშ-ლება.

ამ დადგმებში (აგრეთვე ბიზეს „ბრო-ლის სასახლეში") ქალების სახე ისევე არაემოციურია, ვნება მიუკარებელი, რო-გორც სახე ანგელოზისა. ამაში ბალან-ჩინი ხედავს მოცეკვავე ქალების განსა-კუთრებულ მომხიბვლელობას. ვნება, მგრძნობიარობა, ემოციურობა გამოხა-

---

ნოდარ გურაბანიძე
ჯორჯ ბალანჩინი და მისი ქორეო-გრაფია

ტულია არა ჟესტებით, არა სახის გამომეტყველების ცვლით (ესეც ესთეტური პრინციპია ბალანჩინისა), არამედ მოცეკვავეთა სხეულებით შექმნილი პლასტიკური სურათით. ჯორჯ ბალანჩინი უარყოფს გმირს, პრიმაბალერინას. ის, რისი გამოხატვაც ერთ მსახიობს ევალება სხვა ბალეტებში, აქ გამოხატავს მთელი მოცეკვავე დასი, სოლისტისა და კორდბალეტის შეთანხმებული, სინქრონული შემოქმედება. ამის გამო ჩვენ ვხედავთ საერთო სურათს, მის ნათელ პერსპექტივას და არა ცალკეულ ბალერინას.

ი. სტრავინსკის მუსიკაზე დადგმულ „აგონში" (შეჯიბრი, ძველ ბერძნულ ტრაგედიაში გმირთა პაექრობის კულმინაციური წერტილი) ჩვენ ვიხილეთ ე. წ. „გამომსახველი ცეკვის" ნიმუში. იგი XVII საუკუნის საფრანგეთის სასახლის კარის ცეკვების მელოდიებზეა აგებული, მაგრამ როგორც ი. სტრავინსკის მუსიკა (დაწერილი თორმეტტონიანი ატონალური სისტემით), ისე ცალკეული „პა" არაფრით არ მოგვაგონებს წარსულს. მუსიკა, აგებული მარტოოდენ შიშველ რიტმზე, თითქოს რაღაც მოძრაობის კონტურებს ხაზავს და მკვეთრი დარტყმით აღნიშნავს ფაზის დასასრულს. ეს რიტმი შემდეგ თითქოს კვდება და მხოლოდ სუსტი პულსაციით გვაგრძნობინებს თავის არსებობას.

ამ მუსიკაზე ბალანჩინმა ააგო ცეკვის სუიტა, რომლის ყოველი ფრაზა კომპაქტური და კონტრასტულია, მჩქეფარე და სწრაფად ცვალებადი. იგი მიჰყვება პარტიტურას და მასში სამი ნაწილია — შემჯიბრებელთა ანსამბლურობა, თვით შეჯიბრი და ცალკეული მოცეკვავეების პოზიციები. მთელი ცეკვა უკიდურესად დაძაბულია, სიმი თითქოს საცაა უნდა გაწყდეს, მაგრამ არ წყდება. სტატიური, ათლეტური კომპოზიციები უცებ გადადის აკრობატულ ადაჟიოებში; მოცეკვავეთა ყოველი ნაბიჯის, მოძრაობის, „სკულპტურული პაუზის" შემდეგ მოულოდნელად იბადება ახალი ფორმა. ქორეოგრაფიული ფორმა ძშვიდად, თანდათანობით კი არ სრულდება, რომ ორგანულად გადავიდეს მეორეში, არამედ მოულოდნელად სკდება და წარმოშობს ახალ ფრაზას. ეს ჰგავს მოზაიკურ სურათს, სადაც ყოველი კენჭი სხვადასხვაა მაგრამ შთაბეჭდილების მთლიანობა არ ირღვევა. „აგონი" ისევე დაძაბულია, როგორც გაბმულ თოკზე მოსიარულე აკრობატის სხეული. დაძაბულობის ეს გრძნობა არც მაყურებელს შორდება. სხეულის კულტი, ვნებიანობა, მოძრაობათა ხაზგასმულობა ათლეტიზმთან ერთად, იმდენად გრაციოზულია, მოფარფატე, რომ მას არ შორდება მისტიფიკაციური მომხიბვლელობა. შეიძლება ჩვენ ბევრი რამ ვერ გავიგოთ ბალანჩინის უცნაური ფანტაზიის სწრაფწარმავალ სურათებში, მაგრამ მაინც დატყვევებულნი შევცქერით ამ ცეკვას. თვით ბალანჩინი აღიარებს, რომ „აგონის" სცენები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მათ მართავს გამომთვლელი მანქანა („მაგრამ ეს მანქანა ფიქრობს"). „აგონის" დამდგმელის ფილოსოფია ჰგავს სენტ ეგზიუპერის „ადამიანის კულტს ყოველ ინდივიდში", რომლის მიხედვით ყოველი არსება თავის ნამდვილ არსებობას პოულობს იმ წყობაში, რომელიც აგებს დიად ტაძარს — ა დ ა მ ი ა ნ ს. აი ამონაწერი ეგზიუპერის „სამხედრო მფრინავიდან", რომელიც, ჩემის აზრით, ასე ორგანულად უკავშირდება, არა მარტო ბალანჩინის „აგონს", არამედ მთელ მის შემოქმედებასაც: „ტაძარი სრულიადაც არ არის ქვების კრებული. ტაძარი გეომეტრია და არქიტექტურაა. ქვები კი არ განსაზღვრავს მის არსებას, არამედ თვით ტაძარი ამდიდრებს ქვებს თავისი არსებობით. ეს ქვები გაკეთილშობილებულები არიან იმით, რომ ისინი შეადგენენ ტაძარს. თვით ყველაზე განსხვავებული ქვები ემსახურებიან ამ ერთიანობის შექმნას. ტაძრის მუსიკა ყვე-

ლაფერს აერთებს, ყველაზე საშინელ ქიმერებსაცა და ფიგურებსაც კი".

უსიუჟეტო ბალეტის შემქმნელმა ჩვენ წარმოგვიდგინა თავისი განახლებული დადგმა ს. პროკოფიევის „ძე შეცთომილი" და მის მოწინააღმდეგეებს (რომლებიც აჩქარდნენ საკუთარი მცდარი დასკვნების გამომზეურებაში) დაუმტკიცა, რომ მისი ქორეოგრაფიული ნიჭი აქაც ძლიერია (სხვათაშორის, ბალანჩინს დადგმული აქვს მრავალი დიდი ბალეტი, მათ შორის „გედის ტბა", „შჩელკუნჩიკი", მისმა უკანასკნელმა ნამუშევარმა მედელსონის — „სიზმარი ზაფხულის ღამეს" — შექსპირის მიხედვით, დიდი გამოხმაურება ჰპოვა).

„ძე შეცთომილი" ოცდაათი წლის წინათ დადგმული ბალეტია, მაგრამ თავისი ფორმების მოულოდნელობით მან გაგვაოცა. ეს ბიბლიური სიუჟეტი (პროკოფიევის ბრწყინვალე მუსიკალური ინტერპრეტაციით), რომლის ქორეოგრაფია სულ თხუთმეტი წუთი თუ გრძელდება, ისეთის სისავსითა და ძალით გვიჩვენებს ადამიანის აფორიაქებულ სულს, მის წუხილს, ნოსტალგიას, თითქოს თქვენს წინ მხოლოდ ერთმა ეპიზოდმა კი არ განვლო, არამედ იბსენის „პერგიუნტის" სიღრმისა და დაძაბულობის დრამამ. განსაკუთრებით ძლიერია თანამეინახეებთან ქეიფი (ეს სცენა გროტესკულად არის გადაწყვეტილი) და „ძე შეცთომილის" ვნებიანი ჭიდილი მაცდუნებელ ქალთან. შიშველი ვნების ეს დუეტი დადგმულია ცეკვისა და პლასტიკური პოზების მრავალფეროვნებით. აქ გადმოცემულია ადამიანის სხეულის უძლურება სტიქიურად მოვარდნილ ვნებასთან: ყველანი ცდილობენ ერთმანეთს დააცილონ ქალ-ვაჟის ათრთოლებული სხეულები, რაღაც ძალა წელში ელასტიურად ხრის მათ, თითქოს ვიღაც ეწევა, მაგრამ ისინი მაინც მიისწრაფვიან ერთმანეთისაკენ. აქ არის ბუდას ქანდაკების გარინდებაცა და სტრიპტიზების აღვირახსნილობაც. მაგრამ ამაში ვულგარულობის ნატამალი არსად იგრძნობა. როცა ჭაბუკი ვეღარ უძლებს ცდუნებას, როცა მის სულს უკიდურესად გააწამებენ, მას ნებას აძლევენ დიდხანს ეხვიოს ქალს (მათი სხეულები სუროსავით ეჭიდობიან ერთმანეთს), მაგრამ სწორედ ამ დროს, იეზუიტური გულცივობით გამოსტაცებენ ქალს ვნებიანი მკლავებიდან. გამწარებული ჭაბუკი გარბის და ზეშეასკდება უცებ წამომართულ მაგიდას, შემოტრიალდება, გაშლის ხელებს და თქვენ წინ ჯვარცმულის პლასტიკური, ცოცხალი ანალოგია იბადება. ვნების დაცხრომით, განადგურებით თავდება ეს სულისა და სხეულის დრამა. გატანჯულ შვილს მამა პატარა ბალღივით აიტაცებს, გულში ჩაიკრავს და სახლში შეიყვანს...

„ნიუ-იორკ სიტი ბალეტის" სხვა დადგმებზე არ შევჩერდები, რადგან იგი არ ეკუთვნის ბალანჩინს. გარდა ამისა, ერთობ შესამჩნევია ამ ოსტატის გავლენა სხვა ქორეოგრაფებზე.

ნოდარ გურაბანიძე

ჯორჯ ბალანჩინი და მისი ქორეოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

1961 წლის ზაფხულში ზურაბ ნიჟარაძემ იტალიაში იმოგზაურა და, აჰა, თითქმის ერთ წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ, საშუალება მომეცა მხატვრის იტალიური ციკლის სურათებს გავცნობოდი.

რა თქმა უნდა, მეტად ძნელია ახლებურად დაინახო იტალია და ჯერაც უნახავი აღმოაჩინო და უთქმელი უთხრა ფერწერით დაინტერესებულ კაცს მაშინ, როცა წლობით კი არ გიცხოვრია იქ და შეგისწავლია ხალხი და ქვეყანა, არამედ ტურისტული ავტობუსით გაგივლია იტალიის ქალაქად თუ სოფლად და გიდის ბრძანებაზე ტურნიკეტივით გიტრიალებია თავი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, როცა ყველაფერი სიზმარეულ ჩვენებას ჰგავს და ცოცხალი ქვეყანა და ხალხი რჩება ავტობუსის ფანჯრებს მიღმა გაუცნობელი და შეუცნობელი. მაგრამ არსებობს შთაბეჭდილება, რომელსაც უშუალობისა და აღტაცების მომხიბვლელობა ახლავს. სწორედ ასეთი შთაბეჭდილებებითაა შექმნილი ზ. ნიჟარაძის იტალიური ციკლის ექვსივე ნამუშევარი. საინტერესო ისაა, რომ მხატვარს ცოცხალი იტალიის ეშხი უგრძვნია და გადმოუცია. მაგალითად, ზ. ნიჟარაძის „ტოსკანა“ პეიზაჟის გადმოცემის დოკუმენტური სიმართლით კი არ იქცევს ყურადღებას, არამედ განწყობილების სიმართლით. მთების მოხაზულობა, სხვადასხვა საგანთა ხაზები წაშლილია და ყველაფერი მზის სინათლეს დაუფარავს. გზაც კი არ ჩანს და ავტობუსის მოფირებული წითელი ფერი თუ არღვევს ცოცხალ ზაფრანის ფერს. «Желтый платок твой разубран цветами — сонный то ласковый цвет», მიმართავდა ტოსკანას ალ. ბლოკი. აქაა სიზუსტე თვალისა, რომელსაც ავტობუსის ფანჯრის მიღმა ტოსკანის მზიანი შუადღის ალმური უგრძვნია და აღუბეჭდავს (პ. პიკასოს უხუმრია ერთხელ — თვითმფრინავიდან დედამიწა ჩემს ტილოებს ჰგავსო). როცა მზით განათებულ „ტოსკანას“ ტოვებთ და „რომის ქუჩებ-

„ში“ მოდიხართ, შავი და ნაცრისფერი ტონები მოწყენილობის განწყობილებას ჰქმნის. შავოსანი ახალგაზრდა ბერები რაღაცაზე გაცხარებულნი მსჯელობენ და მიუხედავად იმისა, რომ კამათის ტემპერამენტი იგრძნობა, მაინც სიცივე გეუფლებათ. ყვითელკაბიან მეძავს მათთვის ზურგი შეუქცევია და, რაღაც ფიქრით დამძიმებული, თავისი გზით მიდის. ამ ქალის სახეს ვ. ფელინის კაბირიას ნატანჯი ღიმილი არ ანათებს. იგი უფრო გულგრილი და ბედის მორჩილი მოჩანს. იქნება მოწყენილობის განწყობილებას „რომის ქუჩების“ კომპოზიციის ერთპლანიანობა და უპერსპექტივობაც აძლიერებდეს. ბერებიცა და მეძავიც კედელზე მიკრულს ჰგვანან. შეიძლება ვცდები, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ აქ უფრო ქართული ფრესკის სიმშრალე და უპერსპექტივობა ვიგრძენი (რის გამოც მას უფრო გონებით ვწვდები, ვიდრე გულით), ვიდრე იტალიური რენესანსის ეპოქის მხატვრების დიდი სივრცე და პერსპექტულობა, სადაც ბევრი ჰაერია და ტანჯვაცა და სიხარულიც თითქოს უფრო იოლია. დახურული ჰორიზონტი კი უიმედობით გავსებს.

დახურულია ჰორიზონტი სურათშიც „სამუშაოდან ბრუნდებიან“. ბაზილიკისებური წითელი სახლის ფონზე თივით დატვირთული ორთვალა ურემი მოდის. მეურმეც თავჩაქინდრული ზის და გოგო და ბიჭიც, ურემს რომ მოყვებიან გვერდით, თავდახრილი მიდიან (მხოლოდ ბიჭისაკენ გოგოს გაპარებული მზერა შეიძლება დაიჭიროს მახვილმა თვალმა). წითელი სახლის ჩრდილი, რომელიც ადამიანებს ეცემათ სახეებზე, კიდევ უფრო აძლიერებს მათი დაღლილობის შეგრძნებას და საღამო ხანის ემოციურ სურათს იძლევა. ყველაფერს ერთად თუ წარმოიდგენ — საღამო, დაღლილი ადამიანები, თივით დატვირთული ორთვალა (მდიდარი ფანტაზიის კაცს ბიჭსა და გოგოს შორისაც შეუძლია გარკვეული დამოკიდებულებაც აღმოაჩინოს), შესაძლებელი ხდება პატარა ყოფითი ამბის მოყოლაც. ერთი სიტყვით, ჩნდება სიუჟეტის ელემენტიც. ილია ერენბურგი ამბობდა: თანამედროვე მხატვრებს ისე არაფრის არ ეშინიათ, როგორც სიუჟეტისაო. სიუჟეტი მიმეტებულ პროზად ითვლება. პროზაულობა არა მგონია რაიმე იყოს საშიში. აქ, უბრალოდ, მაყურებლის გონება ცდილობს მისთვის სასურველი მიმართულებით განავითაროს ნანახი სურათის ემოციით აღძრული საკუთარი გულის ფიქრი. ეს უკვე მაყურებლის თუ მნახველის პირადი საქმეა, ისე როგორც განწყობილებათა პოეზიის სიყვარული, რომლისაკენაც ლტოლვა თანდათან ჩვენი ახალი მხატვრობის დამახასიათებელ ნიშნად იქცევა. მთავარი სხვაა: ტილოზე ასახულ განწყობილებათა სიმართლე, სიზუსტე და სიღრმე. ეს სიმართლეა სწორედ ზ. ნიჟარაძის იტალიურ ციკლში. ამიტომაც შეგიძლიათ აღიქვათ „სამუშაოდან ბრუნდებიან“, როგორც რაღაც ამბის ერთ-ერთი ეპიზოდიც და როგორც მშრომელი კაცის დაღლილობის განწყობილების გადმომცემი სურათიც.

ზემოთ ყოფითი ამბავი ვახსენე. იგი არაა უცხო ზ. ნიჟარაძის ფუნჯისათვის. მაგრამ ყოფითობა პირველი შთაბეჭდილებისა და პოეტური განწყობილების პრიზმითაა დანახული. ასეთია „თევზის ბაზარი ვენეციაში“. აქ არაა არც ბაზრისათვის დამახასიათებელი ფერთა სიუხვე, ტიპაჟთა სიმრავლე და არც სიმსუყისა და ბარაქის სურათი. პირიქით, ფერების მხრივ მხატვარი ერთგვარად ზღუდავს თავის პალიტრას — მხოლოდ შავ, ლილისფერ და წითელ ტონებს ხმარობს; ტიპაჟიც განწყობილებითა და გარეგნობით უფრო ერთმანეთს ჰგავს, ვიდრე განსხვავდება; ბაზარიც გაღარიბებულად გამოიყურება. მაგრამ „თევზის ბაზარი ვენეციაში“ უხილავი დარდით გიზიდავს. თითქოს [illegible]ურია: მოხმაურე, მოფუსფუსე, მოვ[illegible], მოჩხუბარი, ალიაქოთითა და მოუ[illegible]ობით სავსე ბაზარი და დარდი — ად[illegible]ის უინტიმესი გრძნობა, მარტოობ[illegible] გამოწვეული. საქმეც ისაა, რომ თევზ[illegible] ბაზარზე მოსული

აკაკი ბაქრაძე
მოგზაურის თვალით

ადამიანები, მიუხედავად თითქოსდა სიმრავლისა და მოჩვენებითი ინტერესის ერთიანობისა, ერთმანეთისათვის უცხონი და მარტოხელანი დარჩენილან. მათ თვალებში არაა ინტერესი არც ერთმანეთის მიმართ, არც თევზებისადმი, გასაყიდად რომ გამოუკიდიათ. აქაა სევდიანი თვალებისა და დარდის საიდუმლო, რომლითაც მხატვარი გავსებთ.

ზ. ნიჟარაძემ აქ იტალიელთა ეროვნული ხასიათის თავისებურება კი არ აღნიშნა, არამედ საკუთარი განწყობილება, უცხოობით აღძრული. ეს შეიძლება იგივე გრძნობა იყოს, რაც ა. პუშკინს, საღამო ჟამს საქართველოს მთაგორების ხილვამ ათქმევინა: „ნუ მიმღერებთ მწუხარე საქართველოს სიმღერებსო“.

უფრო ნათელი და იმედიანია „სანტა-მარგარიტა“. იტალიური კურორტის მაღალი ჩინარები, მოწითალო-მოყვითალო სახლები და კიდევ უფრო მეტად ცა („ისე სუფთა და წმინდაა ზეცა, ალერსით სავსე, თითქოს ღვთისმშობლის ცრემლი დამეცა ლოცვის დროს თავზე“) დილის სისუფთავის განწყობილებას იწვევს. თუმცა არ შეიძლება თვალში არ გეცეთ, ერთის შეხედვით, უცნაური პროპორციები: ჩინარები მრავალსართულიან სახლებზე მაღალია. მართალია, ხეები წინა პლანზეა და სახლები უკანაზე და პერსპექტივის კანონის თანახმად, თვალის მოსატყუებლად, თითქოს შესაძლებელი [illegible] — სახლებს უფრო პატარა გამოჩენილიყო, მაგრამ აქაც პერსპექტივა მცირეა (თუ არ ვიტყვით, რომ სულ არაა) და ამიტომ პროპორციულობის მოყვარული თვალისათვის ზომიერება დარღვეულია. მხატვარს პროპორციების დარღვევა სჭირდება, რომ ხეების ცისკენ ლტოლვისა და ქვის კედლებისაგან განთავისუფლების სურვილის შთაბეჭდილება შექმნას (ენგრს სხეულის მოქნილობისა და გრაციულობის შთაბეჭდილება რომ შეექმნა, თავისი ოდალისკასათვის ხერხემლის სამი ზედმეტი მალა დაუხატავს, თუმცა ცნობილია მისი სიყვარული და ერთგულება კლასიკური პროპორციებისადმი). ამ შემთხვევაში მხატვრული ამოცანა ამართლებს გადაწყვეტის საშუალებებს, რადგან აზრისა და გრძნობის გადმოცემაა უმთავრესი. ყოფითი სიმართლის დარღვევა ხშირად მხატვრული სიმართლის ზუსტად გამოთქმას უწყობს ხელს და ამიტომაც არ ერიდება ამას ზ. ნიჟარაძე. ეს ნათლად იგრძნობა იტალიური ციკლის სურათებშიც, რომლებიც ახლა ჟურნალ „ცისკრის“ მკითხველების სამსჯავროზეა გამოტანილი.

ტექნიკური რედაქტორი გიორგი ჭავთარაძე
რედაქციის მისამ[illegible]: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია და[illegible] 27/I-63 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 1[illegible]. № 1416. უე 05216. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 5. 500.

საქართველოს სსრ [illegible]ურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი [illegible]ს კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати [illegible] полиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბინდოული ფერადი

ბალის ქუჩაში

ტოსკანელი გოგონა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО

„САБЧОТА МЦЕРАЛИ“

12

ია ოსლავ პუტიკი —
„სინდისი“
(ოპენჰეიმერის საქმე)

აკაკი ბაქრაძის წერილი კინოსურათზე — „მე, ბებია, იორიკო და იარიოტნი“

იან ოტჩენაშეკი —
„რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი“

ЦИСКАРИ ЖУРНАЛ